

117
1971

ბავშვთა



8

1971

გნეოტოკი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-სხატველური
და საზოგადოებრივ-კოლმეტიკური ჟურნალი

წელიწადი 47-ე

№ 8

აგვისტო, 1971 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

თინათინ გომილაძე — შანი ჩვენი. რომანი. დასასრული	3
რობერტ ბერნეი — ლექსები. თარგმნა მურმან ლეგვანიძემ	60
გიორგი ხორვათაძე — თითქმის ცხენი. მოთხრობა	69
ლია ასათიანი — ლექსები	83
ჯანო ჯანელიძე — ლექსები	85
ნაილი ნეკრესელი — ლექსები	86
ხუტა ბაგვა — ლექსები	87
ანდრე აბულაშვილი — ლექსები	89
ბაბუ მუხარაშვილი — ლექსები	90
თამარ დაუშვილი — ენთოს უმკურამ ჩაქრობალი. ლექსი	91
ვათა დოღვაია — ლექსები	92
ბარბა ბარბაშვილი — ლექსები	93
ნოდარ შაბანაძე — ლექსები	95
ანთონილ ხარაიშვილი — ლექსები	96
ნოდარ ხვედელიძე — ლექსები	97
გიორგი დიმიტროვი — ლექსები. თარგმნა დ. ინწკიტიძემ	98

11636

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

მ. ჯორჯიანი — გამოკვეთილი კარტოვილი ფილმოსოფოსი	99
დ. იოსავაშვილი — ლომ ქიანაძის ადრინდელი დრამატურგიული მიმდევრების კითხვა	105
ა. აბრამიშვილი — ივანე ზორბაძის ფსევდონიმებისათვის	112



ბ. მამისთვალეზვილი — რუი გონსალეს დე კლავისოს ცნობები საკარტო-
ლოს შესახებ 118

თიხურაჲ ზერიძე — ძველი თბილისის მიკროტოპონიმიდან. (დრუხაძე) 127

აბაჲი ზაწარულია — ისევ აბრაჲ იზერიელის კართული „ცხოვრების“ ზამო 141



ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ლაშარა ჩინალაძე — ვახტანგ მონანი 168

წიგნების მიმოხილვა

აბაჲი გელოვანი — მოწამე არს ჩვენდა მატინი 174

სალომე შურვაშივილი — საკარტოვლოსა და გიზანტის უკთიერეთობის სა-
კითხი 186



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალარაძე

საკრებდაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბანუშილი, დ. ზამუჩარაშვილი, მ. ლიბანიძე, ბ. ძღვინი, ა. სულაიაზ-
არი, ა. თუთათელი, ე. უიფიანი (პ/მე. მდიანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუ-
კიძე, ო. ტილაძე, რ. ჯაფარიძე, ზ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩაპუტაძე

ჩუბაქციის მისამართი: თბილისი,
ჩუხთაფლის პროსპექტი № 12.

გადაეცა ასაწყობად 22/VI-1971 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბუღად 20/VIII-71 წ., ანაწყობის ზომა
71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108/16,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო
თაბაში 18.

ბელოვნიძე: რედაქტორის — 92-55-11-00757. ტირაჲი 12.950. შეკვ. № 2297.
4/8გ. მდიანის — 92-55-15, განყოფილებე-საქ. კბ ც-ის გამომცემლობის სტამბა.
ბის — 92-55-15, 92-55-17, 92-55-20. თბილისი, ლენინის ქ. № 14



ქ ა მ ი რ ვ ე ნ ი

რომანი

ზაფხულს სხვა დროს უღარდებოდა ვატარებდი. ახლა პატარა აღარ ვიყავი და რაიმე საქმეს მეც უნდა მოვკიდებოდი. სანამ სწავლას დავიწყებდით, ოჯახს უნდა გამოვდგომოდი, ქვეყნისათვის რაიმე სარგებელი მომეტანა. ამ მიზნით შერმადინს მშენებლობაზე გავყევი. მზად ვიყავი მეთხარა მიწა, მეზიდა მორები. შინ უქმად ჯდომის უფლებაც არ მქონდა. რაღა დროს უკადრისობა იყო. ნიჩაბს მოვკიდე ხელი და მიწის თხრა დავიწყე.

მე და შერმადინი ერთ ბარაკში ვცხოვრობდით.

ისეთ ადგილას ვიყავით, სადაც ხე არ ხარობდა, მზის მსურველებს უღაბნოდ ექცია იქაურობა. ფალანგები და მორიელები კბენდნენ და აშვებდნენ მუშებს. ბევრი დაავადებული წაიყვანეს საავადმყოფოში. ბევრი შეშინებული გარბოდა სამუშაოდან. მეც მეშინოდა, მაგრამ არ ვამხელდი.

ერთი სიტყვით, დაწყევლილ ადგილზე მოვხვდით. შერმადინი რომ არ ყო-

ფილიყო იქ, მეც უთუოდ გავიქცეოდი. ერთი თვე როგორმე უნდა გამეძლო. ფევისტოს ბოლოს კი თბილისში უნდა დავბრუნებულიყავი, რადგან პირველ სექტემბერს სწავლა იწყებოდა.

შერმადინი ჯარში არ მიყავდათ, საბჭედრო საამშენებლო უბანზე სჭირდებოდათ.

ერთხელ ფოსტალიონმა შერმადინის სახელზე თბილისიდან გამოგზავნილი წერილი მომცა და მთხოვა, ეს თქვენ ტექნიკოსს მიუტანეთ. კონვერტს დავხვდე და ელდა მეცა. ირმას წერილი იყო.

... და უმალ გამახსენდა ის შეხვედრები. აშკარა იყო შერმადინისა და ირმას ერთმანეთი უყვარდათ. ირმამ შერმადინის ბევრი ლექსი ზეპირად იცოდა და სხაპასხუბით კი არ ამბობდა, როგორც სხვების ლექსებს, არამედ გრძნობით გამოთქვამდა, თვითეულ სიტყვას შესაფერ ჯერადობას აძლევდა და ძალიან კარგადაც გამოსდიოდა. დღემდე გულში ღრმად მაქვს ჩარჩენილი მისი ხმა, მისი აღმადგენა.

შერმადინი მოვნახე და წერილი გავეცი. გაეხარა. გამომართვა, მაში-

ნვე გამწორდა და ჩუმად წივიტობა. არც არაფერი უთქვამს — რა ეწერა, რამ გაახარა.

ბოლო დროს მეტეტონეებს ვეხმარებოდი. მძიმე სამუშაო იყო. ერთი დანჯღრეული ბეტონსარევი მანქანა არა გვეყოფნიდა და ხელითაც უნდა აგვერია. მცხუნვარე მზემ ლამის გამატყავა. დამსიცხა და მომთენთა, მაგრამ მაინც მაგრად ვიყავი. ჯანი კარგი მქონდა.

გულში ჩამრჩა იმ წერილის საიდუმლო. წერილის წაკითხვის შემდეგ შერმაღნი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ატეხილ ჭალაშია და ბუბუბულების გალობას ისმენსო.

გავიდა ერთი კვირა.

ერთ დღეს მშენებლობის კანტორიდან თათარი შიკრიკი მოვიდა. კანტორა ორ კილომეტრზე იყო, სოფელში, რკინიგზის სადგურის მახლობლად.

შიკრიკმა რაღაც უთხრა შერმაღნის. თათარს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ შერმაღნისა მომამახა:

— თამაზ, ირმა ჩამოსულა, ბიჭო!

— ირმა?! — პირი-დავალე გაკვირვებისაგან და სანამ რამეს მოვიფიქრებდი, შერმაღნის უკვე გზაზე დაეშვა. უნებლიედ მეც გავიქეცი. მაგრამ უცებ მოვეგე გონს, გულდამწვარი შეეჩერდი და ერთ ადგილზე გახევებული შევეყურებდი შერმაღნის, უკან რომ აღარ იხედებოდა და მზისაგან გახურებულ გზაზე ნიაქქარივით მიჰქროდა. გზა გორაკის ძირში უხვევდა და იკარგებოდა.

ირმამ არ იცოდა, რომ მეც აქ ვიყავი. ეტყვის კი შერმაღნის? მერე, რას დააბარებს ჩემთან? როგორ გაბედა და წამოვიდა თბილისიდან? რად ჩამოვიდა? ნეტავ ერთი კი დამანახა, როგორ შეხედებთან ისინი ერთმანეთს? შერმაღნის თავის სიყვარულზე ერთ სიტყვასაც არ

სძრავდა ჩემთან. ირმას სახელს ალბათ გულში ეალერსებოდა.

ისე არასოდეს არ მომნატრებია ირმა, როგორც იმ წუთებში, როცა მე არ მიხმობდა, როცა ისე ახლოს კი იყო ჩემთან.

— თი კუდა ბეჯალ? — საღ მირბოდიო, — მკითხა თათარმა, — თამ თოლქო აღნა დევეშქა. იქ მხოლოდ ერთი გოგოაო.

ვითომ მიმიხვდა გულის მურაზს? ვითომ გაიგო ჩემი ხვაშიადი? საშინლად დავლონდი და ისე მარტო ვიგრძენი თავი ამ ქვეყანაზე, ლამის ავტირდი. მაშინ შავად მომებურა გონება.

შერმაღნის მოგვიანებით დაბრუნდა გალაღებული. უღიმღამოდ დაეხვდი. არაფერი მიკითხავს. ირმას მოკითხვა გადმომცა. არ იცოდა აქ რომ იყავიო, მითხრა, მაგრამ მისმა სიტყვებმა არა თუ დამამწვიდეს, უფრო ამღერდეს.

— გამაღობთ, — მიუვუგე ცივად.

— შენ რაღაც, გუნებაზე არა ხარ. თავს ცუდად ხომ არ გრძნობ?

— ჰო, რა ვიცი... მომწყინდა აქაურობა.

— ძალას ვინ გატანს. თუ გინდა წადი შინ. ხვალვე გავისწორებთ ანგარიშს.

მაშინვე დავეთანხმე. გადავწყვიტე შინ დავბრუნებულიყავი. აღარ მინდოდა შერმაღნის გვერდში ყოფნა.

შერმაღნისი არ მომეშვა. მომიახლოვდა და ხელი მომხვია:

— მითხარი, რა დაგემართა. მე ხომ არ გაწყენინე რამე?

— არა, რა უნდა გეწყენინებინა... არაფერი... ხვალ სადამოს მატარებელს გავყვები.

— ხომ ვითხარი, როგორც ვინდოდეს.

დავწევით. არ დაგვიძინია. ვფიქრობ-
დით. ვგრძნობდი, რომ შერმადინსაც არ
ვიძინა. შვინარე კაცი სულ სხვანაირად
სუნთქავს. ეტყობა, ისიც გრძნობდა
ჩემს ძილფხიზლობას. თითქოს ერთმა-
ნეთს ვღარაჯობდით. ის, ალბათ, იგონე-
ბდა ირმასთან შეხვედრას. მე მივინც
იმას ვფიქრობდი რამ ჩამოვიყვანა, რო-
გორ ვაბედა. ბუბიაიმის ნიადავ დაჰკან-
კალეზდა, ცივ ნიავეს არ აყარებდა და
უცებ მარტოდმარტო გაუსხლტა სად-
ღაც, უდაბნოსაკენ. ნუთუ ასე ძალიან
უყვართ ერთმანეთი?

ავწრიალდი. რამდენჯერმე ვიცვალე
გვერდი. ფიცრის საწოლი, რაზედაც
თხელი ლეიბი მეგო, ძალზე მაგარი მე-
ჩვენა.

მთვარე ანათებდა ჩვენს ერთადერთ,
ვიწრო სარკმელს. ფანჯარას ვერ ვაღებ-
დით კოლოებისა და ფალანგების ში-
შით. ხვალღან შერმადინი მარტო იქ-
ნებოდა. ამის გაფიქრებაზე შემეცოდა
იგი. მაგრამ რა სჭირდა შესაცოდო, რო-
ცა ქვეყნად ირმა ეგულებოდა! გავა
წლები, შეუღლდებთან და ბედნიერად
იცხოვრებენ. მე კი გზიდან უნდა ვადა-
ვუხვიო, სხვა გზას დავადგე.

რა გრძელი იყო ის ღამე!
მაგრამ როცა მეორე საღამო დადგა,
ის გრძელი ღამე კიდევ დამავიწყდა.

სადგურზე შერმადინმა გამაცილა. მა-
ტარებელი ჩამოვდგა. ერთმანეთს გამო-
ვემშვიდობეთ. შერმადინმა სიყვარუ-
ლით მომხვია ხელი, ვადამოკცა, თავი-
სიანებსა და ჩემიანებთან მოკითხვა და-
მაბარა. მე კი ცივად მოვექეცი. მხო-
ლოდ გზაში, როცა უცხო მგზავრებს
შორის მარტო დავრჩი, ვიგრძენი, რომ
შერმადინი მაინც ძალიან ახლო იყო
ჩემს გულთან, როგორც ღვიძლი ძმა.

მატარებელი თბილისისაკენ მიმაქრო-
ლებდა. ორი დღის წინ იმავე მატარებ-
ლით მგზავრობდა ირმა, ნეტავ როგორ

გასძლო ამ ჩახუთულ, პაპიროსის ეკა-
ლით ახრჩოლებულ, ნახევრადბნელ ვა-
გონში? მოაყვებდა მისი საქციელი. მაგ-
რამ თურმე ჯერ სად ვიყავი. მის სიყვარულს უფრო დიდი ძალა ჰქონია.

25.

როცა თბილისში დაბრუნების შემ-
დეგ ირმა შემხვდა, მაშინვე ის მკითხა,
შერმადინიც ხომ არ დაბრუნებულაო.

— ასე ადრე რად წამოსულხარ? შენ
ხომ ამ თვის ბოლომდე უნდა დარჩენი-
ლიყავი?

— შენ საიდან იცი ეს ყველაფერი?
შერმადინმა ვითხრა?

— ვიცოდი.

— უდაბნოში რამ ჩამოვიყვანა, რო-
გორ ვაბედე. არ შეგეშინდა?

— გაიზრდები და ყველაფერს გაი-
გებ! — ჯიქური ხუმრობით მომიგო,
ცხვირზე თითი მომაქირა და გაიქცა.

მე გამიბოდა. შერმადინის გულის-
თვის კი ცხრა მთა ვადაიარა. შერმადინი
დიდი სიყვარულის ღირსი იყო, მაგრამ
არც ჩემ თავს ვთვლიდი უღირსად.

სიყვარულის გარიყრავზე ირმამ პირ-
ველი დიდი ნაღველი მაგემა.

დაფიქრებული შევედი ეზოში. ძია
ვანო ბაზარში არ წასულყო და თავისი
ბოსტნის დაბალ, ფიცრულ ლოპეს შლი-
და, დამინახა თუ არა, მთხოვა, მომეხმა-
რეო.

ლარტყებზე აკინძული დაშლილი
ლობე ეზოში დავაწყვეთ. მერე ძია ვა-
ნომ ბარის პირი თავისი სახლის დაბალ
კიბიდან ეზოს ხრიოკზე ხრიალ-ხრიალ-
ლით გამოატარა. დაგვალულ მიწაზე
ჩაზი გაავლო. მივხვდი, რომ ბოსტ-
ნის გაფართოებას ამიჩებდა. ბარის
პირი ძია სანდროს ოთახის კარწინ
ორ ნაბიჯზე ვატარა, ჩვენი სახლის წი-
ნაც ამ მანძილზე გამოიარა უკუსვლით.

ბარის პირი ფხატაფხუჭით ჩაატარა
მთელ ეზოში კომკრამდე და მერე იქი-
დან გამოხვდა ეზოს ჩამონაჭერ ნაწილს.
კარ-მიდამო მისი იყო და როგორც უხ-

დოდა ისე მოქცეოდა. მისთვის თითო გოჯი მიწა დიდ რამეს ნიშნავდა. კარწინ იმდენი ადგილი დაგვიტოვა, რომ ონკანთან მივსულთხევით და ჭიშკრისკენ გავვევლო.

შე და ძია ვანომ რამდენიმე პატარა ორმო ამოვთხარეთ. გავწვალდით კი. ქვა-ლორღიანი მიწა ძლივს ამოვიღეთ.

— აქ რა ბოსტანი იქნება, ძია ვანო? — განვებ კვითხეთ.

— იქითაც ასე იყო. ნახავ როგორი იქნება, — ძია ვანომ ოფლი მოიწმინდა და დაბალ ბოძს, ორმოში რომ ჩავსვით, მიწა მიაყარა.

ლობე მალე გავმართეთ.

ძია სანდრომ ამის გამო თქვა, კარგი უქნია საბოსტნე რომ გაუდიდებიაო. მამაჩემმა შინაურებში უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა, ეს რა სიხარბე გამოუჩენიაო, გასასვლელს აღარ გვიტოვებს და წიწმბატი ლამის სახლის ზღურბლზე დაგვიტესოსო.

ვისაც როგორ შეეძლო ისე შეებრძოლა ომით გამოწვეული გაჭირვების პირველივე მწვავე სუსხს. ძია ვანომ გაითვალისწინა, რომ ომი მალე არ დამთავრდებოდა, რომ მწვანელიც გაძვირდებოდა. იმ ხელის პატარა ურიკათი, მწვანელი რომ მიჰქონდა ბაზარში, მთელი ერთი კვირა საიდანლაც მიწას ზიდავდა და ეზოდან ჩამოჭრილ, საბოსტნედ დაბარულ ადგილზე ყრიდა. შავი, ნაპატივები მიწა იყო. სულ მუტკა-მუტკა არჩევდა. ნაკელიც მოზიდა და ნაბარში ჩაფარცხა.

ერთ დღეს მამაჩემი მთვრალი და მეტიმეტად აღრენილი დაბრუნდა შინ. იგინებოდა, მაგრამ ვერ გავიგეთ, ვის აგინებდა. იმის თავიც არა ჰქონდა ეთქვა, ასე რამ მოუწამლა გუნება. დავაწვინეთ. მაინც ვერ მოისვენა. წამოდგა, ხალათს გადაწვდა და ჯიბეს დაუწყო ძებნა. რაღაც გაურკვეველს ლულულულებდა. ვეცადე ისევ დამეწვინა ლოგინში, მაგრამ ხელი ღონივრად მკრა. უცებ შეცბა. თითქოს გამოუხიზლდაო, შესწორდა და შემომხედა. ამღვრეული სა-

ხე ისე უცებ დაუწყნარდა და დაუცხრა, გამიკვირდა. მერე ბავშვივით მოერია ცრემლი. თავს ვერ იმორჩილებდა, ძალამ უმტყუნა. წამს იგრძნო სინანული, ისე უხეშად რომ მომეჭკვა; საწოლზე წამოვჯდა, გვერდით მომისვა და ატირდა.

— უკვე მოვიდა! — სლუჯუნით თქვა და ხელი ხალათისაკენ გაიშვირა.

— რა მოვიდა, მამა?

გული მეტყინა მისი ცრემლის გამო. ხალათი მივაწოდე, რომ ჯიბიდან ამოვლო ის რაღაც, რაც „მოვიდა“ და ჩვენ არა ვიცოდით რა. „გარმოსაკაჯიბეებიან“ ხალათს ატარებდა. ჯერ ერთ ჯიბეში მოაფათურა ხელი, მერე მეორეში და სათუთად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო.

ეს იყო ჩვენს უბანში მოსული პირველი შავი ქაღალდი.

„თბილისი, ალმასიანის ქუჩა... დავით ლომიძეს.

თქვენი შვილი, უმცროსი ლეიტენანტი რევაზ დავითის-ძე ლომიძე, გმირული სიკვდილით დაეცა სამშობლოსათვის ბრძოლაში...“

... მთელი დამე არ მიძინია. სულ მაყრიალებდა, ტანში მცხიდა და მამაგვებდა... მთელი დამე ბორგავდა მამაჩემი. ვგრძნობდი, რომ უძილოდ სტეხდა იმ დამეს დედაჩემიც.

26.

სწავლა უდიდამოდ დავიწყეთ. აღარ დავგვხდნენ ჯეული მასწავლებლები. პირველსავე დღეს თვალში დამაკლდა მისაბიშვილი. მოვიკითხე და მითხრეს. უგზოუკვლოდ დიკარგაო. საშინლად დავღონდი. ცრემლმა ლამის დამახრჩო. სიამსწავლებლოსთან გავიარე და კარებთან ძია ილიკო შემომხვდა, მომეხვია და გადაამკოცნა. ჩემი დაღვრემილობა არ ესიამოვნა. როცა მიზეზი გაიგო, თავი სინანულით გააქნია.

— რას ვიხამთ, შვილო, ომია.

— ასე უცებ როგორ მოასწრეს მისი ფრონტზე გაყვანა?

— პოლიტმუშაკები მაშინვე მოწინავეზე წავიდნენ.

ორივენი გაეჩუმდით. თითქოს აღარაფერი გვექონდა სალაპარაკო. მერე მხარზე დამადო ხელი.

— შეათეშიც მე ვიქნები ქართულ ლიტერატურაში.

სკოლას დაბრუნებოდა. ეს კი ძალიან გამეხარდა.

პირველივე დღეს მისაბიშვილის მაგივრად ერთი მეტისმეტად გამხდარი და ანჩხლი ქალი შემოვიდა. გუნება ერთიორად მომეწამლა.

ერთი კვირის შემდეგ, როცა სწავლა კალაპოტში ჩადგა, ახალმა მასწავლებელმა ლუბა კაპანაძემ, გაკვეთილი კარნახით ჩაგვაწერინა, ვინაიდან იმ წელსაც არ გვექონდა ისტორიის სახელმძღვანელო. მისაბიშვილი თუ ჯერ ვრცლად გვიამბობდა და მერე ჩაგვაწერინებდა, ლუბა კაპანაძე პირდაპირ კარნახით კმაყოფილდებოდა. კონსპექტი ძალზე პატარა გამოდიოდა. როცა გაკვეთილი გამომკითხა, თხრობა ისე სწრაფად ჩავათავე, კაპანაძეს მერხებს შორის ერთხელ ჩავლაც არ მოუხსწრია.

— სულ ეს არის? — მკითხა და აღმაეკრად გამომხედა.

— ეს გახლავთ, პატივცემულო მასწავლებლო.

— კარგი და პატიოსანი! — თქვა გაბრტყელებით, თავის მაგიდასთან მივიდა და ჟურნალში ნიშანი ჩაიწერა. წინა მერხზე მსხდომმა ჩემმა ორმა ამხანაგმა ცხვირი ჟურნალში ჩარგო.

— მასწ! — უცებ წამოიძახეს ორივემ.

კაპანაძემ ჟურნალი სწრაფად დახურა და არამკითხე ბიჭებს ვანრისხებულნი მიაჩერდა. ბავშვები აღარ ვიყავით, ულვაშებზემწვანებული ბიჭები და მოღერებული ქალიშვილები ისხდნენ მეთათე კლასში. მასწავლებელი კი ისე გვემტკიცებოდა, თითქოს მესხეთე კლასელები ვყოფილიყავით. აბა, ბავშვებო, რომ იტყოდა, ჩვენ ფხუეუნი წავგვსკლებოდა ხო-

ლმე. ამ დროს ლუბა კაპანაძის ხელი ჭახანს გაიღებდა რომელიმე მერხზე თურმე ჩემთვის სამიანი დაეწერა.

— მასწ... თამაზს სამიანი არასოდეს არ მიუღია ისტორიაში, — გამოომესარჩლა ერთ-ერთი ამხანაგი.

მოველოდით ლუბა კაპანაძის გაანჩხლებას, მაგრამ მან სრულიად მშვიდად მიუგო ჩემს „ადვოკატს“:

— ხუთიანი ეკუთვნის ღმერთს, ოთხიანი — მასწავლებელს, სამიანი და ორიანი მოწაფეებს. გასაგებია?

ამის გაგონებაზე მთელი კლასი ახმაურდა. გოგონები აფხაკუნდნენ. ზოგიერთმა ბიჭმა ხმამაღლა გადიხარხარა. კაპანაძე გაანჩხლდა და გამყვიანი ხმით იკვილა:

— სიწყნარე!

კლასი უარესად ახმაურდა. ანჩხლი ქალი კიდევ უფრო აქოთქოთდა. ჩვენს თვალში ისე პატარა აღამიანი გამოჩნდა, რომ მისი აღარაფერი გვეჩეროდა. მე კიდევ უფრო მეტქინა გული. სულ მისაბიშვილი მედგა თვალწინ. როგორი მოყოლა იცოდა! ყოველი მისი მიხრა-მოხრა გაკვეთილზე გამიზნული იყო და ერთ ზედმეტ ნაბიჯს არ გადადგამდა. მერხებს შორის ლუბა კაპანაძის გაუთავებელი სიარული კი ნერვებს მიშლიდა. ვცდილობდი ყურადღება არ მიმეჭკიცია, წარმოვიდგენდი, ვითომ ისეც მისაბიშვილს ვებარებდი გაკვეთილს, დავიწყებდი დალაგებით, მონდომებით... თავს ძალას ვატანდი, რომ კაპანაძის მალალი ქუსლების კაკუნი არ გამეგონა... მაგრამ ქუსლებს თითქოს თავში მიკაკუნებდა.

სამაგიეროდ ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე სულიერად ვისვენებდი. ძია ილიკოს გაუყვირდა, როცა ისტორიაში მეორე სამიანიც მივიღე. მეორე სამიანი კი ნამდვილად ჩემი ბრალი იყო. უკვე გულაცრუებული ვიყავი. ჰია ილიკოს გულწრფელად გამოგუტყდი, რაც დამემართა. ისტორიაც შემძულდა და მისი მასწავლებელიც. ეს მაშინ, როცა საშუალო სკოლას ვამთავრებდი. მაგრამ რალა მნიშვნელობა ჰქონდა ფრია-

დზე დამთავრებას. სიმწიფის ატესტაცი-
ანი ბიჭები ჯარში წასასვლელად ვვარ-
გოდით. ომს კი ბოლო არ უჩანდა. ეს
ის დრო იყო, როცა მტერმა სმოლენს-
კიდან გეზი მოსკოვზე აიღო.

27.

ომის სუსხმა კიდევ უფრო დაუბერა
და საბურთალოს ბაზარზე ბევრი ქვრივ-
ობოლი გამოვიდა ნივთების გასაყიდად,
რომ ლუკმაპური ეშოვათ. მალე ბაზარი
ისე გაიზარდა, თავის საზღვრებს გასცდა
და იქვე, ახლომახლო, თითქმის ყველა
შუკა მოიცვა. ჩემს ქუჩასაც გადმოაბი-
ჯა. ვინ იცის, რამდენ მყიდველსა და
გამყიდველს შემოუღია ძია ვანოს ეზოს
ჭიშკარი. ყიდულობდნენ და ყიდიდნენ
ყველაფერს, რისი გატანაც კი შესაძლე-
ბელი იყო ბაზარზე. დაწყებული ავე-
ჯით, გათავებული ნემსითა და ქინძის-
თავით. იყიდებოდა ძველი და ახალი,
ლამაზად ნაკეთები და შეჭანული, სა-
ხელდახელოდ შეითხინილი და გულდა-
გულ გამოყვანილი... ქსოვილები, ჭურ-
ჭელი, სურათები, ფარდები, ფესხაკმე-
ლები, ქოლგები... უამრავი რამ დაეწ-
ყოთ ტროტუარებზე, ჩამოეკიდათ კედ-
ლებზე, ღობეებზე, გადაეფინათ მკლა-
ვებზე და იდგნენ მუშტრის მოლოდინ-
ში. გადამყიდველები ხელს ითბობდნენ.
იყო სიძვირე და მოტყუება.

ბიბლიოთეკაში აღარ შეისვლებოდა.
იქვე, მის კარებშიც ისხდნენ ქალები.
ხელზე გადაფენილი ლიფებით, ტრუსე-
ბითა და ფარდებით... ამას ყველაფერს
ემატებოდა ნავთის რიგი, რომელიც ბა-
ზარის მთავარ შესასვლელ შუკაში დგე-
ბოდა. ახლა იმდენი ხალხი ირგოდა,
ძველებურად ქვას, ბიღონსა და ვედ-
როს ვერავინ ტოვებდა რიგის დასაყა-
ვებლად. მართალია, ნავთი ბარათებით
იყიდებოდა, მაგრამ ისე იშვიათად მოჰ-
ქონდათ, რომ აქაც მისწრებაზე იყო სა-
ქმე. რიგს ვიკავებდით ყოველ დღე. სა-
ნამ თბილი საღამოები იყო, ნაშუალა-
მევს გავდიოდით ნავთის დუქანთან.

ერთხელ, მახსოვს, ღამის სამ საათზე წა-
მოდგა დედაჩემი, შევეცოდე, რომ მე
გავეგზავნე, მაგრამ დავიანხე თუ არა,
ბიღონს რომ წამოავლო ხელი, მაშინვე
წამოვხტი. მეგონა, პირველი ვიქნებოდი
ნავთის რიგში, მაგრამ როცა ნავთის
წერტს მივუახლოვდი და ღობის ვასწ-
ვრივ აბუზული ლანდები გავარჩიე, გა-
მივიკირადა, ეს ამდენი ხალხი რა დროს
გამოსულიყო. ღობეს მიყრდნობოდნენ
და ასე აბუზულებს, ზეზეურად ეძინათ.
რიგი დავიკავე. მალე დედაჩემი ფეხდა-
ფეხ მომყვა. უკან გავაბრუნე. ჩემ წინ
უმეტესად ხანში შესული ადამიანები
იდგნენ. ერთი-ორი კაცი ჩურჩულით სა-
უბრობდა, თითქოს ფრთხილობდნენ.
ღობეზე მიძინებულთა მყუდროება არ
დაერღვიათ. ჩემ წინ კაცი იდგა. ჩემ-
სავით ისიც ფეხლობდა ერთხანს, მაგ-
რამ მალე კედელს საფუძვლიანად მიეყ-
რდნო და მანაც ზეზეურად მისცა ძილს
თავი. ეძინათ ნავთის რიგში მდგომთ.
ზოგჯერ ვიღაც ამოიხრებდა, ანდა შე-
იშვებოდა უხეირო „საწოლის“ გა-
მო. ზოგი გვერდს იბრუნებდა და ახლა
მეორე მხარით ეყრდნობოდა კედელს.
მე ყველაზე ყოჩაღად ვიფხვი. ერთხანს
ადვილად დავძლიე უძილობა. დრო ისე
ზანტად მიდიოდა, ისე გულისგამაწვრი-
ლებლად, რომ ღამის მივატოვე რიგი და
შინ გადავედი. რიგი რომ მიმეტოვებინა,
მერე არავინ დამიჯერებდა, იქ რომ ვი-
დექი, ისეთი თაკერძა ვახდა ხალხი.
დავიწყე ცის თვალიერება. ფიქრში წა-
ვედი. ვფიქრობდი თას რამეზე, მაგრამ
ვატყობდი, რაც დრო გადიოდა, უფრო
და უფრო ვითენებოდი და ძილის ბა-
ნგი მედებოდა. როცა მეც მივეყრდნე
ჭიშკრის ცივ ფიცრებს და ტანში საოც-
რად შემეაქროლა, განთიადი ახლოვ-
დებოდა.

ღლით დედაჩემმა შემეცალა. მერე
მე სკოლაში წავედი გამოუძინებელი.
ფიზიკის გაკვეთილზე ჩამთვლიმა და
ძილს ვერა და ვერ წავეართვი თავი. არა-
ვისთვის მითქვამს, რომ მთელი ღამე ნა-
ვთის რიგში გავტეხე. როცა სკოლიდან

დავბრუნდი, დავინახე, ხალხი ისევ იდგა სარდაფთან. სარდაფის კარი კი დაკეტილი იყო.

ორი ბოთლი ნავთი ამხანაგის დედამ გვასესხა და მერე როდისროდის ჩავსესხეთ, როცა ვიპარჩვე და სარდაფიდან ჩვენი პატარა ბიღონით ძლივს ამოვიტანე ნავთი. ის დღე ბედნიერად მეჩვენა. მთელი ღამის უძილომ გემრიელად და მშვიდად გამოვიძინე და სიზმარში სულ ის ბებერი მენავთე დამტრიალებდა, უზარმაზარ ბიღონებს ნავთით მივსებდა, ნავთში მახანავებდა. სიხარული-საგან აღარ ვიციოდი რა მექნა. ახლაც კარგად მახსოვს ის სიზმარი.

მთლად არა გვწირავდა განგება და ცხადლივ თუ არ გვახარებდა, ზოგჯერ ტკბილსა და საოცნებო სიზმარს გამოვვირევედა ჩვენდა დასამშვიდებლად.

თბილისი ლტოლვილებით აივსო.

ჩაქრა ჩემი ქუჩის ნათურები.

ტიბტიბამ პირველი ხის ქოში შეჭლანა. შეშა ვერ ვიშოვეთ.

მოდოდა მეტად სუსხიანი და ვანსაცდლით სავსე ზამთარი.

28.

ფანჯრიდან მოვკარი თვალი, რაყდენ ფერაქემ ჩვენი სახლის წინ გაიარა და ძია ვანოსთან ავიდა. ამ კაცის სიძულვილი ვერაფრით ვერ ამოვირეცხე გულიდან. არ გასულა ორიოდ წუთი, დეიდა სალომემ მომიკაყუნა კარზე.

— დედაშენი შინ არის?

— ნათესავთან წავიდა, დეიდა სალომე.

— მაშ შენ წამო, ფერაქე გეძახით.

— ახლავე მოვალ.

გაჭირვებამ ძალიან დაგვრია ხელი და დედაჩემმა სამუშაოს ძებნა დაიწყო. ნათესავი, რომელთანაც ახლა იყო წასული, შეპირდა სადმე მოგაწყობო.

დედაჩემის მაგივრად მე გამოვეცხადე ფერაქეს.

შუა ოთახში მაგიდასთან იჯდა. ქუდი მოეხადა და მუხლზე დაედო. მარჯვენა ხელის თითებს მაგიდაზე ათამაშებდა.

მივესალმე. მომესალმა. ისე შემომხედა, თითქოს პირველად მხედვეს. მერე ძია ვანოს მიუბრუნდა და რატომღაც ჩაფურტუნა:

— იზრდებიან, პა?

— გაიზრდებიან, მა რა იქნება! — უგულოდ მიუგო ძია ვანომ.

— დაბრძანდით, ამხანაგებო! — მოგვმართა რაყდენ ფერაქემ. ქუდი მუხლიდან იატაკზე დაუვარდა, აიღო და გაფერთხა.

— მომეცით, ჩამოვკიდებ, — ქუდს ხელი წაატანა დეიდა სალომემ.

— არაა საჭირო. იყოს. დაბრძანდით. სანდრო არ არის, ხომ?

— ქარხანაშია. შუალამისას ბრუნდება ხოლმე.

— რასაც თქვენ გეტყვით, სიტყვასიტყვით ვადასცემო. უბნის რწმუნებულებს ნაბრძანები გვაქვს, დავიაროთ ყველა ეზო და სახლი და მოვაწყოთ კრებები. ამხანაგებო, დღის წესრიგში გვაქვს ორი საკითხი, პირველი, შუქშენილბვის მკაცრად დაცვისა და მეორე, შუშებზე მარლის ნაჭრების გაკერის შესახებ. ვაგვფრთხილეს, მშრომელთა წინადადებებსაც მოაქციეთ ჯეროვანი ყურადღებაო. იქნებ რაიმე წინადადება თქვენც გქონდეთ, მოიფიქრეთ და მაცნობეთ.

— მაგალითად, რის შესახებ, ბიძია რაყდენ? — ვკითხე თავშეკავებით.

— რაც სამოქალაქო თავდაცვის შეეხება, — მომიგო და თავმოწონედ გაიჯიმა. მოიფიქრეთ, მაცნობეთ, ვადავსინჯავთ და... რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას... მტერი ვერაგი და ცბიერია, ეს თქვენ კარგად მოგეხსენებათ. ისიც მოგეხსენებათ, რომ მას ძლიერი ავიაცია ჰყავს... ჩვენს ავიაციასთან ვერ მოვა, რასაკვირველია, მაგრამ ჰყავს მაინც... აგერ რომ გადმოგვიქროლოს ღამით და სადმე სინათლე შენიშნოს, ბაც, მოგვცხებს ბომბს და უყარე კაკალი... ამიტომ მკაცრად უნდა დავიცვათ შუქშენილბვის წესები. ასანთიც კი არ უნდა გავკრათ ეზოში...

— ვითომ გამოჩნდება ასანთის შუქი თვითმფრინავიდან? — სეროიზული კილოთი ვკითხე ფერაძეს.

— ეშმაკს დიდი თვალეები აქვს, — მაშინვე მიპასუხა და შევატყუე, რომ მოეწონა თავისი პასუხი, — გთხოვთ, შეკითხვები მერე მომკეთ.

— კარგი და პატიოსანი, — ვუთხარი და პირზე ხელი ავიფარე.

რაქდენმა უსიტყვოდ შემომხედა. არ ვიცი, მიმიხვდა თუ არა, რომ ვემასხრებოდი. ო, როგორ მინდოდა მისი აგდება!

რაქდენ ფერაძე ერთხანს კიდევ ლაპარაკობდა შუქშენილბვის მნიშვნელობაზე. ძია ვანო და დეიდა სალომე ისე ჩუმად ისხდნენ, ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს მათ არ შეეხებოდა შუქშენილბვის წესების დაცვა. აშკარად ეტყობოდათ, რომ ფიქრით სულ სხვაგან ტრიალებდნენ, სულ არ აინტერესებდათ ფერაძის ქაქანი.

— ასე და ამრიგად, ამხანაგებო, მკაცრად უნდა დავიცვათ შუქშენილბვის წესები. მეორე საკითხი ეხება შუშებზე მარლის ნაჭრების აკრას, შუშა მსხვრევადი სავანია, მოგესხენებათ, ეს ჩემზე უკეთესად იცით. ეზოში რომ ბომბი დაეცემა...

— უიმე! — უცებ შესძახა დეიდა სალომემ.

— რა იყო, ქალო, მართლა კი არ ეცემა.

— მაშ რად გვაშინებ?

— გაშინებთ? მე გაშინებთ თქვენ? ქალბატონო სალომე, გთხოვთ ასეთი რამ მეორედ არ წამოგდეთ. ვინმე მოკრავს ყურს და მართლა ეგონება, რომ მე თქვენ გაშინებთ. სრულიადაც არა. მტერი ვერაგია-მეთქი, ვითხარით. ვთქვათ, დავუშვათ... ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ თქვენს ეზოში კი არა, მოშორებით ჩამოაგდო ბომბი. არ შეშინდეთ, გთხოვთ! მიწა დაზანზარდება, ან ბომბის ტალღა ჩამსხვრევს მიწებს და შეიძლება ოთახში მყოფნი ნამსხვრევებით დაშავდნენ. ეს რომ თა-

ვიდან ავიცილოთ, საჭიროა შუშებზე გავაკრათ მარლის ნაჭრები, ~~აქვე ასეც...~~ — ფერაძე წამოდგა, მივიდა და ~~ფანჯარასთან~~ და ერთ შუშაზე თითოთი გვაჩვენა, როგორ უნდა გავვეკრა მარლის ნაჭრები. მერე სამივეს მოგვიბრუნდა და გვითხრა, — ხვალ-ზუგ გამოვივლი და შევამოწმებ. ნახვამდის და კარგად ბრძანდებოდეთ.

— შეკითხვები, ძია რაქდენ? — შევანერე მე.

— რა შეკითხვები გინდა? რა არის გაუგებარი?

— მაქვს ერთი შეკითხვა. — ჩიუტად გაუუმეორე.

— შენ ის გააკეთე, რაც გითხრეს.

— მე კი გავაკეთებ, მაგრამ ვერ გავიგე, ასე რომ გავაკრავთ ერთ პირ მარლას, მერე ასე, მერე ისე... შუშის მეორე მხრიდანაც საჭიროა თუ არა? თუ არ მეტყვი, მაშინ მე რაიკომში ვიკითხავ...

— რაიკომში? რა გინდა რაიკომში?!

— შეტბუნდა რაქდენ ფერაძე. შეშინდა, მართლა არ წავიდეს რაიკომში და ამით მე არ დამამციროსო, შეჩერდა, მომიბრუნდა და მხარზე დამადო ხელი, — ჯერ ცალ მხარეს გააკარით. გაგიგებთ და თუ საჭიროა, გეტყვით. რაიკომში კი არ წახვიდე. ახლა ასეთ საქმეზე როგორ შეაწუხებ, იმათ საქვეყნო საქმე აქვთ... ნახვამდის და კარგად ბრძანდებოდეთ. აბა, ჰე, შეუღდექით საქმეს!

წავიდა და დეიდა სალომემ ქოქოლა მიაყარა. აი, მოცლილი კაციო, თქვა ძია ვანომ.

შინ მივედი და ჩვენი სახლის ერთ-ერთი ფანჯრის ბაწაწა შუშები შევბთვალეირე.

— წებო, ძია რაქდენ? რომელი წებოთი მივაწებოთ მარლები? — თითქმის ხმამაღლა ვთქვი მარტოდმარტომ.

განგებ არ გავაკარი მარლის ნაჭრები. რაქდენ ფერაძემ მართლა შეგვაგამოწმა.

— ეს რა არის? — მკითხა და ჩვენი ფანჯარა შეათვალიერა.

— ფანჯარა, ძია რაქდენ.

— ვხედავ, რატომ მარლის ნაპრები არ გააკართ?

— წებო ვერ ვიშოვეთ... მინდოდა მეკითხა, როგორი წებო გამოდგებოდა... გამახსენდა, რომ თქვენ მობრძანდებით და...

ამიხსნა, როგორი წებო უნდა მებმარა.

— ხვალისათვის აუცილებლად გააკარი.

— აუცილებლად, ძია რაქდენ.

ისეთი პედანტი რამ იყო, მეორე დღესაც მომაკითხა. მარლის ნაპრები კიდევ არ გვქონდა გაკრული. ხმას აუწია. შუშამ არ მიიღო ის წებო-მეთქი. მომეცი აქო, მიყვირა. წებოს ყიდვაზე სულ არ მიზრუნია და აბა, რას მივცემდი. ბოთლი გამიტყდა და გადავაგდემეთქი, ვიკრუე. მიხაროდა, ის რომ ცხარობდა. მიხაროდა და ვერთობოდი. მას კი დაეალება შეუსრულებელი რჩებოდა ჩვენი ერთიციცქნა ფანჯრის გამო.

მამაჩემს მიუვარდა ფოსტაში. იქ ვერ ნახა და როცა ქუჩაში შეხვდა, აიკლო, ყელსა მჭრით და მაქცევთო.

— გააკარი ეგ ოხრად დასარჩენი! — მითხრა მამაჩემმა.

მარლის ნაპრებით მივქარგ-მოვქარგე შუშები. ფერაძე ახლა იმაზე ამიხიზდა, ინსტრუქციას არ იცავო. წიგნში ნაბეჭდი ნიმუში მაჩვენა და ნახაზს ხელისგული რამდენჯერმე დაუტყაპუნა, ასე უნდა გაკეთებულიყო და არა ისე, როგორც შენ მოგიგონებიაო.

როგორც იქნა დავეცხსნა. გვეგობა ომის დამთავრებამდე აღარ მოგვაკითხავდა, მაგრამ არ გასულა ერთი კვირა, ეზოში საქმიანად შემოვარდა და კრებაო, დაიძახა. კვლავ სამნი შევრჩით.

— ხომ ხედავთ, როგორ გვიანლოვდებიან, — დაიწყო ცოტა ხნის შემდეგ, როცა ძია ვანოს ოთახში მოვიყარეთ თავი.

დეიდა სალომემ ამოიოხრა. მე და ძია ვანო ჩუმად ვიყავით.

— ოხრავ, ხომ, ქალბატონო სალომე? — მთავარ სათქმელს გადაუხვია

რაქდენმა და თვითონაც ღრმად ამოესუნთქა. სათითაოდ შეგვაოვალიერა ყველანი და სკამზე ჩამოჯდა. თითები მაგიდაზე ათათამაშა და ძია ვანოს, თითქოს სხვათაშორის, უთხრა:

— უნდა დაირღვეს თქვენი ეზოს სტრუქტურა.

— რა უნდა დაირღვასო? — ვერ გაუგო ძია ვანომ.

— თავშესაფარი უნდა გაითხაროს, რაც შეიძლება სწრაფად. ბოდიში მომიხდია ქალბატონ სალომესთან, მაგრამ შეიძლება ბომბი... ჰო, დიხა... შეიძლება გვთხოვონ იმ ვერაგებმა.

დეიდა სალომემ ნირი არ შეიცვალა. რაქდენ ფერაძე გაჩუმდა და დაკვირვებით შეხედა.

— ეჰ, რაც მოგვივა მოგვივიდეს! — თქვა დეიდა სალომემ.

— გულმაგრად უნდა იყოთ. მაგრამ თავშესაფარი მაინც საჭიროა... ნაბრძანები გვაქვს.

— სარდაფში ჩავალთ და იქ დავიძალეებით, — ნახა გამოსავალი ძია ვანომ. მას ელდა ეცა თავშესაფრის გათხრა ეზოში რომ დაუპირეს. ეზოში კი საამისო ადგილი არ იყო. სად უნდა გაეთხარათ, თუ არა ბოსტანში.

— აი ინსტრუქცია, ჩავიხედოთ და ისე გავაკეთოთ. ეზოში, სახლოდან მოშორებით... ა, დახედე, რამდენი მეტრია. არც მეტი, არც ნაკლები. ეს კანონია და ამას როგორ ვინდა გადაუხვიო!

— ეგრე რომ იყოს, თავშესაფარი ბოსტანში უნდა გავთხაროთ. ეგ არ გამოვა... რას ბრძანებ, რაქდენ ბატონო. შენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ ჩემს ბოსტანში უწინ ჩემ საფლავს ვათხრით, ვიღრე თავშესაფარს მოვაწყობ! — ფერი წაუვიდა ძია ვანოს.

— მე არ მეკითხება შენი ბოსტანი, — უცებ შეუტია ფერაძემ, — რა ღროს ბოსტანია, ქვეყანა იქცევა. არ გეუბრებათ, რა ხდება? ერთ კონა ოხრახუშად აღარ ღირხართ, დალოცვილო? უყურე ერთი ამას! ჩავიდეთ ახლა ბოსტანში და გადავზომოთ.

— აქედან ფეხს არ მოვიცვლი!

— მერე, მე რას მეტყვიან თუ იცი?!

— რაც გიხდა ვითხარა... ძალა ხომ არ არის.

— ვეძალეობდით პიტლერი რომ დაგვესხა თავს? ახლა, რაც ქვეყანას უხდა, ის უნდა გააკეთო.

— არ გამოვა, რაედენ.

— არ გეკითხებიან გამოვა თუ არა. წამოდი, ბიჭო, — მომიბრუნდა უცებ და ჯიბიდან „რულეტა“ ამოიღო, — გადაგიზომავთ და ათ დღეში თავშესაფარს დამახვედრებთ.

— რაედენ! — თავშეკავებით შეუძახა ძია ვანომ, — ფეხს არ შეგადგმევინებთ ბოსტანში.

ძია ვანომ თავისი გაიტანა და ფერაძე ბოსტანში არ შეუშვა. ცეცხლოდებულებით გავარდა რაედენი ჩვენი ეზოდან. აქანკალბულ ძია ვანო სალომე ამშვიდებდა. წვრილი ხორხოშელა მოდიოდა. საბოსტნე ადგილს, მთელ ეზო ხვრიში მარტივით ეფინებოდა. სუსხი ტრიალებდა, მაგრამ ხალვათად ჩაცმულ ძია ვანოს არც უვტრძენია ზამთრის სუსხი. ბოსტნის კარში იდგა და ილანდებოდა. პიტლერსა და რაედენ ფერაძეს ერთიანად აგინებდა. შინ არ ბრუნდებოდა, რადგან გრძნობდა, რომ უბნის რწმუნებული ისევ დაბრუნდებოდა. ასე ადვილად როდი დაეხსნებოდა. მართლაც, მალე გამოჩნდა იგი მილიციელის თანხლებით. ეს იყო ჩვენი უბნის ინსპექტორი. მოდი და გაუძალიანდი!

— რაშია საქმე, ამხანაგო? — იცოდა საქმე რაშიც იყო, მაგრამ მილიციის ინსპექტორს საქმის გარემოება მაინც ძია ვანოსგან სურდა გაეგო. ეს შეკითხვა იმასაც ნიშნავდა, რას ურჩობ, საქმე ვისთან გაქვს, ნუთუ ვერ ხედები და გონს ვერ მოსულხარო.

— საქმე იმაშია, რომ მე ბოსტანი მიიღე და არა თავშესაფარი. ვითომ რამეს გვიშველის...

— ვილაცას უშველის... ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს! — უთხრა მილიციის ინსპექტორმა.

— ბოსტანი გამოიხრდება.

— შე კაი კაცო, ამდენი მიწა-წყალი

გაგვიხრდა და შენ შენს ბოსტანს ჩივი?

— შენ მაცხოვრებ?

— ერთი სიტყვით, აქ ლაპარაკი ზედმეტია, რაც რაედენ ფერაძემ ვითხარათ, ულაპარაკოდ უნდა გაკეთდეს. მტრის ავიაციის თავდასხმის დროს ყველანი თავშესაფარში უნდა შეხვიდეთ.

— მტრის თავდასხმამდე თქვენა მკლავთ, თავშესაფარი რაღა ჯანდაბად მიიღა!

— ასეთ ლაპარაკს თავი დაანებე.

— უბოსტნოდ ვერ გაძლებ!

— გასძლებ! — ცივად მოუჭრა მილიციის ინსპექტორმა და რაედენ ფერაძეს მიუბრუნდა, — დაუტოვე ერთი ცალი ინსტრუქცია, ზუსტად ნახაზის მიხედვით რომ გააკეთონ.

ფერაძემ „ინსტრუქცია“ მიაწოდა ძია ვანოს. ძია ვანომ ხელი არ მოჰკიდა. დეიდა სალომემ ჩამოართვა და ამაზე თავისი ქმრის რისხვა დაიმსახურა.

ათი დღე მხოლოდ დავა გრძელდებოდა, ვაგვეჭრა თუ არა თავშესაფარი. რაედენ ფერაძე თავისას ეძალეობდა. ძია ვანო მილიციაშიც კი იმეყვანეს, აუხსნეს, დაარიგეს, დაემუქრნენ და ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ძია ვანომ ფარხმალი დაჰყარა, დარდით ავად გახდა და ფერაძემ თავისი ხელით შემოგვიხაზა თავშესაფრის გასაქრელი ადგილი. ვითომ ასე ძალიან შესტიკოდა გული ჩვენს გადასარჩენად! მტერი რომ დაგესხმოდა და თავისი თვალით დაენახა, როგორ დაეცემოდა ბომბი ჩვენს ეზოს, ერთიანად როგორ ამოგვეუქვავდა ყველას, დარწმუნებული ვარ, თვალსაც არ დაახამხამებდა და გულს სიბრალული არ დაუწვავდა. ახლა კი თავგამოდებით იბრძოდა იმისათვის, რომ ყველა ეზოს თავშესაფარი ჰქონოდა.

რამდენჯერაც ჩვენს ეზოში შემოვიდოდა და ჩვენს ფანჯრებს შეხედავდა, იმდენი გული მოსდიოდა, რომ ინსტრუქციით არ მქონდა გაკრული მარლის ნაჭრები შუშებზე.

ბეგრე კომლი ცხოვრობდა ჩვენს უბანში. ალბათ, ყველგან ასეთი ბრძო-

ლის გადატანა უხდებოდა ფერაძეს. არც ერთი ფართოდ გაშლილი ეზო არ მგულებოდა. ყველგან ბოსტანი ან ბაღი ჰქონდათ. რასაკვირველია, ყველას დაენანებოდა მათი განადგურება. თავშესაფარი აუცილებელი იყო. გუნებაში ფერაძის მხარეზე ვიყავით, მაგრამ მოდი და ვაბედე, აშკარად მხარი დაუჭირე შენი სახლის პატრონის „მტერსა და ორგულს“!

რაცდენ ფერაძემ თავშესაფრის ადგილი ზუსტად ინსტრუქციით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით მოზომადა, ვინაიდან იმეამდ ჩვენს გარდა არავინ იყო ბოსტანში, მითხრა, აბა, შეუდექი საქმესო. დავიწყე მიწის ჩიჩქნა.

— მართო მე როგორ ამოვთხრი? — ჩაიბუზღუნე.

— არ ვიცი, როგორც ვინდათ ისე ამოთხარეთ. ამ დღეში მზად იყოს.

— ათი დღის მერე დაგვეცემიან?

— ო, შენც! — ხელი ჩაიჭნია ფერაძემ და ბოსტნის დაბალ ლობეს გადააღაჯა.

შუშაბანდის დახურული ფანჯრიდან დეიდა სალომე მიყურებდა. დავინახე თუ არა, ფანჯარას მაშინვე მოშორდა. შუშაბანდის კარმა ვაიჯახუნა და ძია ვანო გამოჩნდა. იგი სწრაფად ჩამოვიდა ბოსტანში. მომიახლოვდა და ვაგულისებით გამომგლიჯა ხელიდან წერაქვი. თითქოს მე ვყოფილიყავი დამნაშავე მის გაწიბილებაში. ვიფიქრე, ახლა კი გამაგდებს-მეთქი ბოსტნიდან, მაგრამ ჩემდა მოულოდნელად გამეტებით დასცხო წერაქვი მიწას. თხრიდა და ოფლს იწურავდა. წერაქვს რომ დადებდა, ნიჩბით მიწას ყრიდა. საქმეში მე არ მრევდა. მაგრამ, როცა ვაუჭირდა, მითხრა ახლა მე დამეცხო წერაქვი. ღორღიანი მიწა იყო და წერაქვს ლაწალაწი გაჰქონდა. შევისვენეთ, მერე ისევ განვაგრძეთ თხრა. როცა დაბინდდა, სამუშაოდან დაბრუნებული ძია სანდრო გადმობობდა ბოსტანში, რომ თავისი წილი სამუშაო შეესრულებინა. შინ იშვიათად იყო, დღედაღამეს ქარხანაში ატარებდა, მაგრამ თავშესაფარი ხომ მასაც სჭირდებოდა. წერაქვს მოჰქიდა ხელი

და შერჩენილი ძალით დაიწყო მუშარბა. თინაც წამოგვეშველა. მიწის ამოწრა დაიწყო ნიჩბით. ვცდილობდნი თვალში მომერიდებინა, მაგრამ ვერცხე ვერცხე იყო, ძალუმად იტაცებდა მზერას. ყოჩაღად ყრიდა მიწას. შესწორებოდა, ერთს ღრმად ამოისუნთქავდა, დალილის მკერდი საბერველივით ივსებოდა და დღეავდა. ლოყები წითლად უღვივოდა.

ძია სანდრო წერაქვს უხატუნებდა.

მალე დაღამდა. შინ შევიბუდეთ. კუნთებში რაღაც უჩვეულო ძალას ვგრძნობდით. ჯერ იქ, უდაბნოში მშენებლობაზე, ახლა აქ, მიწის თხრისას ვიგრძენი, ორგანიზმის რაოდენ დიდი გამოფხიზლება შესძლებია ფიზიკურ შრომას. დალილიც ვიყავი და ამავე დროს ხალისიანიც.

ასე რიგრიგობით ვთხრიდით თავშესაფარს.

ნახალწლევს მამაჩემი ჯარში გაიწვიეს. ნესტანის ჭმარიც ფრონტზე წავიდა და თინა დასთან გადაბარგდა, რომ საოჯახო საქმეებში მიხმარებოდა. ბოლო დროს ძია სანდრო დამითაც აღარ მოდიოდა შინ.

ოთხი კაცის თავშესაფარს ისევ მე და ძია ვანო ვთხრიდით და, აგერ, უკვე მეოცე დღე გადიოდა, მხრები ძლივს დავმალეთ. დედაჩემმა დახედა ჩვენს ნამუშევარს და ელდანაცემმა უკან დაიხია:

— ღმერთო ჩემო, სამარეა და სამარე!

მეტი აღარც ვაჰყარებია. ქვეყანა რომ დაიქცეს, მანდ რა ჩამიყვანსო.

რაცდენ ფერაძე ბუზღუნებდა, ასე რომ ვაგვიჭიანურდა თავშესაფრის მოწყობა.

— ხომ ხედავთ, არა ჩანან. — ვუთხარი ერთხელ და სათოვლე ღრუბლით დაფარული ცისაკენ ავიხედე.

— გამოჩნდებიან თუ არ გამოჩნდებიან ეს მე არ მეკითხება. კომისია რომ ჩამოივლის, რა ვაჩვენო? — მომიგო გაბრაზებულმა ფერაძემ.

დადგა ის დღე, როცა კოჭებიც ვაგდეთ დასახურავად, უამრავი ძველი ფიცარი ჰქონდა თავის სარდაფში ძია ვა-

ნოს. კარიც თვითონ შეკრა. თავშესაფარში ჩასასვლელი კიბეც გააკეთა. ამოყრილი მიწა სახლის გვერდით მცირე დაფერდებულ ადგილზე გადაყარეთ, ცოტა კი თავშესაფარის სახურავზე დავეტკებნეთ. მაგრამ ძია ვანომ მალე რალაც მოიფიქრა, ხელურმით ფხვიერი მიწა მოიტანა და თავშესაფარის ბანზე დაყარა, წიწმამტს მაინც მოვიყვანო, თქვა. თავშესაფარის ბანი ერთი კარგა მოზრდილი კვალი გამოვიდა.

როცა რაჟდენ ფერაძემ შეიტყო ვანო ლაცაბიძის განზრახვა, ეს ამბავი მოიწონა და დანაზრჩენ მოზინადრეებს ეუბნებოდა თურმე:

— აი, მესმის! მწვანილი თავშესაფარს შენიღბავს. მფრინავს ბოსტანი ეგონება და ბომბიც ასცდება... გააკეთეთ თქვენც ასე.

განა სხვა მოზინადრეებიც ასე დაპიქანკალდნენ მიწასა და ბოსტანს, როგორც ძია ვანო. ზოგს სასაცილოდ არ ეყო, წიწმამტი და ოხრახუში სახურავზე როგორ უნდა დაეთესოთ.

... მაგრამ გაზაფხული შორს იყო და ფერაძეს ჩვენს თავშესაფარზე დათესილი მწვანილი ჯერ არ ენახა.

რომელიღაც ეზოში ეხუმრათ, ჭარხლისა და ბოლოკის დათესვა სჯობია, ძირები შიგ თავშესაფარში ექნებათო.

ასე იყო თუ ისე, ძია ვანომ თავშესაფარის ბანზე ჩინებული წიწმამტი მოიყვანა, მაგრამ ეს იყო მაისში, სწორედ მაშინ მოეგლინა თბილისს მტრის პირველი თვითმფრინავი, მაგრამ არც საპაერო განგაში გამოცხადებულა და არც არავინ გაქცეულა თავშესაფარისაკენ.

დღედაღამ დუგლუგებდნენ დაზგები აბრეშუმის ფაბრიკაში. სამ ცვლად მუშაობდნენ. უწინ თუ ფაბრიკა დილის რვაზე იწყებდა ხმაურს, ახლა ხმაური აღარ წყდებოდა და მუშები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. როცა თინას პირველ ცვლაში უწევდა ყოფნა, დილის მქვს საათზე შინიდან გადიოდა.

პირველ ხანებში ქალებს მესამე ცვლაში არ ამუშავებდნენ, მაგრამ, როცა ფაბრიკას მამაკაცთაგან თითქმის აღარავინ შერჩა, ისინი ქალებმა შეცვა-

ლეს. მქსოველ გოგონათაგან ბევრი მონალისედ წავიდა ფრონტზე. ფაბრიკას მუშახელი დააკლდა. ახლა თინას მესამე ცვლაშიც უნდებოდა მუშაობა. ვინ იცის, იგი რამდენჯერ მიმიცილებია ფაბრიკის ჭიშკრამდე. ხანდახან ისეთი ბნელი დამე იყო, თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავდა კაცი. ქალაქში მკაცრი შუქშენიღბვა იყო. თინას ეშინოდა ქუჩაში მარტო სიარული. ერთადერთი ვაჟაკი ეზოში მელა ვიყავი და მუშა გოგონას მივაცილე-მოვაცილებდი ხოლმე. რამდენჯერ გავუჩერებოვართ სამხედრო პატრულებს. ჯიბის ნათურებს ჯერ ჩვენს საბუთებს დაანათებდნენ, მერე სახეში შემოგვაშუქებდნენ, მერე გაგვიშვებდნენ, მაგრამ ექვსის თვალს მაინც ვაგვაყოლებდნენ.

ნესტანს იშვიათადლა ვხვდავდი, მაგრამ თინას მეშვეობით ვიგებდი მის ამბავს. მასაც მძიმე ტვირთად აწვა ფაბრიკაში მუშახელის ნაკლებობა. ახლა იგი ხუთის ნაცვლად შვიდ დაზგაზე მუშაობდა. მას უფრო დაეტყო ჯაფა, ვიდრე თინას, ვახდა, გაფერმკრთალდა, მაგრამ სახელს მაინც არ ირცხვენდა.

თინას გვერდით მომუშავე რამდენიმე ქალიშვილი ჯარში წავიდა. თინამ ერთხელ კიდევ სცადა დადუმებულ დაზგებს დაპატრონებოდა, ნესტანი წამოეშველა და საქმე ჩინებულად ააწყო. ვახარებულ იყო, საწაღელი რომ აისრულა.

თინას ფაბრიკის ჭიშკართან ვხვდებოდი ხოლმე. ასე ხშირი მისვლით დარაჯები გავიცანი. იცოდნენ ვისაც ველოდი, თავიანთ ჯიხურში მიმიწვევდნენ და დამსვამდნენ. ყველა მუშას აქ უნდა გამოეყო. ჯიხურში თბილოდა.

მეორე ცვლა ამთავრებდა მუშაობას. თერთმეტს რამდენიმე წუთილა აკლდა. თორმეტის მერე ქალაქში საგანგებო საშვის გარეშე არავის არ ატარებდნენ. თინამ ეს კარგად იცოდა და ამიტომ ცდილობდა მუდამ დროზე გამოსულიყო, რომ თორმეტამდე შინ მიგვესწრო მისვლა. იგი წუხდა, ამდენს ვაწვალე ჩემი მიცილებ-მოცილებითო, დედაჩემსაც შესჩივლა. მაგრამ რა ექნა. ძია სან-

დრომ არც აცია, არც აცხელა და ღიმი-
ლით უთხრა:

— გათხოვდი, გოგო. ახლა შენმა ქმა-
რმა მოგხედოს. მაშინ არც არავის აღარ
შეაწუხებ...

— კარგი ბიჭები რაში წავიდნენ და
ახლა გავთხოვდე? დაფუციდი, ჩამოვლენ
და ვინმეს გაეყვები...

ვზივარ ჯიხურში და თინას ველოდე-
ბი. გარეთ ბნელა, თოვს, ცივა. ჯიხურ-
ში საამურად თბილა. მორიგე მოხუცი
კაცია. ზის თავისთვის ჩუმად. ერთხელ
რომ გამომკითხა ვინა ვარ და რა ვარ,
მას აქეთ თითქოს უმძრახად არისო ჩე-
მთან, ხმას აღარა მცემს. მეორე დარა-
ჯიც სათნო და თბილი კაცია, ბევრი ლა-
პარაკი არც იმას უყვარს, მაგრამ ეტყო-
ბა ძალიან ცნობისმოყვარე კაცია და
სხვათა ნაამბობით ერთობა. როცა უბ-
რად ვსხედვართ ლუმელთან, მეტყვის,
თქვი რამო, მე მალაპარაკებს, თვითონ
კი ზის და მისმენს. გაჩუმდები თუ
არა, თქვი რამე, ბიჭო, მაშინვე შეიშ-
მულუნება.

მესამე ცვლის მუშებმა გაიარეს ჯი-
ხურში. დარაჯი მობუზული იჭდა, ცა-
ლი თვალი მოეხუჭა და მეორე თვალს
აყოლებდა მომსკლელთ. ყველას სცნო-
ბდა. ცოტა ხნის მერე მეორე ცვლის
გოგოები დაფეთებულებივით შემოიჭ-
რნენ ჯიხურში და გარეთ ისე გაცვიფ-
დნენ, თითქოს ჭინჭრით დაუსუსხავთო.
დაქანტულებს შინ მიეჩქარებოდათ.
ახლა ქალიშვილების მეორე ჯგუფი შე-
მოიჭრა. დალილობა სახეზე აშკარად
ეტყობოდათ. თინა ყველას ასწრებდა
ზოლმე გამოსვლას იმიტომ, რომ მე ვე-
გულეობდი. ახლა კი იკვირებდა. გავი-
და ათი, თხუთმეტი, ოცა წუთი, ის მა-
ინც არ ჩანდა. დარაჯმა რამდენჯერმე
დარეკა საამქროში, ვერაფერი გააგო-
ნა, ამბის გამოშტანიც არავინ ჩანდა.
თორმეტს ოცი წუთი უკლდა, როცა ნე-
სტანი გამოვიდა.

— თამაზ, თინას უციდი?

— ჰო, თინას. სად არის, რატომ არ
გამოდის?

— ცვლა არ მოუვიდა და მესამეშიც
რჩება... წაიღე შინ, არ დაგაგვიანდეს.

ჯიხურიდან ერთად გამოვედით. იქვე,
ფაბრიკის წინ დავმორდით. ის ფიქრის
გორისკენ წავიდა, მე კი დამარტოვ-
ვეყვი საბურთალოსკენ.

დედაჩემი კართან იდგა და მელოდა.
მერე თანდათან მოუჭირა სიცივემ.
თოვლმაც იმატა. ძნელი იყო საბურ-
თალოდან თინას სიარული და ნესტან-
თან გადაბარგდა. ღები ახლა ერთად
დადიოდნენ ფაბრიკაში.

ო, რა სუსხიანი ზამთარი დადგა!
ჩვენი სკოლის გოგოებმა მეტად კარგი
საქმე ითავეს.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ
ირმა სასკოლო კომპაფშირულს, ორგა-
ნიზაციის კომიტეტის მდივნად ავირჩი-
ეთ. მე კომიტეტის წევრი ვიყავი. მალე
რაიკომში დაგვიბარეს და დაგვაველეს
მეომრებისათვის თბილი ტანსაცმელი
შეგვეგროვებინა: წინდები, ხელთათმა-
ნები, ვისაც რა შეეძლო, ვისაც რა ემე-
ტებოდა. თუ რამ გაგვაჩნდა, ჩვენ თვი-
თონ გვეცვა და გვეხურა. მაგრამ მაინც
შევგროვდა რაღაც-რაღაცეები. კომიტე-
ტის წევრებმა ეს ყველაფერი მოვხვე-
ტეთ, ერთი მოზრდილი ფუთა გამოვკა-
რით და რაიკომში ჩავიტანეთ. როცა რა-
იკომიდან დავბრუნდით, ირმამ მითხრა:

— ამით მოვითავეთ ჩვენი ვალი? ვინ
იცის, ფრონტზე რამდენი ჯარისკაცი
ითოშება, ჩვენ კი ძალიან სქელ ლეიბე-
ბზე გვიჩნავს.

და მაშინვე გამიზიარა თავისი იდეა.
შევგაგროვოთ მატყლი, გოგოები დავარ-
თავთ და მოვქვესოვთ წინდებსა და ხე-
ლთათამანებსო.

ამ საქმეს ბევრი ენთუზიასტი გამოუ-
ჩნდა.

შინ დავბრუნდი თუ არა, მაშინვე ჩე-
მი ლეიბი მოვშინჯე, რომლისთვისაც
არასოდეს ყურადღება არ მიმიქცევია,
სქელი იყო თუ თხელი, შიგ ბამბა იღო
თუ მატყლი. მოვშინჯე და გამეხარდა,
საკმაოდ ბლომად მატყლით რომ იყო
დატენილი. მოვიკლოთ და ბიჭებს მი-
ვეშველოთ!

ლეიბიდან მატყლი გამოვქნე და
მეორე დღეს პარკუჭანაში ჩატენილი
სკოლაში წავიღე. ერთმა თითქმის მთე-

ლი ლეიბი მოიტანა, ზედმეტი გვაქვს, რად გვინდაო. იმ დღესვე იმდენი მატყლი დაგროვდა, საჩენლებისა და თითისტარების მეტი არა უნდოდა რა. მატყლის ჩეჩვას, დაფთილვას, დართვასა და ქსოვას ხომ ცოდნა უნდოდა. გოგონებმა კი ეს არ იცოდნენ. ერთ დღეს ირმამ ბებია თამარი სკოლაში მოიყვანა. თამარი წინდის ქსოვის ჩინებული ოსტატი ყოფილა. სადანაც ძველისძველი ორი საჩენელი მოიტანეს, თითისტარებიც გაჩნდა და ბებია თამარმა კომკავშირის კომიტეტის ერთიციცქნა ოთახში პირველი ვაკეთილი ჩაუტარა გოგონებს. გოგოებმა საჩენლებზე თითები დააჩხვლიტეს, მაგრამ სანამ პირველი ლამაზი ფთილები არ დააწყეს, არ მოეშენენ.

ირმა მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როცა პირველ წინდასა და ხელთათმანს მოქსოვდნენ. დეიდა თამარი ისე კობტად აბზრიალებდა თითისტარს, ისე თანაბრად წამოიღებდა ფთილდან ძაფს, ფთილა ისე შემოდანებოდა ხელში, რომ გოგოები ვაკვირვებით უცქერდნენ. როცა თავად ეცდებოდნენ, ან თითისტარს ვერ ატრიალებდნენ რიგიანად, ანდა ძაფს უხეშად ჩამოპგრებდნენ. მაგრამ ამ საქმეშიც გამოჩნდნენ ნიჭიერი გოგოები. მალე ისეთ ფთილებს აწყობდნენ, ისე აბზრიალებდნენ თითისტარებს, გეგონებოდათ სოფლის გამოცდილი დედაბრები ჩამომსხდარანო.

ირმას „არტელი“ გაფართოვდა, მუშახელი დაოსტატდა. გოგოები ვატაცებით მიეძალნენ საქმეს. მშობელთა შორისაც გამოჩნდნენ ისეთნი, რომელმაც ჩინებული ქსოვა იცოდნენ. ხელი მათაც წამოგვაშველეს.

ირმამ ერთ დღეს კომკავშირის კომიტეტის ოთახში მოგვიყარა თავი და უხეშად, მაგრამ გულდაგულ ნაქსოვი წინდები და ხელთათმანები გვაჩვენა. ოცდახუთი წყვილი წინდა და ამდენივე ხელთათმანი იყო. შევახვიეთ და რაიკომში წავიღეთ.

რაიკომის მდივანმა ჩვენი გოგოების ნახელავი უკან დაგვიბრუნა და გვითხრა:

— მე მოვცემთ რამდენიმე სამხედრო

შენაერთის საველე ფოსტის ნომერს. თქვენ თვითონ გაგზავნეთ ეს თქვენი ნამუშევარი. თან ორიოდ თბილ სიტყვაც მისწერეთ მეომრებს. ესიაშოვნებათ. მე მგონი ასე სჯობია.

— ასე სჯობია, ამხანაგო რაიკომის მდივანო, — მიუგო ირმამ და საველე ფოსტის ნომრები ჩაიწერა.

წინდები და ხელთათმანები უკან წამოვიღეთ. მერე სკოლაში დაესხედით და რამდენი წყვილი წინდა და ხელთათმანიც იყო, იმდენი წერილი დავწერეთ. ვის ეუფხავნიდით? არც გვარები ვიცოდით მეომრებისა, არც სახელები. ამიტომ წერილებს ასე დავაწერეთ: „მესამე ასეულის იმ მეომარს, რომელიც ბოლოდან მეორე დგას,“ ანდა „პირველი ასეულის ასაკით ყველაზე უმცროსს“. ჩვენთვის ხომ სულ ერთი იყო, ვინ მიიღებდა ჩვენს ამანათს. ყველა ჩვენიანი იყო და ყველასთვის ერთნაირად შეგვტყობოდა გული.

გავაგზავნეთ ამანათები. გოგოებს ერთი სული ჰქონდათ მოსვლოდათ პასუხი. და აი, მივიღეთ ხუთიოდე ბარათი. ზუთივე სასიხარულო იყო, მაგრამ ერთმა მეტისმეტად გაგვახარა. ახლაც ზეპირად მახსოვს ერთი ტლუ ქართველი ბიჭის წერილი შეათეკლასელ ნაზიკო ლომინაძისადმი.

„გოგოვ, ხელმადლიანო და ხელბარაქიანო! სანამ ომში წავიდოდი დედა მომიკვდა. ისეთი წინდების ქსოვა იცოდა, ბადალი არა ჰყავდა ქვეყანაზე. ერთილა შემრჩა იმისი მოქსოვილი. ვინახე და ვინახე სამახსოვროდ, მაგრამ გამოჭირდა და ჩავიცივი. შემამცვდა და აღარ ვიცოდი რა მექნა. დედა რომ ცოცხალი მყოლოდა, მიეწერა... თუმცა, ჩემი მიწერა იმას რაში დასჭირდებოდა, ვგრე გამომიგზავნიდა ზიზია წინდებს. „პარტიანკების“ ამარა დავრჩი. ვაზეთებსაც ვიხვევდი ფეხზე, მაგრამ მაინც მციოდა. მატყლის წინდის ფასი არა არის რა დიდ ყინვაში. ერთხელაც, გამომიძახეს და შენი გამოგზავნილი ამანათი კი ვაღმომცეს. ვავხსენი და, დედიჩემის სულს

გეფიცები, გულში ჩავიკარ და ვიტარე. აგრემც შენ გაიხარებ და გათესები ბედნიერებითა და სიხარულით! დამთბა. ო, როგორ დამთბა! იმ დღეს შენი საბელით დავერიე მტერს. ბიჭებს დავუბარე, თუ დავიღუპო, წერილი თქვენ მისწერეთ-მეთქი... მაგრამ აი, მე თვითონ გწერ, წითელქალაქელი (კასპის რაიონიდან) კაკო დავლაშერიძე. შენ გაიხარე!"

ბოლო ორი სიტყვა საგულდაგულოდ დიდი ასობით გამოეყვანა. ამ წერილს რომ კითხულობდა, თვალები თანდათან ცრემლით ევსებოდა ნახიკოს. წერილმა ჩვენც აგვაღელვა.

ბევრის არც ბარათი მოგვევლია და არც რაიმე ცნობა. ვინ იცის, მიღებული წინდა და ხელთათმანი სიამოვნებით ჩაიცვა, მაშინვე იეროშზე წაივინდა და დაიღუპა, მეგობრის გაფრთხილებაც ვერ მოასწრო, რომ მადლობის ბარათი მოეწერა.

მაგრამ ჩვენ მადლობას არავის არ ვთხოვდით. ჩვენ ეს როდი გვინდოდა. ჩვენ მათი კარგად ყოფნა გვინდოდა, თბილად ყოფილიყვნენ ჩვენი უცნობი, მაგრამ ყველასათვის ახლობელი ბიჭები.

ერთი-ორჯერ კიდევ გამოვქმენდე მატყლო ლეიბიდან. ლეიბი გათხელდა. ფრონტზე ასეთიც არ ეგოთ ბიჭებს.

30

თემოს მამა, ირაკლი ზამბახიძე „დაჯავშნეს“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ფრონტზე მას არავინ წაიყვანდა. ეს ამბავი რომ გავიგე, გულზე ციცილი მომეკიდა. რაღაც ძალიან დიდი მიზეზი უნდა ჰქონოდა კაცს, რომ ჭარში არ წასულიყო. ეს კი, საღ-სალამათი, გაეიქვინებული და უწინდელივით გალაღებული დადის, ქუჩაში შემხედურ პატრონებს, ალბათ, ამაყად უჩვენებს თავის „ჯავშანს“.

ჯანდაბას მისი თავი და ტანი დაჯავშნეს. საქმე ის იყო, რომ თემომ, ისედაც გათამამებულმა და თავწრეგადასულმა,

ამის შემდეგ სულ სხვაგვარად გადმოგხედდა. ახლა უფრო გათავებულა. მას არაფერი არ აკლდა. ოჯახშიც არავინ არ აკლდა. მისთვის ომი არ არსებობდა. ჩვენ ულუფა არა გვეყოფნიდა, ის კი მუდამ მაძლარი დაიარებოდა სკოლაში. რაც დრო გადიოდა, უფროდაუფრო მეზიზღებოდა.

გრძნობდა ჩემს სიძულვილს და არ შეკარებოდა. მაგრამ იმასაც ვერ ვიტანდი, ჩვენს კლასში რომ იჯდა.

სკოლაში უწინაც გვქონდა ბუფეტი, სადაც ნაირნაირი ტყბილეული და ფუნთუშეული იყიდებოდა. ბუფეტი ისევ დარჩა და ომის პირველსავე ზამთარში მებუფეტემ შავი, ნახევრადგამოუმცხვარი პური მოიტანა მოწაფეებისათვის. ახლა აქაც განსაზღვრული იყო ულუფა. თითო მოწაფეს ორმოცდაათი გრამი ერგებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, დიდ დასვენებაზე სული ცოტათი მაინც მოგეთქვა.

დიდი მჭამელი არასოდეს არ ვყოფილვარ. შინ ნიადაგ სულ იმას მიჩინებდნენ მეჭამა რამე. ახლა კი ჩიჩინი აღარ მჭირდებოდა, სკოლაში მოცემულ პურს ერთ ლუქმად ვთავებდი და კუჭის უარეს წვეს ვგრძნობდი. ჩემ ყოფაში ბევრნი იყვნენ. უწინ თუ ფუნთუშეულსა და ტყბილეულს ვეტანებოდი, ახლა შავ პურს ვაწყდებოდი. ბავშვები ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, დახლისკენ მიიწვედნენ. იყო ერთი აურზაური. როგორც იქნა კომკავშირელებმა წესრიგი დაეამყარეთ. კლასების მიხედვით გავანაწილეთ პური. ყოველი კლასის მამასახლისს მიჰქონდა თბლად დაჭრილი პური და საკლასო ოთახში არიგებდა მასწავლებლის თანდასწრებით.

ერთ დღეს ბუფეტში მორიგე ვიყავი. მებუფეტეს პურის დაჭრაში ვეხმარებოდი.

დიდი შესვენების ზარი რომ დაირეკა, ბუფეტში მამასახლისები შემოცივიდნენ. სანამ მათ პურს გაეუნაწილებდით, თემოც შემოვიდა, მებუფეტეს ერთი-ჭი-

1636

ქა ჩაი მოსთხოვა. მეზღუფეტე პურს ანა-
წილებდა და მე მითხრა, ჩაი დაუსხიო.
უხერხულ მდგომარეობაში ჩავევარდი.
მაშინვე უარი ვუთხარი, მაგას ჩაის არ
დაეუსხამ-მეთქი. როცა რამდენიმე ბავ-
შვი გავისტუმრეთ, უნებურად მაგიდი-
საკენ გავიხედე. სადაც თემო იჯდა.
„არსენას სუფრა“ გაეშალა. შინიდან
მოტანილ საუზმეს მაღიანად იღმურძ-
ლებოდა. მესამე-მეოთხე კლასელი რამ-
დენიმე ბავშვი პირდაღებული მისჩერე-
ბოდა. იდგნენ დაღონებულნი, თვალბ-
გამტერებულნი და უკვრიდათ საიდან
ჰქონდა თემოს ორი ნაჭერი თეთრი პუ-
რი, ერთზე კარაქი რომ ჰქონდა სქლად
წასმული, ხოლო მეორეზე თხლად დაჭ-
რილი ძხვების ნაჭრები ეწყო. ჭერ კარა-
ქიან პურს „ამუშავებდა“, თან ჩაის
ხერკებდა.

რამდენი ხანია თვალით არ მენახა თე-
თრი პური. კარაქს ვინ გამოგვიჩენდა!
ან ძეხვი სად იყო!

მაშინ უნდა გენახათ ჩემი სახე. აღ-
ბათ ძალიან გაბოროტებული გამომეტყ-
ველება მქონდა. გული საგულეს აღარ
მიჩერდებოდა. იმ ბავშვების საცოდავმა
ქვრეტამ მომშალა და მომადუნა. თვალ-
ზე ნისლი გადამეფარა. უცებ სწრაფი
ფეხისხმა გავიგონე. ბუფეტში ირმა შე-
მოვიდა, მომიახლოვდა და მითხრა:

— გაკვეთილების შემდეგ დარჩები,
კომიტეტის სხდომა ვაქქს. თემო ზამ-
ბახიძეს გადაეცო, აუცილებლად დაგვეს-
წროს, — უცებ თვითონვე დაინახა იგი,
მიანჩერდა. თემოს პირი ლუკმით ჰქონდა
გამოტენილი და ვერაფრის თქმა ვერ
მოახერხა.

ირმას ნერვიულად შეუთრთოლდა
ქვედა ყბა, მერე ხმაშალა გაგვიმეორა,
ორივენი დარჩებითო და ბუფეტიდან
გავიდა.

გაკვეთილების შემდეგ კომკავშირის
კომიტეტის პატარა ოთახში მოვიყარეთ
თავი, ხუთიოდე კაცი ძლივს დავეტიეთ.
ახლა, კომკავშირის კომიტეტის წევრე-
ბის გარდა, კიდევ ორი კაცი ვგესწრე-
ბოდა. სკოლის დირექტორიც მოვიდა.

ირმა ჩემს გვერდით გადმოჯდა და დი-
რექტორი ირმას ადგილზე ძლივს გავა-
ტარეთ. ასეთი სივიწროვე, რომ იჯრძნო,
სკოლის თავკაცმა თავის კაბინეტში გა-
გვიყვანა და იქ ხალგათად მოვეწყეთ.
ირმა არაფერს გვეუბნებოდა, თავი რად
მოგვიყარა, თუმცა მაშინვე მივხვდი,
რომ რაღაც კარგი სუნი არ უდიოდა
თემოსა და მეშვიდე კლასელ ლეო და-
ჩჩიას საქმეს. როგორც კი კომიტეტის
ოთახში ლეო დარჩიას შეხვდა თემო,
მაშინვე მუჯლუგუნი წაპკრა, მე ისიც
შეენიშნე, თვალები რომ გადაუბრიალა
მუჭარით.

და აი, ვსხედვართ დირექტორის კაბი-
ნეტში.

— პატივცემულო მასწავლებელო, —
მიმართა ირმამ დირექტორს, — ერთი
მეტად სამარცხვინო ამბის გამო შევა-
წყუხეთ.

დირექტორი შეიშმუნა, ჩემს შეწყუ-
ხებაზე ნურაფერს იფიქრებთო, მორი-
დებით მოგვემართა.

ირმამ სხდომა გახსნა. კრებაზე წეს-
რიგი უყვარდა და ყველაფერს ისე აყე-
თებდა, როგორც საჭირო იყო. ამის გა-
მო კომკავშირელები ამბობდნენ, ირმა
ნამდვილი პარტიული მუშაკი დადგე-
ბაო.

— დღეს, დიდი შესვენების დროს,
მეშვიდე მეორე კლასში პურის დარიგე-
ბას შევესწარი, — დაიწყო ირმამ, —
კლასში დაგვიანებით შემოვიდა დარჩია.
როცა თავისი ულუფა მისცეს, დავინა-
ხე, რომ ჭიბიდან ქალაღში შეხვეული
რაღაც ამოიღო. პურის ისეთივე ნაჭერი
იყო, როგორსაც აქ ყოველი ჩვენთაგანი
იღებს. საიდან გაქვს ეს მეორე ნაჭერი-
მეთქი, ეკითხე. თავი ჩაღუნა და ვერა-
ფერი მიპასუხა, აქ რაღაც ამბავია-მეთ-
ქი, გავიფიქრე. რაღა ბევრი შეგაწყვი-
ნოთ თავი, გამოირკვა, რომ თემო ზამ-
ბახიძეს მთელი თვის თავისი წილი
ულუფა დარჩიასთვის მიუყვდიდა.

— ტყუილია! — წამოვარდა თემო.
არ შემიხედავს მისთვის. გულში კი
მეამა, რომ ავ საქმეზე წაასწრეს.

— ტყუილია? — კითხა ირმამ დარჩი-
ას.

დარჩია ასლუკუნდა.

— რა გატირებს ამხელა ბიჭს? — მი-
მართა დირექტორმა, — თქვი ის, რაც
იყო.

— მომყიდა, ჰო... — მაშინვე გამო-
ტყდა დარჩია.

— ტყუილია! — გაწიწმატდა თემო.

— რა გაყვირებს! რაც უფრო ხმა-
მალა იყვირებ, ტყუილიაო, უფრო და-
გიყვირებთ თუ რა? — წამოდგა დირექ-
ტორი, — ხომ ხედავ, რომ აქ არაფერ არ
ყვირის. დარჩია ამბობს მომყიდაო, პუ-
რიც აღმოაჩნდა. თუ მოქარბებული
გაქვს, დალოცვილო, დაუთმე შენს ამ-
ხანავს, მეგობარს... განა რამდენი მოგ-
ცა, რომ ფულს დახარბდი?

— არ გამიყიდნია, პატ... მასწ... მე
ფული...

— ჰო, ვიცით, რომ შენ ფული არ
გაკლია. ან რას აიღებდი იმდენს. მაინც,
რამდენად მოგყიდა, ბიჭო, პური?

— ბაზრის ფასობაზე... თვეში კილო-
ნახევარი...

— ფული საიდანა იშოვნე?

— დედამ მომიცა.

— სად მუშაობს დედაშენი?

— ქარხანაში.

— განა რა აქვს ხელფასი, რომ ამ-
დენი მოგცა? მაინც, რისთვის მინდაო,
რა უთხარი? უთხარი სიმართლე, რომ
პური უნდა გეყიდა? ამაზე დედაშენი
უარს არ გეტყოდა, მაგრამ მაინც ხომ
შეგეკითხებოდა, ვისგან ყიდულობდი.
არა გკითხა?

— ბურს რომ ვყიდულობდი, ეს არ
მითქვამს, — ამოისლუკუნა დარჩიამ.

— მაშ რა უთხარი?

— სხვა რაღაც... აღარ მახსოვს.

თემოს გადავხედე. იმანაც შემხედა.

დუმილს, რომელიც წამით ჩამოვარ-
და, ლეოს ქვითინი არღვევდა. დირექ-
ტორმა ბოლთა დასცა და ახლა იატაკი
აჭრიალდა. ძველი პარკეტი იყო და არა-
სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

დირექტორმა რამდენჯერმე გაიარ-გა-

მოიარა. არ ვიცი, მის შეჩერებას თუ
ველოდით, რომ რომელიმე ჩვენთაგანს
ხმა ამოეღო. მე არაფრის თქმას არ ვა-
პირებდი, თუკი სასჯელზე მიდგებოდა
საქმე, უყოყმანოდ ავწევდი ხელს ყვე-
ლაზე დიდ სასჯელზე, რომელსაც თე-
მოს დაადებდნენ. რა უნდათ ასეთ ბურ-
ულებს კომკავშირში?!

დირექტორი მის წინ შეჩერდა და
თვალეზში შეხედა.

— სირცხვილია! — მხოლოდ ეს ერ-
თი სიტყვა უთხრა მკაცრად, ზიზღით,
შთამავონებლად. მერე თავის მაგიდისა-
კენ წავიდა და ირმას უთხრა, განეგრძო
სტდომა.

თემოს სასტიკი საყვედური გამოვუ-
ცხადეთ უკანასკნელი გაფრთხილებით.
ირმამ დამატებით იმაზედაც გააფრ-
თხილა, თეთრი პური სკოლაში ხუ მო-
გაქვს და ბავშვებს ნუ აღიზიანებო.

თემო თავლაფდასხმული გავისტუმ-
რეთ. დარჩიას საქმე კი პიონერთა ორ-
განიზაციას გადასცეს.

იმ დღეს ლეო დარჩიას გზაში თემო
ზამბახიძე დახვედროდა და მაგრად
ეცემა.

კომკავშირის კომიტეტს ახალი საქმე
გაუჩნდა. ირმა გაცეცხლებული იყო
და რაიკომის მდივანს გაცხარებული
უმტკიცებდა, რომ ზამბახიძის დატოვე-
ბა კომკავშირში არაფრით არ შეიძლე-
ბოდა. აღვზარდოთო, ერთხანს ამ აზრ-
ზე იდგა რაიკომის მდივანი, მაგრამ ბო-
ლოს ირმას დაეთანხმა.

თემო ზამბახიძე კომკავშირიდან გავ-
რიცხეთ.

ისეთი სუსხიანი და გაჭირვებით სავ-
სე ზამთარი არ მახსოვს, როგორც ორ-
მოცდაერთის დასასრულსა და ორმოც-
დაორის დასაწყისში იყო. თითქოს გან-
გებ, ბუნებაც გააფდა. შეშა არ გვქონ-
და, ნავთი გაწყდა, ელექტრონს ხშირად
გვითიშავდნენ, რადგან ქარხნებსაც არ
ჰყოფნიდა ენერჯია.

ვისხედით ბნელში, სიცივესა და შიმშილში.

ერთხელ ბაზარში თვალი მოვკარი ბეზია თამარს. შინიდან რაღაც ძვირფასი ნივთი წამოეღო და გადამყიდველს აჩეჩებდა. ალბათ თვითონ ხელზე მოვაჭრეთა შორის ჩადგომა ეთაქილებოდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, თოვლსა და ყინვაში დგომას მაინც ვერ შეძლებდა.

გადამყიდველი ძალიან დიდი გაიძვერა ვინმე ჩანდა. ბებიას ჩალის ფსაღ დასტყუა ნივთი. თამარი დახლებსაკენ ლასლასით წავიდა, სადაც მამასისხლად იყიდებოდა თხელ-თხელი მჭადები და ცოტაოდენი სხვა რამ სანოვავე. აქვე იდგნენ პურიც მალულად მოვაჭრენი. შავი პური იშოვებოდა, მაგრამ ცეცხლის ფასი ედო. თამარმა პური იყიდა. ჩანთაში სანოვავეც ჩადო და შინისკენ ისე გახარებული წავიდა, თითქოს ბედნიერება იპოვნა და ახლა რძალი და შვილიშვილი უნდა გაახაროსო. ეშურებოდა მასზე უწინ ეს ნაბოვნი ბედნიერება არავის მიეხარებინა მისიანებისათვის, ბაზრიდან გავიდა და თვალს მიეფარა. ის ჩარჩი კი ხალხში დამერბოდა ახლად შექმნილი ნივთით.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბებია თამარი ისევ ენახე ბაზარში. მაგრამ ახლა იგი აღარავის არ აჩერებდა შინიდან წამოდებულ მაგიდის ძვირფას გადასაფარებელს. ღობესთან მორცხვად დამდგარიყო, ხელზე გადაეფინა და მუშტარს ელოდა. ხალხს თვალს არიდებდა, თუკი ვინმე რამეს კითხავდა, ხმადაბლა უბასუხებდა. თვალი ავირიდე. ბაზარში რაღაც ვიყიდე და უკან რომ ვბრუნდებოდი, ისევ დავინახე იგი. ისევ იქ იდგა აბუხული. მისებრ მობუზულნი და ბედით დაჩაგრულნი ბევრნი იყვნენ მის მახლობლად, მაგრამ რატომღაც ყველზე უფრო ძალიან მაინც ეს ქალი შემებრადა.

ის დგომა საბედისწერო გამოდგა მისთვის. გაცივდა და ლოგინად ჩავარდა. იმ დღეებში ირმა სულ აწრიალებული იყო. გულს ვერაფერს უღებდა. რაიკომ-

ში თუ გამოიძახებდნენ, მის მაგივრად მე მივიდიოდი. უკანასკნელი გაკვეთილი როგორც კი დამთავრდებოდა, პირველი ის გარბოდა შინ. და ერთ დღეს აღარ მოვიდა. გულმა მიგჩნო, რაღაც უბედურება მოხდა. სკოლიდან პირდაპირ დამკვრელთა სახლს მივაშურე. სანამ სადარბაზოში კიბეს ავყვებოდი, პირველ სართულზევე გავიგე, ბებია თამარი გარდაცვლილიყო.

გულმა სწრაფად დამიწყო ცემა. ერთხანს გაოგნებული ვიდექი კიბესთან და ვერ გადამეწყვიტა, აესულიყავი თუ არა. ბოლოს მაინც ნელა ავყვევი კიბეს.

მალაკელიძიანთ ბინის კარი ღია იყო. რამდენიმე მეზობელი კიბის თავთან იდგა. მათ ყურადღება არც კი მომაქციეს. კართან შევჩერდი. სიღრმეში დიდი ოთახი მოჩანდა, საიდანაც უკვე გაეტანათ ბარგი და კედლის გასწვრივ მხოლოდ ვენური სკამები ჩაერიგებიათ. მიცვალებული და ჭირისუფალი არ ჩახდა. სამართებური სიჩუმე იყო. ამან უფრო მეტად შემზარა. სად არის ირმა, ეს დაუდგრომელი გოგო, რომელსაც ასე ძალიან უყვარდა ბებია? რატომ არ ტირის?

სულ თვალწინ წარმომიდგა ყველაფერი, სადაც კი ისინი ერთად მენახა. თვალთავან არ მშორდებოდა შაოსან ქალებს შორის ჩამდგარი, ირმა რომ არ ახლდა და მორცხვად ყიდდა მაგიდის გადასაფარებელს.

ნაბიჯის გადადგმა გამიძნელდა, მაგრამ უკან გაბრუნებაც აღარ შეიძლებოდა. გული ყელში მეტყინებოდა და ვგრძნობდი, რომ ცრემლიც მაწვებოდა. ორიოდ ნაბიჯი გადავდგი. ოთახის პარმალზე რომ შევჩერდი, ირმას ხმა შემომესმა:

— თამაზ, აღარა გვყავს ჩვენი საყვარელი ბებია! — ისე მწარედ აქვითინდა, თავი ვერც მე შევიკავე და აეტირდი. ადგილიდან ველარ დავიძარ. კედელს მივეკარი და ხელები სახეზე ავიფარე. თავს ვებრძოდი, ვცდილობდი როგორმე შემეკავებინა მღელვარება, მაგრამ

გრძნობა ვერა და ვერ დავემოჩინე. ატირებული ირმა თავად მოვიდა ჩემთან, მაკოცა, თითქოს მე ვყოფილიყავი ჭირისუფალი. მისმა მოფერებამ კიდევ უფრო ამიჩუყა გული.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ერთად დავესხედით ტახტის გასწვრივ, რომელზედაც თამარის ცხედარი ესვენა. მიცვალელებულს მთლიანად რაღაც ჭრელი ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული.

თანდათან დაემშვიდდი. ირმას ცერად გავხედე. თავი დაეხარა, ხელები კალთაში ჩაეწყო და თითებს ნერვიულად ისრესდა. აღარ ტიროდა. დროდადრო ღრმად ამოიოხრებდა და თან ჩუმად ამოაყოლებდა:

— ჩემო საბრალო ბებია!

მას მერე ირმას აღარ მოვშორებოვარ. სკოლაში აღარ წავსულვარ. სულ მალ-ლაკელიძეებთან ვტრიალებდი. შერმადინი დამარხვის წინა დღეს გამოჩნდა. გვიან გავგო თამარის სიკვდილი. პანაშვილზე ხალხი ერთმანეთში ჩურჩულებდა შერმადინზე, როგორც მალაკელიძეების სასიძოზე. აქებდნენ. მე კი გულის სიღრმეში მწყინდა ეს.

შერმადინმა თავი გამოიღო. ჩვენ, ირმას ამხანაგებმა გავიტანეთ თამარის კუბო. რომლის შეკვრაზედაც დიდი წვალება გადაგვხდა. სულ სათითაოდ ვიშოვნეთ ძველი ფიცრები.

ქელები არ ყოფილა.

ჩერ ერთი უბედურება არ განელებოდა ირმას, უცებ მეორე დაერთო. შერმადინი ფრონტზე გაიწვიეს. თუ თამარის დასაფლავებისას შერმადინი ხალხს ისე აჩვენებდა თავს, როგორც ირმას მეგობარი და მეზობელი, ახლა უკვე აღარ დაიმალა მათი ურთიერთობა.

გასაცილებლად სადგურზე ირმაც მოვიდა. იგი თავშეკავებული იყო მანამდე, სანამ მატარებელი არ დაიძრა. მაშინ კი ვეღარ შეიკავა თავი, შერმადინს კისერზე მოეხვია და აქვითინებული ჩაეკრა მკერდში.

როცა მატარებელი წაიდა და ეს ამდენი გულდაწყვეტილი ხალხი ბაქანზე

მიგვატოვა, სალომემ ხელი მოკიდა ირმას, თავისკენ შეაბრუნა. ირმამ უცებ მოიწმინდა ცრემლი და ქალს შეხედა, რომელსაც ყველაზე მწარედ უნდა ეტორა, მაგრამ ცრემლი არ უჩანდა გამშრალ თვალებში.

ასე იყო: ცრემლით ვაცილებდით ბევრს. თუ ვინმე დაბრუნდებოდა ცრემლითვე ვხვდებოდით.

მთელი ღამე მესმოდა ჩემს ქუჩაზე გუგუნით რომ მიდიოდნენ ავტომანქანები და ტანკები. ჩემს ქუჩაზე მაშინ არც ერთი ნათურა არ ბეუტავდა. მანქანების შენიღბული, ოდნავ მოციმციმე ფარები ასფალტს მჭრქალად აფენდნენ ლურჯ შუქს. მიდიოდნენ და მიდიოდნენ გადაბურული მანქანები. კოლონების მსველელობა საღამოს რომ დაიწყებოდა, თითქმის დილაამდე არ წყდებოდა.

ლტოლვილებითა და დაჭრილებით გაიქცო თბილისი. ქერივ-ობლებით ივსებოდა საბურთალოს ბაზარიც. კვირაობით უამრავი ხალხი ბაზარში რომ ვერ ეტეოდა, ქუჩის გასწვრივაც ჩარიგდებოდნენ და ელოდნენ მუშტარს. მუშტარი კი ყველაფერს ვერ გამოუჩნდებოდა.

ღრო ვადიოდა, ომი კიდევ უფრო მწვევდებოდა. ყველა ჩვენთაგანს მტრის შესამუსრად მიუწევდა გული. ირაკლი ზამბახიძე კი ისე დაიარებოდა, თითქოს ქვეყანაზე არაფერი ხდებოდა.

ისე როგორ სჭირდებოდათ ეს კაცი ზურგში, რომ ასე მაგრად ჰყავდათ „დაჯავშნული“? „დაჯავშნულს“ ბედმა გაუღიმა, როცა ჩვენები ბერლინს უტყვდნენ, მამო წაიყვანეს არმიასი. საინტენდანტო ნაწილში მოხვდა. მისთვის ომი თითქოს არც კი ყოფილა. ცეცხლში რომ ჩაგვგდოთ, საღი ამოვიდოდა. ფონს ყველგან ვადიოდა. ისეთ რა ვარსკვლავზე იყო გაჩენილი?! ხანდახან გამეცივნებოდა ხოლმე, როცა მისი ბედის ვარსკვლავს ცაზე დავუწყვებდი ძებნას. მართლაც, ზოგი ვარსკვლავი უფრო ანათებს, ზოგი მკრთალად ციმციმებს, ზოგი სულ მიბნედილა, მიკარგულა, მიჩქ-

მალულა იმ უსაზღვრო სივრცეში, ფიქრი რომ ვერ გაგვიწყდენია. და ადამიანებმაც, როცა პირველად შეხედეს დაკვირვებით ცის უზარმაზარ გუმბათს, დაინახეს ეს ამდენი განსხვავებულად მოციმციმე ვარსკვლავები, თავიანთი ბედის სწორედ მას დაუკავშირეს. მდიდრებმა თქვეს, ჩვენი ბედის ვარსკვლავები უფრო კაშკაშებენო. ღარიბებმა, ბეჩავეებმა, ქერივ-ობლებმა თავიანთი ბედის ვარსკვლავებში ისინი იცნეს, მიკარგულნი, მიბნედილნი, თვალმიუწყდენელნი... ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ადამიანის გონების ფანტაზიაა და სათითაო ბედის ვარსკვლავი ჩვენთვის არავის ჩამოურიგებია.

მე რომ რაიმე მიზეზის გამო კომკავშირიდან გავერიცხე, თავს მოვიკლავდი. მართლაცდა, რა ფასი აქვს სიცოცხლეს, როცა შენი თაობა, შენი ამხანაგები ხელსა გკრავენ. რჩება მარტო, გარიყული, დამცირებული, თავლაფდასხმული და შერცხვენილი. თემო კი, კომკავშირიდან გარიცხული, მაინც გვეტმასნებოდა, მაინც ჩვენთან უნდოდა ყოფნა.

როცა ჩვენ საჯაროდ მოვმწიფდით და დღე-დღეზე არმიანი უნდა წავსულიყავით, ახლა პატარა ზამბახიძე „დავაშენს“.

32.

უკანასკნელ ხანს ირმა მუდამ აწრიალებული იყო. სულ სადღაც ეჩქარებოდა, ერთ ადგილზე გული არ უჩერდებოდა.

მაისის პირველ რიცხვებში, როცა გამოცდები ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, ფრონტიდან ერთდროულად ორი წერილი მოვიდა უცხო ხელით ნაწერი. ერთი ირმამ მიიღო, მეორე ლაცაბიძეებმა. მე ორივე წერილი წამაიკითხეს. მძიმედ დაჭრილი შერმაღინი ქალაქ გორკის ჰოსპიტალში გადაყვანათ. კრილობის შესახებ არაფერს იწერებოდა უცნობი ჯარისკაცი.

ირმამ კომკავშირის საქმეებსაც ვეღარ დაუღო გული, და ახლაც, როცა ვაზ მოსამშებები გამოცდები კარზე მოგვდგამოდა, სწავლას მოუვლო.

ერთ დღეს კი აღარ მოვიდა სკოლაში. საღამოს დამკვრელთა სახლის კიბეზე რომ ავდიოდი, მისი მეზობელი შემომეფეთა.

— იცი, ვაიგეთ?

ამის გაგონებაზე დამცეცხლა. გაგნებული მივეყრდნე კიბის მოაჯირს. არაფერი არ ვიციდი, ვის თავს რა მოხდა. ნუთუ ირმას მოუვიდა რამე?

ენა ვერ დაეძარი. თვალბუნი ისეთი ნისლი ჩამიდგა, ქალს ვეღარ ვხედავდი.

— ალით, ანუგეშეთ უბედური დედა-მისი!.. — მეუბნებოდა ვიღაც ძალზე ბუნდოვნად, ყრუდ, მოგუდული ხმით. მე არ მესმოდა ვისი უბედური დედა, ან რატომ უნდა მენუგეშებინა.

— ირმა სახლიდან გაიქცა... რა დაგეშართა, ბიჭო?.. ვეკაცი არა ხარ. წყალი! მომამწოდეთ წყალი!

ტუჩებთან ჭიქისა და წყლის სასიამოვნო სივრილე ვიგრძენი და უცებ მოვეგე გონს. ძალა მომეცა და, არ ვიცი, რამდენი წამი დამჭირდა, უცებ ავეარდი მესამე სართულზე. მალდაკელიძეების კარი ისე იყო ღია, როგორც უბედურების ქამს იციან, როცა შინ მიცვალებული ჰყავთ.

ოთახში რამდენიმე მეზობელი მაგიდას უჯდა. იქვე იყო ნამტირალევი ირმის დედაც. ჩემს დანახვაზე არც კი წამომდგარა, არც ნიჩო შესცვლია, ქალაღლი გამომიწოდა და ჩახლჩილი ხმით ხმადაბლა თქვა:

— აი, რა გამიკეთა ჩემმა გოგომ, წაიკითხე.

ქალაღდს დავხედე და ძლივსძლივობით გავარჩიე ირმას ნაწერი. წერილის ბოლო ნაწილი კარგად დამამასოვრდა.

...ისე მეჩვენებოდა, თითქოს ყოველ დღე მეძახდა იგი, თავისკენ მიხმობდა, თითქოს ჩემს მეტი მას ვერავინ იხსნიდა. არა, მე სხვანაირად არ შემეძლო. იქნებ რაიმე ვუშველო. თავზე დავად-

გები, მოეუვლო... ექიმებს შევევედრებდი, რომ ყველა ღონე იხმარონ. სხვებსაც მივხედავ... დაჭრილი ბიჭები მალამოს ელიან, მალამოს კი ჩემზე უკეთ ვინ მი-
აწვდის შერმადინს... შენ ვერ წარმო-
იდგენ, როგორ მიყვარს იგი. რაღაც არ
უნდა დამიჭდეს, მივადწვევ მის სარეცე-
ლამდე. მაპატიე, ჩემო ძვირფასო დე-
და!"

33.

1942 წლის ზაფხულში მეც გამოიწვიეს
ჯარში და მეტი აღარაფერი ვიცი, რა
მოხდა ჩვენს უბანში, ჩემს ქუჩაზე 1945
წლის აპრილამდე.

აპრილში კი ყავარჯნებით ახანხალე-
ბული დაგბრუნდი. ჭრილობა წვივში
მქონდა და მიწაზე ფეხს ვერ ვადგამდი.

პირველი, ვინც შემეგება, ჩემი ლო-
დინით გატანჯული დედა იყო. ყავარჯ-
ნებიანად ჩამბლუჯა და ჩემს მკერდზე
სიხარულით აქვითინდა. მეორე ძია სან-
დრო იყო, დედაჩემს გამოჰყოლოდა. მო-
ტეხილ-მოტერებული ჩანდა. დღმა ჯა-
ფამ გასტეხა. შრომაში გატარებულმა
უძილო ღამეებმა დადი დაასვეს, უფრო
მეტად გაჰკაღარავეს და დააჰკენეს. მაგ-
რამ მაინც ვიგრძენი მისი მუშური
მკლავის ძალა. ხელი მაგრად ჩამომართ-
ვა, შინ დაბრუნება მომილოცა და მერე
ვადამეხვია.

მამაჩემისა თურმე არაფერი არ ისმო-
და, ის ისე დაიკარგა ფრონტზე, არც ავი
გავივია მისი, არც კარგი. დღემდე ვე-
ძებ და ვერსად მიპოვნია.

გზაში დედაჩემი ხელს არ მიშვებდა.
შეფერებოდა. ყველა გამვლულ-გამომვ-
ლელი, ვინც ახლა მე შემომხედავდა,
ალბათ, დედაჩემის ბედნიერებას შენატ-
როდა.

მიძინებდებოდა ყავარჯნებით სიარუ-
ლი, მაგრამ მაინც ფეხით წასვლა ვარ-
ჩიე.

აპრილის დილა იყო, უღრუბლო, მზი-
ანი, აფეთქებული. უზომოდ დაღლილი

ვიყავი, მაგრამ შარბათად შეგემა აპრი-
ლის ეს დილა.

სანდრო ერთხანს ჩუმაღ მომყვებოდა,
რადგან დედაჩემი ათას რაშეს შეკითხე-
ბოდა, სად ვიყავი, თავს რა გარდაამბდა,
სად დავიჭერი, ან ხომ არ დავკოჭლდე-
ბოდი სამუდამოდ. დედის დამწვარ
გულს სურდა ყველაფერი ერთბაშად
გაეგო და დამშვიდებულიყო ჩემი იმე-
დისმომცემი პასუხებით. მართლაც, მა-
ლე დავამშვიდე იგი. ჭრილობა საშიში
არ იყო, მოშუშლებოდა და მე ისევ ჩვე-
ულებრივად ვივლიდი. არ იქნა და არა,
დედაჩემს ცრემლი არ გაუშრა თვალში.
ახლა მამაჩემის უგზოუკვლოდ დაკარგ-
ვის ამბავი მომიყვა და გული უზომოდ
დამიძიმდა. იმედს მაინც არ ვკარგავ-
დით.

საბურთალოს რომ მივეახლოვდი,
ყველაზე უფრო ძალიან ვიგრძენი გაზა-
ფხულის ძალა და სურნელი. აქ ბალები
სჭარბობდა და ზეხილი ყვავილებით
გადაპენტილყო.

სანამ სახლს მივებრუნებდი, მეზობლები
მოვიკითხე.

— შერმადინისა რა ისმის?

ძია სანდრომ დარდიანად ამოიოხრა.
დედაჩემმა უსიტყვოდ შემომხედა.

— შავი ქალაღი მოვიდა, — მითხრა
ძია სანდრომ, — ნამდვილი ამბის მომ-
ტანიც.

ელდანაცემი შევდექი. ბავშვივით
ამომიჭდა გული. დედაჩემმა ფერება
დამიწყო. ძია სანდრო ჩამდუღუნებდა:

— ჩუ, ბიჭო, ვაეკაცი არა ხარ?

ვაეკაცი ვიყავ, მაგრამ გული მაინც
ბავშვისა მქონდა. ბევრი ცრემლი მიღ-
ვრია მეგობრების გამო.

თავი როგორც იქნა შევიკავე და კი-
დევ ორიოდ ნაბიჯი რომ გადავდგი,
ჩვენი ეზოს ჭიშკარი დაეინახე. წელან
თუ აქეთ მომიხაროდა, ახლა იქ შესვლა
მიძიმდა. როგორ შემხედებოდნენ დე-
იდა სალომე და ძია ვანო?

— ამბავი ვიღამ მოიტანა? — ვკითხე
დედაჩემს.

— მისმა ცოლმა, შვილო. შენი ამხანაგი რომ იყო, ირმა მალაქელიძე...

— ირმა აქ არის?! — ისე ხმამაღლა დავიძახე, დედაჩემი შეკრთა. მღელვარებისაგან ცალი ყავარჯენი გამივარდა და შევებარბაცდი.

— აქ არის. ფრონტიდან ფეხმძიმე დაბრუნდა. ისეთი გოგო ჰყავს, ის აცოცხლებს საცოდავ სალომესა და ვანოს. ყავარჯენი მია სანდრომ მომაწოდა. შევსწორდი, შევემაგრდი.

— გოგონა ჰყავს, ჰა?

— პირწავარდნილი შერმადინია. დედასაც ჰგავს. ირმა ახლა კომკავშირის რაიკომის მდივნად მუშაობს.

უნებურად დაეხედე საათს. თორმეტის ნახევარი იყო. საღ იქნებოდა ამ დროს ირმა თუ არა რაიკომში.

— დედა, შენი ჰირიმე, წადით შენ და მია სანდრო შინ. მე რაიკომში მივალ. გეხვეწები არ წამომყვე, ასე მარტო მიგხანხალდება...

— მარტო როგორ გაგიშვებ, შენი მოფერებოდა და ალერსით გული არ მიჩერებოდა! დისვენე, ბიჭო! შინ არ შესულხარ და უკვე გარბიხარ? ირმა აღარსად არ აპირებს წასვლას. სამსახურის მერე თავის დედამთილ-მამამთილთან მოვა და ნახავ.

— შენი ჰირიმე, დედა! — ისე შევეხვეწე. გაჩუმდა, ველარაფერი მითხრა. მაშინვე შევეტრიალდი და ისე ჩქარა წავედი, რომ დედაჩემი გულგახეთქილი გამომედევნა:

— ნელა, შენ შემოგველი!

მიეხედე. ერთი კი გაუღიმიე და გზა განვაგრძე.

გული ამოვარდნაზე მქონდა, როცა კომკავშირის რაიკომის მდივნის კარს მივადექი. მისაღებ ოთახში ერთი ცქრი-ალა გოგონა იჯდა. ჩემს დანახვაზე წამოდგა და თავაზიანად შემომეგება. გული საგულეს ჩავიგდე და მუშაშობიან კარს შევხედე.

— რა გნებაეთ? — მკითხა გოგონამ, რადგან წუთით უტყვად ქცეული კარს სულელივით მიეჩერებოდი.

— ირმა მალაქელიძეს ნახვა მინდა!

— ირმა ცენტრალურ კომიტეტშია გამოძახებული. აღრიცხვაზე. ხომ არ გინდათ აყვანა? წამობრძანდით, გაჩვენებთ ვისაც უნდა მიაკითხოთ...

— ეს საქმეც მაქვს მოსაგვარებელი, მაგრამ მე ირმას სანახავად მოვედი. ის ჩემი მეგობარია.

— მართლა?! — აუციციკიდა თვალები გოგონას, — დაბრძანდით, ფეხზე რატომ დგახართ? დაელოდეთ, იქნებ მალე დაბრუნდეს.

დავჯექი. ყავარჯენი გვერდით შემოვიწყე.

— ძალიან გტყავთ ფეხი? — სიბრალულით შემომხედა გოგონამ და თვითონაც დაჯდა.

— არც ისე.

— ჯილდოები არა გაქვთ?

მკერდზე ისე დავიხედე, თითქოს არც კი მცოდნოდეს, ჯილდოები მქონდა თუ არა. ჩემი მკერდით არავის ვავაკვირებდი. ფრონტზე მტრის ერთი ტანკი დავწვი, მეორე დავაზიანე. წითელი დროშის ორდენზე წარმადგინეს — არმიის შტაბში ჩემი გვარი მემანქანეს შეცდომით დაებეჭდა. მერე ის საბუთებიც საღლაც დაკარგულიყო. ორდენმა ჩემამდე ვეღარ მოაღწია. იმ ორომტრიალში კი დევნის თავი არავის ჰქონდა. დავიჭერი და აი, სამი თვის მკურნალობის შემდეგ შინ დაებრუნდი.

— ჰო, რა ვიცი... არაფერი მომცეს, — ეთქვი მორცხვად.

გოგონას დიდრონი, ცქრიალა თვალები მქონდა. მზერას არ მასორებდა. ძალიან ცნობისმოყვარე იყო.

რაიკომის შენობაში სიწყინარე სუფევდა.

ერთი საათის ლოდინის შემდეგ გავიგონე ხმა, რომელმაც ზეზე წამომაგდო. სანამ ყავარჯენებს დავეწვდებოდი და ფეხზე შევმაგრებოდი, მისაღებ ოთახში ირმა შემოვიდა. ჩემს დანახვაზე შეკრთა.

— თამაზ! — წამოიძახა და, არ ვიცი, უკებ რა დაემართა, მომიახლოვდა და

ხელი გამომიწოდა ისე, როგორც უბრალო ნაცნობს.

ჩემი შეცბუნება წამიერი იყო. ერთხელ კიდევ შემომხედა ახლოდან, თვალები ცრემლით აევსო და მომხეცია.

...ხმაურით შევედით მის კაბინეტში. თვალი შევასწარ, მდივანი გოგონა როგორ აღელდა ჩვენი შეხვედრით. თავს ძლივს იკავებდა.

— ფეხზე რა მოგივიდა? — ოთახში შესვლისთანავე მკითხა ირმამ.

— არაფერია, გაივლის...

მერე ერთხანს უსიტყვოდ ვუყურებდით ერთმანეთს. ორიოდ წელი არ მენახა და ეს დრო საუკუნედ მეჩვენებოდა. სათქმელი, ვინ იცის, რამდენი გუქონდა, მაგრამ ასე, უტყუე ვასაუბრებით უფრო მეტს ვეუბნებოდი ერთმანეთს დიდი ხნის უნახავი მეგობრები. სიჩუმე ირმამ დაარღვია.

— როდის დაბრუნდი?

— დღეს. შინაც არ მივსულვარ.

— და პირდაპირ ჩემთან მოხვედი? — შეკრთა იგი.

— დედა ვნახე, შენი ამბავი მითხრა... გულმა აღარ მომიტოინა და წამოველ, გოგონა როგორ გყავს?

— გოგონას რა უჭირს, იზრდება.

— შენა გვავს?

შერმადინზე განგებ არაფერს ვეკითხებოდი. ვიცოდი, რომ მძიმე იქნებოდა მისი გახსენება. იქნებ სხვა დროს დავმსხდარიყავით და დაწვრილებით მაშინ გამომიყვითხა მისი ფრონტული ამბები.

— შერმადინსაც ემგვანება. ძალიან ემგვანება და ეს მახარებს, რომ მისი სახე არ წაიშლება. ნეტავი კი სულ მას დაუმსგავსოს, — თქვა ირმამ და მღელვარების დასაფარად ოთახში გაიარა. ფანჯარას მიუახლოვდა. მე მისი საწერი მაგიდის გვერდით ვიჭექი. იგი ჩემსკენ შემობრუნდა.

— მითხარი შენი ამბები, — მთხოვა და მაგიდას მიუჭდა.

— ახლა მე უფრო მეტად შენი ამბები მაინტერესებს. ჩემი რა... აბა, რა

მაქვს სალაპარაკო. შენ კი... სწორი გე-თხრა, აღფრთოვანებული ვარ შენი სი-მამაკით, ირმა. ვანა ყველა ქალს შეუძ-ლია ასე მოიქცეს? როგორ გაზედე, რო-გორ წახვედი?..

— გახსოვს, მაშინაც ასე მკითხე, უდაბნოში რომ მოვედი, — ირმამ ღრმად ამოისუნთქა, — წავედი უფრო შორს. მოვინახე. პოსპიტალში მივაგენი. ვერ მხოლოდ მას ვუვლიდი, მერე სხეე-ბსაც. შერმადინი ფეხზე დავაყენე და მოქმედ ნაწილში ერთად წავედით. პოლკში ვიჭორწინეთ.

მისაღები ოთახის კარი ღია იყო და უცებ იქიდან ახალგაზრდების ხმაური გავიგონე. ქაბუკები და ქალიშვილები ირმას კაბინეტში შემოვიდნენ.

ირმამ თბრობა შეწყვიტა და საათს დახედა.

— თათბირი მაქვს დანიშნული...

მე მაშინვე წამოვიწიე.

— სად მიდიხარ? — შეკრთა ირმა, — არსად არ გაგიშვებ. დაგვესწარი. მერე ერთად წავიდეთ შინ.

— მაშინ, იქით, ფანჯარასთან დავკ-ლები.

სანამ მე ფანჯარასთან გადავხანხალ-დებოდი, ირმამ თათბირზე მოსულნი დასხა.

ფანჯარას მივეუახლოვდი და ახმაურე-ბული ქუჩას გადავხედე. გადავხედე და შეგკრთი. დედაჩემი დავინახე იქვე, რა-იკომის შენობის წინ, ხის ძირას იდგა და მელოდა. რალა გამაჩერებდა. ყუარჯნე-ბი შუა ოთახში ავაბაკუნე. ირმა მომი-ახლოვდა.

— მაინც მიდიხარ?

— დედაჩემი მოსულა. ქუჩაში მე-ლოდება.

— იმასაც აქ ამოვიყვან.

— წავალ, ირმა... დღესვე ვნახავ... ერთი სული მაქვს თქვენი გოგონა ვნა-ხო.

ირმამ სადარბაზო კარამდე მიმაცილა. დედაჩემმა დამინახა და გამოეჭანა.

— სულ შენს ლოდინში უნდა ვი-ყო? — ცრემლიანი ხმით მისაყვედურა

და ისევ ყავარჯნებიანად ჩამიყრა გულში.

34.

ჩემი ძველი, მშობლიური ეზო!

აქედან იწყება ჩემი ქვეყნის სიყვარული, აქა აქვს სათავე იმ ნაკადულს, სამშობლოს სიყვარულის დიდ მდინარედ რომ ქცეულა. აქ მე ყველაფერი სიგიჟემდე მიყვარს. ჭიშკარსაც კი ადამიანივით მივესალმე და ვაკოცე, ძია ვანოს ბოსტნის დაბალ ღობეს მივესათუეთე. როგორ ხართ, როგორ? ხეებსაც ვკითხე, ბუჩქებსაც. და უზომოდ მემამ ჩემი ეზოს ძველებური მყუდროება, აპრილის მობრძანება. თითქოს ალერსით შემხვდა ჩვენი პატარა სახლიც. უსულოთაგან ისეთი ძალა ვიგრძენი, კინაღამ მართლა ხმამაღლა არ დავიძახე, გამარჯობათ-მეთქი.

ძია სანდროს სახლის კარი ღია იყო. ჩემი ყავარჯნების ხმაზე გამოიხედა.

— მოხვედით?

— მოვედით, ძია სანდრო.

— შერმადინი, ტატე და მამაშენიც რომ მოსულიყვნენ... ისევ ძველებურად ვიქნებოდით.

— კარგი იყო, — ვთქვი და ლაცაბიძეების შუშაბანდის მოხურულ კარს შევხედე. შერმადინის იმბავი რომ არ მცოდნოდა, უთუოდ შევიდოდი, ყველას გადავკოცნიდი, მაგრამ ის ერთი საღი ფეხიცი კი უკან მრჩებოდა და იქითკენ გული არ მიმიწევდა.

ძია სანდრო მომიახლოვდა და ერთხელ კიდევ ვადამკოცნა.

— არც ტატესი ისმის რამე, — თქვა გულდაწყვეტით.

„იქნებ მოკლეს?“ — გამიელვა გონებაში და ავი ფიქრისაგან გული დამემდღურა, გონება დამიძძიმდა. მაგრამ „იქნება“ ხომ ვარაუდია და რაღა ამ ვარაუდში ვეძებო სიმართლე, როცა კაცის არც ავი ისმის და არც კარგი? ავი ნუ გაგვაგონოს ღმერთმა! ტატე ისე მიყვარდა, როგორც ახლობელი. „დაბრუნ-

დი, ძველო?“ თითქოს საიდანდაც ჩამძახა და მხიარულად დაიროხროხა: „აბა, ეს ჩვენი თამაზის დაბრუნებისა აღვნიშნოთ! აბა, ჭიქას აუწი, აუწი! ჰიტლერს მალე ვუტირებთ დედას. ჰა და ჰა, იმის ბუნაგსაც მივადექით! წერილის საწერად აღარა მცალია. რა დროს წერილია! ჰიტლერის ავ დღეს თუ არ შევესწარი, ისე სხვა ამბები რა მოსაწყერი. დაბრუნდები და ეჭვი, რამდენი სალაპარაკო მექნება! ოთხი წლის დაგროვებულ ამბებს ბარე ოთხ წელსაც ვერ მოვთავებ. მკვდარი გგონივართ? მე ვინ მომკლავს! მე ვინ მომკლავს! მე ვინ მომკლავს!“... ზუზუნებდა ეს ხმები ჩემს გონებაში და, ცოტა არ იყოს, გუნება გამიხალისა, ტატეს ნათქვამად ავიკვიატე და გულში იმედი ჩავინთე.

— ის ისეთი რიხით წავიდა, ვინ რას დააკლებდა, ძია სანდრო!

— რიხით ბევრი წავიდა... ყველანი რიხიანად არ წახვედით?!

— მართალია, მაგრამ... გული მიგრძნობს, ტატე ცოცხალი უნდა იყოს.

— თუ ცოცხალია, რა ღმერთი უწყრება, რომ ერთ სიტყვას არ მოგვაწვდის?

— ვინ იცის, რა დღეშია... იქნებ სულ არა სცალია. იქნებ მისი წერილები გზაში იკარგება?

— რაღა იმისი იკარგება!

ყავარჯნები კედელზე მივაყუდე. შინ არც კი შევედი, იქვე, კარის წინ, ძველ ტახტზე ჩამოვჯექი და შეხვეული ფეხი ზედ გავშოტე. ძია სანდრო გვერდში მომიჯდა და თავისი მუშური, დაკორძებული ხელები ჩვეულებსამებრ მუხლებზე დაიწყო.

ღეღაჟემმა სახლის კარი გააღო. ერთი კი შევიხედე ცერად. შესვლა იქაც მიძიმდა. ისე მომეჩვენა, თითქოს დედაჩემი მიძალავდა მამაჩემის უბედურ ამბავს და შევიდოდი თუ არა, ჩვენი გრილი ქოხი ყველაფერს დაწვრილებით მეტყოდა და გულს მომიკლავდა.

„არა ვარ მკვდარი! არა ვარ მკვდარი!“ ახლა ამ ძახილმა შემეპართო. მამა-

ჩემის ენით, მისი დუღღუნა კილოთი ნათქვამმა.

როცა ტატეზე გავიფიქრე, გონებაში მთელი სიმკვეთრით აღვიდგინე მისი ხმა. გავიფიქრე მამაჩემზე და თითქოს მისი ხმაც გავიგონე. მაგრამ, როცა შერმადინზე ვფიქრობდი, გული მიმძიმდებოდა, ვერა აზრს ვერ ვუყრიდი თავს, რადგან ამ ჰაბუკისა ყველაფერი გათავებული იყო, ყველაფერი გარკვეული იყო და აწ სანუგეშო აღარაფერი გვრჩებოდა.

ამიტომ მძიმე იყო ჩემთვის ლაცაბიძეებთან მისვლა. წარმოვიდგინე როგორ შემხვდებოდნენ, შემომტირებდნენ, ცრემლს დაღვირდნენ. მე ვერაფერს ვეტყვოდი. ჩემი დანახვით ერთხელ კიდევ დაიმღულრებოდნენ ცრემლით.

ბოსტნის დაბალი ღობის იქით მოსჩანდა თავშესაფრის სახურავის აბურცული ბანი, რომელზედაც აღარ იყო საბოსტნე კვალი. მიწა დატყეპნილიყო, ილაგ-ალაგ, კლერტა ბალახის ნორჩ წვეროებს ამოეყო თავი.

რა ამბავი იყო ამ თავშესაფრის გათხრაზე! რამდენი ოფლი დაგდვარეთ! ვის რაში გამოადგა? ბევრი ჭიდილი ამო არის ცხოვრებაში. მაგრამ ერთმანეთს მაინც ვეჭიდებით ადამიანები.

ოთახში შევედი. მიმოვიხედე. გაგხსენი კარადა. დედაჩემს განცალკევებით ჩამოეკიდა ჩემი დაუთოვებული ხალათ-შარვალი. მაშინვე ჩამოვიღე ისინი. ჭარში წასვლამდე სწორედ ეს ხალათ-შარვალი მეცა. წასვლისას ძველმანები გამოვნახე, ესენი კი აქ დაეტოვე. დაეტოვე ტიპტიპას მიერ რამდენჯერმე გულდაგულ დაკერებული ფეხსაცმელიც. როცა ჩემს ნივთებს მოვესიყვარულე, კარადის გვერდით თვალი მოვკარი ფოსტალიონის ცარიელ ჩანთას. დედაჩემს შეუხედე.

— ეს რა არის, დედა? ეს ჩანთა ვისია?

— ჩემია, შვილო. მამაშენის მაგივრად ახლა მე დავდივარ კარდაკარ. მამაშენი რომ დაბრუნდება, ისევ კვლავინ-

დებურად იქნება ყველაფერი.

— არ გინდებოდა უბრალოდ სიარული?

— პირველად ძალიან გამიძინებდა, მაგრამ შევეჩვიე. ლუკმაპურს ისე არავინ გვაქმევს. აბა რა მექნა?! — მითხრა და თავისი საქმე განაგრძო. მე და ძია სანდროს პატარა ტაბლას გვიშადებდა.

მე კი ჩემი ძველი ფეხსაცმელები ერთხელ კიდევ შევათვალიერე. უხმარობით ისე გაბევებულიყო, ისე მოგრებილიყო, ძნელი იყო მათი ჩაცმა. ტაშტში წყალი ჩავასხმევინე დედაჩემს და ფეხსაცმელები შიგ ჩაეყარე დასალბობად.

დედაჩემს ჩემი ჩანთა გაეხსნა, ჭარისკაცური საგზაო ულუფა ამოელაგებინა. რამდენიმე ქილა კონსერვი, ძეხვი და შეჭარი მქონდა შიგ. გახარებული იყო, ამდენი სანოვავე რომ დაინახა. „ჭეიფი“ შეიძლებაო, მაგრამ სანამ მე და ძია სანდრო მაგიდას მივუსხდებოდით, დედამ მირჩია სალომე მენახა.

ძია ვანო შინ არ იყო. სალომეს გულზე ცულად ემოქმედნა შერმადინის დაღუპვის ამბავს და ლოგინად ჩავარდნილიყო.

დედა გამიძღვა და ლაცაბიძეების შესაბანდში აგაბაკუნე ჩემი ყავარჯნები. ოთახის ღია კარში ბავშვიანი ქალი შემომეგება. მაშინვე ვიცანი ირმას დედა. აქ არ ველოდი და მის დანახვაზე უცებ დავიბენი. ამაღელვა იმანაც, რომ ხელში ატატებული გოგონას თვალებში შერმადინის სხივი დავინახე. წამს გავხევი და ბავშვის ბრიალა თვალებს მივაჩერდი.

— ვინ არის? — მომესმა დეიდა სალომეს მიღეული ხმა.

— თამაზ! — დაიძახა ირმას დედამ სალომეს გასაგონად და იმის ნიშნადაც, რომ ჩემი დანახვა გაეხარადა.

ყავარჯნები დედაჩემს მივაწოდე, ცალ ფეხზე შევმაგრდი და ბავშვი ხელში ავიყვანე. ჭერ სატირლად გამობურცა ტურჩები. მოვეფერე, ფოთო ხელები დავუკოცნე და გაირინდა. მერე შეთა-

მამდა და ერთი ხელი ლოყაზე მომიტათუნა.

შერმადინის თვალეზი, დედის ტუჩ-ცხვირი... ვაკვირდებოდი და მიხაროდა, დედ-მამის სიღამაზე ასე მკვეთრად რომ მასხულებიყო პატარა გოგონას სახეზე. მისი ალერსით რა გამძაღებდა, მაგრამ მეორე ოთახიდან სალომეს მინავლული ხმა არ გვასვენებდა:

— შეილო, თამაზს... დავიდუბეთ, ბიჭო... სადა ხარ, რატომ არ დამენახებები? და მეც შევებახალდი ჩემი ყავარჩნებით.

საოცრად მიმტკნარი, უცებ მობერებული ქალი დავინახე საწოლში. ზურგში შეწყობილ რამდენიმე ბალიშზე მისვენებულიყო. ნახევრად-წამომჭდარი ჩემკენ უძლურად იწვლიდა ხელებს.

დავიხარე და ვაკოცე. გულში ჩამიკრა და ერთხანს არ მომიშორა. მერე შევსწორდი, ქალს ისევ შევხედე. არა ტირილა. ამან ცოტა დამიმშვიდა გული. სიტყვა გამიწყდა და რა მეთქვა, აღარ ვიცოდი. ამ დროს, მართლაც, ძნელია ჰკითხო რაიმე. ნუგუვიც ხომ ყალბი იქნებოდა!

იომას დედამ სკამი დამიდგა საწოლთან. ჩამოეჭექი. დეიდა სალომემ მკითხა, სად ვიბრძოდი და თავს რა გარდამხდა. ჩემს თავგადასავალს მოკლედ ვამბობდი, თან თვალი პატარა თამრიკოსკენ გამიბრბოდა. გულმა აღარ გამიძლო და კალთაში ჩავისვი.

— ეგლა მახარებს, — ამოიყენესა დეიდა სალომემ და ბავშვს ფეხზე ალერსით მოუხვია ხელი, — ხომ გავს შერმადინს? მაგის თვალებს რომ ვუყურებ, ასე მგონია, ის მიცქერის-მეთქი. შემომხედე, გოგო! შენ კი გენაცვალოს შენი ჯანდამწყვარი ბებია!

აი, მამინ კი შეუწყლიანდა თვალეზი. ირმა იმ საღამოს პირველად ენახე ლაცაბიძეებთან, როგორც ამ ოჯახის წევრი. ახლა მას მეორე დედაც ჰყავდა — დეიდა სალომე. ძია ენოს კი მამას ეძახდა.

ფაბრიკიდან ისევ ისე, უწინდებურად

ერთად მოიბრინეს ნესტანმა და თინამ. ნესტანი კიდეც უფრო გამხდარიყო! თინას ჯანი შერჩენოდა. დემა დამკრცნეს, ძმა გაიხსენეს, ცრემლი გადმოვდარეს და ჩემი თავგადასავალი ხელახლა მათქმევიენეს. თავიანთი ამბები მოკლედ მოთხრეს. ნესტანს ქმარი დაჭრილი დაბრუნებოდა. აეთანდილს კი ჩვენი თინათინისთვის ჯერ კიდევ ვერ მოეცალა.

მეზობლები ერთად დავსხედით. ჩემს დაბრუნებას ენო და სანდრო ღვიწით ლოცავდნენ. ქალები დაუშაქრავ ჩაის წრუპავდნენ. ძალიან მოწყენილად და უღიმღამოდ ვისხედით. კაცი გვაკლდა. მერე რა კაცი, და მის დანაკლისს იქ მყოფთაგან ვერავინ ვერ ავსებდა, თვით პატარა თამრიკოც კი, რომელიც შერმადინის თვალთა შექით გვითბობდა დაკოდილ გულს.

35.

მეორე დღეს აღარ მინდოდა ჩამეცვა ჯარისკაცული ტანისამოსი. უწინ ფეხსაცმელი შევთავალიერე. წყალში დაღობობამაც არ უშველა. ისევ სველი და მოგრებილი იყო. სხვა გზა არ მქონდა, ჩექმა უნდა ჩამეცვა. დაუთოვებული შარვლის ტოტი ჩექმის ყელს ზემოდან გადმოვაფინე. ჩექმა და ჩაშვებული შარვლი ერთმანეთს არ შეეწყო. ფეხსაცმელი ავიდე, მივლუნ-მოვლუნე, ჩავიცვი, ფეხი მატკინა. ისევ ჩექმა მოვირგე ფეხზე და შარვლის ტოტი სათუთად ჩაკეცე ჩექმის ყელში, რომ არ დაქმუქნილიყო. არც ასე მომიხდა. დასწყევლოს ღმერთმა! ტყავის კონტად შეკერილი ჩექმა მაინც ყოფილიყო. არადა, როგორ მენატრებოდა დედაჩემის მიერ საგანგებოდ დაუთოვებული ზაღათ-შარვლის ჩაცმა!

ისევ სამხედრო ტანსაცმელში გამოვეწყვე.

— დღეს შინ იყავი, ნურსად ნუ წახვალ... ჯანს გაუფრთხილდი. ფეხი მოგიშუშდეს და მერე სადაც გინდა, იქ იარე, — მთხოვა დედაჩემმა და ფოსტა-

ში წასასვლელად მოემზადა. ჩემი წასვლა კი აუცილებელი იყო. სასურსათო ბარათისათვის და აღრიცხვაზე ასაყვანად სამხედრო კომისარიატში უნდა მივსულიყავი, მერე კომკავშირის საქმეც უნდა მომეგვარებინა.

ავიხანხალე ფეხი და ქუჩაში ყვარჯნების ბაყენით გავედი. ბაზართან ხალხი ირეოდა. თითქოს ამ ორიოდე წელს, არაფერი შეცვლილიყო. ქუჩას ქვემოთ დავუყუევი და ასე ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ჩავლიე საბურთალოს დაღმართი და ფიქრისგორის აღმართს ავეყუევი.

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკიდან ურუდ ისმოდა საქსოვი დაზგების ხმა. პატარობიდანვე მხიბლავდა ეს დიდი წითელი შენობა. მას შემდეგ კი კინოვად აღებმას რომ შევესწარი, აღტაცებული ვიყავი ნესტანისა და თინას საქმიანობით. ოდესღაც სწავლაში ზარმაცებმა, როგორ გაიკვლიეს გზა ცხოვრებაში.

წუთით შევდექი და რკინის ზესრიდან ფაბრიკას გადავხედე. აგერ იქ, სულ ზემო სართულში, დაზგებთან დგანან დები და ქსოვენი. ერთხელ ნესტანმა და თინამ იანგარიშეს და, მათი ვარაუდით, იმდენი მონაქსოვი გამოუვიდათ, რომ გეშალათ თბილისიდან ხაშურს იქითაც კი გასწვდებოდა. ამ დღეებში შევივლი და უთუოდ ვინახულემ-მეთქი, გუნებაში გავივლე და გზა განვაგრძე.

რიალმასკომის შენობის ზემო სართულში, სადაც სამხედრო კომისარიატი იყო, სვენებ-სვენებით ძლივს ავედი. ისეთი დამრეცილი და მძალი, ვიწრო კიბე არც ერთ სახლში არ მეგულებოდა.

სამხედრო კომისარიატში დიდხანს არ გავუჩერებდვარ. საჭირო საბუთები გამიფორმეს, სასურსათო ბარათების მისაღებად, ცოტაოდენი ფულიც მომცეს ერთდროული დახმარების სახით, მომცეს მიწერილობაც სამხედრო ჰოსპიტალში; სადაც ფეხს ვიმკურნალდები.

სულ ახლო იყო პარტიისა და კომკავშირის რაიკომის შენობა. განიერი სა-

დარბაზო და კოხტა კიბე ჰქონდა. პირველ სართულზე კომკავშირის რაიკომი იყო, მეორეზე — პარტიისა. მესამეზე და მეოთხე სართული კი სხვა დაწესებულებებს ეკავა.

ირმას კაბინეტის ორი ფანჯარა ქუჩას გადმოჰყურებდა.

ქუჩა გადავიარე და სადარბაზოში შევედი. როცა რაიკომის მდივნის მისაღებად შევბაკუნდი, მდივან-მემანქანე გოგონა ძველი ნაცნობივით შემომეგება.

— აქ გახლავთ, შებრძანდით! — მითხრა და კაბინეტის კარი გამიღო.

ირმა რაღაცას წერდა. დამინახა თუ არა, საქმე მიატოვა და მეგობრულად დამიძახა:

— შემოდი, შემოდი, თამაზ!

მივუახლოვდი. ჩემი კომკავშირული საბუთები ამოვიღე და მაგიდაზე დავუწყე. სკამზე ჩამოვჯექი.

ირმამ კომკავშირული ბილეთი აიღო, გადაშალა და ჩემს სურათს დააქცერდა. ეს ის ბილეთი იყო, თხუთმეტი წლისამ რომ ავიღე.

ირმა ფიქრში წავიდა, ჩემ სურათს თვალს არ აშორებდა.

— როგორ გამოიცვალე! — მითხრა და შემომხედა. ეერ ვუძღვებდი მის ცქერას დიდხანს. მზერა მის ხელებზე გადავიტანე, სათუთად რომ ექირა ჩემი სიკაბუჯის საბუთი.

— მე კი აღარა მაქვს ის ბილეთი. მინდოდა კი საშუადამოდ დამრჩენოდა.

ირმა პარტიის წევრი იყო. მას, როგორც რაიკომის მდივანს, ჰქონდა კომკავშირული ბილეთიც. მაგრამ ის, პირველად ჩემთან ერთად მიღებული კი აღარ გააჩნდა. ჩემს ბილეთში ეკრა ლინდლიანი, უმწიფარი ჰაბუჯის სურათი. ახლაც კი კოკორა უღვაწით ვიყავი დამშვენებული.

შემოვიღა სადარიცხო სექტორის გამგე. შავი, ჩასუქებული ქალი იყო. სულ არ შეშვენოდა იმ ორგანიზაციას, სადაც იგი მუშაობდა. ირმას რამდენიმე კომკავშირული ბილეთი შემოუტანა ზელ-

მოსაწერად. ამ დროს ოდნავ ღიად დარჩენილ კარის ღრიტოში ორიოდე ჭაბუკისა და ქალიშვილის აღელვებული, შეწითლებული სახეები დაეცინახე.

— ხომ არ გეჩქარება? — მკითხა ირმამ და ჩემი საბუთები გვერდით გასწია, — ახლავე გავისტუმრებ რამდენიმე ახალგაზრდას და მერე შენს საქმეზე მოვიფიქროთ...

— არა, არსად არ მეჩქარება.

ირმამ კარისკენ გაიხედა და ახალგაზრდები რომ დაინახა, მაშინვე შემოიხშმო ისინი:

— მობრძანდით, ამხანაგებო!

ამხანაგები: ორი ყვინჩილა ბიჭი და სამი ცნაჭა გოგო.

ის დღე გამახსენდა, მე და ირმა ამავე ოთახში პირველად რომ შემოვედით და სწორედ ასევე, როგორც ახლა ირმა, შეგვეგება რაიკომის მდივანი.

ირმამ საითათოდ ყველას მოუწერა ხელი კომკავშირულ ბილეთში. როცა ხელს აწერდა, ვგრძნობდი, რომ ეს არ იყო მისთვის ჩვეულებრივი ხელმოწერა. გულით სურდა იმდენი სიტბო ჩაეყოლებინა ამ ბილეთში, რომ ახალგაზრდებს დიდხანს გაჰყოლოდათ საგზალად, დიდხანს დამახსოვრებოდათ ეს მათთვის ყველაზე უფრო სანუკვარი დღე, როგორც ჩვენ ქრუანტელით ვიხსენებთ ხოლმე ჩვენი ჭაბუკობის პირველ დღეს, აპრილივით ნაზსა და მიისივით ლამაზს.

სიამოვნებით შეეყურებდი გოგო-ბიჭებს. ლელავდნენ. უხაროდით. სკამები შესთავაზეს, მაგრამ არ დასხდნენ. გოგონები ცმუკავდნენ.

ირმამ ხუთივე ბილეთს მოაწერა ხელი და წამოიღვა. ალბათ გული საგულეს აღარ ჰქონდათ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ის კი არა, მეც ვღელავდი, სკამზე ვერ ვჩერდებოდი.

ირმამ ბილეთები გადასცა, ხელი ჩანოართვა და კომკავშირობა მიულოცა მათ.

ბოლოს მხიარულად გაილაღნენ კაბინეტდან. ერთი სული მქონდა მენა-

ხა, რა ყოფით წავიდოდნენ ქუჩაში. წამოვდექი და ფანჯრისკენ გავწიე.

— ბედნიერები არიან. ომი მთავრდება, მშვიდობიანად იცხოვრებენ...

ფანჯარას მე და ირმა ერთად მივადექით. ირმამ ფარდა გადასწია და დავინახეთ იმ ბავშვებს, ხუთივეს, ხელში ეჭირა კომკავშირული ბილეთი. მხიარულად, ხამალალი კამათით მიდიოდნენ ქუჩაში.

— ახლა კი შენი საქმე მოვაგვაროთ, — მომმართა ირმამ, — არ ვიცი, შენ რას ფიქრობ, რას აპირებ.

— ცოტა ხანში მუშაობას დავიწყებ. მერე უმადლესხედაც ვიფიქრებ.

— იქნებ ადგილიც გაქვს შეგულებული?

— არა არსად.

— ფეხი ძალიან გაწუხებს?

— არა, ტკივილებს აღარ ვგრძნობ. ერთ-ორ კვირაში ყავარჩენებსაც მოვიშორებ.

— აბრეშუმის ფაბრიკაში მუშახელი აკლიათ. იქნებ გეფიქრა? ვიცი, ძალიან მოგწონს ეს ფაბრიკა. სახლთანაც ახლოა.

— მქსოველობა დავიწყო? — ჩამეღიმა, — აი, რა ცუდია, როცა ღრმად არც კი გიფიქრია შენს მომავალზე. უწინ ათას რამეზე ვოცნებობდი და ახლა კი ჩემთვის შესაფერი საქმე ვერ გამომიინახავს.

— ასე ბევრს მოსდის. მარტო შენ არა ხარ. ფაბრიკაში საშენო საქმეს გამოძებნიან. იქ ბევრი კარგი ახალგაზრდა გვყავს და მათთან ერთად სიამოვნებით იმუშავენ.

— შენ როგორც მირჩევ, ისე მოვიქცევი. — ვუთხარი მღელვარე ხმით და თავი დაეხარე, — ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

— მეგობრები, — გაიმეორა ირმამ და გაშშორდა, თავის მაგიდას მიუახლოვდა, სადაც ჩემი კომკავშირული საბუთები ეწყო.

საბურთალოს ბაზარზე კვლავინდებური ჩოჩქოლი იღება. კვლავ ბლომად გამოსულიყვნენ ხელზე მოვაჭრენი. ნაირნაირი ხალხი ირეოდა. ბრბოში ჩემსავით ყავარჯნიანი მამაკაცებიც მხედებოდნენ. ზოგი მამარას ყიდიდა, ზოგს მხარზე ხურჯინივით გადაეკიდა ერთმანეთზე ბაწრით გადაბმული ჭარისკაცური კირზის ჩექმები.

ფეხსაცმელები უნდა მეყიდა. ერთი სული მქონდა, ცალ ფეხზე მაინც მცმობდა მსუბუქი ფეხსაცმელი. სამხედრო კომისარიატში მიღებული ფული ადრე მოგროვილ ცოტაოდენ ფულს დაეუმატე, ეგებ საჩემო რამე შემხვდეს-მეთქი.

თავისუფლად როგორ გაივლი ამდენ ხალხში! გაწყდებიან, აწყდები. ზოგი ბოდიშს გიხდის, ზოგი ზედაც არ გიყურებს. ზოგი სიბრაღულით შემოგხედავს, ზოგს სულ არ ენადვლები. ზოგს თუ შენიშვნა მიეცი, ისეთს შემოგიბღვერს, პიტლურსაც კი დაგავიწყებს.

როგორც იყო მივაგენი საჩემო-ფეხსაცმელს. ხელით შეკერილი იყო, მაგრამ თვალი მიმივიდა. ნამდვილად საჩემო იყო. ისეთი ფასი დამიდო კაცმა, იმ ფულით ასი კილო პური მოვიდოდა. ფულს ბარაქა არ ჰქონდა და რა როგორ დაეფასებინათ, კაცი არ იყო გამკითხავი. ჯიბე მოვიჭექე, ფული გადავთვალე. ბევრი დამაკლდა. ვევაჭრე. ძალიან ცოტა დამიკლო. ზეწნა-მუდარას ზომ არ დავუწყებდი! გულდაწყვეტილი დავშორდი. ბევრი ვიარე, მაგრამ იმნაირი ფეხსაცმელი ვეღარსად ვნახე. ისევ იმ კაცს აეუარე. ჰა, დააკლებ თუ არა-მეთქი, ერთი კი ვკითხე და ისევ ცივი უარი რომ მითხრა, პირი სხვა მხრით ვიბრუნე.

ტიპტიპას „ფაბრიკა“ ისევ ძველ ადგილას იყო. ტიპტიპაც ისევ ისე იჯდა და ფეხსაცმელის ძირს ჩაქუჩს უხათქუნებდა. ქვეყანა ლამის გადაბრუნდა, მილიონობით ადამიანი წავიდ-წამოვიდა, ეს მაინც ისევ ისე იჯდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს ქვეყანასა ზედა.

უფრო ძველი, გაცრეცილი და დაკრუებული ხალათი კი ეცვა. შევადექი გრძელ მარჯობა-მეთქი, ვუთხარე, გვერდით ერთი კი შემომხედა, გაგიმარჯოსო, მიპასუხა და ისევ ფეხსაცმელს დაუთათქუნა ჩაქუჩი. მერე უცებ შემომხედა.

— შენ ისა არა ხარ... დაიცა, რა გქვია? ვარდენასი არა ხარ?

— ჰო, ისა ვარ, ძია ტიპტიპ, თამაზი.

— დაჭრილხარ კიდევც, ჰა?

— დამჭრეს იმ ოხრებმა.

— მერე შენ?

— მე რა, ძია ტიპტიპ?

— შენ რაღა უყავი? ერთი მედალი ველარ გაიმეტეს? თუ ვერაფერი იმასქენი?

— ჰო, რა ვიცი... ერთი ტანკი დავწვი, მეორეს გვერდი შევუღოწე...

— შენა? — პირი დააღო ტიპტიპამ და თვალები გადმოჟარკლა.

— ჰო, მე.

— მერეღა, ეგრე ამბობ, ვითომ არაფერი?

— მა რა ვქნა, დავდგი და ვიყვირო?

— მერე ორდენი, ბიჭო?

— საბუთები დაკარგეს, თორემ...

— ვინ მამაძაღლმა დაკარგა?

— რა ვიცი, აბა.

— მოდი, შუბლზე უნდა გაკოცო, თუ არ მატყუებ.

— ყველა საფიცარს დავიფიცებ, ტყუილი რა საკადრისია.

— მაშ დაკარგეს ჰა?... მერე, შენ რა უთხარი?..

— მე რაღა უნდა მეთქვა. დამჭრეს და ჰოსპიტალში გამაქანეს.

— აფსუსს ხდება ხოლმე. მამაშენისა რა ისმის, დაიკარგა და დაიკარგა, ჰა?

— არაფერი არ ვიცი.

— ბევრი გამოჩენილა და ეგეც გამოჩნდებოდა. მთავარია ის შავი ქალაღი არ მოვიდეს. მაშ შენ ორი ტანკი... ყოჩაღ, მალადეც, სალოლო..

— კარგად იყავი, ძია ტიპტიპ.

— გამოიარე ხოლმე. ეხლა შენ ამბებს ქვეყანას მოვდებ... ორი ტანკი... ეხუმრებდი, კაცო! გმირი ხარ და გმირი!

— არ გინდათ, ძია ტიპტიპ. რა საკი-
როა...

— ვა, ეს ვინა ყოფილა კაცი!

შევევედრე, რომ არაეისთვის არ ეთ-
ქვა. მართლაცდა, რა საჭირო იყო. მე
ჩემი ვალი მოვიხადე და ტყუილად არ
მივლია ჯოჯობეთური ცეცხლის წინა
ხაზზე.

ტიპტიპას რომ დავშორდი, ბაზრის
შუაგულში შევედი. აღმასიანის ქუჩის-
კენ წავედი. აქ ერთი პატარა შუკა გა-
დიოდა. შუკის გარდიგარდმო, ღობეებ-
თან იდგნენ ხელზე მოვაჭრენი.

უცებ თვალი მომტაცა წითელმა პა-
წია ფეხსაცმელბმა. ისე პაწაწები და
კოხტები იყო, გულგრილად ვერაფერ
ჩაუვლიდა. და მეც ვერ ჩაეფურე. ხელ-
ში ავიღე და შევათვალეირე. შესაბნე-
ვიც რა ლამაზი ჰქონდა! გვერდით წი-
თელსავე ღილზე იკვრებოდა. მაშინვე
სიხარულით გამახსენდა ირმას პატარა
გოგო, თამარიკო.

— რა ღირს, დედი, ფეხსაცმელი?

— შენ არ გამოგადგება, — შემომეს-
მა ვილაყის უადგილო ხუმრობა. შევხე-
დე, ჩემს გვერდით უცნობი აყლაყულა
კაცი იდგა ნასვამი იყო. ხელში გამხმა-
რი ტარანი ეჭირა, — აჰა, იყიდე. ეს
კუქს გაგიძღობს.

— იქით გაიარე! — შევეუბღვირე და
წამოვიქოჩრე.

— რა გაწყენინე, შე კაი კაციო. ბო-
დიში! — გულზე ხელი მიიდო, მოიხარა
და უკან დაიხია, მალე ბრბოში დაიქარ-
გა.

ისევე დედაბერს მიეუბრუნდი. ფასი
მითხრა, მერე რა ფასი! ჩემი სარგო ფე-
ხსაცმელის ფასს არაფრით ჩამოუვარ-
დებოდა, მაგრამ რახან თამარიკოსთვის
მისი ყიდვა გუნებაში სიხარულით გავი-
ვლე, დედაბერს შევევაჭრე კოდეც.

— ვისთვის გინდა?

— ღისწულისთვის, დედი. აბა, მე მთ-
გდენი ფული ვინ მომცა.

— ვისაც ფული აქვს, ის იყიდის.

— გეხეწები, დედი, როგორც შენი
შვილი. ჯარში არაფინა გყავს?

— როგორ არა მყვანან, ბეგრეცა
ჭყვანან. გვიჭირს და მა რე ვჭყნა...

— დაღბინებული არაფინა არაფინა...
წაწა ფეხსაცმელში მაგდენ ფულს ვინ
მოგცემს. მაშ ვერ მოვრიგდებით?

— მეც ცოლო ვარ.

ვიდექი და ფეხს არ ვიცვლიდი. არც
აღარაფერს ვეუბნებოდი. აღარც დედა-
ბერი მაქტევდა ყურადღებას. ახლა მას
სხვები ევაჭრებოდნენ. ფეხსაცმელს რა-
მდენი ვინმე აიღებდა, იმდენი გული
საგულეს აღარ მიჩერებოდა, ვაითუ
ვინმემ იყიდოს-მეთქი, მაგრამ ჩემს ბე-
დად ყველას ძალიან ეჭვირებოდა. მე კი
ისევე ვიდექი და ფეხსაცმელს დაეყურე-
ბდი. არ ვიცი, რამდენმა ხანმა განვლო,
ბოლოს და ბოლოს დედაბერს მიე-
მართე:

— აი, ხომ ხედავ, არაფინა ყიდუ-
ლობს.

დედაბერმა ერთი ქვეშ-ქვეშ შემომ-
ხედა, მერე ორივე ფეხსაცმელს დაე-
ვლო ხელი, ხელში ჩამჩარა და თითქოს
მოწყალება გაილოო, ისე მითხრა:

— წაილე, პო!

გამეხარდა. ფული ჩაეუთვალე. ის
იყო უნდა გაეშორებოდი, დაიცადეო,
შემაჩერა, ბოლჩა გადმოაქოთა და წი-
თელი ბაფთა ამოიღო:

— ესეც წაუღე, მოუხდება.

— ამას რაღას აფასებ?

ფასი მითხრა.

— ყველაფერს ცეცხლი როგორ წაუ-
კიდეთ, რა მოგივიდათ?

— ფული ხო დაგჩა. ამისთვის გე-
ნანება, შე კაი კაციო? აჰანდე, ათ მა-
ნეთს დაგიკლებ. ათ მანეთად, ხო იცი,
ერთი კილო თეთრი პური მოდის. აი,
ერთ კილო პურსა ეზარალობ.

ის წითელი ბაფთაც ვიყიდე.

ბაზრიდან რომ გამოვდიოდი, ჯარის-
კაციო, ჯარისკაციო, ვილაყ ამედევნა. მი-
ეხედე, ის კაცი იყო, ჩემს ფეხსაცმელზე
რომ ვევაჭრებოდი. ფეხსაცმელი ისევე
ხელში ეჭირა. თურმე მთელი ბაზარი
შემოევლო და მე მექებდა. აჰანდე, იმ
ფასად წაილე, შენ რომ გინდოდა. — მი-

თხრა და ფეხსაცმელი შემომჩინა, მაგრამ ხახამშრალი მივაჩერდი.

— ეჰ, საღლა მაქვს ფული! აი, ესენი ვიყიდე.

კაცი შეკრთა, პაწია ფეხსაცმელი რომ დავანახე. შიშითა და ეჭვით შემომხედა და ცივად გამშორდა.

არ მინდოდა გამოვჩენილიყავი, რატომღაც ირმასი მომერიდა და პატარა თამრიკოს საჩუქარი ფოსტით გავუგზავნე. ამანათი მიიღეს თუ არა, ირმას დედას მაშინვე მოერთო გოგონა და სალომეს ვაღმომუყვანა სანახავად. მეც იმ დღეს ვნახე თამრიკო დიდი ბაფთითა და წითელი ფეხსაცმელით დამშვენებული.

ასე მეგონა საიდუმლოდ დარჩებოდა ჩემი ნამოქმედარი, მაგრამ ირმა შემხვდა თუ არა, საყვედურით ამავსო:

— ასე რად აჩქარდი საჩუქარზე, თამაზ? შენ თვითონ რამდენი რამ გჭირდება. ვინ იცის, რამდენი ფული მიეცა ბაზარში რა ძვირია ყველაფერი!

მე არავითარი საჩუქარი არ ვიცემეთქი, თავი მოვიკატუნე. მაშინ იმამ ნალელიანად შემომხედა და მითხრა:

— რად მიძალა? დიდი მადლობელი ვარ შენი ყურადღებისა.

37

ორიოდე წელი არ მენახა ჩვენი უბნის თავაკი ფერაძე. არც ძალიან მაინტერესებდა მისი ნახვა. ეზოში შემოვხეტა და დიდი ამბით ჩამომართვა ხელი. ისედაც გამხდარი და აწოწილი კაცი, ახლა უფრო გამხდარი მეჩვენა. თმაში ჭალარა გამოჩნდა.

— მომილოცავს, მომილოცავს! — მითხრა კიდეც ერთხელ.

ვერ გავიგე რას მილოცავდა. იქნებ შინ მშვიდობით დაბრუნებას?

— გავიგე, დიდი გმირობა ჩავიდენია ფრონტზე. უნდა გისაყვედურო ძმურად... ისე, მამა-შვილურად... რომ ეს თქვენგან არ გავიგე პირადად. ვილატ

ტიბტიპასაგან უნდა ვაგვეგო? რა ორდენი მოგცეს, მაჩვენე ერთი.

— ტიბტიპასაგან ის კი უნდა გვიჩვენოს რომ ორდენი არ მიმიღია?

— როგორ! — შეიცხადა ფერაძემ, — ორი ტანკი გაანადგურეთ და ორდენი არ მოგცეს?!

— ჰო. ხდება ხოლმე, რა ვიცი.

— ამხანაგო! — ცერად შემომხედა ფერაძემ, — იქნებ საბუთი გაქვს რაიმე? რით ადასტურებ, რომ ორი ტანკი დასწვი?

— არაფრით. მე ასეთი საბუთი არ გამაჩნია.

— მაშ ისე ტრაბახობ?

— რას მიქვია ტრაბახი... აქ სატრა ბახო რა არის?

— რა და ის, რომ... გამოდის ისე, თითქოს შენი დიდი დამსახურება ჩვენი საარდლობამ უყურადღებოდ დატოვა და ასე უორდენოდ გამოგისტუმრა... არ დაგაფასეს... ასე რომ არ ხდება?!

— თქვენ რა გინდათ ჩემგან, ეს მითხარით.

— მე ის მინდა, რომ...

— ახლა აქედან წაბრძანდი, ამხანაგო ფერაძე, თორემ რაც ფაშისტებს დავაკელი, იმას შენ შეგისრულებ! — ავენტე და გაბრაზებული წამოვიჭერი. ფერაძემ უკან დაიხია. ვიცოდი, რომ დამარცხებული არ დატოვებდა ბრძოლის ველს. რაღაცას მაინც მეტყოდა, ან დამემუქრებოდა. კიშკარს რომ მიუახლოვდა, იქიდან მომამძახა, მაგ ამბებს კომისარიატში გავარკვევთო. არც ვაცხელე, არც ვაციე, შორიდან მოვუქნიე ყავარჯენი და კარში რომ არ გაესწრო, ალბათ იქვე ჩაჰკეცავდა.

მას აქეთ შორი-შორ მივლიდა, სათოფეზე აღარ შეკარებოდა.

38.

ერთი დიდი მალაზიის ვიტრინის შუაშუგერმანიის უზარმაზარი რუკა იყო გაკრული. რუკასთან ყოველ დღე უამრავი ხალხი იყრიდა თავს. ჩვენი ჭარე-

ბის მიერ დაკავებული ტერიტორია წითელი ფანქრით იყო შეფერადებული. რუკაზე დღითიდღე მატულობდა ეს ფერი. აპრილი იწურებოდა და წითელი მარწყხი ბერლინთან თანდათან ვიწროვდებოდა.

ისევ ძველებურად ანათებდა ჩვენი ჭიშკრის მახლობლად ელექტრობოძე მოციმციმე ნათურა. მაგრამ საღამოობით მის შუქზე ვეღარ ვხედავდი სამუშაოდან შინმობრუნებული მამაჩემის ლანდს. ის აღარ მოდიოდა. აღარ მოდიოდა შერმადინი. თავის პატარათი მოგვიანებით გამოჩნდებოდა ხოლმე ირმა. ყოველ საღამოს ეწვეოდა დედამთილ-მამამთილს.

რაგინდ გვიანაც არ უნდა მოსულიყო ძია სანდრო ქარხნიდან, თავის სახლის კართან მაინც ჩამოკედებოდა, ან ჩემთან, ან ძია ვანოსთან ერთს ძუნწად გაისაუბრებდა. კარის თავზე ჩამოკიდებული შავი თეფში ხანდახან ისე დადუმდებოდა, ყრუ სისინის მეტი არა ისმოდა რა. ძია სანდრო ბრაზობდა.

— სწორედ ახლა ჩაუწყდა ხმა, როცა ჩვენი გამარჯვება ახლოვდება.

— ადექი და გადააგდე, — ვურჩიე ერთხელ.

ერთ საღამოს შინ აღრე დაბრუნდა. რადიოს ოსტატი მოიყვანა. ამაღამ რვა საათზე ჩვენს ქარხანაზე უნდა ილაპარაკონო, მითხრა ძია სანდრომ. ახლაც ისეთივე იერი დაჰკრავდა, როგორც ძაშინ, მოსკოვიდან ორდენით დაჯილდოებული რომ დაბრუნდა.

— შენ იცი, თუ ამოაღებინებ ხმას, — უთხრა ოსტატს და რეპროდუქტორი თავად ჩამოხსნა.

ოსტატმა ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და დაცინვით ჩაიფრუტუნა:

— მკედრის გაცოცხლება იქნება?!

— იქნებ რამე მოუხერხოს! — გულუბრყვილო პატარა ბავშვიკის მინდორის მკედელმა.

ძია სანდრო უბეირო რეპროდუქტორის გამო ნერვიულობდა, ოსტატს ევედრებოდა, ერთი იმდენი მაინც ამოაღებინე ხმა, ჩურჩული ვაგვაგონოსო.

ოსტატმა კიდევ უიმედოდ გააქნია თავი. მაგიდას მაინც მიუჯდა. ძია სანდრო ხელებში მისჩერებოდა. ნაღვლიანი სახე ჰქონდა, დადუმებულ შავ თეფშს ისე დაჰყურებდა, როგორც სასიკვდილოდ გადადებულ ახლობელ ვინმეს.

— ასე რად ვანიციდი, ძია სანდრო? შენზე კარგის მეტს განა რას იტყვიან. შენ ხომ ქარხნის სული და გული ხარ, — უთხრა რადიოს ოსტატმა. მაშინ მივხედდი, რომ ეს კაცი ძია სანდროსთან დაახლოებული ყოფილა.

— ჰოდა, სწორედ ეგ მაინტერესებს, რას იტყვიან და როგორ იტყვიან... მარტო მე კი არა ვარ. ქარხანა ერთი კაცი როდია. მიდი, ბიჭო, დაშლას ერთი საათი უნდები, როდისღა ააწყობ?

— იმედი არ მომიცია. ან იქნება, ან არა.

— ეჰ! — ხელები მოიფშვინია ძია სანდრომ და საათს შეხედა. რვას უკლდა ოცი წუთი. მაგიდაზე რეპროდუქტორის ნაწილები ისევ დაშლილი ეყარა.

— ან იქნება, ან არა. — თავისთვის აპიობდა ოსტატი.

— სადმე მაინც წავსულიყავ, — ბურტყუნებდა ძია სანდრო.

ოსტატმა ააწყო რეპროდუქტორი. ისე მტერი დაგიდუმდეთ. როცა შეაერთეს, ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ძია სანდრომ ხელი ჩაიქნია და ნაღვლიანად შემომხედა.

— რა ვქნა, — შეწუხდა რადიოს ოსტატი. — მე ჩემი ვცაღე.

— ახლა რომ ვინმესთან წავიდე, რა-
ღას მივუხსნებ.

რადიოს ოსტატი გამოგვემშვიდობა.
ძია სანდრომ შავ თეფშს შეხედა და პი-
აფურთხა.

— დაჟე, ჩვენ მაინც ვილაპარაკოთ.
ამ გაბრაზებულ გუნებაზე კახურიც და-
ვლიოთ თითო ჭიქა. საჭმელი კი არაფე-
რი მაქვს, მაგრამ...

მაგიდაზე ერთი ბოთლი ღვინო დად-
გა, ორი ჭიქა შეავსო. როცა გადავკა-
რით, მკითხა, მუშაობას სად იწყებო.

— აბრეშუმის ფაბრიკაში მგზავნის
კომკავშირის რაიკომი. წავიმუშავებ,
წელს მოვიმაგრებ და სწავლაზედაც ვი-
ფიქრებ.

— შენი კარგი ბიჭობისა ის მომწონს,
რომ არაფერსა თაკილობ, — ძია სანდ-
რომ რეპროდუქტორს შეხედა. — და-
იწყეს და, ვინ იცის, რას ამბობენ.

ამოღ შევეკებოდით შავ თეფშს,
რომელიც კარის თავზე ეკიდა.

კომკავშირული საგზურით აბრეშუმის
ფაბრიკას მივადექი. კომკავშირის კო-
მიტეტის მდივანი კადრების განყოფი-
ლებაში შემიძღვა. არჩევანი საჩითავ
სამაქროზე შეჩერდა. სამაქროს ოსტატი
იმ დროს კადრების განყოფილებაში
იყო და უთხრეს, დამხმარე მუშად ავე-
ყვანე.

ოსტატი ძველი მუშაკაცი იყო. ამხედ-
დამხედა და მერე კადრების განყოფი-
ლების გამგეს წყენით უთხრა:

— აბა, ამან რა უნდა გამიკეთოს?

— რატომ გგონიათ, რომ მე ვერა-
ფერს ვერ გაგიკეთებთ? — წყენით მი-
ვუგე ოსტატს.

— იცი კი სად გაგზავნიან? მე ისეთი
ხალხი მჭირდება, ორივე ფეხზე მაგრად
იდგეს. დღეში თითო მუშა ჩემს სამაქ-

როში ექვს-შვიდ კილომეტრ გზას ავე-
თებს.

— განა სულ ასე ვიქნები? ბევრი-
ბევრი ორი კვირა კიდე. შემიძლია
დღესვე გადავყარო ყავარჯნები.

მართლა? მე კი მეგონა სულ ასე იქ-
ნებოდი და გულზე შემომეყარა, — მი-
თხრა ოსტატმა ღიმილით და მერე გამ-
გეს მიუბრუნდა, — წავიყვან, კარგი ბი-
ჭი ჩანს.

გზაში სახელი და გვარი მკითხა. თვი-
თონაც გამეცნო. კახელი კაცი იყო, შაქ-
რო გონაშვილი. ფაბრიკას შებერებოდა.
კარგა ხანს მჩითავად უმუშავებია და მე-
რე სამაქროს ოსტატად დაუწინაურებო-
ათ.

მთავარი შენობის ქვემო სართულში
გავიარეთ. ზემო სართულებში დადგმუ-
ლი დაზგები შენობას აზანზარებდნენ.
ვიწრო კიბით მალლა ავედით და ფაბრი-
კის უკან ეზო გადავიარეთ, საქვების
გვერდით დაბალ შენობაში შევედით,
სადაც საჩითავი სამაქრო იყო. ომის
დროს ის სამაქრო არ მუშაობდა. მაშინ
ფაბრიკაში მხოლოდ წყალგაუმტარ
ქსოვილს და საპარამუტე აბრეშუმს ამ-
ზადებდნენ. მაგრამ ახლა, როცა გამარ-
ჯება კარზე მოგვადგა, როცა მოხატულ
საკაბეებს მალე გაუჩნდებოდა მუშტა-
რი, სამაქრომაც განაახლა მუშაობა.

ექვს თოთხმეტმეტრიან მაგიდაზე აბ-
რეშუმი იყო გადაჭიმული. თითო მაგი-
დას ორი მჩითავი მიჰყვებოდა შაბლო-
ნის ყუთით, რომელშიც საღებავი ესხა.
მჩითავები სწრაფად მოძრაობდნენ, მა-
გიდას ცალ მხარეზე ერთმანეთის მო-
შორებით გაკეთებულ სამაგრს გამოს-
დებდნენ შაბლონის ყუთს და ნაირფერ
ყვავილებს ბექდავდნენ გადაჭიმულ
ქსოვილზე. მჩითავები მაგიდას ისე
სწრაფად აუყვებ-ჩაუყვებოდნენ, გო-
ცებული დავრჩი. ოთხი ქალი და ორი
მამაკაცი იყო. ზია ტანისანი იყვნენ, მა-

გრამ მძიმე სამუშაოს ვაეკაცურად შეს-
ვლიდებოდნენ.

— მოგწონს? — მკითხა გონაშვილმა.

ვერ მივუხვდი რაზე მეკითხებოდა,
მოჩითულ აბრეშუმზე, საამქროზე თუ
თავის ხელმარჯვე მუშებზე. მეც მოკ-
ლედ მივუგე, მომწონს-მეთქი. აბა რა
მეთქვა.

პირველ ორ მაგიდაზე მოჩითული აბ-
რეშუმში სრულებითაც არ მომეწონა.
მწვანე, შვინდისფერი და შავი ლაქები
უგემოვნოდ ლაგდებოდა. არ ვიცი, რო-
ცა დაიჭრებოდა და შეიკრებოდა, რო-
გორი იქნებოდა, მაგრამ ახლა არაფრად
არ ვარგოდა. ველარ მოვითმინე და ჩემი
აზრი გავანდე ოსტატს.

— ეს რა ნაჭერია, ამას ვინ იყიდის!

— არ მოგწონს?

— აბა, რა მოსაწონია!

— მხატვრები ჩვენ არ გვეკითხებიან.
ფაბრიკის სამხატვრო საბჭოში ამტკი-
ცებენ მათ ნამუშევრებს. ჩვენი საქმეა
ვჩითოთ ის, რასაც მოგვცემენ.

— თქვენ არ შეღიხართ იმ საბჭოში?

— არა. არც მიფიქრია. ამდენი ხანია
აქ ვმუშაობ და სულ იმას ვაკეთებ, რა-
საც დამავალდებენ. დაცა, რატომ არ
მოგწონს ეს ნაჭერი?

გუნება წამიხდა. გონაშვილი გემო-
ნებიანი კაცი მეგონა. ვინ იცის, სწო-
რედ ეს უზარმაზარი თოფი ნესტანის ან
თინას მოქსოვილია. ქალები თავს აკ-
ლავენ, რომ მაღალხარისხოვანი ქსოვი-
ლი ჩააბარონ, ამ საქმით სახელს ითქვა-
მენ, მჩითავები კი ზედ უშნო ლაქებს
ათხიზნიან. აბა, რა ფასი აქვს ასეთ ნა-
მუშევარს? ცოტა არ იყოს, მქსოველებ-
ზედაც მომივიდა გული, ნუთუ ბოლომ-
დე არ მისდევენ იმას, რასაც აკეთებენ?

— ეს მწვანე, შვინდისფერი და შავი,
სამივე მუქი ფერია და როცა გვერდი-
გვერდ ლაგდება, ერთმანეთსა ნთქავს
და არაერთარი ნახატი არ გამოდის.
აგერ იმ მაგიდაზე რომ ჩითავენ, ის
უფრო მომწონს.

ოსტატმა ამხედ-დამხედა.

— მხატვარი ხო არა ხარ, ბიჭო?

— არა. მხატვრობის ნიჭი რომ მქონ-
დეს, მაშინ აქ კი არ მოვიდოდე ავადღე-
მისას მივიდგებოდი.

— რა ვიცი, ისე დაიწყე ლაპარაკი,
რომ...

— შეიძლება მეგრე უფრო მეტიც ვი-
ლაპარაკო, როცა უშნო რამეს გაგვაკე-
თებინებენ.

— ამ საქონელს თავისი მუშტარი
გამოუჩნდება.

— დახლზე დადებენ და ზედ არაფერ
შეხედავს, — ჭიუტად მივუგე გონაშ-
ვილს.

— ე, ძმაო, შენ ისეთი რიხით მოხვე-
დი... იცი კი პირველად რაზე უნდა გა-
მუშაო?

— სხვა კიდეც რა საქმე გაქვთ აქ?

— ჭერ საღებავების ჩამსხველი იქ-
ნები. რომელი კლასიდანა ხარ გაპოუ-
ლი?

— საშუალო დავამთავრე.

— შენ ჩვენთან არ გამოდგები ალ-
ბათ მალე გაგვექცევი.

— პირობას გაძლევთ, რომ არ გაგვექ-
ცევიო.

სანამ მე და ოსტატი ვსაუბრობდით,
თვალს არ ვამორებდი მჩითავებს, მა-
გიდებს რომ დასტრიალებდნენ.

ოსტატს აღვუთქვი, როგორც კი მე-
ორე ფეხს მიწას შევახებდი, საამქრო-
ში მოვიდოდი სამუშაოდ. გულმა ისე
არ გამიწია ფაბრიკიდან, ნესტანისა და
თინასთვის ჩემი ამბავი რომ არ გამეგე-
ბინებინა.

საქსოვ საამქროში შევხანხალდი.

დები ახლა ერთ ბრიგადაში იყვნენ
და განცალკევებით მუშაობდნენ, დიდი
საამქროს გვერდით, მომცროს საამქრო-
ში, სადაც თოთხმეტი დაზგა იღვა, ერთ
ცვლაში იყვნენ და ერთმანეთსა ხელს
აშველებდნენ. თინა უკვე არაფრით ჩა-
მოუვარდებოდა ნესტანს. საწაღელს
დიდი ხანია რაც მიაღწია და ერთხელ
მოხვეჭილი სახელი აღარ შეუტრცხვენი-
ა, მისი სურათი შევფითლებულიყო კიდეც
ფაბრიკის საბატიო დაფაზე.

ნესტანს იმ დროს დავადექ თავზე,

როცა ერთ დაზგაზე მაქოს მართავდა. მაქო ღარში გაუშვა და შემომხედა. დე-
ბი ყოველთვის სასოებით მხედებოდნენ;
თინამ ერთხელ შემომტირა კიდევ, შერ-
მადინის შემდეგ შენა ხარ ჩვენი ძმად.
და როგორც ძმას, თავს ისე მეველებო-
დნენ. ისიც იცოდნენ, რომ მე მათ ფაბ-
რიკაში ვიწყებდი მუშაობას.

მანქანების გრიალში ვინმე თუ რამეს
მიმართავდა, დები ტუჩების მოჭრაობით
უხედებოდნენ სათქმელს. აგერ, თითქ-
მის ათი წელი იწურებოდა, საქსოვი მან-
ქანების ხმაურში მიდიოდა პათი ცხო-
ვრების უმეტესი დრო.

თინამაც დამინახა, დაზგებს შორის
გამოიქცა, მომიახლოვდა, ტუჩების ცმა-
ცურითა და ხელით მანიშნა, შენი საქ-
მისა რა ჰქენიო.

— საჩიოთე საამქროში ვიწყებ მუშა-
ობას, — ხმამალა ვუთხარი.

— არ გაგიძნელდება? — სახე მოედ-
რებლა თინას. სწრაფად გაიხედა დაზ-
გებისაკენ, ისე, როგორც ცელქი ბიჭუ-
ნების მეთვალყურე გახედავს შორიან-
ლო მყოფ თანავრებს. მაგრამ თუ ერთი
მათგანი „იკულლუტებს“, შორადანვე
გაუგებს.

თინას ვუთხარი, რომ ძალიან მომწონს
საჩიოთე საამქრო. ჩემი გულსტიკივილი
არ დაუშვალე, რატომ ყურადღებას არ
აქცევთ იმ თქვენს ნაქსოვს როგორ
სერიან და აჭუჭყიანებენ-მეთქი.

არ ვიცოდი, რომ ნესტანი სამხატვრო
საბჭოს სხდომებს ესწრებოდა და ქარხ-
ნის ხელმძღვანელებთან ერთად არჩევ-
და წარმოებაში დასაწერგავ ნიმუშებს.
მხატვრებთანაც ბევრს დავობდა თურმე.
იქნებ ნესტანს ის მოჩითული აბრეშუმი
უფრო მოსწონდა, რომელიც მე თვალ-
ში არ მომივიდა.

ჩემთვის ძალიან საინტერესო საქმეს
უჩანდა პირი, მთელი ჩემი არსებით უკ-
ვე იქ ვტრიალებდი, შაქრო გონაწვილის
საამქროში, სადაც საბოლოო ელფერი
ედებოდა მთელი ამხელა ფაბრიკას ნუ-
შათა ნაწრომ-ნამოღვაწარს. და ის სა-

ბოლოო უნდა ყოფილიყო ღამაში,
თვალმისატაცი.

ერთმა „ონავართან“ „წიციფლუტა“
თინა უმალ მოწყდა აღვილს, შეიჭრა
დაზგებს შორის და იმ „ონავართან“ გა-
ჩნდა.

თოთხმეტიდან ერთი დაზგა რომ გა-
ჩერებულყო, შეუჩვეველი ყური ვერც
შეამჩნევდა მის დადუმებას. მაგრამ დე-
ბის სმენას ისევე არაფერი ეპარებოდა,
როგორც კარგ დირიჟორს დიდ ორკეს-
ტრში ერთი ყალბი ბგერა რომელიმე
საკრავისა.

დების თოთხმეტი დაზგა პარმონიუ-
ლი ორკესტრი იყო. ციმციმებდნენ აბ-
რეშუმის სხივები და გამალებით და-
ხათქუნებდნენ მაქობი. მკლავებდაკა-
პიწებული დები ჩუმად დასტრიალებდ-
ნენ დაზეთილ, შავ მანქანებს. ვიდექი,
შევყურებდი მათ და წასვლა არ მინ-
დოდა.

40.

გამარჯვების სასიხარულო დღე თან-
დათან ახლოვდებოდა. თანდათან შევე-
გუეთ იმას, რომ გერმანელი ფაშისტები
უკვე წამოხოქილები გვეყავდნენ, მაგრამ
ცხრა მაისის დილას, როცა ეს დღე გა-
მარჯვების დღედ გამოაცხადეს, ომის
დამთავრებით გამოწვეულმა სიხარულ-
მა უცებ იფეთქა.

თოხი წელი ველოდით ამ დღეს.
ხალხი ქუჩებში გამოფენიან. შინ ვინ
გაჩერდებოდა! ვისაც როგორ შეეძლო,
ისე გამოხატავდა თავის სიხარულს. ყვე-
ლანი რუსთაველის პროსპექტისაკენ გაფ-
რბოდით, სადაც ყველა ჩვენი დიდი ზე-
იმი იმართებოდა. ეს საზეიმო დღეც აქ
უნდა აღგვენიშნა.

ამ დღეს პირველად დავყარე ყავარ-
ჯნები და ხელჯოხით გავედი ქუჩაში.
ქუჩა სავეს იყო მოზეიმე ხალხით. ზო-
გი სიხარულით ტიროდა.

დროგის რახრახი შემომესმა. აღმა გა-
ვიხედე. დროგზე ბოშა ლიზა იდგა და-
ირით, ისევე ისეთი კეკლუცი. გიჟმაიე

და მოხდენილი, როგორც მახსოვდა. ხელებს შლიდა და ყელს იღერებდა. დროფი მის ერთ ძმას მოჰყავდა. მეორე ბოშა არ ჩანდა. ეს ერთიც ცალფეხა ხეიბარი იყო.

— გამარჯობა! გამარჯობა! — ძახლდა ბოშა ლიზა. დაირას მალლა შეისროდა ქრიალით, მერე მოხდენილად იჭერდა, ერთს კიდე შემოჰკრავდა და ისევ მალლა შეათამაშებდა.

ბოშებმა ხმაურით ჩაგვიქროლეს. ხალხმა ტაშისცემით გააცილა ლიზა. ბავშვები ყიფნით აედევნენ დროფს.

ხალხის ნაკადს რუსთაველის პროსპექტზე გაჟვავი. პროსპექტზე ტევა არ იყო. აქა-იქ სასულე ორკესტრი უკრავდა, ზოგან ტაშ-ფანდური გაეჩაღებინათ. მოედანზე, ერთ დიდ წრეში, ისევ დავინახე ბოშა ლიზა. იგი ვიყური აღტაცებით ცეკვავდა დაირით.

ირმას უცაბედად წავაწყდი. იგი გაფაციცებით უყურებდა ბოშას და ისევე, როგორც მე, ალბათ, მასაც ბევრი რამ კარგი ახსენებოდა.

ირმა მომეზვია და მკოცა.

— თამაზ!... — ხმის თრთოლვით მი-თხრა მან. შევატყე რასაც აედევნები-ნა. ამ დღემ, ამ სიხარულმა კიდე უფრო მოანატრა იგი, ვინც სამუდამოდ დასტოვა სადღაც შორს, ძალიან შორს. გულმა ველარ გაუძლო. თვალში ცრემლი არ უჩანდა, მაგრამ მისი მღელვარე ხმა ცრემლნარევი იყო.

ტრიბუნისაკენ წამოყვანა. ირმა სიტყვით უნდა გამოსულიყო მიტინგზე. ხალხში ძლივს მივიკვლევდით ვხას. როგორც იქნა მივალწიეთ ტრიბუნას და აქ დავშორდით ერთმანეთს. მალე იგი ქალაქის თავკაცებთან ერთად გრანიტის ტრიბუნაზე დავინახე.

— ამხანაგებო, მეგობრებო!... — გაი-სმა მოედანზე დადგმულ რეპროდუქტორებში პირველი ორატორის ხმა და წამში გაირინდა მთელი მოედანი, მთე-ლი რუსთაველის პროსპექტი.

და ამ გარინდებამ შემიკუმშა გული. ასე მეგონა მძლავრად გადმომქუხარე

მთის ჩანჩქერი უცებ შეაჩერეს. უცებ გადაუკეტეს ვხა მომსკდარი სიხარულს.

მაგრამ მალე ისევ დაიქუხა ჩანჩქერმა, ისევ გადმოსკდა სიხარულის მღოვრე მდინარე... მთელი პროსპექტი, მთელი მოედანი, მთელი ქალაქი ვაშას გუგუნე-ბდა.

ნაშუალამევამდე არ შემწყდარა ზეი-მი. დავიდალენით, მოვიქანცენით, მაგ-რამ შინისკენ მაინც არავის მიუწევდა გული.

ღამის სამი საათი იქნებოდა როცა დავწექი. დიდხანს ვიწრიალე. ძილი არა და არ მეკარებოდა. საზეიმო ხმები ისევ ჩამესმოდა. ისევ ვხედავდი ტრიბუნაზე გადმომდგარ ირმას, ნაოშარი კომკავში-რული ქაღმწვილებს სახელით რომ გა-მოვიდა. თითქმის ზეპირად დამამახსოვ-რდა მისი მოკლე სიტყვა. დამამახსოვ-და კიდეც იმიტომ, რომ თამამად და რი-ხიანად მიმართა ხალხს. იგრძნობოდა, ფრონტზე ნამყოფი რომ იყო და დენ-თის კვამლი ნაყნოსი ჰქონდა.

...ზეიმით გაბრუებულს უცებ მომეჩ-ვენა, რომ კარზე ვიღაცამ დაგვიკაკუნა. აკაკუნებდა ძია სანდროს კარზეც, ძია ვანოს შუშბანდის კარზე ატეხილი ბრაგუნიც გავიგონე. ერთდროულად სამ კარს ვიღაცეები მოადგნენ. ჯერ დუმდ-ნენ. მერე კი ჩვენს კართან მამაჩემის ხმა გავიგონე:

— ეჭვი, რა დაგემართათ, რათა ვძი-ნამთ, ხალხო?

უმაღლე მეორე ხმამ შემძრა:

— გახსენ კარი, ძელო! რამ დაგაძი-ნა, კაცო? ტატე ვარ, ტატე! შენი დაკა-რგული სიძე დაგაბრუნდი!

და როცა მესამე ხმაც გავიგონე, ქრუ-ანტელმა გამკრა:

— გააღეთ კარი! — თავისიანებს უხ-მობდა შერმაღინი. ამ ხმამ კი უფრო მეტად შემაკრათო.

მეომართა ძახილი არა ცხრებოდა. დაფეთებული წამოგვარდი და კარს ვე-ცი. შეშინებული დედაჩემი ლოგინზე წამოჭდა. სინათლე აეანთე და კარი გა-ვალე. იქ არავინ ჩანდა. გარეთ გავიხე-

დე, ეზო მოვათვალეოვრე. იქაურობა ვარინდებულეო. მშვიდი, ვარსკვლავებიანი ღამე იდგა. ცისკრის ვარსკვლავი უკვე ბღღვრიალებდა. საოცარი სიწყულროვე სუფევდა. წამის წინ კი სამმა მეომარმა სამი კარი ღამის დაღეწა:

კედელს მივეყრდნე. გული გამაღებოთ მიცემდა, ამოვარდნას ღამობდა. რა კარგი ზმანება იყო და როგორ უცებ გაქპრა!

41.

თავისუფალ დროს იშვიათადლა ვპოულობდი და მაშინვე, როგორც კი დროს მოვიხელთებდი, რაიკომში ირმას ვეწვეოდი. ერთხელ გულახდილად გამოვეუტყდი, შეენატრი შენს საქმეს-მეთქი. აბა, რა სჯობდა ახალგაზრდებთან მუშაობას. ყოველთვის მიმოზაროდა კომკავშირის რაიკომისაკენ. ირმას შემოგებება ხომ გულს ხალისით მივსებდა.

ერთხელ კიბეზე შემომეფეთა, საღლაც გარბოდა.

— თამაზ, მაპატიე, შენი ქიტიმე... ველარ მივბრუნდები. თუ გინდა, შენც წამომყევი.

ცხრა მთას იქით წავეყვებოდი, რომ ეთქვა.

ჭუჩას ფეხით დავადექით. ირმამ ჩქარი სიარული იცოდა. ვინ იცის, გულში ნანობდა კიდევ, მე რომ წამიყვანა. ჩქარა ვერ დავდიოდი. ისევ ჭობს ვებჯინებოდი, ფეხს ძალას არ ვატანდი. მაშინ კი ვეცადე რაც შეიძლება ჩქარა მევლო. ახლა მე რომ თან არა ვხლებოდი, ირმა ქუჩაზე გაენთებოდა. ფიცხელი იყო და გარეთ მოსაგვარებელ საქმეს უმაღლ მოითაყებდა, მერე ისევ რაიკომისკენ გარბოდა. ახლა საით მიეჩქარებოდა, არაფერი მითხრა. რამდენიმე ნაბიჯით გამისწრებდა, ერთს მომხედავდა, წამით შეყოვნდებოდა, რომ წამოეწეოდი და უნებურად ასევე ჩემს წინ ვარინდებოდა.

- ასე საღ მივეჩქარება, ირმა?
- ერთ უბედურ გოგოსთან მივდი-

ვარ... მეზობელმა შემატყობინა, არსად არ მუშაობს, არა სწავლობს, და მუნჯგამოკეტული იტანჯავს თავს...

ბელონსკის ქუჩას ავეყეით. აქ უფრო გამიძინელდა სიარული. ერთ პატარა შეკაში გადაეუბხეით, მერე ვიწრო კიბეს ჩავეყეით საღლაც, ჩავარდნილ ეზოში. ეტყობა, იმ გოგოს მეზობელს ზუსტად მიესწავლებინა ირმასთვის მისამართი, რომ ასე გულდაგულ, დაჯერებით მიდიოდა. ერთ ძველისძველ აივანზე ავედით, გავიარეთ იგი და სულ ბოლოში მივადექით კარს, რომლის ოთხ პაწია მუშაზე შიგნიდან გაზეთი იყო აკრული.

ირმამ დააკაუნა. ხმა არაფერს გავცა. დააკაუნა მეორედაც. ჩამიჩემე არ ისმოდა. მეზობლის კარი გაიღო და შათსანი ქალი გამოჩნდა.

- მარიკა გინდათ, შვილო?
- დიახ, მარიკა, — მოუგო არმამ.
- ეგრე ხმას არ გაგაგონებთ. კარი ღია აქვს, შედით.

ფრთხილად შევადეთ კარი. უმაღლ ნესტი და სიბნელე შემოგვეგება. ოთახში ისე ბნელოდა, მარიკა ვერსად ვერ შევნიშნეთ, სანამ თვალი არ შევაჩვიეთ იქაურობას. მერე დავინახე ტახტზე ნახევრად მიწოლილი გამხდარი ქალიშვილი, რომელიც შემინებულ თვალებით უსიტყვოდ მოგვეჩერებოდა.

მივესალმეთ. არ გვიპასუხა. ირმამ არაფერი არ კითხა. ელექტროლიდაკი მონახა და სინათლე აანთო.

- ჩააქრეთ! — ხმადაბლა გვთხოვა მარიკამ.
- ბნელში რად ზიხარ? — ჰკითხა ირმამ და მიუახლოვდა.

რამდენიმე ნაბიჯი მეც გადავადგი. მაშინ შეინძრა ქალიშვილი, ოღნავ წამოიწია და მუხლებზე აკურებული კაბა გაისწორა. სვედიანი თვალები, რომლებშიც წედან შიში შევიცანი, მოგვარიდა, თავი დახარა და ერთხელ კიდევ გვთხოვა, სინათლე ჩავექრო.

- სინათლეს ჩავეჭრობთ, — უთხრა ირმამ, — მაგრამ იმას რატომ არ კიბხ-

ლობ, ვინა ვართ და რაზე მოვედით?

ირმამ მაგიდას გადახედა. მაშინ ზეც მოვავლე თვალი იქაურობას. ოთახში უსუფთაობა იყო. მაგიდაზე დაურეცხავი თეფშები ეწყო, ნამუსრევი ეყარა.

ირმამ სკამი გადმომიდგა და მითხრა, დავმჯდარიყავი. მეორეზე თვითონ ჩამოჯდა.

— ჩემთვის სულ ერთია ვინა ხართ. ჩააქრეთ სინათლე და წადით. მე არავინ მინდა, არავინ! გიგოს ყველამ, რომ აღარავინ მინდა... გესმით? — მინავლული ხმით ამბობდა მარიკა.

— მე ყველაფერი ვიცი რაც დაგემაართა. მამა და ძმა ფრონტზე დაველუპნენ, დედა მოგიყვდა... ძალიან მძიმე ამბები დაგატყდა თავს...

მარიკა მღუმარულ ნისჩერებოდა ირმას. გული დამეწვა. თვალში ცრემლიც კი მომადგა. ირმაც დაღუძდა ერთხანს. ღრმა ფიჭრში წასული უყურებდა პარიკას, მერე გულის სიღრმიდან თქვა:

— განა მე დაღზინებელი ბედი მაქვს? მამა ფრონტზე დავკარგე, ქმარიც იქ დამელუპა. ოცი წლისა დავქვრივდი. აი, ამ ხელებით საღდაც, უცხო მიწას მივბარე ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი... იქნებ გაიგო ჩემი გულისტივილიც... მაგრამ ჩვენ ხომ მართო ჩვენი თავისთვის არ ვარსებობთ. შენ შენი ტანჯვით სხვასაც რომ სტანჯავ!

— მე სხვას ვტანჯავ?! მე არავისაც არ ვაწუხებ.

— ასე გგონია. სწუხან მეზობლები, ვწუხვართ ჩვენც. ერთი სული მქონდა, როდის განაზავდი. გავიგე, რომ კომკავშირელი ყოფილხარ.

— ოდესღაც ვიყავი.

— კომკავშირული ბილეთი სადა გაქვს?

— არ ვიცი. მგონი კამოდის უჭრავი უნდა იყოს.

— მაჩვენე. მე კომკავშირის რაიკომის მდივანი ვარ, — ცოტა გულმოსულად მიუგო ირმამ.

მარიკამ სევდიანად ჩაიციხა.

— მე ხომ გარიცხულად ვითვლები... ბილეთი კი წაიღეთ, რაღასაჭიროა...

— კომკავშირში აღგადგენთ, სამუშაოსაც გამოგიძენით... ყველაფრით დაგეხმარებით, რაც შეგეძლია.

— არა მჭირდება. ნუ შეწუხებებით. ირმა შეწრიალდა. რა ეთქვა, აღარ იცოდა. ვატყობდი, რომ მღუმარებას იკავებდა. მომწონდა მისი თავდაპირილობაც. ცდილობდა როგორმე ტკბილი სიტყვით მოეღობო მარიკას გაყინული გული.

— დღეს კამე რამე?

— აბა რაში გაინტერესებთ, მე მშვიდი მოვეკვდები თუ არა... გთხოვთ, ჩააქროთ სინათლე და მარტო დამტოვოთ! ახლა კი ვეღარ დასძლია ადევნება ირმამ, მაშინვე წამოდგა და მეც წამომაყენა.

— წავიდეთ, თამაზ! — ისე გაჯავრებით მითხრა, თითქოს მე ვიყავი ყველაფერში დამნაშავე.

ირმამ სინათლე ჩააქრო, კარში ჯერ მე გამატარა, მერე თვითონ გამოვიდა აივანზე. თავს ისევ იკავებდა მწარე სიტყვისაგან. როცა ქუჩაში გამოვედი, ვეღარ მოვითმინე და ვუთხარა:

— როგორ მეცოდება, საბრალო.

— ჭირსაც წაუღია მაგისი თავი და ტანი! არ მეცოდება, არა!

— ისე, მტკიცე ნებისყოფა კი ჰქონია, ირმა.

— რა ჯანდაბად გინდა ისეთი ნებისყოფა, რომელსაც შენი თავის წინააღმდეგ გამოიყენებ. რა ჯიუტია. უყურებ! არა, ასეთი ადამიანი შესაცოლდი არ არის.

სხვა აღარაფერი ვეითქვამს. ბელინსკისა და ლენინის ქუჩის კუთხეში დავშორდით ერთმანეთს. ირმამ რაიკომისკენ გასწია. მე კი აბრეშუმის ფაბრიკისაკენ, სადაც ერთი საათის მერე ჩემ ცვლას უნდა დაეწყო მუშაობა.

მივდიოდი გულდამძარებული და სულ მძას ვფიქრობდი, ნუთუ იმ საბრალოს არაფერი ეშველებოდა, ნუთუ საბოლოოდ ჩაიქნია ზელი ირმამ მის გა-

დარჩენაზე? ნუთუ იმდენი ძალა აღარ შესწევს, რომ განსაცდელისაგან დაიხსნას?.. მაშინ მე ვეცდები... მაგრამ როგორ, რანაირად? მარიკას სახე სულ თვალწინ მედგა, მისი სევდიანი თვალები გულს მიღონებდნენ.

საბრალო მარიკა! საცოდავი გოგო! მასზე ფიქრმა არ მომასვენა.

მართალია, ირმამ გულმოსულად თქვა ქირსაც წაულიათ, მაინც არ მოეშვა და მეორე დღეს ისევ მიადგა კარზე. გვერდით მისჭლოძია, დაუყვავებია და მოჭფერებია, მაგრამ მოფერებას და აღერსს უარესად უმოქმედნია მარიკაზე. მის სევდა-ნაღველს ვერავითარი საწუგეშო სიტყვა ვერ ანელებდა.

არ მეგონა თუ ამის შემდეგ ირმა კიდევ მიადგამდა ფეხს მარიკასთან. ერთად მივედით. ვიღაცას მაგიდა აელაგებინა. მარიკა პირქვე იწვა ტახტზე. კარის ხმაურზე წამოიწია. ირმამ სინათლე აანთო და ოთახში მყოფმა ქალიშვილმა შეტყვილა:

— მომეშვით, თავი დამანაბეთ!

ირმას დავასწარ და მარიკასთან მივედი. აღარ შემძლო ამ ოთახში უტყვალ ყოფნა, მოწმესავეთ ჯდომა, მისი იმედგადაწყვეტილი სიტყვების მოსმენა. ათასი სხვა ქვრივ-ობლისა და ცხოვრების ყინმათით ბედღაწიხლულთა ამბავი გაეხსენე... უაზროდ მიყურებდა. თმა დაუფარცხნელი ჰქონდა. უარესად დაგრდომილი გამოიყურებოდა, ვიდრე ამ ორიოდ დღის წინ.

ირმა შუა ოთახში იდგა. იდგა და მისმენდა. როცა სათქმელი მოვათავე და მარიკამ არაფერი მიპასუხა, ირმა ჯიქურ მიეჭრა, მხრებში დაავლო ხელი, შეანჯღრია და უყვირა:

— გონს მოდი, უბედურო, გონს! და როგორც არწივის კლანჭებში მოქცეული კურდღელი, შიშით ისე მოიწურა და დაბატარავდა მარიკა.

ასეთი განრისხებული არასოდეს არ მინახავს ირმა. მარიკასთვის ხელი არ გაუშვია, თავისკენ მიიზიდა. მარიკა უცებ ატირდა. იგი ახლა ბატარა ბავშვს

უფრო ჰგავდა, ვიდრე ოცი წლის ქალიშვილს. შეშინებული უფრო მეტად დაძაბუნდა. უფრო მეტად შემცვლოდა ველოდი რომ წუთი წუთზე რაღაც უნდა მომხდარიყო, ან სასიკეთო, ან საბედისწერო... მიშველეთო, იყვირა და ირმას მკერდს მიეყრდნო.

...ერთი კვირის მერე აბრეშუმის ფაბრიკის ეზოში ირმა და მარიკა დავინახენელი ნაბიჯით მოდიოდნენ. კიბეზე ავიდნენ და საქსოვი საამქროსაკენ ვასწიეს. ირმას თავის მულებთან მიჰყავდა მარიკა.

თვალი გავაყოლე. ერთხელ კიდევ სიამაყითა და ნაღვლით ამევსო გული. სიამაყით იმიტომ, რომ ირმა ჩემი დიდი იმედი იყო, ნაღვლით იმიტომ, რომ იგი უზომოდ მიყვარდა.

42.

მარიკას რომ დავინახავდი სიბრაღეულით მეცხებოდა გული. იგი ყოველ დღე მოდიოდა ფაბრიკაში და ზემო საბრთულში, სადაც საქსოვი დაზგები დგანდგარებდნენ ნესტანთან მუშაობდა მანამდე, სანამ ფაბრიკის ზრინწიანი საყვირი ჩენი ცვლის მუშაობის დამთავრებას არ გვამცნობდა.

ერთხელ გულმა ვეღარ მომიტმინა და საქსოვ საამქროში ავედი, მინდოდა მენახა რას აკეთებდა მარიკა. ის ნესტანის მოწაფე იყო. გამოცდილი ოსტატი ქსოვას ასწავლიდა. საამქროში იმ დროს შევედი, როცა ოსტატი და მისი შეგირდი განაპირა დაზგაზე მასრებს აწყობდნენ.

ნესტანმა გამიღიმა. მარიკამაც შემომხედა. თავის დაკვირვებით მივესალმე. მაგრამ ისე უგულოდ მიპასუხა სალამზე, კაცი ვერ გაიგებდა თუ ეს მისალმებას ნიშნავდა.

აღარ შეეჩერებულვარ. ვითომ სხვაგან მქონდა საქმე. დაზგებს ჩავუარე და მოზრდილ საამქროში გავედი. მალე გამოვბრუნდი. მარიკას ისე ჩავუარე, მისკენ აღარ მიმიხედავს.

გული საგულეს არ მიჩერდებოდა.

რატომღაც მეწყინა მარიკას ცივი შეხვედრა. მეგონა კი ძველი ნაცნობივით შემხედებოდა. იქნებ ვერ მიცნო? როგორ ვერ მიცნობდა! ასეთი გულმავიწყი როგორ იქნებოდა. არადა, როგორ მოველოდი, რომ მის სახეზე თუნდაც სევდიანს, მაგრამ მაინც დაეინახავდი ღიმილს, მე ეს ღიმილი ჩემი გულის გასახარებლად როდი მჭირდებოდა. გულს დაეიმშვიდებდი ამ გოგოს გამოდარებული, ცხოვრებისაკენ მობრუნებულს რომ დაეინახავდი. აი რად მინდოდა მისი ღიმილი.

მაგრამ ვანა ასე ადვილი იყო მისი მოკლული გულის გამოთლება?!

სამუშაო როცა მთავრდება, ოსტატი და შეგირდი ერთად გამოდიან. ნესტანს ფიჭრისგორის აღმართამდე მიჰყვება, აქ შორდება და მერე მარტო მიიბიჯებს.

როცა ფაბრიკიდან შინ მივდიოდი, ასე მეგონა, ისევ საჩითვე მაგიდას მიეყვებოდი და ამ გზას, ამ ფერდობს, საზღებსა და ადამიანებსაც კი ვჭარგავდო ნაირნაირი ფერებით.

აბრეშუმით ბზინავს გარეშეშო ყველაფერი და რაღაც მახარებს, რაღაც მალეულებს. როდის-როდის მინელდება ეს გრძნობა და ისევ თავიდან იწყება ყველაფერი.

ფეხი აღარ მაწუხებს და დილით პირველივე საყვირზე მივიჩქარი ფაბრიკისაკენ. რატომღაც მინდა პირველივე შემხედური მუშა მხოლოდ მარიკა იყოს, მინდა დაეინახო შებლგახსნილი.

ისეთი ნაზი ნაკვთები, ისეთი ნატიფი სახე ჰქონდა, ბევრ გოგონას შესურდებოდა. მაგრამ სევდას და მკმუნვარებას დაეეყვანა, ლიბრად გადაკვროდა მთელ მის სილამაზეს.

ფაბრიკისაკენ მივიჩქარი. რკინის დიდ ჭიშკართან ვჩერდები. მოდიან მუშები, მარიკა არა ჩანს. ეტყობა მეორე ცვლაშია. მერე, როცა შინ დავბრუნდები, ან ფაბრიკის კიბეზე, ან ჭიშკართან შევხვდები მას. შეეჩერდები. ის შეერთება, ნაბიჯს არ შეანელებს, თავს დამიკრავს და გამშორდება.

აქეთ მეორე საზრუნავი მქონდა. მატარა თამრიკოს ხან სად წავეყვანდი, ხან სად. თავისუფალ დროს სულ მასთან ვატარებდი. ხელში ატატებულ დიდ თოჯინას ავიყვანდი გორაკზე და იქიდან გადავეყურებდი ჩემს ქუჩას, ჩემს უბანს არ ვიცი, თამრიკო რას ფიქრობდა, რას შეიგრძნობდა. ამ ასაკისა ყველანი ყოფილვართ, მაგრამ არავის არ გვახსოვს, მაშინ რას ვგრძნობდით ან რას განვიცდიდით.

თამრიკო შემეჩვია. უჩემოდ ვეღარ სძლებდა. გორაკიდან სიცილ-კისკისით დავეშვებოდით, დამკვრელთა სახლთან ირმა შემოგვეგებებოდა. და ამ დროს სევდა შემიპყრობდა. სხვისი შვილი, სხვისი მეუღლე... და მე მათთან ვარ ნიდაგ. მათ გარეშე სიცოცხლე ვერც წარმომიდგენია. მუდამ მათთან ვტრიალებ, ვერ ვშორდები და ვერ მშორდებიან. ერთი დღე რომ შემავციანდეს და ვერ ვნახო, ირმაც მიხმობს, მეძახის. ვგრძნობ, ჩემი შეხვედრა ამშვიდებს, გულს უწყნარებს, და ყოველთვის, ერთად ყოფნისას, ვლაპარაკობთ ერთს და ვფიქრობთ მეორეს. და კვლავ და კვლავ ჩემი ფიქრი იწყება ასე: რა იქნებოდა...

ირმა ოცდამეორე წელში იყო გადამდგარი. თითქმის ჩემი თანატოლი. თითქმის ცხოვრების ერთნაირი ხვედრი ვიწვინეთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მე არ დამიკარგავს გულის სწორი. ჩინელდებოდა მეკითხა, რას ფიქრობდა თავის მომავალზე. იქნებ მთელი ჩვენი ცხოვრება ასე დაილიოს, ნიდაგ ჩემი უნახაობით შემფოთდეს, მერე ჩემი დანახვით იხარებდეს. და გულდამშვიდებული მესაუბრებოდეს თავის საქმიანობაზე, თამრიკოზე, საკუთარ თავზე კი ერთი სიტყვაც კი არ დასძრას.

დრო, მართლაც, ისე სწრაფად გარბის, ისე მიგვერეკება სიბერისაკენ, ყველაფერს დროზე უნდა დაემურო, თორემ უკან მოიხედავ და იმდენ სიცარიელეს დაინახავ, გული გატყინება, სინანულით აივსები. ასეთი ცარიელი

დღეები და წლები ბევრს გაჰყოლია ცხოვრებაში.

ირმას არ ჰქონდა ცარიელი დღეები. არც მე მქონია.

ვმუშაობდით, ვსწავლობდით და მაშინაც კი, როცა ერთად ვისხედით, მაშინაც არ იყო ცარიელი წუთები.

შერმადინის ორი ერთნაირი, გადიდებული სურათი ლაცაბიძეებთან და მალაკელიძეებთან ეკიდა. ორივე ოჯახში შემსვლელი უმალ ამ სურათს შეხედავდა. ორივე ადგილას მე ჩამოვკიდე ირმას მითითებით. ორივე ოჯახში მისვლელს ჯერ შერმადინი უნდა შეგვებებოდა. კარს შეაღებდი თუ არა, უნებლიედ შეხედავდი ომში დაღუპული ვაჟაკის სურათს. პატარა თამრიკომ ჯერ არ იცოდა ვინ იყო ამ სურათში. გაიზრდებოდა და ყველაფერს გაიგებდა. ეს ყველაფერი კი ემგვინებოდა მზეჭაბუკის ისეთ ზღაპარს, სადაც დაღუპულები აღარ ცოცხლდებიან და მარადისობაში ჰპოვებენ საყუდელს.

43

იმ დღეს ძალიან აღრენილი ვიყავი. დილიდანვე ერთი დაწუნებული ნაჭრის გადაჩივთვა დავიწყეთ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნახატი ხელახლა სხვა ნახატი უნდა დაგვეფარა. ისეთი ჰყეტელა, ისეთი უსახური რამ გამოვიდა, გულზე შემომეყარა, ავი იყო თუ კარგი, ის პირველი სახე ბევრად სჯობდა.

მე რომ ჩემი გულისტკივილი ოსტატს გავანდე, აბა, ეს რას ჰგავს-მეთქი, — მიდი, მიდი გაუტეე, ნუ სცდებიო, გულგრილად მიიზრა, საჩითავ მაგიდას ჩაუყარა და საამქროდან გავიდა. ჩემს დამხმარე მუშას შევხედე. ერთნაირი ჯანის ბიჭები ვიყავით და ერთმანეთს ტოლს არაფერში არ ვუდებდით. როცა მე სხვასთან ვიყავი დამხმარე მუშად, ჩემს ოსტატს სიქა გავაგუდებინე, ვერც სისწრაფეში მყოფნიდა, მალე იღლებოდა, სუნთქვა აღარ შეეძლო და მემუდარებოდა, ცოტა ხანს შევისვენოთო. სამუშაოს დამთავრების

შემდეგ ფეხებს ძლივს მივალასწავებდა შინისკენ. ახლა ჩვენ ორს ჯანიან ბიჭებს, სწრაფად გადაგვქონდა შანილონის ყუთი, სწრაფად ვბეჭდავდით ნაირნაირ ყვავილებს. ბევრი რამ მომწონდა, ბევრი არა. მაგრამ იმ დღის ამბავმა მთლად მომშალა.

საქმეს რომ აკეთებ, ხელიდან ლაზათიანი რამ უნდა გამოდიოდეს, უნდა გიზაროდეს, სულსა და გულს თან უნდა ატანდე.

არ ვიცი, მგონი ჩემსავით არც არავინ განიცდიდა. კაცი ვერ ვნახე საამქროში, რომ ხმა ამოეღო და რაიმე ეთქვა. ახლაც, ჩემი დამხმარე მუშა პირდაღებული შემომყურებდა და უკვირდა რაც ოსტატს ვუთხარი.

— ნეტაი შენ! — მიიზრა მანაც, — გავეტოო!

— ისე გაგიტეე! — გულმოსულმა შევეუღრინე. მაგიდის იქით რომ არა მდგარიყო, საყუდლოში ვწვდებოდი და გონაშვილის ჯავრსაც მასზე ამოვიყრიდი.

— დახედე, რა, თვალები არა გაქვს? რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მოგწონს?

— რა ვიცი, აბა. ამის მუშტარიც გამოჩნდება.

— ჰო, სულ დაფეთდებიან. საწყალო გოგოები თავს იკლავენ, გულიანად ქსოვენ, ჩვენ კი ნაშუშევარს ვუფუჭებთ, ლაფში ვუსვრიოთ. მამ ეს საქმეა?!

მეზობელ ორ მაგიდაზე მჩითავები საქმეს თავს არ ანებებდნენ. აღარ მახსოვს, მათ მოჩითულს ეჩითავდი ხელახლა თუ სხვა ცვლის მუშებისას.

გული ვეღარ დავუდე. მაინც, რა საზოზლარი ფერები იყო!

საამქროდან გავედი. საქვაბეს ჩაუყარე და მთავარ კორპუსში შევედი. მესამე სართულზე კომკავშირის კომიტეტის ერთი პატარა ოთახი იყო. იქ არავინ დამხვდა. პირდაპირ სამხატვროს მივაშურე. მაშინ მთელ ფაბრიკაში ორი მხატვარი გვეყავდა—ორივე ქალი.

სამხატვროს კარი რომ შევადე, სახ-

ტად დავრჩი. შუა ოთახში ჩვენი მეზობელი ბოშა ლიზა დამდგარიყო და ის ორივე მხატვარი ნაირნაირი აბრეშუმით რთავდნენ ისედაც მოხდენილ ქალს.

ლიზამ მაშინვე მიცნო და გამიღიმა, უფრო კეკლუცად შემართა თავი და მერე სარკეში გაიბრანჭა.

მხატვრებმა ერთდროულად შემომხედეს. ეტყობოდათ ლიზას დიდი ხანია იცნობდნენ. დრო იხელთეს და ლამაზი ჭალი სულ რჩეული აბრეშუმით შემოსეს, ისე, როგორც მდიდარი ინდოელი ქალები ოსოებიან ხოლმე. ისეთი ლამაზი, ისეთი კელეტარივით ანთებული და ისეთი მოხდენილი ჩანდა ლიზა, მსგავსი რამ სურათებშიც არ შენახა.

ამ მშვენიერმა სურათმა გული საგულეს ჩამიგდო, დამამშვიდა და ყველაფერი დამავიწყა.

ბოშა ლიზა ჩვენს მეზობლად აღარ ცხოვრობდა და ამიტომ ვეღარ ვხედავდი, სად იყო და რას აკეთებდა, არც ეს ვიცოდი. ცხრა მაისის დღესასწაულის მერე არსად არ შემხვედრია. ერთი ხეიბარი ძმადა დარჩა და ახლა ის კაცი ჩალიჩობდა იმ კარ-მიდამოში, სადაც უწინ მხიარული საღამოები იმართებოდა ხოლმე.

იმ დღეს კი განსაკუთრებით მშვენიერი იყო ნაირფერ აბრეშუმში ვახვეული. ოცდაათიოდე წლის თუ იქნებოდა მის მშვენებასაც შეჰპარვოდა ჭკნობა, თვალბთან ცხოვრების ულმობელ გულთანს გაეგლო და ოდნავ, მაგრამ მაინც ეტყობოდა ნაოჭები.

მომესალმა, ხელი ჩამოვართვი. მაშინვე მამაჩემი მოიკითხა. დაღონდა მისი ყისმათის გამო, მერე მხატვრებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ხომ იცნობთ? ჩვენ მეზობლები ვიყავით, — მერე ისევ ჩემკენ ჰქნა პირი, — აქ მუშაობ?

— საჩითავ საამქროში ვარ. აი, ასეთ ლამაზ აბრეშუმს ვჩითავთ... ხანდახან კი... — ვთქვი და მხატვრებს შევხედე.

— შენ ალბათ კიდევ რაღაც აღმო-

აჩინე, — წყრომით შემომხედდა ფაბრიკის უფროსმა მხატვარმა, რომელსაც არაერთხელ მქონია კამათი და ჩემი დანახვა არცთუ მაინცდამაინც ესიამოვნებოდა. უმეტესად სწორედ მის ნახატებს ვუყურებდი ამრეშით. მას თალიკო ერქვა.

მეორე მხატვარი მომწონდა. კარგი გემოვნება ჰქონდა.

აბრეშუმს მუდამ ნაზი. ჰაეროვანი მოხატულობა რომ უხდებოდა, ეს ვერაფრით ვერ შეიგნო თალიკომ. რიხიანი დედაკაცი კი იყო. თავის ნახატს ისე იცავდა, თავის აზრს ისე ასაბუთებდა, გეგონებოდათ ცამდე მართალიყო. არ ვიცი, ფაბრიკის თავკაცები ვერაფერს უხედავდნენ თუ მხატვრობისა არა ესოდნათ რა, ყველაფერს უთმობდნენ. მე კი ჭიბრს ვუწევდი. თანდათან გადაამეტრა, ჩემი დანახვა ჭიბრის დღესავით ეჭაერებოდა, წიშმატობდა და გაჰყოფდა, ვინ არის ეს, მომამოთრეთ თავიდანო.

...მაგრამ მაინც ვჩითავდით მისი ნამუშევრების მიხედვით.

ბოლო დროს, როცა ჩითვაში ხელს კარგად გავიწაფე და უკვე რამდენიმე თვის გამოცდილებაც მქონდა, ხმატავივალღე, ჩვენთან, საჩითავ საამქროში, გამოცდილ ოსტატთაგან მხოლოდ გონაშვილი იყო. სხვები სულ ახლები ვიყავით. ახალთა შორის კი ვერაფერს მჯობნიდა. არც არავინ ფიქრობდა იმაზე, თუ რა გამოსდიოდა, ლამაზი იყო თუ ულამაზესი მისი ნახელავი.

თალიკო ჩემ სიტყვას არ დაელოდა, ბოშას მიუბრუნდა და ერთხელ კიდევ შეატრიალ-შემოატრიალა, სხვა საგანზე უნდოდა ყურადღების გადატანა, მაგრამ იგრძნო, რომ მე მას ველოდებოდი, გამეხებული შემომიბრუნდა:

— და საერთოდ, ვინ რას გეკითხება, სხვის საქმეში რომ ერგები?

ძალიან გაცეცხლდა. თვალბები ლამის გადმოუცვივდა.

— მეორედ არ დაგინახო. აქ შემო-



სული, თორემ ამ ფაბრიკაში ან მე ვიქ-
ნები ან შენ.

— მე არსად არ ვაპირებ წასვლას,
— მიუტევე სრულიად მშვიდად.

თალიკოს კისერზე ძარღვები დაეჭი-
მა. მისი კოლეგა მხატვარი, ციციხო
დაისპანაშვილი, გრაფინს ეცა და
წყალი დაუსხა:

— დამშვიდდი, თალიკო... რა დაგე-
მართა? — მოეფერა და წყალი მია-
წოდა.

— რა დამამშვიდებს! რა დამამშვი-
დებს! არ დაგინახო!

მე კი ფეხმოტკვლელად ვიდექი და
იმ წუთს ვუცდიდი, როცა თალიკო
დამშვიდდებოდა. სკამზე დაეშვა, მოხ-
შირებით სუნთქავდა. ერთი ყლუბი
წყალი კი მოსვა.

ბოშა ლიზა კედელს აეკრა და ასე
უძრავად გვიცქეროდა.

— წადით, ხომ ხედავთ!... — მუღა-
რით მომმართა ციციხო.

მის სიტყვაზე კი შევბრუნდი და მხა-
ტვრების ოთახიდან გავედი. კიბეზე
რომ ჩავლიოდი, ფაბრიკის კომპაგენ-
რის კომიტეტის მდივანს თეიმურაზ
ბერიძეს შევხვდი. ჩემი კბილა იყო.
იჩრმის. მეშვეობით კარგად ვიცნობდი.
რაიკომში უფრო ხშირად შევხვედრი-
ვართ, ვიდრე ფაბრიკაში.

— საით გარბიხარ? — დამასწრო
თეიმურაზმა.

— სასწრაფო დახმარების მანქანა
უნდა გამოვიძახო, თალიკო რამი-
შვილს გული შეუღონდა.

— გააწყალა გული თავისი ისტერი-
კებით. ალბათ კიდევ შეკამათდით.

— ერთი ჩამოდი საამქროში, თუ
ძმა ხარ, იმ აბრეშუმის ისე გადაჩითვა
თუ შეიძლება. თავს მოვიკლავ და ამ
სლამოსთვის მთელ თოფს მოვთავავებ.
განა ეს საქმეა?!

მაშინვე წამოძვეა. საამქროში იმ
დროს შევედი, როცა ჩემს თანამემწე
მუშას გულმოსული გონაშვილი უწყ-
რებოდა:

— სად არის, სადა?

ჩემზე ეუბნებოდა.

— რა ვიცი, ოსტატო... ვიდა!

ოსტატი გამწყრალი სახით შემობ-
რუნდა. კომპაგენის კომიტეტის მდი-
ვანთან ერთად რომ დამინახა, ვერაფე-
რი მითხრა, ერთი კი ჩაიბურღლუნა:

— საქმე ცდება, ძმაო!

ვითომ ვერ გავიგონე. თეიმურაზთან
ერთად საჩითავ მაგიდას მიუახლოვდი.
გონაშვილი გვერდში ამოგვიღვა.

თეიმურაზი მაღალი, შავტუხა ბიჭი
იყო. დენტის კვამლი ნაყნოსი ჰქონდა.
ფრონტზე წასვლამდე ფაბრიკაში უმუ-
შავნია. დაბრუნდა თუ არა, ისევე თავი-
სი საქმე მონახა, მაგრამ ფიზიკურად
დაუძლურებულმა, მძიმე საშუალო ვერ
აიტანა. გონიერი ბიჭი იყო, ნაკიხი.
შქსოველებს ტოლს არ დაუდებდა, არც
ზენიკლებს ჩამორჩებოდა, მჩითავებ-
საც შეეჭიბებოდა. ყველა საქმე ეხერ-
ხებოდა და კარგადაც გამოსდიოდა.
ფაბრიკაში ყველას გაჭირვების ტალ-
კვესი იყო. ამის გამო იყო, რომ ენდო-
ბოდნენ და უჭერებდნენ. საჩითავ საა-
მქროში გამოჩნდა თუ არა, გონაშვილი
გაირინდა.

თეიმურაზს შეხედა.

— ეს თარგი როდის დაამტკიცეს სა-
მხატვრო საბჭოზე? ნიმუშიც არა
გვაქვს... — ბერიძემ საამქროს უფროს
ოსტატს შეხედა.

— იცით, ამხანაგო თეიმურაზ, —
მიმართა გონაშვილმა, — აი, ეს მოჩი-
თული კონტროლმა დაგვიწუნა... სასწ-
რაფოდ უნდა გადაგვეჩითა. მხატვარმა
ამ თარგით გვიჩინა.

— მთავარმა მხატვარმა?

— დიახ, რამიშვილმა.

— ცოტა ხანს შეაჩერეთ ჩითვა-
არაფრით არ შეიძლება ამის გაშვება.
ოჰ, როგორ მინდოდა თეიმურაზისა-
თვის ძმაბიჭურად მიმერთყა ხელა
მკერდზე.

ფაბრიკის მთავარი ინჟინრისა და
სხვა თავკაცების გარეშე თეიმურაზის
სიტყვა არ იყო გადაწყვეტი. მაგრამ

მისმა ნათქვამმა დაადუნა გონაშვილი. ერთი კი შემომბღვრა და სხვა მაგიდისაკენ გასწია.

თეიმურაზი საამქროდან გავიდა.

არ გასულა ორთხედ წუთი, კადრების განყოფილების ერთ-ერთმა მუშაკმა გოგონამ ჩვენთან შემოიყვანა ბოშა ლიზა. იგი ტანის რხევით, მსუბუქად შემოჰყვია გოგონას. პირდაპირ გონაშვილისკენ წავიდნენ, რომელიც ჩემს სიახლოვეს აღარ ჩერდებოდა და სხვა მჩითავეებს დასტრიალებდა თავზე.

საამქროში ერთი შაბლონის ყუთის ხათქონიდა ისმოდა. ეს ხმაური არასოდეს არ გვაწუხებდა. ისე, ძალზე მძიმე საშუაო კი გვექონდა. თოთხმეტმეტრიანი ორი მაგიდა გვებარა. აუყვებოდით ერთს, სანამ ამ მაგიდაზე გადაქიმულ ნაჭერზე შესრებოდა საღებავი, მეორეს ვჩითავდით. დღეში ათეულ კილომეტრს გავდიოდით. მე კი მომიხდა. სექტემბერში ფეხი ისე გამივარჯიშდა, კუნთები ისე გამიმავრა, რომ ნაჭრილობების გარდა აღარაფერი მეტყობოდა.

ბოშა ლიზამ ჩემკენ გამოიხედა, გამოიღმა და პირი უმალ მომარიადა, გონაშვილმა რაღაც ჰკითხა. ჩვენს საამქროს ნაკლებ ეტანებოდნენ მუშები. მით უმეტეს ქალები. მუშახელის ნაკლებობას განვიცდიდით. ამიტომ კადრების განყოფილებაში ვინც კი მოდიოდა ყველა ჩვენთან მოჰყავდათ. ხანდახან მეორე ცვლაში კაცი არ გვეყავდა შემცვლელი და საქმე ცდებოდა. ქალები ჩვენს საშუაოს ვერ უძლებდნენ და სხვა საამქროში გადადიოდნენ.

ლიზა საამქროს გვერდით პატარა ოთახში შეიყვანეს, სადაც საღებავები გვექონდა. საღებავების ჩამსხმელი არავინ გვეყავდა და ეჭვი არ იყო, დღეიდან ამ საქმეს ლიზა მოუვლიდა. მართალი გითხრათ, გამეხარდა მისი მოსვლა. იგი თავისი კარგი ქალობით შნოსა და ლაზათს შემატებდა იქაურობას. მაშინვე შეუდგა საქმეს, რომელსაც დიდი შესწავლა და ფილოსოფია არ უნდოდა.

ფაბრიკის მთავარი ინჟინერი, პარტიბიუროს მდივანი, თეიმურაზი გეგმა და მხატვარი ციცილო დარისპანაშვილი ერთად შემოვიდნენ საამქროში. გამოიკვირდა თავაკაცებს ციცილო რომ ახლდა და არა მთავარი მხატვარი, რომელმაც ეს თარგი და უღიმღამო ფერები შეგვიჩინა.

მთავარმა ინჟინერმა თვალი გადაავლო მოჩითულს და შუბლშეკრულმა გადმოიხედა:

— ამხანაგო, შენ რაც გითხრან, ის გააკეთე. ისედაც ვერ ვასრულებთ გეგმას და ახლა შენი რჩევა-დარიგებლად გავაკლია!

— გავცდით, პატივცემულო დირიქტი... გეგმა ჩამივარდა, — ხმა ამოიღო მთავარი ინჟინრის სიტყვებით გათამამებულმა გონაშვილმა და ისეთი ნიშნის მოგებით შემხედა, ყველაფერი დამთავრებული ეგონა.

მთავარი ინჟინრისა კი არა, გერმანელთა ტანკებისა არ შემშინებია, ერთს რომ ვხეტქე, უფრო გათამამდი და მეორეს ფერდი შევუღეფე.

რას იტყვის პარტიბიუროს მდივანი? ნუთუ სიტყვას არ შემაწევს თეიმურაზი? იქნებ თავისი ნახატებით ნაზმა და ჰეროვანმა ციცილო დარისპანაშვილმა თქვას რაიმე?

— გეგმა გეგმა, მაგრამ... — დაიწყო პარტიბიუროს მდივანმა.

— მოიცა ერთი, თუ ძმა ხარ! — სხე დაემანჭა მთავარ ინჟინერს.

— საკამათოდ ვხდით ისეთ რამეს, რაც ჩემი აზრით კამათს არ მოითხოვს. ამხანაგ თამაზ გორდელაძის პრეტენზია უთუოდ მისაღებია, — უხეშად მოჩითულ ნაჭერს ხელი გაუსვა პარტიბიუროს მდივანმა, — ციცილო რაღას იტყვის?

ციცილომ ვერ მთავარ ინჟინერს შეხედა, რომელიც ერთ ადგილზე უხერხულად წრიალებდა, მერე ყველას გადმოგავლო თვალი და მკითხა:

— თალიკომ ნახა მოჩითული?

— თარგი და ფერი შეგვიჩინა. ჩით-

ვას არ დაელოდა. ახლახან დავიწყეთ. როცა ჩემი აზრი ვუთხარი...

— შენი აზრი... — უცებ კბილებშორის გამოცრა მთავარმა ინჟინერმა, სიტყვის თქმა არც კი დამაცადა. ისეთი თვალით შემომხედა, ველარ მოვითმინე და შევეუძახე:

— დიახ ჩემი აზრი... თქვენი კი არა... მე გერმანელთა ტანკებისა არ შემშინებია. მაშ ეს მოჩითული მოგწონთ? დარწმუნებული ვარ, რომ თვალში არ მოგდით, მაგრამ გეგმა გეწევთ. მაშინ წუნმდებელი გააფრთხილეთ, რომ ხელახლა გადაჩითვა აღარ მოგვიხდეს.

თეიმურაზმა რაღაც გადაულაპარაკა პარტიუროს მდივანს. მდივანმა მხარზე ხელი დამაღო და დამამშვიდა.

— დაწყნარდი, პო! იქნებ ისიც გვიჩიო, რა ეშველება გაფუჭებულ საქმეს. მივატოვოთ ეს თოფი დაუჩითავი თუ დავამთავროთ ამ სახით და მეორედ შეცდომა აღარ გავიმეოროთ.

პარტიუროს მდივნის ალერსიანმა სიტყვებმა გული საგულეს ჩამიდგეს. მაგიდას გადავხედე. თოთხმეტი მეტრი უკვე გადაჩითული გვეწონდა. ეს რომ მოგვეტრა, არცთუ ისე დიდი ზარალი იქნებოდა ფაბრიკისათვის. ხელი მოვკიდე ციცინოს და მეორე მაგიდასთან მივიყვანიე.

— მომეცი ქალაღი! — მივმართე გონაშვილს.

— ქალაღი მე მაქვს, — მითხრა ციცინომ.

ფანჯარი მოვიმარჯვე.

— ამ მოჩითულს რომ მოვარგოთ ასეთი ნახატი... ბოღიშ ვიხედი, შე ისეთი ხატვა არ ვიცი... — ხელი მიითრთოდა, ქალაღზე ძლივს გამომყავდა რგოლები, ნახევარმთვარეები და წერტილები, — განა არ შეავსებს ნახატს? დახატეთ, თქვენ უკეთ გამოგვიათ, — მივმართე ციცინოს, რომელიც ჩემ გულსტივილს მიმიხედა და თანხმობის ნიშნად გამიღიმა კიდევ. როცა მთავარ

ინჟინერს შეხედა, მან ბუზღუნით მკითხა:

— გამოვა რამე?

— გამოვა. როგორც თამაზი ამბობს, ნაქერი უკეთეს სახეს მიიღებს. გავაკეთოთ ახალი თარგი.

— გააკეთეთ. თოთხმეტი მეტრი აბრეშუმში და გაცდენილი დრო თამაზ გორდელაძეს დააწერეთ! — ნიშნის მოგებით ბრძანა მთავარმა ინჟინერმა.

— ამხანაგების აზრია, — თითქოს სხვათა შორის ჩილაპარაკა პარტიუროს მდივანმა, — ამხანაგ თამაზ გორდელაძეს მადლობა გამოვუცხადოთ და ფულადი პრემიითაც დავაჭილოთ. რაც შეეხება აბრეშუმს... კიდევ ბევრს მოგჭირვებთ, ბევრიც გაგიფუჭდება. ბევრს კარგს გავაკეთებთ. ისტერიკები და მკვებ სიტყვები კი საქმეს არ არგებს, ნერვებს კი გაეფუჭებთ.

პარტიუროს მდივანი მიუახლოვდა მაგიდას, გადაკიმული ნაქრის ნაწიბურს ხელი მოჰკიდა და ააგლიჯა.

44.

როცა ერთ ცვლაში გვიხდებოდა მუშაობა, მე და თინა ერთად გავდიოდით შინიდან. მცირე აღმართ-დაღმართი და ჩვენ უკვე აბრეშუმის ფაბრიკის კომკართან ვიყავით. მერე თინა ფაბრიკის ზემო სართულსაკენ გაიქცეოდა, მე კი საქვებისაკენ ჩავუხვევდი, ფაბრიკის მთავარი კორპუსის უკან, სადაც ჩვენი საჩითავი საამქრო იყო.

ერთხელ ჩემი დამხმარე მუშა არ მოვიდა სამუშაოზე. ამ დროს, როცა მჩითავი ცალუღელა დარჩებოდა, მუშახელის ნაკლებობის გამო, თვით გონაშვილი ეწეოდა ჭაპანს, რომ გეგმა არ ჩავგვარდნოდა. მაგრამ იმ დღეს თითქოს პირველად შენიშნა ბოშა ქალი.

— იქნებ შესძლო, აბა სცადე!

— სიამოვნებით, — გაეხარდა ბოშას. იგი მოძრავი, ცოცხალი ქალი იყო და არცთუ მაინცდამაინც ებიტნავებოდა იოლი საქმე — ყუთებში საღებავის ჩასხმა. ახლა მაგიდებს რომ ჩაუვლიდა, ეს გაახალისებდა.

ვასწავლე როგორ უნდა მოქცეულიყო. პირველად იხალისა; ჩემთან ერთად კისკისით ჩაუყვია მაგიდას. სწორედ გითხრა, მეამა მასთან ერთად აქეთ-იქით ჯირითი. ცეკვა-თამაში არ ღლიდა, შეუჩვეველმა საქმემ კი დაღალა. არ ვაჩქარებდი. ნელ-ნელა გადაგვექონდა შაბლონის ყუთი. გაუწაფავი ხელი კარგად ვერ მიმყვებოდა საღებავის წასმავში. დაიღალა ღიზა.

— დავისვენოთ, — მთხოვა მან და თავი უკან გადააქნია, — საინტერესო სამუშაოა.

— დავისვენოთ, — დავთანხმე და შაბლონის ყუთს ხელი შევეუშვი.

გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. გვერდით მომიჯდა, თავის ლამაზ, საღებავით მოსვრილ თითებს დააცქერდა.

— არასოდეს აზრად არ მომივიდოდა, რომ აქ მოვხვდებოდი.

— ამას არც მე ვფიქრობდი.

— მინდოდა, სადმე, ბოშურ ანსამბლში ეყოფილიყავი.

— უარს არავინ გეტყვოდათ. რა დამაიწყებს თქვენს სიმღერებს. კარგი იყო, ღმერთმანია...

— ანსამბლზე ოცნება გაქრა, — ღრმად ამოიოხრა ბოშამ, — დავიგვიანე, რაღა დროს ჩემი სცენაა. თავის დროზე კი არ ვიზრუნე, შინ ვერთობოდი.

— ახლაც არ გეტყვიან უარს, ღიზა.

— ახლა გული აღარა მაქვს. მე ხომ ქმარმა მიმატოვა. ძალიან კი მიყვარდა ის უღმერთო. დღესაც ისევ ისე მიყვარს.

მე გაკვირვებით შევხედე ამ მუდამ მომხიბვლელ ქალს.

— ჰო, რა ვიცო, სხვა ქალში გამცვალა.

— ბოშა? თქვენზე უკეთესია?

— მხოლოდ სხვა და არა უკეთესი, — ვაიციანა ღიზამ, — რა ვიცო, იქნებ ჩემი ქმრისათვის უკეთესია... ალბათ. ღმერთმა გააბაროს. მე კი მაინც მიყვარს და რომ დამიბრუნდეს, ყველაფერს ვაპატიებ.

— განა ასეთი ძლიერია სიყვარული?

— როცა ადამიანი ნამდვილად გიყვარს, ასეა. რაც იყო იყო, ყველაფერს შედეგში ამოსვრილი ობრევებელს მუხლებზე დაიკრა და ისე მარდად წამოდგა, თითქოს აი, ეს არის ხელებს გამშლის და საცეკვაოდ გაფრინდებო. მაგიდას შემოურბინა და შაბლონის ყუთთან თავისი ადგილი დაიკავა.

— კმარა დასვენება, — თქვა და ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა ყუთს.

ღინჯად გაეყვით მაგიდას.

გულმა შინ აღარ გამიწია და საღამო ხანს ირმას შევეუარე რაიკომში. მისი კაბინეტი ახალგაზრდებით იყო სავსე. რაიკომის მდივანს ის იყო თათბირი დამთავრებინა.

ღია კართან შევჩერდი. ირმა ვერ დავინახე. მაგიდას კომკავშირელები მიხვეოდნენ. კანტიკუნტად დაიწყეს გამოსვლა. მიდიოდნენ ხმამალალი, აზარტული კამათით. მათი მზიარული იერი მეც გადმომედო, გული გამიხალისა.

მაღე მე და ირმა მარტო დავჩრით. არავითარი საქმე არ მქონდა, ისე გამოვეუარე. ამ დროს შინ ბრუნდება ხოლმე და მეგონა ერთად წავიდოდით.

— გავიგე, ერთი ამბავი აგიტეხია ფაბრიკაში. თეიმურაზმა მიამბო ყველაფერი. შენ გეთქვა, რა იქნებოდა, — რბილად მისაყვედურა ირმამ და თავის მაგიდაზე გაშლილი ქაღალდების შეგროვებას შეუდგა.

— არც ისეთი ამბავი იყო, რაიკომში რომ მოგვეტანა.

— შენ უწინ არაფერს არ მიმაღავდი.

— ჰო, არაფერს... აბრეშუმში დავსვარეთ, თოთხმეტი მეტრი ქსოვილი გავთხუბნეთ და ეს ვერ მოვითმინე.

— მთავარი ინჟინერი უკმეხი კაცი ჩანს. შორიდან ვიცნობ. მეც ამრეზილი მიყურებს, როცა ფაბრიკაში შემოვივლი ხოლმე.

— ჩემთვის სულ ერთია ნისი ხასიათი. მისმა ცოლ-შვილმა იდარდოს. — გავუღიმე ირმას.

მან შემომხედა. თითქოს იმ წუთში სულ სხვაგან წაივლია ფიქრით. მიყურებდა და არაფერს ამბობდა. მერე უცებ გამოერყვა. ალბათ დადლილობამ სძლია, შუბლზე მოისვა ხელი.

— ამ დილას მარიკა იყო ჩემთან.

— გახსოვს, კომკავშირში აღდგენას შეპირდი.

— შევპირდი და გავუცეთებ კიდევ. ყოჩაღი გოგო გამოდგა.

— საოცრად გულჩათხრობილია. ვერ წარმოიდგენ, როგორ მეცოდება. ღიმილით მივესალმები ხოლმე, ის კი ისე ცივად მიპასუხებს, გული მიკვდება. ასე მგონია დავეუშავე რამე.

— ხომ იცი, რა ცეცხლიცაა მაგის გულში. მთავარია, რომ ჩვენთანაა. დრო დიდი მკურნალია. თურმე ასე ყოფილა, ჩემო თამაზ... — კვლავ შუბლზე მოისვა ხელი და მღელვარების ზღაპარავად ტელეფონს გადასწვდა, საღღაც დარეკა... მგონი არც დაურეკია, ტელეფონს შეეთამაშა. ისევე დაღო ყურმილი.

— ბინის შეცვლა უნდა მარიკას. ამ დილას მთხოვა. პირველ რიგში ეს საქმე უნდა გავუქეთო. ახლა აღმასკომში უნდა გადავიდე და ვთხოვო თამაზლომარეს. მისი იქ გაჩერება არ შეიძლება.

— აღმასკომში შეგაგვიანდება?

— წადი. გეტყობა შენც დადლილი ხარ. ამ საღამოს ჩემს დედამთილთან უნდა გადმოვიდე და გეტყვი როგორ იქნება მარიკას საქმე.

— სად არის ახლა ბინები, სად გამოუქვნიან?

— იქნებ ვინმეს ჰქონდეს გადასაცვლელი. აღმასკომში ეცოდინებათ. რაღაც უნდა მოეუხერხო. აუცილებლად უნდა მოეუხერხო, — დაბეჭითებით თქვა ირმა და წამოიღდა.

ქუჩაში გამოვედი. მე ქუჩის აქეთ მხარეს დავრჩი, ირმა მეორე მხარეს გადავიდა. შემინული სადარბაზოდან მოჩანდა გრძელი კიბე. მალე ამ კიბეზე, ჭუჭყიან მიწებს იქით, გავლანდე ირმა, ნელი ნაბიჯით რომ აღიოდა მაღლა.

საღამოს არსად არ წავსულვარ. ირმას ველოდი. ბიბლიოთეკაშიც არ გადავედი.

საერთოდ ბიბლიოთეკის იშვიათი სტუმარი ვახედი. ახლა იმის დროც აღარ მქონდა, რომ საათობით იქ ვმჯდარიყავი. როცა კი შევივლიდი, ყოველთვის ის დრო მახსენდებოდა, როცა მე, შერვადინი, ძია ილიკო და ირმა ერთმანეთს ვხვდებოდით. ახლა ირმა სულ აღარ ეკარება ამ ბიბლიოთეკას. მე ათასში ერთხელ თუ შევივლიდი ჩვენს, აწ გაქალაჩავებულ დეიდა ქეთოს. ყოველთვის შერვადინს გამიხსენებდა, ცრემლი მოეჩრეოდა და მთრთოლვარე ხმით მეტყვოდა:

— გახსოვს, ბიჭო, აგერ იქ რომ დაგდებოდა... მისი ხმა ახლაც კი ჩამესმის.

ერთი-ორჯერ თამრიკო გადავიყვანე დეიდა ქეთოსთან. ცრემლი მაშინაც ღვა. რა გოგონას მხურვალედ კოცნიდა.

...ირმას ველოდი. ის კი არ ჩანდა. დარდით ამევსო გული. ძია ვანო იმ საღამოსაც ბოსტანს ჩიჩქნიდა. ჩალიჩობდა, რადგან შინ გული არ უდგებოდა და უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა.

ძია სანდრო თავისი ოთახის კარებში იჯდა. ელნათურა ოთახიდან ანათებდა. გაზეთი წაიკითხა, მერე რადიომიმღებს მიუჭდა. ყოველ საღამოს ასე იყო. მუსიკას მოისმენდა, მიწვებოდა და დაიძინებდა. დილით კი ყველაზე ადრე ის ააქრიალებდა ჩვენი ეზოს კიშკარს.

იმ წელს იაპონიაც წამოვაჩოქეთ. მტერი მივლუწ-მოვლუწეთ. ტატე და მამაჩემი კი არ ჩანდნენ და არა. არც ავიღებოდა მათი, არც კარგი. ხან იმედი გავიღვივებოდა გულში, ხან უიმედობა დაგვღრღნიდა, მოგვშლიდა, მოგვაღუნებდა. მერე ისევე იმედი წამოშლიდა ფრთებს და გავჯახალისებდა.

...ირმა არ ჩანდა. არც დედამისი გადამოვიდა თამრიკოთი. ისე ვღარღობდი ხოლმე მათ მოუსვლელობას, გეგონებოდათ შემო ოჯახის წევრები იყვნენ. თამრიკო ერთი დღეც რომ არ მენახა, ვეღარ ვძლებდი. რაც კარგი რამ გამაჩნდა, ყველაფერი მისთვის მიწოდდა. ყოველ წამაგირბე მცირე საჩუქარს მაინც ვყიდულობდი. ირმა მიწყურებოდა, მაგრამ მე ჩემსას ვაკეთებდი.

იმ საღამოს არ მოსულა ირმა. შინ გვიან დაბრუნებულიყო, თამარიკოც დაძინებული დახვედროდა. მეორე დღეს გამაგებინა მარიკას ბინის ამბავი და მას... დამაბარა, აღმასკომის თანამშრომლები გაიკითხავენ და ორ-სამ დღეში შეგვატყობინებენო. საქსოვ სააქტროში ავედი, მოვნახე მარიკა და ირმას დანაბარები გადავეცი. გაეხარდა, მაგრამ ეს სიხარული ტირილით გამოხატა, თინას მოეხვია და აქვითინდა. აღელვებული დაებრუნდი საჩითავ სააქტროში და მთელი დღე ისე ვიმუშავე, ხმა არავისთვის გამოიცია. ღრუბა ისევ საღებავების ჩამსხმელად იყო, მაგრამ დროდადრო მჩითავადაც ვამუშავებდით. კარგად ამიწყო ფეხი და მეც მასთან უფრო ხალისიანად ვიყავი, ვიდრე ჩემ დამხმარე მუშასთან, ცოტა ბუზღუნა და მოუქნელიც რომ იყო. მსუნავი კაცის თვალით უყურებდა ბოშა ქალის მოხდენილ ტანს და თვალებიდან ნაპერწყმებს ყრიდა. მაგრამ ბოშა ყურადღებას არ აქცევდა, ვითომ ვერც ამჩნევდა.

როცა სააქტროში ყველას შეგვეჩვია, ღრუბა ძველებური გაიხსენა და შესვენების ეპოს სახელდახელო კონცერტსაც კი გვიმართავდა.

— თვალი დაუდგა შენს ქმარს! — ამბობდნენ ქალები, რომლებიც ღრუბას სანახავად სხვა სააქტროებიდან მოდიოდნენ.

მუშაობაშიც ფოცხვერით მოქნილი იყო. კარგად ამყვანაბრებდა. დამხმარე მუშად ეს ქალი მერჩივნა, ღმერთმანი.

45

რეაღმასკომის თანამშრომლებმა, ვერის ბაზრის გვერდით, ერთ პატარა ქუჩაზე მიაგნეს მოხუც ქალს, რომელსაც ბინის გაცემა უნდოდა. მეზობელთან უთანხმოება ჰქონდა და იქიდან წასვლა ყველაფერს ერჩივნა. ირმამ დაიბარა მარიკა და ერთად წავიდნენ ოთახის სანახავად. მერე ამ მოხუც ქალსაც აჩვენეს მარიკას ბინა. მოხუცმა მაშინვე განაცხადა თანხმობა და აღმასკომში სულ ჩქარა მოგვარდა გაცემა-გამოცემა.

აბრეშუმის ფაბრიკის საბარგო მანქანის ძარაში რამდენიმე ბიჭი ეგზიტო... მალე ჩვენი მანქანა ბელინსკის ქუჩაზე აბყვავდა. მარიკას უკვე ჩაელაგებინა თავისი ბარგი-ბარხანა და გვეციდდა. მისი ავლა-დიდება ერთ გზობზე გადავიტანეთ. ვუშველეთ მოხუცსაც, რომ მალე დაეცალა ოთახი. ამ ქალს კი იმდენი ხარახურა აღმოაჩნდა, იმდენი ჭუჭყიანი ბოთლები, ქილები, სურათები, ჩურები, რომ ერთ გზაზე მარტო ესენი გადავიტანეთ. გულმა აღარ მომიტოვინა და მოხუცს ვკითხე, რად გინდა ამდენი ბოთლები და ქილები-მეთქი. არაფერი მიპასუხა, შემომიბღვირა და უსიტყვოდ მაგრძნობინა, ჭკუაზე ხომ არ შეიშალეო. არც ერთი ბოთლი არ გადაგვაგდებინა, სულ ხელეში გვეყურებდა.

ბარგი გადავზოდ-ვადმოვზიდეთ და ბებრის ყოფილ ოთახში მე და მარიკა მარტო დავრჩით. მანქანას განგებ არ გავყვევ. მინდოდა მარიკას ბარგის მილაგ-მოლაგებაში წავშველებოდი.

ურთიგო ოთახი არ იყო. დაღლილი ვიყავი, მაგრამ თავი გავიხალისე. რომ ჩემი მზიარულება მარიკასაც გადასდებოდა.

— ჰა, რას იტყვი, მარიკა? კმაყოფილი ხარ?

— კმაყოფილი? — კითხვა შემომიბრუნა. გაბედულად და ცივად მიყურებდა. ალბათ ჩემგან ამ შეკითხვას არც კი მოელოდა. რა ვიცი, იქნებ დავაშავე, იქნებ არც დავაშავე... თავი უხერხულად ვიგრძენი, სკამები მიედგა-მოვდგა.

— ოთახი კარგია, რას იტყვი... ხომ მოგწონს? — მინდოდა როგორმე საუბარში ამყოლოდა. მას კი ლაპარაკი არ ეხალისებოდა, დაღლილი იყო და, ალბათ, მოსვენება უნდოდა.

ტახტი კედელთან დავდგით, მაგიდა შუა ოთახში, კარადა კუთხეში. მერე დიდხანს აღარ გავჩერებულვარ, მარიკას დავემშვიდობე და რაიკომისკენ გავწიე. ირმა არ დამხვდა. მარტო დავადექი გზას შინისაკენ. შემოდგომის გრილი საღამო იყო. ხალვათად მეცვა. აბრეშუმის ფაბრიკის ქიშკარსა და ღობეს ჩა-

უპარე. ფაბრიკიდან დაზგების დგან-
დგარი ისმოდა. კანტიკენტად დადიოდ-
ნენ ავტომანქანები. აღმართს რომ მივი-
ტანე, ნაბიჯს მიმემდე ვადგამდი, გულო
უკან მეწეოდა. სულ მუდამ რალაც მა-
წუხებდა და ამ წუხილს მხოლოდ ირმას
სიახლოვე მინელებდა. მაგრამ იმ სალა-
მოს ვივარძენი რალაც სხვა... ოღონდ სი-
ყვარული კი არა. მე მხოლოდ ირმა მი-
ყვარდა. მაგრამ მაინც მინდოდა ყოფნა
იქ, ერთ ვიწრო ქუჩაზე, პატარა ოთახ-
ში, მარტოდმარტო დარჩენილ მარი-
კასთან. იქნებ იმიტომაც, რომ ის მარ-
ტო იყო და მას ნუგეში სჭირდებოდა.
რად აეჩქარდი, რად წამოვედი? ჯერ
ხომ აღრეა. დავბრუნდები, შინ რა უნ-
და გვაკეთო? დავბრუნდები, რალაცას
მოვიმიზეზებ. იქნებ საჭირო იყო ახალი
ქერი დაგველოცა, თითო ჭიქა ღვინო
დაგველია.

ქუჩას ოდნავ ანათებდნენ ელექტრო-
ბოძებზე მოციმციმე ნათურები. აღ-
მართზე ნელა მივდიოდი. ერთი ნათუ-
რა ჩემს ჩრდილს წინ დამიფენდა, მეო-
რე ელექტრობოძს მივუახლოვდებოდი
და აქ მოციმციმე ნათურა უკან მომიჭ-
კევდა ჩრდილს, მერე იგივე ნათურა
წინ დამიფენდა. ჩრდილი ბედივით მე-
თამაშებოდა: ცხოვრებაში, ხან მეკარ-
გებოდნენ ტკბილი წუთები, ხან წინ მე-
გებებოდნენ.

მაგრამ იმ სალამოს განვიციდიდი რა-
ლაც უჩვეულო რამეს, რაც მარიკასკენ
მეწეოდა.

რამდენიმე დღის მერე იგი კომკავ-
შირში აღვადგინეთ. კრებას ირმაც ეს-
წრებოდა. მე სიტყვა ვთქვი. არ შემეძ-
ლო, არ მეთქვა. ირმა ღიმილით შემომ-
ყურებდა და, ვატყობდი, რომ ყოველი
ჩემი სიტყვა მოსწონდა. მართლა თბი-
ლი, ძალიან მგრძნობიარე სიტყვა გამო-
მივიდა. მარიკასთვის არც კი შემიხე-
დავს, სანამ სათქმელი არ დავამთავრე,
თითქოს ეს ჩემი გამოსვლა მას არც კი
ეხებოდა. ვითომ სხვაზე ვლაპარაკობ-
დი. სიტყვა რომ დავამთავრე, ქვითინა
გავიგონე. მარიკა ატირდა. ატირდა ბავ-
შევივით. მაგრამ საკვირველი ის იყო,

რომ ცრემლს არ მაღავედა, სახეზე ხე-
ლებს არ იფარებდა, იდგა, მხრები აეჩე-
ჩა და ლოყაზე ცრემლი დაბადლებით ჩა-
მოსდიოდა. ირმა წამოდგა, მიუახლოვ-
და, მხარზე შეახო ხელი. მთელ კრებას
გადაედო მღელვარება. ვიდაცამ დიდი-
ხა აღვადგინოთო, მეორემ — მივილო-
თო. და ამ ზუზუნში ვერ გავიგონე რა
უთხრა ირმამ მარიკას. როგორც იყო
დამშვიდდა. გონს მოეგო, შერცხვა თა-
ვისი ცრემლისა და ხელები აიფარა სი-
ხეზე. ამ დროს თავმჯდომარე კენჭს
უყრიდა, ვინ იყო მომხრე კომკავშირში
მარიკას აღდგენისა. წინააღმდეგი არა-
ვინ აღმოჩნდა. ირმამ მსუბუქად წაპკრა
ხელი მარიკას, წადი, დაჯექი შენს აღ-
გილზეო. დაჯდა თუ არა, კვლავ ხელებში
ჩარგო სახე და გაირინდა.

იგი სიხარულმა აატირა. გულმა ვერ
გაუძლო, როცა ამდენი კომკავშირელი
მის ბედს წყვეტდა. უარი რომ ეთქვათ?
აქო და მარიკამ თავის დროზე ყველა-
ფერს ხელი ჰკრაო... მაგრამ მან საკუ-
თარ თავსაც ხომ ჰკრა ხელი? მისთვის
ცხოვრება შავი ბურუსით დაიფარა და
ველარაფერს ხელავდა. რამდენჯერმე გა-
ვარღვიეთ ეს ბურუსი, გავარღვიეთ და
კაბადონზე დავანახეთ ერთი ნახევრი
ლურჯი ცისა, უსაზღვროების თვლივით
რომ გამოანათა ყომრალ ღრუბლებს
შორის... ეს კი იმედი იყო. და ახლა,
როცა ცის ეს უმშვენიერესი თვალი კი-
დეც უფრო გაციხროვებულნი გამოჩნ-
და, მარიკას არ შეეძლო სახეზე აეფა-
რებინა ხელები. სიხარულის ცრემლი-
ანი თვალებით იგი მაშინ სწორედ ცის
იმ ერთ ნაგლეჯს უყურებდა, იმედს
რომ იმედად ემატებოდა.

...მის სახეზე მაინც ვერ დავინახე
ღიმილი.

შუალამე კარგა გადასული იქნებოდა,
ძია სანდროს ოთახიდან ხმაური შემო-
ქვსმა. ნაცნობი ხმები კი გავარჩიე, მაგ-
რამ თავი ისევ სიზმარში მეგონა. ოთახ-
ში ბნელოდა. კარ-ფანჯარას ოდნავ, სულ
ოდნავ სწვდებოდა ქუჩის ელნათურის

შუქი. მაისის ერთი ღამის მოლანდება არ მაგიწყდებოდა.

მესმის:

— ლაცაბიტები როგორ არიან, ძველო?

უკვე გარკვევით ისმის ნაცნობი და შორეული ხმა:

— ესენი, ესენი როგორა არიან? — ალბათ ჩვენა გვეითხულობდა.

დაფეთებული წამოვყარდი, საწოლზე წამოძვარი დედაჩემი გავლანდე.

— ტატეა, ღმერთმანი! — თქვა მან ათრთოლებული ხმით.

ძია სანდროს ბურღულენიც, მისი ადგლებული ხმაც გავიგონე და ოთახიდან ისე გაშმაგებული გავყარდი, თვალის დახამხამებაში ძია სანდროს კართან გავჩნდი. კარი ღია იყო. ოთახი ელნათურას გაენათებინა. შუა ოთახში იდგნენ ერთმანეთს მოხვეული სიძე-სიმამრი. არც ერთი სთმობდა, არც მეორე. და იქვე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, პატარა, ქერათიანი, ჭორფლიანი, ცისფერთვალა ბიჭი იდგა, უძინარი, დაღლილი და გაბრუნებული. კართან ორი ჯარისკაცური ხალთა ეგდო და ერთი ფირფიცის მოზრდილი ჩემოდანიც.

პირველად შევნიშნე ძია სანდროს თვალეში ჩამდგარი ცრემლი. შარვლის ჩაცმა კი მოესწრო. პერანგისამარა და ფეხშიშველი იდგა. დამინახა და ყურადღება არც კი მომაქცია. სიძეს საყვედურით ეუბნებოდა:

— რა იქნებოდა ერთი წერილი, ბიჭო?!.. დარღით გავთავადით!

— წერილი, წერილი... რა ვი, რაც მე ვწერე?!.. ერთი ხუთი წერილი მაინც დაეწერე... ორი ძლივ გამოვგზავნე... სამი აი, აქ მიგდია ჯიბეში...

— ი, შენ რა გითხრა!

— მთავარი რაც იყო, ის გავაკეთეთ და ეხლა რაღა...

ველარ მოვიტმინე და დაეუბნა, ძია ტატე-მეთქი.

შემობრუნდა. ორდენებითა და მედლებით გადაშუქებული მკერდი მომანახა. ამაყად შევხედე. საფეთქლებთან ქალარა მორეოდა და უფრო მეტად გა-

შავებულოყო. ტყე-ველად ნათრევი კაცის იერი დასდებოდა ნაომარ ვაჟკაცს. ერთმანეთს მოვეხვიეთ და გადავყარეთ.

— ეს ვილაა, ბიჭო? — დაიძახა ძია სანდრომ. გვიან შენიშნა კართან ატუხული, ძილმოტუხული პატარა ჯარისკაცი.

— ეს ჩემი შვილობილია. აქეთ მოდი, ბიჭო! — მამაშვილურად მოეფერა ტატე ბიჭს, რომელიც ძალით აჭყეტდა თვალებს, რომ ზეზეურად არ ჩასძინებოდა.

დედაჩემიც შემოვიდა. ახლა ის მოეხვია ტატეს. ძია სანდრომ კი პატარა ჯარისკაცს მხრებში ჩაჰკიდა ხელი, მიიზიდა და ახლო შეათვალიერა.

— ეს ვილაა? — იკითხა დედაჩემმაც და ბიჭს მანაც აღერსით მოუთათუნა ხელი ლოყაზე.

ალერსი არ ეამა, თუ უცხო ხელი ეხამეშა, ბიჭი გაიბუტა. პატარა მზარა გადაეხსნა და მის მკერდზე სამი მედალი დაეინახე: „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „ბერლინის აღებისათვის“ და „ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის“. ბიჭოს, ვთქვი ჩემთვის, რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილა-მეთქი და ისე კი აღარ შევხედე. როგორც ბავშვს, არამედ როგორც ვაჟკაცს.

— აი, ეს მედალი, — ბიჭის მკერდზე თითი დაადო ვერცხლისფრად მოციმციმე მედალს ტატემ, — ჩვენი მეომრების გადარჩენისათვის მისცეს ლონიას. ვენაცვალე ამას! იმ ჯარისკაცებში მეც ვერე. მას შემდეგ გვერდიდან აღარ მომიშორებია. ბერლინშიც ერთად შევედით. შეხედეთ, რა ბიჭია! გავზრდი, დავაჯავაკებ, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ! — ეძინება, მალე მაინც მოასვენეთ, — შეწუხდა დედაჩემი. გზირი ბიჭი თავს ველარ იკავებდა.

ლოგინი დაუგეს. ტატემ ჩვენს თვალწინ გახალა ტანსაცმელი, ლოგინში ჩააწვინა, გემრიელად ჩაჰკოცნა, მერე პატარა ხალათის ჯიბეზე დაბნეული მედლებიც დაუკოცნა.

— სხვა, შენ რაღას შერები, ძველო?

— მეც ვიოპე, ძია ტატე.

— ყოჩაღ, მოგისწრია. კარგა კი დავაქაცებულხარ, აი! სად იყავ, რომელ ფრონტზე?

— როსტოვთან ვიბრძოდი, კიევთანაც... მერე დავიჭერი.

— რა არი ადამიანი!.. — ღრმად ამოიოხრა ტატემ, — გუშინდელივით მახსოვს ამისი ბალობა! — ჩემზე ამბობდა, მაგრამ ლონიას კი გადახედა. ლონიამ თავი მიდო თუ არა ბალიშზე, იმავ წუთს ჩაეძინა. წელან გაბრუებული, ნახევრად მძინარე გვიყურებდა და, ალბათ, ფიქრობდა, ეს სად, ვისთან მოვხვდიო. ფიქრობდა და სიტყვას არ სძრავდა. ღიმილიც კი არ მოჰფენია მის უძილობით ოდნავ შეშუპებულ სახეს. დაძინა და სახეც თითქოს დაუმშვიდდა, ლოყები წითლად გაუღვივდა.

— ეხლა მე ვარ ამისი მამაც. დედაც, ბიძაშვილიცა და მოკეთუც. ლონია ჰქვია, ლადოს დაეუძახებ, გვარად გოლუბცოვია, გულვარდაშვილი იქნება. გზაში ძალიან გავიტანჯეთ, მაგრამ მადლობა ღმერთსა, შინ მშვიდობით ჩამოვვლით...

— ჰიტლერს რომ ემუქრებოდნი, ხომ ახდა, ძია ტატე.

— ტყუილი ჩემ დღეში არ მითქვამს. თუ ვინმეს რამე შევპირდი, შევეუსრულებ კიდევ! — გაიღიმა ტატემ და უღვაშზე გადაისვა ხელი. უფრო სქლად დაეყენებინა უღვაში. ჭეული კაცივით აღარ ჰქონდა და ხანს მატებდა, — მაგრამ თვითონ ვეღარა ვნახე, ამაზე მწყდება გული. პირადად ვერ ვაუხსწორე ანგარიში!

ლონიამ ძილში რაღაც წამოიძახა, შეშფოთებულმა წამოჰყო თავი. გულგახეთქილმა დედაჩემმა ორივე ხელი მკერდზე მიიდო, ძია სანდრო კი შეერთა. არც მე მოველოდი მშვიდად მიძინებული ბიჭის შეშფოთებას და შეშინებული მივაჩერდი. მაგრამ მან მალე ისევ მშვიდად მიდო თავი ბალიშზე.

— ასე ემართება. ერთხანს ძილში წიოდა კიდევ, მაგრამ თანდათან გაუარა.

— ბნელა არ იყოს, ბიჭო... აფსუსს შევილო! — თქვა ძია სანდრომ.

— ეჭიმებს გავაშინჯე. ჯანმრთელი

ბიჭია, მაგრამ შეშინებულია. ვერც ძილში იცის, თორემ, აბა, ხვალ გაიღვივებს და, ნახავთ, რა მალხაზი რამ არი. ჩვენი პოლკის სული და გული იყო, ვერავინ ელეოდა, მაგრამ ყველას მე ვაჯობებ. ხან სად უპირებდნენ გავზავნას, ხან სად... ისე შემეჩვია, უჩემოდ ვერა სძლებდა. ან მე, რა გამამლებინებდა უამისოდ!

... მეორე დღეს სულ მალე დაგვმორდნენ ტატე და ლონია. კახეთისაკენ გასწიეს. ძია სანდროც გაჰყვა. მეც მეპატყენენ, ერთად წავიდეთ, ერთი ლახათიანად წავიქეიფოთო, მაგრამ სამუშაოს გაცდენა არ შემეძლო. გული კი გავაყოლე. ფიქრით ყოველ მათ ნაბიჯს მივდევდი. ფიქრით მივაცალიე კარდანახში, გულვარდაშვილების კიშკრამდე. აი, ოთხი წლის ლოდინით გულმალეული ნინო სიხარულით აჭვითინდება ტატეს მკერდზე და უსაყვედურებს, წერილებს რატომ არ გზავნიდი, კაცოო... ეს ვილა არისო, შეხედავს ლონიას. და მერე, რომ გაიგებს ვინც არის, ისიც გულში ჩაიკრავს ქმრის გადამჩენელს...

როგორ გადაარჩინა? ხუთი ჩვენი მეომარი ხიფათში ჩავარდნილა, ფაშისტების ვარემოცვაში მოხვედრილან. მაშინ უსახლკაროდ, უპატრონოდ დარჩენილ ნახევრადშემეღ გიჭს, რომელიც შემთხვევით წასწყდომია ამ სახიფათო ადგილს, მოუსახრებია ჩვენიანებისთვის შეეტყობინებინა მეომრების გასაჭირი. დროზე მიუსწრეს საბჭოთა მეომრებმა თავიანთ ამხანაგებს. ლონიას კი ფრონტის სარდლობამ მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“ გადასცა. მერე პოლკში ჩარიცხეს შეილობილად. მებრძოლებს ძლიერ შეუყვარდათ ეს ბიჭი. მაგრამ ტატე გულვარდაშვილია გულში ყველაზე უფრო ღრმად ჩაისვა...

ალბათ, ნინოც სულში ჩაისვამს, ერთად გავრდიან, დაავაქაცებენ და, როცა კახეთში ჩასვლა მოგვიხდება, გულვარდაშვილების ოჯახში შეგვეგებება ერთი გაქართველებული რუსი ვაჟაკიც, ლონია — ლადო, გოლუბცოვ — გულვარდაშვილი.

ასეთია კაცის ბედი. სადაურსა სად წაიყვანსო...

იმ დღეებში ძალიან ხალისიანად ვგრძნობდი თავს და მინდოდა ჩემი სიხარული მათაც გადასდებოდათ, ვინც ჩემთან ერთად ტრიალებდა, ვინც ჩემს სიახლოვეს იყო.

ორი დღე არ ჩანდა ბოშა ლიზა. ავად გვეგონა. მესამე დღეს მხიარულად შემოიჭრა საამქროში და, სანამ რამეს ვკითხავდი, მომახარა:

— დაბრუნდა ის საძაგელი!

თვლები ისე ხალისიანად უციმციმებდა, როგორც პაემანზე გაჩქარებით მიმავალ გოგონას, გულის ფანქვალით რომ განიცდის შეხვედრას გულის სწორთან და ცდილობს, ერთი წუთითაც კი არ შეაგვიანდეს.

ესეც გამეხარდა. არ მინდოდა ლიზა ბედით დაჩაგრული ქალი ყოფილიყო. გულით უყვარდა ის უსინდისო კაცი, რომელმაც დროებით, მაგრამ მაინც გასცვალა. მობრუნდა კი სააუღამოდ? ასეთები ერთთან დიდხანს არ ჩერდებიან, გული გარე-გარე მიუწევთ და სულ სხვათა ძიებაში არიან, სხვისკენ მიილტვიან. ვინ იცის, იქნებ სააუღამოდაც მოუბრუნდა? დმერთმა ქნას! ლიზა მხიარულად იყო და შესვენებისას გაიხსენა მრავალი ბოშური სიმღერა, რომლებსაც ქალიშვილობაში მოხდენილად ასრულებდა. გამახსენდა ჩემი ბავშვობა, ლიზას სახლის გაღებულ იყვება კარი და ფანჯარა. გამახსენდა და გული დამწყდა, რომ ასე სწრაფად და უღმობლად გარბის დრო.

ჩვენს საამქროში გამართულ კონცერტზე მქსოველებიც მოვიდნენ. დავინახე ნესტანთან ერთად მოსული მარიკაც. იგი თავისი ოსტატის გვერდით იდგა, არ სცილდებოდა და გაფაციცებით უყურებდა ლამაზ ქალს, რომლის გულიც სავსე იყო ბედნიერებით და ეს ბედნიერება ძალას მატებდა, რომ კვლავ მომხიბვლელი და სხვათა გულის მპყრობელი ყოფილიყო.

ჩვენი პატარა საამქრო ხალხით გაივსო. ბუზღუნა გონაშვილი სულგანაბუ-

ლი უსმენდა და ისეთი თვალით უყურებდა ლიზას, გულში ალბათ ჩატრობდა, აჰ, რატომ ოცი-ოცდახუთი წლის ქაბუკი არა ვარო.

როცა ფაბრიკის საყვირმა შესვენების საათის დამთავრება გვაუწყა, ლიზამ ხელები გაშალა, თავი ღრმად დაუტყრა მუშებს და შაბლონის ყუთს დასწვდა.

47

ფაბრიკიდან რომ გამოვედი, თოვდა. იმ დღეს პირველ ცვლაში ვიყავი და ხუთ საათზე დავამთავრე მუშაობა. ნესტანი და მარიკაც პირველ ცვლაში ყოფილიყვნენ. ქუჩაში რომ გავედი, თვალი მოვკარი, ნელი ნაბიჯით რომ მიდიოდნენ ვერის ბაზრისაკენ.

შინ არ მიმეჩქარებოდა და რატომღაც გულმა მიბიძგა წამოვწეოდი მათ. ცოტაზე გავაცილებდი, რაღაცას წაიყვებდებდი. იმ დღეს, მართალია, კარვადალი ნაჭერი მოვჩითეთ და დაღლილობას ვგრძნობდი, მაგრამ მოსვენებულ მაინც არ მეწადა. მერედა, რა სასიძოვნო იყო ქრატუნა თოვლში სიარული! ორი მომცრო გუნდა გავაკეთე, ერთი ნესტანს ვესროლე, მეორე — მარიკას. შეკრთნენ, ორივემ ერთდროულად მოიხედა. მე მე რომ შევჩინე, ნესტანმა მომამახა:

— შენ რა გითხრა, თამაზ, გული გაგვიხეთქე!

მარიკას არაფერი უთქვამს.

მივუახლოვედი.

— რა საგუნდაო თოვლია! — ვთქვი ის, რაც უმალ მომადგა ენაზე. მერე ორივეს ხელკავი გავუკეთე, მაგრამ მარიკამ შემავშებინა ხელი. ვიგრძენი კი რა მკვრივი, ვაჟკაცის შეფუცლები მკლავი ჰქონდა ამ ერთი შეხედვით სუსტსა და ნაზ ქალიშვილს. მეწყინა მისი საქციელი. ასე არასოდეს არ მომქცევია. თავდაბრილი მოდიოდა.

— ნესტან, ჰკითხე ერთი, რად მებუტება?

— მე არ გებუტებით, — ხმადამლა დაასწრო მარიკამ და ქვეშ-ქვეშ გამომხედა. რაღაც მეტად მიმზიდველი და გა-

მომწვევი მეჩვენა მისი გამოხედვა. გული ამიჩქროლდა. მეტი აღარ შემოუხედავს. ნესტანი მალე დაგვემშვიდობა, საღამოს ბაზარს შეუარა, ჩვენ კი გზა განვაგრძეთ. უსიტყვოდ მივაბიჯებდით. ცოტა რომ გავიარეთ, იგი თავის გადასახვევთან გაჩერდა.

— ნახვამდის, თამაზ... მე აქ უნდა ჩაეხუტო.

ღელავდა. არ ვიცო, ალბათ, სციოდა კიდევ, გატრეცილიყო.

— ვაგაცილებ.

— აბა, რად მინდა ვაცილება.

ფეხს არ ვიცვლიდი. არც ის მიდიოდა.

— მარიკა, როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ? — კვითხე დაუფიქრებლად და უფრო ახლოს მივედი. არ დაიძრა, თავი დაეხარა და ფეხის წვერით თოვლს ეთამაშებოდა. ძველი ფეხსაცმელი ეცვალა, ალბათ, ფეხიც მოძრული ჰქონდა. შემეცოდა.

— წაიღეთ შინ, შეშა გაქვს? თუ არა გაქვს, სადმე ვიშოვი... გულურას მოგიტან და დაგიჭრი.

— ცოტა შეშა მაქვს. ერთი კვირა მეყოფა, მეზობელმა დამითმო.

— მერე, მერე რა გეშველება? ზამთარი ახლა იწყება! — შევშფოთდი, მარიკას თვალუბი ცრემლით გაუბრწყინდა.

— რა კარგი ადამიანი ხარ, თამაზ! — ჩემი სახელი ცრემლთან ერთად ჩაეყლაპა.

ველარ მოვითმინე და ხელი მოვკიდე.

— წაიღეთ, მკიევა, — თქვა და ხელი აღარ გამაშვებინა.

მის ოთახში ისე ციოდა, რაღა გარეთ და რაღა შინ. მაშინვე შინაურივით დავტრიალდი. ხალისიანად ვიყავი და მინდოდა, ამ პატარა ოთახშიც შექმნილიყო ხალისიანი ატმოსფერო, გამხიარულებულყოფილი ოჯახის დიასახლისი და აღუღუნებულყოფილი მისი თუნუქის ღუმელი. შეშა დაუჭრელი ჰქონდა. სწრაფად დავაქე იქვე, კარწინ, ეზოში. გამშრალ-გამომხმარი რცხილა იყო, შევეყარე თუ არა ღუმელში და ცეცხლი მივეცი, ისე ატრეცილდა, ისეთი ამბით ალაპლაპდა, უმალ ვიგრძენი სითბო.

მარიკა შეთბა. ფიქრშეპყრობილი შემომყურებდა.

— გათბი, მარიკა? — ხელის მტევანი მოვუშინე. მის თითებს სითბო მოჰკიდებოდა. გამიღიმა. ძლივს გამიღიმა. ისე საყვარლად, ისე სასოებით გამიღიმა, რომ მზად ვიყავი, გულში ჩამეკრა. გავებდე და მისი ხელი მკერდზე მივიკარი, ალბათ, ძალიან ეღელავდი, მარიკა შეკრთა.

— ღმერთო ჩემო, როგორ გიცემს გული!

და იმ აღელვებულ მკერდზე მაგრად მივიკარი იგი. არც მისი გული ფეთქავდა ნაკლებად. ვაკოცე ნაზად, ალურსით, სიყვარულთ. იგი მიღიმოდა და ტბროდა, როგორც აპრილის მზიან-ღრუბლიანი დღე.

ორივემ ბედნიერება ვიპოვეთ და ერთმანეთი აღარ გვეთმობოდა. ერთი სიტყვა კი არ დავცდენია სიყვარულზე. ერთმანეთს ისე ვეაღურსებოდით, ისე ნაზად, ხარბად, თითქოს ეს ყოფილიყოს ჩვენი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა. ყველაფერი დამავიწყა ამ რამდენიმე ბედნიერმა წუთმა, ვინ ვიყავი, რა მიკეთებია, საიდან მოვსულვარ, ვის შევხვედრივარ...

გონს რომ მოვკიდით, მინდოდა ეს ჩვენი ბედნიერი საღამო ერთი ჰქონდეს ღვინით მაინც დაგველოცა. მარიკა შინ დავტოვე და მალაზიაში გავიქეცი. მივტბოდი. ლენინის ქუჩაზე რომ გამოვედი, უნებურად საათს დაეხედე. ადრე შებინდებულიყო. ნეტავი თუ იქნება ირმა რაიკომში? მოდი მივირბენ, ვახარებ. ვიცი გაეხარდება, რასაც ვეტყვი.

მალაზიაში შესვლა ცოტა ხნით გადავდე და კომკავშირის რაიკომისკენ გავიქეცი. ნაბიჯი თანდათან შევანელე და რაიკომის კარს რომ მივატანე, გაოგნებული გავჩერდი. თვალწინ დამიდგა ირმა, ჩემი სიყრმის პირველი სიყვარული... ვისთან მივდივარ, ვის რა უნდა ვახარო?!.. ვის, ვის?!

თავბრუ დამეხვია. იმ წუთში აღარ ვიცოდი საით წავსულიყავი, ვინ უფრო ძალიან მიყვარდა, სად იყო ჩემი ბედ-

ნიერება და საერთოდ, რა მსურდა ამ ქვეყნად.

ქუჩაში კანტიკუნტად მიმოდრიდნენ ადამიანები. ხვადრიელად ბარდნიდა და იღუმალ ზღაპარს მტრურჩულბოდა ზამთრის წყნარი საღამო. ორ ცეცხლშუა ვიდექი და ეტორტმანებდი. რამ წამომიყვანა აქეთ?..

ფეხი ავითრიე და უკან დავბრუნდი.

ნაცნობი ჩასახვევს კუთხეში მარჯვად გავლანდე. ნუთუ ის არის? ქუჩაში რად გამოსულა? ფეხს ავეჩქარე, მივეახლოვდი. მართლა მარჯვად იყო. მაშინვე დიმილით შემომეგება. ღიმილით, რომელსაც დიდხანს ველოდი მისგან, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი რითიმე კმაყოფილი მენახა.

— მარჯვად, გარეთ რამ გამოგიყვანა? არა გიცოდა?

— არა გიცოდა. შინ ველარ ვაძედი.— ისე შემომეგება, თითქოს დიდი ხნის უნახავები ვყოფილიყავით.

ჩემო კარგო მარჯვად — ეთქვი აღელვებული ხმით, — წამოდი ვიაროთ, გავყვეთ ამ ქუჩას. რა საამურად ბარდნის.

— სადაც გინდა, იქ წავიდეთ. ოღონდ მარტო ნუ დამტოვებ, გვედრები. ძალიან ძნელია მარტოობა.

— არა, არ დაგტოვებ... ეგ რატომ იფიქრე, მარჯვად!

თავი მხარზე მომადო. ხელი ნახად მოვხვიე თხელ მხრებზე. აღარ თრთოდა, შემთბარაყო.

ნელი ნაბიჯით გავყვეთ ქუჩას. ბუნება თეთრ გზას გვიმზადებდა, ციდან თეთრ ფანტელებს უხვად გვაყრიდა.

პილოზი

... კომპიუტერ ამწესთან სამუშაოთა მწარმოებელ ინჟინერს შევხვდი. მას კარგად ვიცნობდი. იცოდა, ვის სანახავადაც მივედი. მეთორმეტე სართულზეყო, მიტხრა და კომპიუტერი ამწესით შემთავაზა ასვლა, მაგრამ მე ფეხით ვარჩიე და სახელდახელო ხის კიბით სართულს ავიყვი.

პირველი და მეორე სართული

მეთორმეტემდე დიდი გზაა ზემოთ მივიწვიე. მალა თამრიკოს მგულდება, ირმას გიჟმაღი გოგონა, უკვე ახალგაზრდა მშენებელი ინჟინერი.

როგორ სწრაფად გაიარებინა დრომ!

ირმა არ გათხოვილა. ამ ერთ გოგონას შესწირა თავისი ყმაწვილქალობა. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ფეიქარ-ინჟინერის დიპლომი აიღო. კარგა ხანი პარტიულ სამუშაოზე დაჰყო. პარტიკომის მდივანდაც დააწინაურეს. ირმა ბოლომდე ერთგული რჩებოდა იმ ვეჯაცისა, ვისაც ერთხელ შეჰფიცა მარადიული მეგობრობა.

თამრიკოს ხშირად ვსაჩუქრებდინ ხან რას ვუყიდდი, ხან რას. თითქმის ჩემ თვალწინ წამოიზარდა, ჩამოიჩიბა და ინსტიტუტი დაამთავრა.

ბოლო დროს ირმა ერთ-ერთი დიდი საფეიქრო ფაბრიკის დირექტორად დანიშნეს. ახლა ჩვენ ორმოცდახუთი წლისანი ვართ. რა ვიცო, თუ კიდევ გვეთქმის ახალგაზრდები. ჩვენი ნამდვილი ახალგაზრდობა კი გაფრინდა. —

ადამიანი ყველაფერს ეგუება. და მეც შევეგუე ირმას ფერისცვალებას, მის დაქალებას, დასრულებას, მისი თმის გაქალაქავენას, თვალის უქებებთან სიბერის პირველი ხნულის გავლებას და მძიმე, წაუშლელ სევდას, რომელიც აგეროცი წლიდან მოსდევს და მოსდევს...

მაგრამ ის ყოველთვის იყო და რჩებოდა ჩემს თვალში უმშვენიერეს ქალად.

მესამე სართული

მარჯვად ცოლად შევირთე. ერთად ვმუშაობთ აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში. მარჯვად ნესტანთან დაოსტატდა, სახელი გაითქვა.

მე საჩითავი საამქროს უფროსი ოსტატი ვავხდი. ამ საქმეში ისე გამოიტაცა, რომ ყველა სხვა გატაცება მიმავიწყებინა. ახლა დიდი საამქრო ვვაქვს. გვიდგას მანქანები. ვჩითავთ ხელითაც. საქრო გონაშვილი პენსიაზე გავიდა. წაი-

და და წავეიდა. რამდენჯერმე ვნახე, შვილიშვილთან ერთად მისეირნობდა. რატომ არ შემოგვივლით, ოსტატო-მეთქი, ვკითხე. არაფერი მითხრა. მე კი არა მგონია ასე მოვიქცე.

მეოთხე სართული

ნესტანი რაილმასკომის თავმჯდომარედ დააწინაურეს. უკვე თმაქალარა ქალი მალე სამკერველო ატელიეს დირექტორად გადაიყვანეს. ყველამ მოაწყობა თავისი ცხოვრება, ვისაც როგორ შეეძლო და ბედმა როგორც გაუღიმა. შორს, ძალიან შორს წასული ავთანდილი, რომელსაც ჩვენი თინათინი ელოდა, როგორც იქნა გამოჩნდა. და თინამაც საკუთარი კერიის ცეცხლი გააჩაღა. ჯანიანმა ქალმა ოთხი ადამიანი შესძინა ქვეყანას. მარგალიტევიტ გოგოებსა და ბიჭებს ზრდიდა.

მეხუთე სართული

სადღაა ჩვენი საწყალო დეიდა სალომე! ვაჟიშვილის დარდს გადაჰყვა. ძია ვანო თინასთან გადაბარგდა საბურთალოზე, მეექვსე კვარტალში. ხუთსართულიანი სახლი, სადაც თინა ცხოვრობდა თავისი ქმარ-შვილით, გორაკის ძირში იყო. ვანომ ფერდობზე შემოღობა საბოსტნე ადგილი, ისევ მიწას დაუწყო ჩიჩქნა. თავის მობერებული, დაკორძებული ხელებით.

მეექვსე სართული

ძია სანდრო მობერდა. პენსიონერია, მაგრამ შაქრო გონაშვილივით კი არ მოქცეულა. ქარხანას ასე იოლად ვერ დაეხსნებოდა. სულით და გულით იქ იყო. ქარხანასთან ახლო ცხოვრობს. ორთახიანი ბინა აქვს და თავის სტუდენტ შვილიშვილებს შეხარის.

აი, ასე დაეიქსაქსენით: ძია სანდრო — ნაძალადეგში, ნესტანი — ფიქრის გორაზე, თინა და ვანო — საბურთალოზე, მე, დედაჩემი და მარიკა — სადგურის ქუჩაზე.

ჩემი თვალთ ვუყურე ბულდოზერებმა, სკრებერებმა და ექსკავატორებმა როგორ დაანგრეს ჩვენი ქოხნახები, ძია ვანოს სახლი, როგორ მისაწორ-მოსაწორეს იქაურობა. რომ ვუყურებდი, ასე მეგონა მანქანების საუკუნე ეჭიდებოდა ძველს, გარდასულს, დრო-მოკმულს.

დღეს ეს ადგილი სპორტის სასახლის გასწვრივ ახალი სასტუმროს წინ გახლავთ. ახლა იქ მოედანია, დიდი, მშვენიერი მოედანი. მაგრამ როცა კი იქაურობას თვალს მოვახლებ, ცოცხლად წარმომიდგება ძველი სურათები, ყოველთვის სასიამოვნოდ მოსაგონარი დღეები.

მეშვიდე სართული

ტატე გულვარდაშვილმა ისევ გლუხურ მეურნეობას მოჰკიდა ხელი. ვაიენო და დავაყვაცდა ლონია გოლუბციოვი. საკოლმეურნეო ელსადგურზე მონტიორად მუშაობს. სოფელში ლადოს ეძახიან. ტატე დანმარებით სახლი აიგო. ქალი მოიყვანა, ერთი ქერა გოგონა და ერთიც შავტუხა ბიჭი შესძინა ქვეყანას. ტატე და მისი მეუღლე ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისში, სტუდენტ შვილებსა და მოხუც სანდროს მიხედვა სჭირდებოდათ.

როგორც კი მის ჩამოსვლას გავიგებდი, აყვრიდი ჩემს ჯალაბს, მარიკას, ჩემს გოგოსა და ბიჭს და ძია სანდროს მივაღებოდი.

მერვე სართული

ძია სანდრომ იცოდა, რომ მე ძალიან მიხაროდა ტატე გულვარდაშვილთან შეხვედრა. ტატე ისევ ისეთი იყო, ოღონდ შავი თმის მაგივრად ახლა თხელი თმა ჰქონდა. მის ჯანსაღ, შეწითლებულ ცხვირს კი უამთა სრბოლა ვერ მოეროდა.

ტატე ისევ ისეთი მხიარულია და ისევ პატარა ბიჭი ვგონივარ.

მეცხრა სართული

ერთხელ დაფიქრებული მივიდიოდი. ჩემს გვერდით ვილაყამ „ვოლგა“ დაამუხრუქა. შევეკრთი. საჭესთან მჯდომს შევხედე. ფაქიზად ჩაცმული კაცი იყო. მონღოლური ყვრიმალეები და ცისფერი თვალეები ჰქონდა. თემო იყო. სამუალო სკოლა ისე დაეამთავრეთ, ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. მერე ჩვენი გზეები გაიყარა. მის ამბავს არ ვკითხულობდი.

— გამარჯობა, — ხელი გადმოყო მანქანიდან.

ხელი ჩამოვართვი და უხერხულად შევიშმუშნე; უცხოსავეთ ცივად და შორიდებით შევეყურებდი.

— საით მიდიხარ, წაგიყვან, — შემოთავაზა. მაგრამ მაშინვე უარის ნიშნად ვუთხარი, აქვე, ახლოს ვარ მისასვლელი-მეთქი.

— როგორც გენებოს, — ისე მომიგო, მეგონა, იმავე წუთს დასძრავდა მანქანას, მაგრამ არსად არ აჩქარებულა. მისი სიტყვები გულზე ეკლად მომხვდა. აშკარა იყო, ჩვენი მტრობა გრძელდებოდა. ცხოვრებაში მეტისმეტად კმაყოფილი კაცის იერი დაჰკრავდა და ამის გამო უფრო არ მინდოდა მასთან დიდხანს გაჩერება.

— სად ხარ, რას აკეთებ? — მკითხა შემრიგებლური კილოთი.

— აბრეშუმის ფაბრიკაში საჩითავ სამაქროს უფროს ოსტატად ვმუშაობ.

ჩაეცინა. მე კი გული მომივიდა, რა აციუნებს-მეთქი.

— დაცოლშვილდი?

— დავცოლშვილდი. გოგო და ბიჭი მყავს.

— მე ორი ბიჭი მყავს. იცი ვინ შევირთე? ციციწო ბაქრაძე გახსოვს?

— არა, არ მახსოვს.

— ჩვენს სკოლაში იყო.

— ჰო, რა ვიცი...

— ირმა მალაკელიძე ხომ გახსოვს? — დამცინავად მკითხა და ისე გამოიხედა, გულ-მუცელი ჩამეთუთქა.

— ამას წინათ ვნახე, დაუშნობელა.

— ცეცხლზე ნათი გადამისხა.

— ვინ დაუშნობელა, რა...
— ირმა. ის აღარ არის...
პატარაობისას კარგი ჩანდა. და საერთოდ, მაშინ ყველაფერი როგორ ლამაზად გვეჩვენებოდა.

— მართალია, შენ მაშინ ვერაფერს ხედავდი და გეჩვენებოდა... და მგონი, ახლაც გეჩვენება. იცი რა გითხრა, სხვა დროს, როცა დამინახავ, ნუ შეწუხდები. მანქანას ნუ გამიჩერებ...

ზურგი შევაქციე და გრამფირფიტების მალაზიაში შევედი. აქ შესვლას კი სულ არ ვაპირებდი.

მათე სართული

თემო დაიჭირესო, არ მახსოვს, ორი კვირის შემდეგ მითხრა ვილაყამ. ბლომად ფული გაფლანგა და იმიტომ ჩააყუდესო.

მეწყინა. მეწყინა არა იმიტომ, რომ დაიჭირეს. საწყენი აქ სულ სხვა რამ იყო, რაც ზოგჯერ ძალიან გვიან შეგვაწუხებს ხოლმე. როცა ურემი გადაბრუნდება, გზას მაშინ გამოუქმენით. იქნებ თავის დროზე მეგობარ-ამხანაგები ისე ძალიან არ უნდა გაედგომოდით განზე? იქნებ ავეტანა მისი ამპარტავენობა, მისი დაცივნვა, აკაცობა და უფრო მაგრად დაეხვედროდით? — ცალ-ცალკე ყველას ვგეტულდა და ერთად კი ვერაფერი ვერ მოუხერხეთ, გარდა იმისა, რომ ხელი ვკარით და კომკავშირიდან გავრიცხეთ. ჩვენ კი ბევრი რამ შეგვეძლო...

მეთერთმეტე სართული

თამარ, არ ვიცი, რატომ აქამდე კი არ მოუქმენე მამაშენის ნახატი. ვიცი გაგეხარდება ჩემი ეს საჩუქარიც. აი, აქედან რომ გადავხედავ სპორტის სასახლის წინ გაქიმულ ქუჩას, მამაშენის წარმოდგენით ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც დახატა. დახატა ის, რაც უცებ თვალწინ წარმოუდგა. ცუდი როდია, მაგრამ ახლა ის ჩემი ქუჩა უფრო ლამაზად გამოიყურება და ნუ გაგიც-

ვირდება, დრომ თავისი რომ მოიტანა. ნახატი კი გქონდეს სამახსოვროდ. დედასაც გაეხარდება. მე მინდა სწორედ აქ, ამ სიმაღლეზე გადმოგვე ნახატი, შენთან ერთად გადავხედო ჩემს ქუჩას, ჩვენს უბანს, ჩვენს ქალაქს...

მეთორმეტე სართული ბაჰანი

ირგვლივ. მიმოვიხედე. მთელი თბილისი ხელისგულივით ჩანდა. ჩანდა იგი ვრცლად გაშლილი, მტკვრით შუაზე გაკვეთილი, ცისფერი მთა-გორაკებით გარშემორტყმული. მესმოდა მისი ღონიერი, ვაჟკაცური სუნთქვა.

როცა მშობლიურ ქალაქს ზევიდან დავუყურებდი, ასე მეგონა თვითონ მან ამიტაცა ზევით, საყვარელი ბავშვივით შემისროლა, რომ მერე გულში მაგრად ჩავეკარი.

მეამა ამ სიმაღლეზე ამოსვლა.

რატომ დაფრინავენ არწივები მაღლა? რატომ ისწრაფვიან გულადები ზეცისკენ? იმიტომ, რომ უფრო ამაყად, უფრო ლაღად გადმოხედონ სამყაროს. ადამიანსაც სიმაღლე და უსასრულო სივრცე იტაცებს. თითქოს ამით უფრო იზრდება ქამი ჩვენი სიცოცხლისა.

აი, სამუშაო კონსტუმში ბიჭურად გამოწყობილი თამარიც. შემნიშნა და უმალ ჩემსკენ გამოემართა. არ მიმელოდა. გაოცებული შემომეგება. ოქროს-

ფერ თმებს ღია ბაქანზე მოთამაშე ქარი უწეწავდა.

— როგორც იყო ვიპოვე, — ვუთხარი და ნახატი გავუწოდე.

თამარმა ნახატი გაშალა. ერთ წუთს მღუმარედ დასცქეროდა. მერე შემომხედა.

— ასეთი რომ ყოფილიყო ეს ქუჩა, არც მაშინ იქნებოდა ურიგო, — მითხრა ჩუმიად, მღელვარედ.

თამარს ყოველთვის აღელვებდა მამაზე საუბარი. იგი ძლიერ განიცდიდა უმისობას. მალევე ახსენებდა. ხშირად იმასაც ითვლიდა, რამდენი წლის იქნებოდა აწ და მარადის ქაბუკად დარჩენილი მამა, რომელიც შინ გადიდებულ სურათიდან იყურებოდა.

— გმადლობთ, — მითხრა თამარმა და მაკოცა, — ეს ძვირფასი საჩუქარია ჩემთვის...

— ეს ხომ მცირედი ნაწილია შერმადინის ოცნებისა. რა იცოდა მაშინ, რომ ჩვენს ქუჩაზე ცათაზე ჩვენს ააგებდნენ. მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო ეს ყველაფერი. ახლა კი, რამ სიმაღლეზე ამოსულხართ!

— უფრო მაღლა ავალთ, ძია თამაზ! — თქვა თამარმა და მაღლა აიხედა, ჯერ აღშენებულ სართულებს შეავლო თვალი. მის თვალთა სხივში შერმადინის შუქი კიაფობდა. (

ქალაქი გუგუნებდა.



დაეშვიდობე დიდებას დიადს!

დაეშვიდობე დიდებას დიადს,
საბრძოლო ტრიუმფს, მეგრძოლის სახეს!
მამულთ ჩემო, სკოტლენდი გქვია,
დაეშვიდობე საკუთარ სახელს!

იქ, სადაც სარკი გადირბენს არყნარს,
იქ, სადაც ზღვისკენ იჩქარის ტვიდი,
სამფლობელთა ინგლისის ახლა
და პროვინცია მტრედევით მშვიდი.

კი, შენი ბრძოლა ღირსეულია,
მაგრამ ის, რასაც აღუდგე გმირად,
დღეს იმ ოქროთი მიღწეულია,
შენს გამყიდველს რომ ეძლევა ქირად.

ინგლისურ ფოლადს ზიზლით ვხვდებოდით,
ვუბღვერდით მტრულად, ვუღრუნდით მგლურად,
გვეგონა საქმე ომში წყდებოდა,
მაგრამ... გვიყიდეს ინგლისურ ფულად.

ო, ტანჯვას ჩემსას აღარ ათავებს
წყველი ფიქრი — რად დაგრჩი კენტად!
ჩემი ბებერი, ჭალარა თავი
რატომ არ ლბება ჩემს ბრუსთან ერთად!

და ვწყველი, ვწყველი მე სოფლის ბრუნვას
და ჩემი ლექსი ამ წყველას დასძენს:
წყველა და კრულვა! წყველა და კრულვა!
წყველა და კრულვა მოსყიდულ გამცემს!

რ ო ბ ი ნ ი



ის დაიბადა ქაილში,
 ის სოფლად გახლდათ შობილი,
 ქოხმახში გახლდათ შობილი
 ბიჭი, რობინად ხმობილი.
 მაგრამ დღე, რიცხვი, საათი
 კარგად ვერ არის ცნობილი —
 ანუ ვის დაჰხსოვებოდა,
 ვის სჭირდებოდა რობინი!

მკვირცხლი ბიჭი,
 სწრაფი ბიჭი,
 ცქაფი ბიჭი
 იყო რობინი;
 მერცხალივით
 ბიჭი იყო,
 ჯარასავით
 ბიჭი იყო
 მკვირცხლი
 ბიჭი რობინი!

ჩვენი მორიგი ხელმწიფის
 სამეფო ტახტზე ასვლიდან
 ოცდამეხუთე დღე იყო,
 ეს კარგად ახსოვთ — აცივდა
 და ქოხის ტუტურუტანებში,
 გლოცაო, ქარი აწივლდა —
 იანვრის ქარი აწივლდა,
 რომ დაიბადა რობინი.

მკითხავმა მუჭი გაუხსნა,
 ბიჭს ხელისგულზე დახედა
 და ჩვილის მშობლებს აუწუა:
 დამიხსოვეთო აქედან,
 ჭკუისკოლოფი გამოვა,
 არ ემგვანება სახედარს...
 თან ბიჭის სახელს აქვებდა:
 დაე, ერგასო რობინი!

ათასი უბედურება
 თავს დაატყდებოდა ნამდვილად,
 მაგრამ ივარგებს და ყველას
 დაამარცხებოდა ადვილად,
 ეს ბიჭი ყველას გვეყოფა
 საამაყოდ და სათქმელად —
 სახელს გაიპქვამს ადვილად,
 გვასახელებოდა რობინი!

ოღონდ, ამავე ხაზებით,
 იღუმალ რიცხვთა მორევით,
 ყრმის ხელისგულზე ვკითხულობ,
 ეს ვიცი ორჯერ-ორივით:
 ქალების გიჟი იქნება,
 თავს დააცხრება ქორივით...
 ასე რომ... შენ გაგაზარა,
 ღმერთმა დაგლოცა, რობინი!

ვეჭვ, ვფიცავ პატიოსნებას,
 ყრმას ექნეს იმის შეგნება, —
 ძილი აღიროს დიაცებს,
 ქალწულებს ირმისფეხებას,
 მაგრამ ოთხმოცი ცოდვიდან
 ეს ერთი ცოდვა ექნება...
 ასე რომ... ღმერთმა დაგლოცოს,
 შენ გაიზარე, რობინი!

მკვირცხლი ბიჭი,
 სწრაფი ბიჭი,
 ცქაფი ბიჭი
 იყო რობინი;
 მერცხალივით
 ბიჭი იყო,
 ჯარასავით
 ბიჭი იყო
 მკვირცხლი
 ბიჭი
 რობინი!

დაუსტვინე, ჩემო ბიჭო, და გავჩნდები შენთან!



დაუსტვინე, ჩემო ბიჭო,
და გავჩნდები შენთან!
დაუსტვინე, ჩემო გიგო,
და გავჩნდები შენთან!
გაგიჟდება მამაჩემი,
შეიშლება დედა, —
სულერთია, დაუსტვინე
და გავჩნდები შენთან!

მაგრამ ჭკუით მოიჭეცი,
რაკი ქალთან მიხვალ:
კუტიკარის მხრიდან მოდი,
არ მოადგე ჭიშკარს,
თავს ნურავის დაანახებ,
არ გაგიგონ ვინ ხარ,
ვითომც ჩემთან კი არა და
ვითომც სხვასთან მიხვალ,
ვითომც ჩემთან კი არა და
სულაც სხვასთან მიხვალ.

თუ ბაზარში შემხვდე უცბად,
ანუ საყდრის კარად,
უცხოსავეთ შემხვდი კუშტად,
ჩამიარე მწყურალად,
ერთხელაც რომ გადმოხვდო,
ღამიჯერე, კმარა,

ისიც, ვითომ სხვას უყურებ,
მართლა მე კი არა!
ისიც, ვითომ სხვას უყურებ,
მართლა მე კი არა!

იფიცე და იუარე
და მზად გქონდეს ფიცი,
თქვი, რომ სულაც არ მოგწონვარ,
თქვი, რომ სხვისთვის იწვი,
ოღონდ ეს კი დაიხსომე,
არსად წაგცდეს ბიჭი,
გეშინოდეს, არ წამართვას
ვინმემ ჩემი ბიჭი,
ბიჭო, მართლა არ წამართვას
ვინმემ ჩემი ბიჭი!

დაუსტვინე, ჩემო ბიჭო,
და გავჩნდები შენთან!

დაუსტვინე, ჩემო გიგო,
და გავჩნდები შენთან!

რომც გაცოფდეს მამაჩემი,
რომც გაგიჟდეს დედა, —

სულერთია, დაუსტვინე
და გავჩნდები შენთან!

მიმატოვე, სამუდამოდ მიმატოვე ჯემი...

მიმატოვე, სამუდამოდ
მიმატოვე, ჯემი —
სამუდამოდ, სამუდამოდ,
სამუდამოდ, ჯემი...
შენ ჰფიცავდი, სიკვდილამდე
ყოფილიყავ ჩემი,
მაგრამ ახლა, ჯემი, სხვა ხარ,
წახველი და ვეღარ განახავ,
ვერასოდეს ვეღარ განახავ,
ვერასოდეს, ჯემი...

შენ მე მიმატოვე, ჯემი,
მიღალატე, ჯემი —
მიმაგდე და მიმატოვე,
სამუდამოდ, ჯემი...
შენ მოქალი ჩემი გული,
სიყვარული ჩემი:
შენ სხვა ქალთან გაიციინე,
შენ სხვა ქალი გაიჩინე,
მე წავალ და დავიძინებ —
მე სიკვდილში დავიძინებ,
სამუდამოდ დავიძინებ,
სამუდამოდ, ჯემი!

ყანა-ყანა მოდიოდა.

მოსტოპავდა ჭვავში...
 ჯარისკაცი
 ზიზღით

ყანა-ყანა მოდიოდა,
 მოსტოპავდა ჭვავში,
 დაისველა ჯენიმ კაბა,
 მთლად კანკალეხს ბავშვი.

მაინც ჩვენი რა გაცდებდა,
 ჩვენ ვინაღულოთ რაში?!

და თუ კიდევ ბიჭმა გოგოს
 ღღინზე ჰკოცნა ჭვავში,
 ვისი ჭკუის საქმე არის,
 რა ჭვას ვიხლით თავში!

წარამარა სველი არი
 ეგ საბრალო ბავშვი!
 — ჯენი, ჭვავში რა გინდოდა?
 ვერ იარე მშრალში?! —
 თუ გოგოს თავს რაღაც ხდებდა,
 ვთქვათ, ბიჭს ხედებდა ჭვავში,

წარამარა სველი არი
 ეგ საბრალო ბავშვი!
 — ჯენი, მშრალში ვერ იარე?
 რა გინდოდა ჭვავში?!

ღუღი ეღუღა, ბიჭებო, ვიღის...

ღუღი ეღუღა, ბიჭებო, ვიღის —
 ელან და რობინ ვეწვიეთ ამფსონს
 სამი ჩვენებრი
 წურბელა ლხინის
 სკოტლენდის ცისქვეშ, თქვი, რომელს გახსოვს!

არც მე ვარ მთვრალი, არც შენ ხარ მთვრალი,
 ჯერ მხოლოდ ოდნავ გვიბრწყინავს თვალი.
 მამალი ჰყივის,
 ცისკარი ღვივის —
 დამისხი, ძმაო, დღეის და ხვალის!

სამი ლომკაცი, ძმაკაცი სამი
 სუფრას ვუსხედვართ მთვარიან ღამით;
 აფტყდარვართ ხშირად,
 დავმსხდარვართ ლხინად —
 კიდევაც შეგვეყრის კათხა და ჯამი!

ბებერი მთვარე კაშკაშებს ბაღში,
 თვალს გვიკრავს ციდან — დაგვაცა, ბიძაგ!
 სურს გაგვიტყუოს
 ოხერმა სახლში —
 ცდა მოუხდებდა დილამდე, ვფიცავ!

უკანასკნელი ის იყოს ჩვენში,
 ვინც შინისაკენ პირველი გასწევს,
 ხოლო პირველი —
 ყველაზე ბოლოს
 ვისაც სასმისი უგონოდ დასცემს.

არც მე ვარ მთვრალი, არც შენ ხარ მთვრალი,
ჯერ ისე, ოდნავ გვიბრწყინავს თვალი.

მამალი ჰყვივს,
ცისკარი ღვივის —
დამისხი, ძმაო, დღვის და ხვალის!



ლოგინი რომ გაგიშალა - შიკამ...

თოვლის ბუჭი თან მოჰქონდა ქარს,
იანვარი მძვინვარებდა მთაში,
შავი ღამე მომეტბორა გარს
და მე გზაში უსახლკაროდ დავრჩი.

უცბად ცირა გადამიღვა წინ,
ანგელოზი დამემგზავრა ბედად,
მშვენიერმა მიმიწვია შინ —
მშვენიერი იყო ქოხიც მეტად.

თავი მდაბლად დაეუხარე ძირს
ჩემს მასპინძელს, ვინც სიკეთედ ვპოვე;
თავი მდაბლად დაეუხარე ძირს
და ლოგინის ტანტზე გაშლა ვთხოვე.

ორი თეთრი, ორი თეთრი ხელით
ლოგინს შლიდა,
ლოგინს შლიდა ფრთხილად
ჭიქა მოვსვით. გამიღიმა ღებნიით
და დასძინა: „იძინეთო ტკბილად“.

სანთელს დასწვდა, სანთელს დასწვდა ის,
ვინც ღამეში სანთელივით ვპოვე,
და შებრუნდა, მაგრამ ვუბმე მყის
და ბალიში ცირას ვრთიც ვთხოვე.

მასპინძელმა ამომიგო ბალიში
და, ზრუნვით რომ გამისწორა თავი,
რათა უკეთ ჩამეხედა თვალებში,
უცბად... ყელზე შემოვაჭდე მკლავი.

ის გაყვითლდა, ის გაფითრდა მთლად
და კანკალით მითხრა ცეცხლად აღძრულს:
„თუ ჩემდამი რაღე გრძნობა გაქვთ,
ნუ დამლუპავთ, ნუ დამლუპავთ ქალწულს!“

ღბილი იყო — აბრეშუმი თმის,
ჩვილი იყო — ბაგე კოცნის ღირსი,
ტკბილი იყო — ყველაფერი მშლის,
ვინც ლოგინი გამიშალა, მისი.

შკვრივი იყო ორი თეთრი ბორცვი,
მწველი იყო შვეუცნობლის შიში,
მარმარილოს ჰგავდა პრწყინვით ხორცი,
ვინც ლოგინი გამიშალა, მისი.

გკოცნე, გკოცნე ძუძუ-მკერდი ბროლის,
ბაგე შეინდის და ყვრიმალე შეჭრის...
და ჩემსა და ძელურ კედელს შორის
ჩაეძინა მას უგონოდ დაღლილს.

და, როდესაც გაგვეღვიძა დილას,
ბედნიერმა, ბედნიერმა ხვედრით,
მე მადლობა მოვახსენე ცირას,
„დამლუპეო!“ — მიპასუხა სევდით.

მაშინ წელზე შემოვხვიე ხელი
და, პასუხად ცრემლიანი ლოყის,
ეთქვი: „ნუ სტირი, მოიღვრე ყელი —
არა ერთხელ კვლავ გამიშლი ლოგინს!“

დასწვდა ცირა მაშინ ნემსს და ძაფს
და საშხითო თხელ პოლანდურ მიტკალს:
ანგელოზი ჰქურავს ჩემთვის პურანგს —
წლები გადის — ახლაც თვალწინ მიდგას...

მზე ამოდის, ხოლო მთვარე ჩადის,
წლები გადის, წარსული კი ბრწყინავს:
ვერაფერი ვერ ჩააჭრობს სანთელს,
ვერასოდეს, თუნდ სამარის პირას,
ვერასოდეს დაევიწყებ ცირას.

ფინღლი



- მანდ რომელი ხარ ჭიშკართან ნეტაე?!
- ვითომ არ იცის! ეს შე ვარ, ფინღლი!
- გასწი, გამცილდი! პირველად გხედაე!
- ნეასედ მნახაე! —

მიუგო ფინღლიმ.

- მაინც, რა გნებავს, რას დაწრიალებ?!
- ის ბიჭმა იცის! — მიუგო ფინღლიმ.
- აჰ ეს ერთ ამბავს დაატრიალებს!...
- დავატრიალებ! —

მიუგო ფინღლიმ.

- ვთქვათ, შემოგიშვი — არ დამაშინებ?
- რად დაგაშინებ? — მიუგო ფინღლიმ.
- მაგრამ ნამდვილად არც დამაძინებ!
- არ დაგაძინებ! —

მიუგო ფინღლიმ.

- რომ შემოგიშვა ოთახში, ვშიშობ...
- რის გეშინია? — მიუგო ფინღლიმ.
- გათუნებამდე დარჩები, ბიჭო...
- გათუნებამდე! —

მიუგო ფინღლიმ.

- ამაღამ მართლა ჩემთან რომ დარჩე...
- დაფრჩები კიდევ! — მიუგო ფინღლიმ.
- ხვალ მომადგები ხელახლა კარზე!...
- აბა, მაშ, როგორ! —

მიუგო ფინღლიმ.

- მაშ, რაც ჩვენს შორის ამაღამ მოხდეს...
- მოხდება ნაღდად! — მიუგო ფინღლიმ.
- ჩვენს შორის მოკედეს! ჩვენს შორის მოკედეს!
- კაცი არ ვიყო! —

მიუგო ფინღლიმ.

შეაა ო'ნიღ



როცა პირველად
შელა ო'ნიღს დაგუწყვე დვენა,
ფიცის, ალერსის
ჯადო სიტყვა მოგვცადე ყველა,
მაგრამ არც ოხერას,
არც მუხლებზე კოცნას და ხვევნას,
ჭრა ჰქონდა სიტყვებს:
„ჩემი ცოლი გახდები, შელა!“

ვეწიე მიზანს,
მაგრამ ტვირთმა გამტეხა მხარში,
ცოცხი და მუშტი,
წყველა-კრულვა ვიწვნიე ხელად,
ავდექი მაშინ,
ჩავეწერე ბოლმისგან ჯარში,
დავტოვე სახლი,
ირლანდია, ვისკი და შელა.

მაღე ზღვასგაღმა
გავერიდე დიაცის ენას, —
ფრიდრიხის ჯარში
ვეძიებდი ხსნასა და შევლას;
ვეცხოვრობდი ომში,
მაგრამ აქაც შრაპნელის სტვენა,
ფრენა და ღრენა
მახსენებდა დაწყველილ შელას.

სად არ ვიოშე
რას არ შევხვდი და მოვესწარი,
ცივი ზიშტი და
ცხელი ტყვია მე შერგო ყველა...
მაგრამ არ არის,
ღმერთს მადლობა, სხვა რამ ნესტარი
მაგ შენს ნესტარზე
უფრო მწარე, წყულო შელა!

ჩავს უკანონო შვილ

გახსოვდეს, შვილო, იცოდე ერთი,
კაცი არ ვიყო, გამიწყურეს ღმერთი,
თუ შემრცხვეს, ანუ თუ შეგკრთე ელდით,
რომ შესწყვეტ თამაშს
და შემომძახებ ანაზღად ცეტი
ტიტიჩით — მამას.

ო, შვილო ჩემო, ასლი ხარ დედის,
სურათი ჩემი ლამაზი ბეტის,
თავს განაცვალე ჩემს ციქქნა ლედის,
იზარდე ტკბილად,
ვითომ არც გთვლიდნენ, საყდრები დღემდის
შენ ცოდვის შეილად!

თუმცა მთათხავენ დიაცნი სოფლის,
მნათლეს სახელით უღირსი მშობლის, —
სოფლის ჭორები გაგვხდიან ცნობილს, —
დე, გვწესტროხ ვინით!
არა, შენ ხვედრი არ გელის ობლის,
იზარდე ღებენით!

ტკბილ სიყვარულის შენ ხარ ნაყოფი,
შედგვი სიმნის, სიყრმის, ლაღობის;
თუმც უკანონოდ შენი სიცოცხლის
იელვა შუქმა,
გვეწება ჩემგან სარჩო სამყოფი —
გაგიყოფ ლუკმას.

ვიცი, ინათებ მშვენიებით სრულით!
და, თუმცა მღვდლებმა შეგრისხეს შურით,
ვიცოცხლებ შენით და შენზე ზრუნვით —
შენია, რაც მაქვს;
შენთან ვიქნები სულით და გულით —
გაპირდები ამაგს.

ღმერთმა ჰქნას, დაგყვეს კისერი გედის,
სიმტკიცე მამის, სინაზე დედის —
ოლონდ ნაკლიე აქვს, საწყალს და კეთილს,
შენს უღირს მამას,
და ცოდვებში რომ გამოიმეგვანო —
არ გირჩევ ამას!

შეგვიჩიო იყო გავაჩივო ქვიჩის პირად



მე დავიბადა ათასთა მსგავსად
უბრალო გლეხის შვილად —
ფერმერი იყო და მზრდიდა მკაცრად
მამა კურიკის პირად.

მან დამიბარა: „გზა გიდევს ბრძოლის,
გრომიც ნუ გეკნეს ხშირად,
ღირსება გქონდეს, გარეშე რომლის
კაცი არ ღირსო ჩირად!“

და დავადექი ცხოვრების ბილიკს
და მოვდიოდი ასე:
სიმდიდრე მძაგდა, დიდება ტკბილი
შორით მხიბლავდა ძალზე;
არა ვყოფილვარ სისხლით და ჭიშით,
ნიჭით ნაკლები სხვაზე,
არ დავდგომივარ ჩემს ბილიკს შიშით
და მოვდიოდი ასე.

ათასწიარად ხვედრს ვუტრიალე,
ბედს ვუპოტინე ხელი,
მაგრამ ჩვენს შორის ოხერტიალი
ვიღაც ჩამოდგა ბღვერით:
ხან მეგობარი მახვილს ჩამეცემდა,
ხან მამარცხებდა მტერი
და, იმედი რომ მწვერვალს აღწევდა,
თავს შემსობოდა ტერი.

ბოლოს დაღლილმა, ბოლოს ძღვეულმა,
რისხვით და ბოღმით სავესემ,
ფუტ ოცნებებზე ხელჩაქვეულმა
ჩემს თავს ვუთხარი ასე:
— წარსული გახსოვს ავი და შავი,
ხვალეს ხომ ხვალე გვამცნობს,
აწმყო ხელთა გაქვს — აილე თავი,
ადექ და მიჰყე აწმყოს!

მიმოიხედე — არც რის იმედი,
არც სამეგობრო კაცი!
ასე რომ, ოფლით მოციმციმეთი
და შენი შრომით გასწი!

ხენის, თესვის, თიბვის გაგვეგონება,
მეზრედაც ვარგხარ ღამის —
აი, ნიჭი და აი, ქონება
დანატოვარი მამის! —

და ვცხოვრობ ასე, სანამ ვარ ჯანზე,
ხენაში და ოფლის ღვრაში.
მე გამიდებენ ოდესმე მსარზე
და დავისვენებ მაშინ.

დღეს ჩემთვის ვცინობ,
დარდს გულში ვაქრობ
იმედს ვეტრფი და ხალისს,
დღეის დღით ვცხოვრობ,
დღეისას ვფიქრობ,
ხვალემ იფიქროს ხვალის!

თუმც ბედი მიბღვერს და მიშარდება
და გზაში მიდგას გზირად,
ვარ გუნებაზე, — რომ ვერ ბრძანდება
იმპერატორიც ხშირად.
მამაჩემს ლუკმაპურიც უჭირდა —
მე პურს ვშოულობ ჩემთვის,
სხვა დანარჩენი არის ფუჭი და
კმაყოფილი ვარ ბედის.

და ვცხოვრობ შრომით, მიწასთან ომით,
სულს რომ მოვითქვამ წამით,
თავს დამატყდება შავბედი წყრომით,
რისხვით, გესლით და შხამით —
არ ვიცი, ჩემი სიკეთით მწიარავს,
ანუ შეცდომით რამით...
მაგრამ შორს მაინც იმედი ბრწყინავს,
გულს არ გავიტყვ ამით!...

შენ კი, შენ, ვისაც სიმდიდრე გათრობს,
იხვეჭ და მაინც ეძებ,
ვერ გამძლარხარ და ცხრა იმდენს ნატრობ
ბედნიერი ხარ ჩვენზე?!
მე გულშხიარულს ვადიდებ ლატაკს,
პატიოსანს და სათნოს —
ის მიჩრეწია მქონებულ თავსიხრს,
მაგ ოქროვერცხლის პატრონს!

გაქვინსონი საღრრობელაზე



მშვიდობით ჩემო საკანო,
ლაშვე, ძნელო და გრძელო!
მაშ, გამარჯობა, მალალო,
შენ, მახრჩობელა ძელო!

ხელი გაშალა გზაზე ლაღად,
არ შემდრკალა დიაცურად;
ასე ლაღად, ასე შმაგად
შეუძახა მაკფერსონმა და
ჯალათს

ცეკვით მიაშურა.

„ხმლით ბრძოლის ველზე მინაყავს,
მომიჩვენარია ჩვარად,
სიკვდილი ბევრი მინახავს —
არც ახლა მიჩანს არად!

შენ ეს ბორკილი ამყარე,
ხმალი მომეცი ხმაღში,

ერთზე თორმეტი მაკმარე,
მნახე, ვის დავრჩე ვალში!

მე ვცვით რკინის ხალათი,
მახსოვს წკრიალი ხმლების,
აფსუს! გაცემით, ლაღით,
ჯალათის ხელით ვკვდები!

მშვიდობით, ჩემო სკოტლენდო,
მსხვერპლი მადლობას გიხდის.
კრულ იყოს! კრულ იყოს! კრულ იყოს!
ვინც შეუშინდეს სიკვდილს!...“

მოცეკვავდა გზაზე ლაღად,
არ შემდრკალა დიაცურად;
ასე ლაღად, ასე შმაგად
შეუძახა მაკფერსონმა და
სიკვდილს

ცეკვით მიაშურა.

ჯონ ანდერსონ. ჩემო ჯონ. ჩემო მეგობარო!..

ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯონ, ჩემო მეგობარო,
როცა შევეუდექით წუთისოფლის მთას,
გახსოვს, შენი ქოჩორი, გახსოვს, შავი ქოჩორი,
შენი შავი ქოჩორი ჭკავდა ყორნის ფრთას.

ახლა შენ ის აღარ ხარ, აღარც თმა გაქვს შავი,
მაგრამ ღმერთებს ვთხოვ, კურთხეული ჰყონ
ეგ ჭალარა თავი, ეგ ბებერი თავი,
ჯონ ანდერსონ, მეგობარო, ჩემო ჯოუ ჯონ!

ჯონ ანდერსონ, ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯოუ ჯონ,
ერთად მოვყვებოდით აღმართ-აღმართ გზებს,
ერთად გვიტარებია ბევრი კარგი დრო,
ბევრი სიხარულიც გავატანეთ წლებს...

ახლა თავქვე ვეშვებით, ახლა ერთად ვღამდებით,
მოდი, ხელი ჩაკვიდო, ერთად გავალთ ფონს —
ერთად დავსაფლავდებით, ერთად დავასახლვარდებით,
ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯოუ ჯონ!

თათრი სხანი

მოთხრობა

აღმართს შეჰყოლოდნენ.

დაბლა დარჩენილი სოფელი თანდა-
თან პატარავდებოდა. მბეჭუტავი სინათ-
ლენი შეუმჩნევლად ჩიავდებოდნენ და
მერე მთლად ჭრებოდნენ. მამლის ყი-
ვილიც ცხრებოდა. იმ პატარა მდინარის
შხუილი ძლიერდებოდა. აღმადაღმა
უფრო და უფრო ვიწროვდებოდა თე-
ძამი. კლდე-ღრეზე მოხტუნაობდა აჭა-
ფებულნი და იმიტომ უფრო უმრისხან-
დებოდა ხმა. გზა მდინარეს ეწყვილე-
ბოდა.

წინ ფეხოსანი წაემძღვარებინათ,
ხელეზგათოყილი. ფეხოსანს ანდრო ერ-
ქვა.

მიმყოფნი კი ცხენებზე გამოწკები-
ლიყვნენ. ერთი წაბლაზე იჯდა. მეორე-
საც წაბლა ეთქმოდა, ოღონდ უფრო
მუქი ფერი დაჰკრავდა და ნიშაც იყო.
ნიშაზე მჯდომს მიხა ერქვა, მეორეს —
თომა. ერთურთის გვერდით მიაბიჯები-
ნებდნენ ცხენებს. უმძრახებოვით გა-
ბუსხულიყვნენ. გული დამძიმებოდათ,
ენა გაპქავებოდათ.

— კაცი თუ მოგიკლავს როდისმე? —
წასჩურჩულა თომამ.

მიხას ეუცნაურა კითხვა და ტუჩე-
ბის მობუსხვით გაიქნია თავი.

— შენა? — გვიან შეეკითხა.

— ნწუ!

— რაზე მკითხე?

— ისე, რა ვიცი...

დადუმდნენ.

— როდემდე უნდა გვატარონ? —
კვლავ ჩურჩულით ჰკითხა თომამ.

— რა ვიცი!

— ნწუ! — თავი გაიქნია თომამ, —
რალა ჩვენ გვერგო მაგ კაცის ცოდვის
დადება!

— მაშა, კაცო!

თომას ესიამოვნა, რომ თანამგრძნო-
ბი აღმოაჩნდა ამხანაგი.

— კაცის მკვლელები შეგვერქმევა.

— ჩვენი რა ბრალია...

— ჩვენ უნდა გვასროლინონ და...

— სულ ერთია, ხომ უნდა მოკვდეს.

— სხვას მოეკლა, თუ ტყვია არ ას-
ცდებოდა მაგ უბედურსა!

— მაგისტვის რა ბედენაა, ვინც უნ-
და ესროლოს.

— მე ვერ დავუმიზნებ თოფსა, ძმაო!

— არა და შენ დაგიმიზნებენ...

— ვინ დამიმიზნებს? შენა?

— ჰმ! მე როგორ ვაგიმეტებ, სხვა...

— ვინ სხვა?

— თვითონ ეს, უკან რომ მოგვდევს.

უკან მომყოლი თეთრ ცხენზე იჯდა.

ათიოდე ნაბიჯით ჩამოშორებოდა წინ-

მაგლებს. მისდევდა და მილიონებდა. ხელბეგარულ წინმაველს არც გვარდიელების ფრთხილი საუბარი ესმოდა და არც თეთრცხენოსნის ლილინი. იგი სიკვდილმისჯილი იყო, შავ ფიქრებს გაეთანგა და თვალგამტერებით მიიბიჯებდა.

„ნუთუ დამთავრდა ყოველივე?! ამოდ მწამდა გამარჯვება?! დამარცხებული მივდივარ ამ ქვეყნიდან?! მივდივარ და მივიყოლებ ადამიანთა ცოდვებს!“ და აღძვნიერ მოძმეთა აჩრდილები, ის სურათი დაეხატა, ცოდო-ბრალო რომ დატრიალდა, ცეცხლის წვიმა ერთობის მესვეურთა სამყოფელოში. თავკაცებიც აქ მოქცეულიყვნენ და დიდძალი მცველნიცა, თუმცა რაღა დიდძალი ეთმოდა უკვე გამესამედებულსა. ოფლში იწურება ბეჟანა, ტყვიამფრქვევის ლულა რომ გაუვარვარებია. მტერი ამოწყვეტილი ჰკონებია მთლიანად. ვახარებული წამომიპართება, უნდა გადახტეს და „ეაშა!“ შესძახოს, მაგრამ ბაგებზე შეეყინება სათქმელი, შებარბაცდება, ტყვიით შეგლეჯილ ფერდზე დაიდებს დაძარღვეულ ხელსა, გაოფლიანებულ-გასისხლიანებულ ხალათს მოიბლოკავს სიმწრისგან. მუხლიც უმტყუნებს და გულიცა. გულადმა დაეცემა, მტერიანი ქოჩორი გაეწეწება. ჩაყვითლებულ კბილებს ერთმანეთს მაგრად დააჭერს, ამოდ იმუჭრება გამწარებული.

„გამავრდი, ბიჭო!“ — შეაბანჯალავენს თავს წამომდგარი მიტრა. მაგრამ მშველელის შუბლიც ჩამოწითლდება ანაზად და ზედვე დაეცემა ბეჟანას.

აგერ ტოტყი სანდრია კედელზე ბობღდება. უნდა გადახტეს და უცებ ეცეს კარს, შეღწეოს, ზურგიდან მოექტეს იმ ორიოდვე მეტყვიამფრქვევეს, მოულოდნელად დაეცეს და დაადუმოს, მაგრამ ტყვია აღარ დააცლის და კედელზე დაემხოზა პირქვე. სისხლით ჩამოაწითლებს ქვას და ქვიშას.

ამ სამის სიკვდილი იხილა. ვისაც თვალი ვერ მოჰკრა, ის რამდენია! არ

დაუნახავს, მაგრამ ხომ იცის, რომ დაიხოცენ.

ახლა ქირისუფალთა აჩრდილებიც მოეჯარნენ.

აგერ ურმები ჩამოაყენეს დახოცილთა წასასვენებლად. ყველა თავის მკვდარს ეძებს და ტირის. არის ერთი წიოკი, სახის ზოკვა, მოთქმით ტირილი დედაკაცებისა, უთქმელი ცრემლები ქალაროსანი კაცებისა. უთქმელ ცრემლზე მწარე არა არის რა.

აი, ხანდაკელი ზაქრიას კუბოც ამოტივტივდა. მიწურში რომ ვერ დატეულან მგლოვიარენი, ვზოში დაუსვენებიათ ცხედარი. ქირისუფალნი მიჰხვევიან, რიგრიგობით გადაეფარებიან კუბოსა, ერთუროს ეჯიბრებიან მკვდრის ქებაში, ვარამის გამოთქმაში. სიკვდილს სწყყელიან, განსვენებულის სიკვდილს მოციქულს უფრო იღებენ საძირიდანა, მიქელ-გაბრიელად „ეაჩაღი ანდრო“ მიუჩნევიან. მარტო ანდროს წყევლა-გინებას არა სჯერდებიან, მთელს ოჯახს აფარებენ ქვის ქვეშ, გასაგისს უწყვეტავენ, მიწაში უღბობენ დიდსაც და პატარასაც. ვისზეც ჭიკარი დაეწვებათ. პირიდან ვეცა ამოსდით გულგაბოროტებულ ქირისუფლებს, ხელი და პირი ანდროსკენ აქვთ...

ბარე ათი კუბო ჩაციმციმდება სამარეში, ათივეს ქირისუფალნი ერთბაშად მიიყრიან ჭოქოლას, რა თქმა უნდა, ანდროს. სხვას ვის დააბრალებდნენ. სულგამწარებულ ადამიანს გონიერება არ მოეკითხება, იმის კვლევა და გასჯას აღარ დაიწყებდნენ, ვინ მართალი იყო და ვინ მტყუანი...

დიან, მიჰყვებიან დახოცილთა და დაჭრილთა ლანდები. მისდევენ, რათა იხილონ თუ როგორ წამებით გაუყრიან სულსა და ხორცს სიკვდილის მოსაბაბეს. აუჰ, რა რიგად გადაიხარხარებენ, გულის ბუხარი ამოეყრებათ და სიცილით გამოემშვიდობებიან საყვავურონედ დაგდებულ ცხედარს.

სხვა აჩრდილებიც აედევნებიან, იმათი ლანდები, ვინც აუყოლებია ანდრო-

სა, წაუცდენია და თოფისთვის მოუკიდინებია ხელი. იმ ცეცხლისწვიმას გადაჩენიან, მთავრობის კლანჭებს კი ვერ წასვლიან, საკატორღეთ გაუმწესებიათ, საცხედ გაუმეტებიათ. მისდევენ მსჯავრდადებულთა ცოლები, შვილები, დედები, დები... მიჰყვებიან და ქოქოლათი მიაცილებენ. ეს რამდენი მოსჯარვიან. ნუთუ, ამდენი ადამიანის ცოდვა მოსწევია? თუ ეს მართლა ცოდვის განკითხვაა, ჰა, დროზე ესროლონ, მოჰკლან, გაათაონ. დროით მოელოს ბოლო ყოველივეს...

ეს უამური ფიქრებიც გადაეყრება.

„მე მართალი ვიყავი, არავის ცოდვა არ მომდევს. თუ მაგათ სიკვდილს ცოდვა ეთქმის, ისევე ცხოვრებას გადააბრალონ, თავიანთ თავს გადააბრალონ, თავისუფლება რომ ნებავდათ, ვინ მიართმევდა უსისხლოდ. მე არავისთან არა მაქვს საბოდიშო, არაფერი დამჩენია სანანებლად“.

ამ წამოფიქრებამ გაუფანტა ის მოჯარული აჩრდილები, ცოდო-ბრალის განსაკითხავად რომ მოსდევდნენ.

ისინი გაუქრნენ, მაგრამ ახლა თავისიანების ლანდები აუქდვენ.

მის სიკვდილსაც შეიტყობდნენ მახლობლები. გაუგებარი არა დარჩებოდა. გაიგებდნენ და ერთი საცოდაობა დატრიალდებოდა, ერთბაშად ატყდებოდა წიოკი. მთელი სოფელი შემოეჯარებოდა. აქვითინდებოდნენ, ავიშვიშდებოდნენ.

შობობებს გული მოერღვეოდათ.

ის ძვალმსხვილი, გაკირკაყებული მამა ისე დაიღვოდა, ცხვირსახოცში გამოიკვროდა. კლდის ნაგლეჯი კაცი ბოლმას ვერ ამოსთქვამდა და შიგნიდანვე დახრავდა დარდი.

სიკვდილს შეუჩვეველი დედა იმ ვერცხლისფერ თმებს ჩამოიწეწავდა, იმ დაჰმუჭუნულ დაწვებს ჩამოიხოკდა, დარდის მოთქმისათვის გაილექსებოდა ისედაც მერყველი ქალი. სხვისი მკვდარი გაუპატიოსნებია სიმღერასავით ტირილითა, სოფელი აუქვითინებია გულიდან ამოხეთქილი შავი ფერის სიტყვე-

ბითა და თავის შვილზე ხომ ქვასაც დასწვავდა ცოდვითა. ის უფრო დასდაავდა, შვილის ცხედარიც არ ეტოვნინა, რომ ზედ გადაჰფაფრებოდა და ისე მოეხა გული, დამდაგველი ცრემლებით მოერწყო თავისი შავტუხა ვაჟაციის სახე.

მერე გაუთხოვარი დები გადმოყრიდნენ მღუღარესა. ერთმანეთს შეეცილებოდნენ უსაფლავ ძმის სიყვარულში და უსამართლო სიკვდილისა თუ მთავრობის წყევლაში.

თოფ-ფარაჯიანი ძმაც შეიტყობდა უფროსი ძმის სიკვდილს. არავის ნებართვას არ დაელოდებოდა, გამოიქცეოდა და გლოვა-გოდების ფერხულში ჩადგებოდა, შურის საძიებლად აიშფოთებდა სულსა.

დანიშნული თამრიაც გაიწეწავდა იმ გრძელნაწნავა თმებსა. ცრემლში აცურებდა იმ შავ თვალებსა, ის გრძელი წამწამებიც ცხელ წვეთებს დაისხამდნენ, ის ლაქადა დაწვებიც მღუღარეთი ჩამოუსველდებოდნენ, ის ცხელი ბაგეები სიმწრითა აუთრთოლდებოდნენ. იმ ხოხობა ყელსაც ჩამოიკაწრავდა. ის კენარი ტანი და ჭილაგვიანი მკერდი შავ კაბაში გაულაღლაღდებოდა. აკი თვითონ ანდრო ეტყოდა ხოლმე ხუმრობითა: როგორ გიხდება შავი ფერიო, დაქვრივება დაგმშვენდებაო. და ხომ უყვილა ენამ...

თამრია, ბედგაშაყებული თამრია, სიყვარულით გულგამზიანებული გოგო დემონის სახარხარო ვახდება.

ალარა და აღარ ჩამოშორდა თვალთვან თამრია, ალბათ, სიამის გაქრობა არ უნდოდა.

ის პირველი შელიმბაც დაეხატა, თბილი შეხედა და შესიტყვება.

— თამრია! — კვლავ მომწესხველად

მოუვიწროვებია თვალეები ანდროს.

— რა გინდა, ბიჭო, რას ჩამაცვიდი!

— არაფერსა...

— თუ არაფერსა, რაღას მომჩერებოხარ!

— სულ შენი ცქერა მინდა და იმიტომ.

თამარიას პასუხი ვერ მიუცია, წამო-
წითლებულა და მორცხვად დაუპარბა-
ლებია ის გრძელი წამწამები.

— გოგო თამარია!

— შეტი არაფერი იცი!

— მითხარი, რა დედამ გშობა ეგეთი
მშვენიერი!

თამარიას განგებ მოუწიწმატებია თავი
და ნაძალადევი წყრომით მიუგია:

— შენ არავინ გეკითხება, რა დედა-
მაც მშობა!

— გული მეკითხება, გოგო, გული!

— მომწყდით აქედან შენცა და შენი
გულიცა! — ისევ პილილი დაუყრია
ენაზე.

— რა ადვილად მიმეტებ, გოგო!

თამარიას კვლავ გასძნელებია გაპასუ-
ხება. თავი შეუტენევია, ნაწნავი გადაუ-
შოლტია ბეჭებზე, ზურგი შეუტკეცვია,
გარიღება განუზრახავს, მაგრამ ნაბიჯი
დამძიმებია — გულს არ გაუშვია.

— შემოხედვაც დაგენანა, გოგო? —
გულნაკლულად უთქვამს ანდროს.

თამარიას კვლავ შეუღერებია ის მალა-
ლი ყელი, თავისივე მხრის ზემოდან გა-
დაუხედია ფოფინა თვალებითა და კარ-
გახანს არ მოუცილებია მწველი მზერა
ვაჟისათვის. ანდროს ჩიტივით აფრთხ-
იალებია გული, გადახვევის სურვილს
შეუყიენებია, საკონცელად შედაგბაგე-
ბულა. თამარია მიმხედარა, საამო შიშის
განცდას შეუერთია. მოულოდნელად
გასხლტომია და გაჰქცევია.

მაშინ დასხლტომია, მაგრამ მერე ვე-
ლარა.

ერთუბრით გულს მისჩვევინა.

ის პირველი კოცნაც გაახსენდა სიკ-
ვდილმისჯილს, ცხელი ბაგეები რომ შე-
უთრთოლებიათ ერთუბრითისათვის და
ეს მზიანი ქვეყანა თავიანთი ჰგონებიათ.

თვალწინ დაეხატა: სოფელს რომ გა-
ნაპირებთან, იმ პატარა მდინარეს აპყო-
ლიან, რიყე-რიყე უცმაცუნებით შიშ-
ველი ფეხები, წყალდაწყალაც უბიჯე-
ბიათ, სიმყუდროვეში გაუჩინარებულ-
ან, ხასხასა კორღზე ჩამომსხდარან,
იმ მდინარესავით აჰკამკამებიათ სისხ-
ლი, მასავით ალიკლიკებულან, მერე

მთლად დაუღუმებიათ ენა, გულუბრ
ასჩურჩულებიათ, ერთუბრითს ბაგე-ლო-
ყაზე განებივრებულან, დიდხანს გალა-
ლებულან და გახარებულან, მთვარეც
ჩაუცილებიათ, თვითონ წამოსვლაზე გა-
ფიქრებაც კი გასძნელებიათ.

ის ნიშნობის ღამეც წარმოუდგა, იმ
ღარიბი სტუმარ-მასპინძელთა მდიდარი
გულები და უხვი ღიმილი, გადასრო-
ლილი ყანწები და გადალოცვილი „ღმე-
რთმა გაგაბედნიეროთ!“, გახალისებული
თამადის „ერთ სართულზე დაგაბე-
როთ...“ და „სიყვარული იყვეს თქვენი
მეხრე...“. ყურებში უდიტინებდა თა-
მარიას ბიძის ნამღერი:

„ამალამდგლო ღამეო, ნუ გათენდება
მალეო...“

თვალწინ ეხატებოდა ასეთი სურათე-
ბი და გონებას მიჰფარვოდა ის შავი
აბბავი, რომ სასიკვდილოდ მიიმძღვა-
რებდნენ. ამ სასიამოვნო მოგონებე-
ბით გულგალაღებულს სახეზე ღიმილი
დასთამაშებდა უნებლიედ.

ეს შეუმჩნევი არ დარჩათ უკან მი-
ყოლებს.

— რა აცილებს ამ უბედურს! — თქვა
თომამ.

— მიქელ-გაბრიელი.

თომა პასუხს ვერ მიუხედა და ნიკა-
პის გაცანცარებით შეეკითხა: რა თქვიო.

— თოთო ბავშვის სიცილი გინახავს?

— როგორ არა.

— ხომ დაკვირვებიახარ: პირს სიცი-
ლი მოსდის, მაგრამ ვერცა გრძნობს,
რომ ეცინება.

— ჰო, არცა აქვს სასაცილოს შეგრ-
ძნება.

— მაგნაირი ჩვილი ბავშვის სიცილ-
ზე იტყვიან ხოლმე: ანგელოზები აცი-
ნებენო.

— ეგ მეც ვიცოდი.

— ჰოდა, სიკვდილის კართან მოსულ
კაცსაც მიქელ-გაბრიელი აცილებს.
კაცს არ უნდა, მაგრამ უნებურად ეცი-
ნება. ვერც კი გრძნობს, რომ იცინის.
მაგის ფიქრი სულ სხვაგან დაჰქრის.

— ეტყობა რაღაცა აგონდება, სასა-
ცილო ან სასიამოვნო.

— რა თქმა უნდა. თავისი ცხოვრების გზას ავლებს თვალს და საამო ამბებთან შეუჩერდა ფიქრი, ალბათ.

სიკვდილმისჯილს ღიმილი გადაეყარა. გონს თუ მოეგო.

ისევ შეემა ფიქრებმა შეაერთო.

„ნუთუ, მართლა უნდა გამომასალმონ წუთისოფელს?! სათუო რაღაა. სასიკვდილოდ მივეყვარ და ეგ არის... მომკლავენ... აღესრულდები და რას დავტოვებ ამ ქვეყნად. სიკვდილის შემდეგ რითი უნდა გამიგრძელდეს სიცოცხლე? აღარაფრით და აღარავით. ჩემს თავგანწირვას მალე დაივიწყებს სოფელი; მით უმეტეს ამაოდ დავშერი. დროის დინება მალე გადაშლის ჩემს ნაკვალევს... ნაშთებსაც ვერ ველირსე. ვინ უწყის მყვოლება თუ არა შეილი... რა ვიცი, გულნაქციობას კი ჩემულობდა თამრია, მაგრამ ჩემი დახვრეტის ამბავს რომ შეიტყობს, რაღას შერჩება. შეიძლება თავიც მოიკლას... მას ხომ უჩემოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია, აკი მეტყოდა ხოლმე: შენი სიკვდილი რომ გავიგო, ერთ საათსაც არ ვიცოცხლებ თავსაო. საიქიოშიც ერთად უნდა ვიყოთ და ვილხინოთ... მერე, როგორ სწამდა ღმერთი იმ გულუბრთყვილო გოგოს სიკვდილთან დამარცხებული აღამიანი ხომ უფრო ადვილად ირწმუნებს იმ ვრძელი ქვეყნის არსებობას“.

ასე ფიქრობდა, მაგრამ გული არ აკანკალებია სიკვდილის შიშით, სახე არ გაფითრებია.

რაღაცა უცნაური რწმენა აკვიატებოდა, რომ არ მოკვდებოდა იგი. თავს განგებ თუ ირწმუნებდა, იქნებ. იმიტომ, მოჰმადლოდა იმედი, რომ დარჩენილი წუთები გამწამებელ საუკუნეებად არა ჰქცეოდა, ვაჟაკურად შეხვედროდა სიკვდილს, რათა თეთრი ცხენით მომყოლს დემონივით არ ეხარხარა, მის თვალში კვლავ მოუდრეკლად დარჩენილიყო. ეგ მოუდრეკელობა ხეთქავს ხოლმე გულზე მოწინააღმდეგეს... იქნებ, თავის დაღწევის იმედიცა ჰქონდა. ბევრი უცნაურობა ხდება ამ ქვეყანაზე. ცდა ბედის მონახვერეთაო.

მუხლმაგრად და თვალმზიანად მიპყვებოდა აღმართიან გზას.

ცა თანდათან ბაცდებოდა, გადაათავქვევებულ მთვარესაც მოპკლებოდა სიკაშკაშე. ცისკარსაც უმოკლდებოდა ციმციმა წამწამები. ვარსკვლავებსაც ეხუტებოდათ თვალები და მიყოლებით უჩინარდებოდნენ.

სიკვდილმისჯილი ხარბად შესცქეროდა ყოველივეს. მძაფრად შეიგრძნობდა. ყველა თავისი ფერთა და სურნელებით იხატებოდა მის შესხიერებაში.

გრილი ნიავი სცემდა. ასეთი მსუყე და სურნელოვანი ჰაერი არასოდეს უსუნთქია. იქნებ ეჩვენებოდა კიდევ ასეთად, მოწყურებით სუნთქავდა.

სინათლე მატულობდა. თვალსაწიერის არე ფართოვდებოდა. ფერთა გარჩევა ადვილდებოდა. სიმწვანე მეფდებოდა ირგვლივ.

თვალფხიზელი ჩიტუნებიც აფიკვიებულეყვნენ. გალობითა და სიყვარულით მოპყავდათ დილა. სიკვდილმისჯილს გული აეყოლებინა ფრინველთა გალობა-მზიარულობისათვის და მსუბუქი ნაბიჯით მიიწედა აღმა.

გზა ისევ აღმართს ასდევდა. ხეობას არ შორდებოდა. ღელე ღრმავდებოდა, მდინარის დგაფუნი და ღრიალი მატულობდა.

სიკვდილმისჯილი წამიერად შეყოვნდა და ტყიან ღელეს ჩააყოლა თვალი, მერე შებრუნდა და დაბლა დაცემულ დავაკებს გადამზირა. ნამნაკური ველმინდორი მუქ-მწვანედ ფართხალებდა. მოშორებით, აშურიაინის ქედის ძირში მტკვარი მილაპლაპებდა და იისფერი ნისლი აჰყვამლოდა. ტანში გააჭრეოლა. მტკვრის ტალღებში ღივლივი გაახსენდა. ახლა საიმიხოდ არა სცხელოდა, მაგრამ სიამოვნებით შეცურდებოდა. სწორედ ამ დროს, დილაადრიაანად უყვარდა ხოლმე ბანაობა.

კვლავ ხარბად მიმოიხედა. უთვალავჯერ მიმოუვლია მზერა ამ მიდამოსთვის, მაგრამ ასე მშვენიერად არასოდეს მოსჩვენებია.

„ნუთუ, აღარასოდეს არ უნდა ვიხილო

ეს არე-მარე?!“ — ღრმად ამოისუნთქა სიკვდილმისჯილმა და თავი გააჩხია.

— ჰა, ჰა, ჰა, გზას გაუმატეთ! — შემოსწყრა თეთრ ცხენზე მჭლომი.

გვარდიელებმა მათრახი გაატყლაშუნეს.

სიკვდილმისჯილმა მწყრალად შეხედა და მძიმე ნაბიჯი გადადგა.

თეთრ ცხენზე მჭლომი კი ისევ აღინდდა.

— კაი ხაიათზეა შენი უფროსი! — წასჩურჩულა მიხამ.

— რატომაც არ იქნება, დღესასწაული დაუდგა... — ხმადაბლავე უბასუხა თომამ.

— ჰმ! სხვის სიკვდილს დღესასწაულობს?!

— აბა, თავისიანის სიკვდილით ხომ არ გაიხარებს...

— რა გული ახარებს!

— მაგნიარ ადამიანს გული ექნება?!

— შეხედე, როგორ ეზადრება სახე, ტუჩებსაც აცმაცუნებს, ეტყობა ვილაცის ელაპარაკება.

თომამ ფრთხილად მოიხედა უკან და მწყრალად შეხედა უკან მომყოლს — რაიონის ერთობის თავმჯდომარეს, მიტას.

მიტას არ შეუსწვრია თვალი თავშემობრუნებული თომასათვის. ცხენის ქეჩოს დაშტერებოდა, თვალწინ კი წინმაველი ანდრო ედგა.

„გაები, ჩიტო, მახეში?! — ნიშნისმოგებით ესიტყვებოდა ანდროს, უხმოდ ელაპარაკებოდა, — თუმცა ჩიტის გაბმა დიდ ვაჟაკობად არ ჩამეთვლება. ჩიტი კი არა, ვეფხვი გაები, ვეფხვი, კბილსისხლიანი, მძვინვარე ვეფხვი... რას გაიკვირვე, ზოგიერთი კჳათამყოფელი ამფსონი ვგრე არ გეძახდა?! ვეფხვობაც ძალგიძდა და მელიაობაც... ორივე შეგეძლო, მაგას ვერ დაგიკარგავ. ენაც გიჭრიდა და ფოლადიც მოგდედა. იმიტომ მოახერხე ამხელა ბრბოს აყოლიება. მერე რა დროს, როცა კანონი და სამართალი ჩვენს ხელთა... ეროვნული გვარდია და მილიცია ჩვენ გვიცავს... ჭვეყნა ჩვენია. ამ ჭვე-

ყანას სათავეში უდგას დიდი ნოე, ერისათვის თავგადასმკვდარი თაგვაცი, მთლომონ ბრძენის კჳუა რომ მოჰქმადღებია მალალ ღმერთსა...

„შენ კი შენნაირი გაქნილი ენატარტარები მოიმრავლე, სოფელ-სოფელ დაძვრებოდი და უწიგნურ გლეხებს ბალნიან ყურებში აწვეთებდი: ქორდანიას მთავრობა უეარგისიო, თქვენი მტერიაო, ერის გამყიდველიაო, ხომ ხედავთ, არც მიწას გაძლევენ და არც მოსვენებასაო. რა მოგიტანათო, რა გიჭირავთ ხელში ცარიელი მუცლებისა და დახეული ნაბდისქულების გარდაო. ჩვენ დაგვიჭრეთ, გამოგვეყვით, დაირახშენით, იბრძოლეთ, ეგ მთავრობა გადავაგდოთ, რუსეთისაკენ ექნათ პირო, ლენინის დროშას შევაფაროთ თავიო. მიწებს მიიღებთ, მშვიდობა გექნებათო. ერთი სიტყვით, სამოთხეს ჰპირდებოდით. ისე თინთლიბაზობდით, ქრისტეს მოციქულებს შერცხვებოდათ თქვენთან. მსმენელები გაიმრავლეთ, ჯერ აჭოქმანეთ, მერე დაარწმუნეთ, გააყოლოთ, თვალახვეულებს იარაღი მიაჩეჩეთ ხელში. ვინ მოგცათ, საიდან გამოაჩინეთ! ტყუილად როდი უთქვამთ: ბოლშევიკები ეშმაკზე ადრე ყოფილან დაბადებულებო. მთელი სოფელი ფეხზე დაყენეთ, სოფელმა სოფელს აუბა მხარი, სისხლისღვრა გააჩინეთ. ამდენი თოფოსანი შეგვახოცინეთ და, ჰოი, საოცრებავ, დაგვძალეთ კიდეც. დამცველები ამოგვიწყვიტეთ, გადარჩენილი გვარდიელები და მილიციონერები დაგვიფრთხეთ. ერობის შენობაზე წითელი დროშები ააფრიალეთ. სისხლისღვრა რომ გიყვართ, დროშის ფერზეც კი გეტყობათ... მთელი რაიონი გააწითლეთ. აყიენდით, ქულები მაღლა ისროლეთ. ჰა-ჰა-ჰა-ა-ა-ა! როგორ ხბოს სიხარულს მისცემოდით.

„არა, არა, თქვენი კჳუით, ვითომდა რომ დამატყვევით კიდეც? ვგოედები, რას მომასწრეს, გამოთოკეს, სახე დამაკაწვრინეს, შეშლილს დამამსგავსეს და მაიმუნვით ჩამატარეს სოფელ-სოფელ. იმდენ ხალხს აქტერინეს და აფ-

ურთხებიანეს ჩემზე. ზოგი ჰკუთამყოფელი იქამდეც კი გაკადნიერდა, რომ კენჭებისა და ლაყე კვერცხების სროლა ამიტხეს. როგორ გამამასხრეს. დედაჩემსა და ჩემს ცოლს აცქერინეს ჩემს უბედურებას. სამსახურის ერთგულნიც თოით: ხილველი გახადეს ჩემი გაუბედურებისა, ნათესავებსა და მეზობლებს, აყურებინეს. ნწუ, ნწუ, ნწუ! რა დღეში ჩამავდეს. დედამიწა რომ გამსკდომოდა და შიგ ჩავეტანე ის მერჩივნა!

„ეგ სულ შენი ვაჟკაცობა იყო, ნახუტკრიააანთ ბიჭო!“

„ჰაი, ვერ გიქციეთ ეგ ვაჟკაცობა დედლობადა?! შემოგებრუნდა, თუ არა კეხი! რასა ფიქრობდით, თქვე ჰკუთამოკლებო, ერთ რაიონში დაგვაჩოქეთ, მაგრამ სხვა მხარის თანამომგენი გულზე ხელს დაიკრფდნენ?! ვერ მოგიყვანეს გორისა და ხაშურის გვილია?! ვერ მოგიხტუნეს კედლას მფრინავი რაზმი?! ხომ გასროლინეს კუდიოქვა! ხომ ამოგიწყვიტეს შენი „რჩეული ვაჟკაცები!“

„ვერ გეტირა დედა. ხომ მართლა ტიროდა დედაშენი. თმა რომ გაეწეწა და სახეს იხოკდა. დებიც ხომ გაგიმწარეთ! დანიშნულსაც ხომ ამოვაგმწარეთ, რაც შენგან სიამე უგემნია. ჯერ სადა ხარ! ვაიგონ შენი დახვრეტის ამბავი, მერე ნახე, რა დღეში ჩაცვივიან ყვაყ-ყორნებს რომ ამოვაკორტინებ მაგ შეე თვალებს, შენი კუბოც რომ სანატრელი გაუხდებოთ, მერე მომეფხანება გული.“

„აი, აი, შე უბედურო, როგორ გამამსხარავე თავი! სამ დღეს იყავი მზრძანებელი, მეტხანს ხომ არა, თანაც მხოლოდ რაიონის მმართველი. მაზრა მინც გაგეწითლებინა, ბიჭო, იქნებ ეთქვათ: მაზრის უფროსი იყო. სამ დღეს თამადად ვყოფილვარ, შენ კი... გეტირა, თუ არა ყოფა?!“

„ბოლშევიკებიო, ლენინიო, ზაეიო, მიწაო, სიმართლეო, თავისუფლებაო. — ერთადე რომ პირზე გეკერათ, ვერ ჩაგიციე ენა?! რატო ეხლა აღარ ტიყ-

ტიყებს! რას დაგიდეია პირზე კლიტე! წადი, დაუძახე იმ შენ ბოლშევიკებს, იქნებ ტყვია აგაცდინონს. ლენინი ჩვე-ნთან არისო, ლენინი ყოვლისშემძლე-აო. თუ ეგრეა, რატომ არ გშეელის?! ჰა-ჰა-ჰა! რა სასაცილო ხარ, რა შავი დღისა გამოდქვი!“

ლამის წამოიძახა კიდევ ნაფიქრი. მიჰყვებოდა და მიხალისობდა. დატენილ რევოლვერს ხელში ათამაშებდა, სროლის ენმა მოუარა. ვისთვისმე მორტყმა კი არ უნდოდა, ისე, ჰაერში გასროლა ეწადა საზეიმოდ. მაგრამ თავშეკალება ამჯობინა და შემართული რევოლვერი დაბლა დახარა.

„მერე დავხარჯავ ამ ტყვიას. აგრე აჯობებს, არა, წითელო ქადაგო?!“ — გესლიანად ეკითხებოდა.

ანდროკი სულ სხვას ფიქრობდა. მისი ბედი გუშინ შეეგდოთ სასწო-რზე.

მარტო ეგ კი არა, თოთხმეტი კაცი დესევათ საბრალდებლო სკამზე. თუმცა საველე სასამართლოზე სკამიც არ უღირსებიათ. იმათთვის ჩაუვლიათ კისერში, ვინც შფოთის მოთავეებად მიუჩნევიათ. სახელდახელოდ გაუმართავთ სასამართლო. სხვებისთვის სიცოცხლე შეუნარჩუნებიათ, კატორღებისა და ციხეების ღირსად უცვნიათ. ანდროზეც წამოსცდენიათ: კატორღა ვაკმართოთ. მაგრამ ეს, ერობის თავმჯდომარე შემხტარა და შემოტრიალებულია. რასა ბრძანებთო. თუ ეგ ცოცხალი ვადაგვიჩა, ყველას სიკვდილი გველოდესო. ეგ ისეთი ყაჩაღი და გავარდნილები ერთია, თოფმოლერებული რომ თავს აღგე, მინც მოახერხებს გაპარვასო. გაიქცევა და მერე ნახეთ მაგისი გააფთრებაო, ისევე მონარავლებს ამქრებსა და არ მოგვეცემს ძილსა და მოსვენებასაო. მარტო ჩვენ არ დავჯერდებამ, მთელი მთავრობისთვის გააცხელებს იარაღსაო. მაგალითები წინ გიდევთო. ერთხელ და ორჯერ ხომ არ გამოქცეულა ციხეებიდანა. კარგად აწონ-დაწონეთო, ეგ რა შესაწყნარებელია, ადგილობრივი ხელისუფლება

დაგვიზო. სამშობლოს მოღალატეა, ხალხის მტერიაო, კაცის მკვლელიაო, სისხლის მსმელიაო. მაგაზე უმძიმესი დანაშაული რაღა უნდა ჩაიდინოს კაცმაო.

ბედისმწერლებს ჭკუაში დასჯდომით გავლენიანი კაცის რჩევა და სიკვდილით დასჯაზე დაუქნევიათ თავი.

სახალხოდ დაიხვრიტოსო, წამლად გაუხდებათ ჭკუაგადამბრუნებულ ხალხსაო, ურჩევია მსაჯულთაგანს.

ერობის თავმჯდომარეს მაგაზეც გაუტატანებია ხელები: ეგ რომ ხალხს დაანახვო, შეიძლება ერთბაშად იხუვლოს დასახსნელადო, დამხვრეტებიც წაღეკონ და განაჩენის გამოიტანებიცაო. ჩემად, უკაცრიელ ადგილას უნდა აღესრულოს, რომ ადამიანის შვილმა ვერ გაგოს მისი ასავალ-დასავეალიო.

ბედისმწერლებს ეგ გულეაც აუსრულეზიათ თავკაცისათვის. რა ენადვლებოდათ, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიოო. სამართალის სასწორი ჩინსა და ოქროს უჭირავსო.

ჰოდა, მიტას ახირებული სურვილისამებრ გაეყენებინათ სიკვდილმისჯილი უკაცრიელი ადგილისაყენ, დილაღამიანად გააარება ერჩიათ.

განაჩენის სისრულეში მოყვანაც თვითონ ეკისრა შურისგებით გულანთებულ მიტას. ის გვარდიელები გაეყოლებინა, ვინც ყველაზე ერთგულ და მარჯვე ბიჭებად მიუჩნევია. ისინი უნდა ემიქვლავებრიელებინა.

წყაროს მიაღწენ, მუხის ძირში მჩქეფარე წყაროს.

სიკვდილმისჯილი შეჩერდა. წყურვილმა შეაყიენა. ნიკაპის წაქნევით ანიშნა: წყალი დამალევიენეთო. გვარდიელებმა უფროსს მიხედეს. ერობის თავმჯდომარემ მოწყალეობა მოილო „დალიოს. ერთხელ კიდევ იგემოს... უფრო მოუკვდება გული!“ — გაიფიქრა მიტამ.

ანდრო ხელებგაკრულივე დაეწაფა. ასეთი გემო არასოდეს მიუტანებია. გული იჭერა, აიმართა, ღონიერად ამო-

ისუნთქა. მერე სახეც მიუშვირა, წვეთები შეეცინცხლა. „იფე, იფე, იფე!“ — შემაგაგადა. გამოიგანა და უცნაურად ჩაამტერდა კლდის ნაგლეჯებით მოქვაბებულ ადგილას, სადაც ფერად ენჭებს ამოძრავებდა მალლიდან გადმოჩქეფილი წყალი. გარშემო ხასხასა კორდი მოჰფენოდა, შეთქვირებულ ბალახზე ვერცხლისფერი ცვარი ციაგებდა. ანდროს მოსწყურდა ფეხების გაშიშვლება და ნამიან ბალახზე გაყლა. მაგრამ მაგდენს ვინ გაანებვირებდა. ის კი გაბედა, რომ სკამად მიჩნეულ ლოდზე ჩამომჯდარიყო. სურდა გული ეჭერებინა წყაროს ხილვითა თუ ლიკლიკითა, მაგრამ ყური მოუშხაჰა მიტას მუნათმა:

— მალე ქეიფსაც მომიდომებს სიკვდილმისჯილი.

ანდრო წამოდგა და დაზარებით გადადგა ნაბიჯი.

— ცოტა ცოცხლად! — ხმას აუწია მიტამ.

— იარე! — შეუტია მიხამაც.

თომამ მათრახი გაატყლაშუნა, რითაც ანდროს ანიშნა დაუჩქარეო.

ანდრო დინჯად მობრუნდა, კისერი მიიღრიცა და თვალეწროდ გახედა გვარდიელებს.

და ისევ შეეჭიდნენ აღმართს ერთი ფეხოსანი და სამი ცხენოსანი.

ახლა თომას მოებურა უამო ფიქრები. კარგა ხანს არ გამოხელებია ის უემური განცდა, რაც სიკვდილმისჯილის მწყარლმა შემოხედვამ გაუჩინა. იმ შემოხედვისას ანდროს თვალბში ამოკითხა უდიდესი საყვედურიც და ზიზღიც, ამ საქულველ სახეში თავისი თავი ამოიციო. დიახ, სიძულვილითა და ზიზღით მიხედა, აბა, სხვანაირად როგორ შეხედავდა სიკვდილმისჯილი იმას, ვისი ხელითაც უნდა გამოშვილობებოდა ამ მზიან ქვეყანას. ჰმ! წუთიერი შევბაც არ მისცა, წყაროს სიმშვენიერით წამიერი დატკობაც არ აცალა, მათრახი გაუტყლაშუნა. ალბათ, ეს იმის ნიშანიც იყო, რომ სიკვდილმისჯილი ხარ და შენი მიწაწყ-

ლის ცქერის უფლებაც აღარა გაქვსო. დიახ, ეგრე იტყოდა.

„სხვისგან დავიჯერებდი, ყველაფერს ავიტანდი, ავალბენ და უნდა მომკლან, მაგრამ შენგან მწყობს, თომა. დავალბული მაინც არ იყვე ჩემგან. მარტო შენ კი არა, მთელი ოჯახი, ნათესავები, მისხის-მისხი. ეჰ, რა მართალი უთქვამთ: სიკეთისათვის სიკეთე ვის გაუწყვილია!“ — ფიქრობდა ანდრო.

დიახ, დიდი სიკეთე დასდო.

თომას უფროსი ძმა — ისაკა ანდროს ძმაცაცობდა.

ბოლშევიკების მარაჩაში გარეულს შავრანმელთა თავკაცთაგანი, თავადი ნიკო ამილახვარი შემოჰკვედომოდა მოულოდნელად. აბა, თავზე ხელს ვინ გადაუსვამდა და მეძებრებს რომ არ ჩავარდნოდა, ლეხურის ხეობის აღმა უქნია პირი. მაგრამ ახალშენის თავზე დაუჭვრიათ და ამილახვიანთივე სარდაფში ჩაუგდიათ. მეორე დღესვე უნდა გაეძღოლებინათ თბილისისკენ, სასიკეთოდ არავინ მიჰგვრიდა ბედისმწერლებს, საბრჩობელას ყულფს არ ააცდენდნენ, მაგრამ იმ დამესვე დასცემიან საპატიმროსა, ანდროს გუნდის ბიჭები ყოფილან, მცველები გაუთოკიათ, პირში ჩვრები ჩაუჩრიათ და ეგრე დაუყრიათ. პატიმარი ისაკა კი გაუტაცნიათ და ტყისთვის მიუცნიათ თავი. მას მერე თვალი აღარავის დაუქრავს ისაკასთვის და მხოლოდ მას მერე უჩენია თავი, როცა ნიკოლოზი ჩამოაგდეს. თავად ამილახურის სიკვდილი შერჩენია.

„მე რომ არ გაეჩენოდი, შენი საყვარელი ძმა მიწის ლუკმა ვახდებოდა. მე ეგ სიკეთე გიყავი, შენ კი თოფმოშარჯვებული მამდევ. ფუი, რა უსინდისო ყოფილხარ!“ — ეს უთქმელი სიტყვებიც ელანდებოდა თომას.

უხმოდვე ეპასუხებოდა:

„ღმერთი ხომ მოწამეა, რომ გული არ მომწვედა აქეთკენ, მაგრამ მაინც დამაინც მე მარგუნეს. დავეუარე, არ მომეშენენ. ეგეც მიტას ახირება იყო, რაკი ერთი-ორჯერ ერთგულება ვაჩვენე, იმიტომ უფრო ჩამაცივდა. მე სამ-

სახურს ვერთგულებდი, თორემ ფეხებზეც არა მკილია ერობის თავმჯდომარე. არც პოლიტიკისა მესმის რამე, არც ერთი პარტია მეჭამნიკება, ხელფასს მაძლევენ და იმიტომ მაყვრიან გვარდიელის სამხრეები. თოფი მიჭირავს იმიტომ, რომ ლუკმა-პური არ გაუწყდეს ცოლ-შვილს. სხვა მთავრობა არ არის და ვის ვემსახურო. ვინც მე მაცხოვრებს, მას უნდა ვემსახურო და ვუერთგულო. შენ კი გგონია ამ მთავრობაზე ამომდის მზე და მთვარე... ჰო, არ მომეშენენ. ჩვენმა უფროსმა ალბათ, არ იცოდა, შენგან ასე რომ ვიყავი დავალბებული, თორემ შენს დასჯას ამარიდებდა... არ მომენდობოდა. სხვებმაც ჩემზე მოანათეს სანთლები... გამაბრიყვეს. იმან წამიციდინა, რომ ჩემი დაუარებით მაინც არაფერი გეშველებოდა. ვილაცას ხომ უნდა ესროლა. შენთვის რა ბედენა... არა, მაინც შევეციდი, მაინც არ უნდა გავრეულიყავი შენს ცოდვაში. ეხლა რალა დროსია, გვიან არის თითზე ებენანი. უკან დახევა აღარ ივარგებს. სხვა რამ ივარგებს... მე ვიცი რაც აჯობებს, მაგრამ... ოხ, ამ „მაგრამს“ მოუყვდეს პატრონი!“ — ფიქრობდა თომა და ისეთი სიფათი ჰქონდა, უმალ დაასკვნდიოთ: სიკვდილმისჯილზე უარესად ის იტანჯებოდა.

ველიანზე გავიდნენ.

სიკვდილმისჯილს აღმოსავლეთისაკენ წაუტეცია თვალი. ცა ვალაქლად. მალე მზემაც დაახამხამა წამწამები და ამობრიალდა. უცებ დასკუბდა მთის გრებილზე და ტალღებზე შეგდებული ბურთივით დაიწყო ხტუნაობა, თითო ბავშვივით თახთახებდა, თითქოს უხარიაო ამ ქვეყნის დანახვა, პირს ღიმილი ვადასდიოდა.

თვალის მოშორება ეძნელებოდა ანდროს.

„მართლა რა დიდებული რამ არის ეს დალოკვილი! — აღმოხდა ჩურჩულით. — ნუთუ, უკანასკნელად ვხეიავ მზის ამოსვლას?! არა!“ — დაბეჯითებითი პასუხი გაიცა.

კვლავ ხარბად მიმოავლო თვალი

მზესაც, მიწასაც და წაიღიდინა: „მზე დედა ჩემი...“ და უხვი ღიმილი გადაივლო სახეზე.

უკან მიმყოლნი გაოცებულნი იყვნენ.

თომამ გვერდში ამოუყენა ცხენი და წასჩურჩულა:

— არ გიკვირს?

— საკვირველია, მაშ, რა არის, სიკვდილმისიჯილი და ღიმილ-ღიმილინი?

— ასეთი რამ ჩემს თვალებს არ უნახავს.

— ეს უბედური ჭკუაზე აღარ არის, ეტყობა!

— ან თავისთავს დასცინის ან ჩვენ გვიგლებს მასხარად!

— მგონი, უფრო ჩვენ.

— შეხედე, როგორ შეხარის სიცოცხლეს!

— ნებაზე რომ მიუშვა, ბავშვივით მიეფერება ამ წიფლებს.

— არ გენანება? — გამომცდელად მიხედა თომამ.

— დასანანია, მაშ, რა!

— კაი ვაჯაკიც არის, რას იტყვი!

— ძალიან. სასიკვდილოდ შეაფუსუსება! მაგრამ რას იზამ. ასეთია ნება ღვთისა!..

— ღვთისა თუ ღვთისცეცხლისა?!..

— ღვთისცეცხლი ვიღა?! — მიხამ ისე ეშმაკურად მოჭუტა თვალები, რომ ეს კითხვა პასუხსაც შეიცავდა, თუ ვინ იყო ღვთისცეცხლი.

— თომამ კმაყოფილებით ჩაიღიმა და უნებურად გახედა სიკვდილმისიჯილს.

ანდრომ თავი მოიღერა. ყური მოჰკრა ცხენოსნების ფრთხილ საუბარს, კარგად ვერ გაარჩია ნათქვამი. ის აზრობდა, რომ სასიკვდილოდ არ ემეტებოდათ იგი. გაეხარდა. სმენად იქცა, მაგრამ სასიკეთოს ველარას მოჰკრა ყური. წუთის წინ მოსმენილიც მოლანდებდა მიიჩნია. „ესენი რომ კაი ბიჭები იყვნენ...“ — გაივლო გულში, შეყოვნდა, უკმაყოფილოდ გაარხია თავი და ჩურჩულით მიაყოლა: — ეპ, სად ეყოფათ მაგდენი ვაჟაკობა!.. პირიქით, ალბათ, ერ-

თი სული აქვთ, როდის დამიბიზნებენ თოფსა. ვინ იცის, რა გიღდღეს მიუელიან ჩემი მოკვლისათვის... გიკვირს არიან, რომ დაკარგონ ოქრო და ჩინი? იფი, რა ვუთხარი ამ ცხოვრებას!“

თომამ ახლა უკან გამოაპარა მზერა. დარწმუნდა, რომ კარგა მანძილით ჩამოშორებული მიტა ვერას გაიგებდა და ცხენი კვლავ მიუახლოვა მიხას.

— მაინც რა წერას აუტანია ეს უბედური, ჰა?!

— ეპ, უჭკუო ყოფილა!

— რადა? — შეიცხადა თომამ.

— თავისი თავიც დაღუბა და ამდენი ხალხიც შეახოცა ერთმანეთს.

— მაგ შედეგს არ მოელოდა, ალბათ.

— უნდა კარგად აეწონ-დაეწონა, რას ფიქრობდა, ამხელა ვეშაპს რომ ეჭიდებოდა.

— გამარჯვების წყურვილმა წაიციდინა, ალბათ.

— ხომ გაგიგონია: თხამ სანეკრი ნახა და საბტომი ველარ მოზოშაო.

— ეტყობა სხვისი იმედიც ჰქონდა. ხომ იცო, რომ მთელი საქართველო...

— ვიცი და რომ შემოთუვალეს: ცენტრი ჩაგვივარდა და იარაღს ხელი აღარ მოჰკიდოთო, რაღას გამოიღო თავი.

— მაგის ყურამდე ველარ მიადწია, ალბათ.

— ყურამდე კი მიადწია, მაგრამ ჭკუამდე არ დავიდა...

— ისე... რომ გაემარჯვათ, ჰა?! — გამომტეხდა შეხედა თომამ.

— მერე, რა?!

— ჩვენც აგვიგებდნენ წესსა.

— დედას ვუტირებდი! დავატყობდი თუ არა, ხელად მოვიგლეჯდი ამ სამხრეებსა და თოფს შევუბრუნებდი.

— მართალს ამბობ?

— სახუმარო რა მაქვს.

— თომამ დაფიქრებით ახედ-ჩახედა.

— ცოტა არ იყვეს გული მეთანადრება... — აღარ დაამთავრა, რაცა თქვა, მაგახეც დაინანა: იქნებ, მცდოს კიდევცო.

თომა მიუხედა, რაზეც ეთანაღრებოდა გული. აღარც ის ჩაეძია მეტსა.

ცხენების ფაფრებს მიაშტერდნენ, არ ვიცო, რა ფიქრები მობურვოდათ. ისევ თომამ ითავა დუმილის დარღვევა:

— აღრეც იცნობდი?

— ვისა?

— სიკვდილმისჯილსა.

— ნწუ! შორიდან გამეგო მაგისი არსენობა.

თომამ თავი დაარხია.

— შენა? — მიხედა მიხამ.

— ჰო, დიდი ხანია.

— ახლოს?

— ჰო, ახლოს.

მიხამ თვალეები მიაშტერა.

— ძმა გადამორჩინა სიკვდილს.

— როგორ?

თომამ ორიოდ სიტყვით უთხრა.

— მერე?

— მერე, დღეს ვუხდი სამაგიეროს...

მიხამ ხმა არ გასცა. თვალეიწორდ მიხედა და ცხენი ააჩქარა.

თომას ესიამოვნა მიხას უხმო წყრომა და ცხენი წამოსწია.

ჭერ უმძრახად მისდევდა, მერე კი:

— მიხა!

— ჰა!

— ჩემს სიტყვას ინდობ?

— შენ თვითონ ხარ სანდობი?!

თომას გაეღიმა და:

— ამ ორ კაცში სიკვდილი რომ გააჩრჩინონ, რომელს გაიმეტებდი?!

— არცერთს.

— ?!

— ორივე აღამიანია.

— არა, მაინც?

— მიდი, გზას გაუმატე!

— არა, არა, თქვი!

— მომეშვი-მეთქი!

— ეთქვათ: ან ანდრო უნდა მოკლა, ან მიტაო, ისე არ იქნებაო, რომელს აირჩევდი?

— რომელსაც შენ! — და ეშმაკურად მოწყურა თვალეები.

თომას გაეხარა და მათრახი გაატყლაშუნა ჰაერში.

— ნუ ცელებ, თომა!

თომამ ხალისით მიხედდა.

— ჩანაფიქრს არ უღალატო!

— ვერ გავიგე!

— ბრძანება უნდა შესრულდეს.

თომას ღიმილი გაეყინა და გამომტეხად მიაშტერდა.

— არადა ჩვენ გვანაცვალებენ, იცოდე.

თომას უსიამო გრძნობამ დაუარა.

— შენი თავი გერჩივნოს ყველას.

თომამ კვლავ გაატყლაშუნა მათრახი. ახლა კი სიხარული კი არ ატქმევინა, სიბრაზე გამოაყოლა.

მიხამ დაინანა, გულში რომ სხვას ფიქრობდა, თომას სხვა უთხრა.

კვლავ დაუსწორდნენ ერთმანეთს და დუმილით მიჰყვებოდნენ.

თომა ვერ ისვენებდა.

— რა გაწუხებს, თომა? ,

— დიდი ნაღველი!

მიხამ თვალეები მოიეიწროვა, გვერდულად ვახედა და მჭრალი ღიმილი დაიმჩნია. თომამაც გვერდულად გამომზირა, კმაყოფილებით დაახამხამა წამწამები და შუბლი გაიხსნა.

აღმართიანი გზა მაღალი ფლატის თავზე მოეხევა. ეს ადგილიც ეცნურათ ოთხივეს. იციან, საით გრძელდება მერე. ერთხელ კიდევ დაიკარგება ტყეში, ერთხელ კიდევ გაუჩინარდება მინივალნი, მერე პატარა ველზე გაივკებენ და ვადაწყვეტილება-ვანაზრახი ასრულდება.

თეთრცხენოსანმა წინასწარ წარმოიდგინა ის, რაც ათიოდე წუთის შემდეგ უნდა მოხდეს.

ველიანზე გაივკებენ, მაგრამ გზის პირას კი არ ასროლინებს. გაიყვანს იმ კლდის ქიმზე, რომლის დაღმა კლდოვანივე ღრანტე იწყება და სათოფედ დააყენებს. მაშინვე არ გასცემს სროლის ბრძანებას. ცოდვას მოანანიებს ხელეზგაკოჰილს, გაჭირებული კაცი ყველაფერს იტყვის. შეიხვეწებს მიტა, შეიფედრებს, ყელს გამოაწევენებს, აატირებს, მუხლებზე დასცემს და ფეხის მტვრად იქცევა. რაო, მაგას არ იზ-

ამს? რაბა ბრძანებთ! ეგ მართალია, ანდრო უტეხი კაცია, მაგრამ სული ტკბილია. სიცოცხლის წყურვილი გალუნავს. მუხლის თავებზე ახობებს. მაგრამ, ნურას უეცრადად, მბრძანებელს ვეღარ მოუბრუნებს გულსა.

„აბა, ბიჭებო, ბეთქეთ!“ — სიმღერის კილოზე დაიძახებს მიტა.

ერთგული ბიჭები თვალს ამოჰკიევენ. „ბახ, ბახ!“ — ერთდროულად იფეთქებს ორი თოფი და ანდროს დაცხრილული ტანი მოწყვეტით გადაეშვება ფლატეზე. კლდის წვეროებზე დაეცემა, დაიგლიჯება, დაიფლითება. ცაში მორიალე ყვავ-ყორანები ყაშ-ყაშით დაეშვებიან დაბლა, ხოლო მალა თვითონ მიტა ახარხარდება.

ეს წარმოიდგინა მიტამ და სახეზე ღიმილი გაიმრავლა.

ჰო, გზამ ფლატის თავზე მიიყვანა.

სიკვდილმისჯილი განგანზე მიიწევს, ფრთხილად ატარებს მზერას ფლატისაკენ. თვლით ღრანტეს ზომავს, ჭკუით — განაზრახს. აქ უნდა სცადოს განაზრახის ასრულება. სხვაგან ასეთი მარჯვე ადგილი აღარ შეხვდება. საკოჭმანო აღარ არის რა. მორჩა, გადაწყდა. თუ გამართლდა, ხომ კარგი, თუ არა და მინც ხომ სასიკვდილოდ არის განწირული. მთავარია მკვირცხლად და მარჯვედ მოიქცეს. მეტად სწრაფად, მეტად მოულოდნელად. გული შეუფრთხილდა, შეაძაგდა, სიკვდილის შიშმა კი არა, იმის სიფრთხილემ, რომ განაზრახი არ წაუხდეს. უკან მოხედვა ეწადა, მაგრამ არ შემობრუნებულა, არ შემამჩნიონო. გონება მოიკრიბა. კანკალი შეიჩერა. ნელინელა მიჰყვებოდა ფლატის პირს.

შემზარავი ღემილი გამეფებულიყო.

— შეხედეთ! — ცისკენ შემართა სახე თომამ.

მიტამ და მიხამ თავები აიღერეს და ფრთხილად არწივს მიაშტერდნენ.

მიტამ ხელი მოიჩრდილა და დაკვირვებით შესტკეროდა მოყაშყაშე არწივს, რომელსაც კლანჭები ბატკნისათვის ჩა-

ველო და მძიმე-მძიმედ იქნევედა ფრთებსა.

— ეახ! — თავს არხევედა მისა!

— ჰე, ჰე, ჰე-ე! რა ღონიერი ფრინველია ეგ თხერი! — ჰკვირობდა მიტა.

— ხომ შეიძლება ბავშვიც მოიტაცოს! — საუბარი გაუგრძელა თომამ.

— არხინად! — უღასტურებდა მიტა.

სიკვდილმისჯილმა ერთი კი ახედა არწივს. ჩამოაშორეს თუ არა ყურადღება, უცებ მოიქნია ტანი და ფლატეზე დაეშვა. კუნძივით დაგორდა.

გვარდიელებმა მოიხედეს. უმაღ მიხედნენ, რაც მომხდარიყო, მზერა დააწიეს დაგორებულს. თომამ თავი გააცანცარა, რითაც მიხას ანიშნა, არ ესროლო.

მიხამ მკრალად გაიღიმა.

მიტამ უფრო მოგვიანებით მოიხედა. პირს კატა ეცა.

— რა იქნა! — დაიყვირა სახტად დარჩენილმა.

გვარდიელებმა გაკვირვებით აიჩეჩეს მხრები.

მიტამ თვალი შეასწრო დაგორებულს.

— აგერ, აგერ! — თითი გაიშვირა.

ბიჭებმა მიამიტურად დაიწყეს ყელყელობა.

— თოფები! — გადმოყარა ცოფები.

გვარდიელებმა ერთმანეთს შეხედეს და თვალი ჩაუკრეს.

— ესროლეთ, თქვე ყურთუსაღებო! ყური არ შეიბერტყეს.

— ესროლეთ-მეთქი! — ისეთი მუქარითა თქვა, რომ იგულსხმებოდა: თუ ჩემს ბრძანებას არ შეასრულებთ. მაშინ თქვენ გესვრითო, და რევოლვერი შეათამაშა.

გვარდიელები ფიცხლად შემობრუნდნენ. გატენილი თოფები წაშში მოიმარჯვეს და ვიდრე ერობის თავმჯდომარე მალა შემართავდა რევოლვერის ხელსა, ორი ბათქი გაისმა ზედიზედ მიყოლებითა. პირველი თომას ნასროლი იყო.

თეთრმა ცხენმა შემზარავად დაიტი-
 ჰვინა, წინ გადმოსახტომად აიკალბა და
 მკერდჩამოსისხლიანებული მხედარი
 წელმოწყვეტილით გადმოიქნია დაბლა.
 მხედარს უზანგში ფეხი ჩასქედვოდა და
 ყირამალა გადმოეკიდა გაცემებული
 ცხენს, რომელიც ცხოველური ინსტინ-
 კტით მიხვდა თავს დამტყდარ უბედუ-
 რებას და რომ მომავლადი პატრონი-
 სათვის არ ევნო, ბიჯი აღარ წასდგა.
 ჩამოკიდებულ ტვირთს გვერდულად
 მოხვდა, გაწითლებული თვალები და-
 აბრიალა და ადგილზე დაიწყო ტორტ-
 ნანი.

ცხენზე გადმოკიდებულს ის გაფარ-
 ჩხული თმა ჩამოსწეწვოდა, თვალები
 გადმოეგულდა და საგინებლად გაღებუ-
 ლი პირიდან სისხლი გადმოსდიოდა.
 მიხა აღვირს წასწვდა და ნაღვეი
 ლაგამი გაუსწორა ცხენსა.

— არ ჩამოვხსნა ტვირთი? — და-
 ცინავად იკითხა.

— არა!

— ცოლა ცხენი.

— სიკვდილმისჯილი ამოვიყვანით
 და თავისი თვალით ვანახოთ.

ცხენზე ჩამოკიდებულს კი ჯერ სული
 არ ამოხდომოდა. აღარც რაიმეს თქმა
 შეეძლო. ამობრეცილი თვალების შე-
 მობრუნება შესძლო და გვარდიელებს
 მიხედა. იმ მქრალ მხერაში ამოიკითხე-
 ბოდა გავკვირებაც, სინანულიცა და
 ზიზლიც.

— ვის სიკვდილზეც წინასწარ ხარო-
 ბდი, ახლა ის ვაიხარებს!

ერობის თავმჯდომარემ უღონოდ
 მიმოაბრუნა თვალები და ხრიალს მო-
 უმატა.

მალე მთლად დადუმდა.

— მოჩხა. — თქვა მიხამ.

თომა კლდის ქიმზე შედგა და პირზე
 ხელების მოძაბრით დაიძახა:

— ან-დრო-ოო!

ანდრო თითქმის ძირამდე ჩაგორებუ-
 ლიყო და ერთ დიდ მუხას ამოფარებო-
 და. მიმხედარიყო, რომ რალაცა მოუ-
 ლოდნელი მოხდა მის საყეთილოდ. მაგ-
 რამ რა, ეს ვერ გამოეცნო.

— ჰაი, ანდრო!

— ჰაო! — ძლივს ამოაღწია ხმამ.

— ამოდი!

ანდრო წამოდგა.

— გესმის, ანდრო, ამოდი, საშიში
 არაფერია!

ანდრო გაჭირვებით, მუხლის ჩოქით
 მთიწვედა ზევით-ზევით.

თომა ფლატეს ჩაუყვა ანდროს მისა-
 შევლებლად.

— წამოდი! შენი თვალით ნახე.

— რა მოხდა?

— იმდენი არაფერი. ჩვენი დიდად
 პატივცემული ერობის თავმჯდომარე
 ცხენზე ვარჯიშობს! — დამცინავი ფე-
 რი გააყოლა სიტყვებს.

— არ მესმის.

— რა უნდა გესმოდეს. პირი მოე-
 კუპრა!

— ხომ არ იტყუები? — წარბების
 მოზიდვით მოხვდა.

— ტყვია მომხვდეს, თუ ტყუილი
 გითხრა! — და ხელებზე გაკრულ თოკს
 დანა დაუსვა.

სიკვდილმისჯილმა მოწყვეტილ ჩამო-
 უშვა ხელები. მაგები დასიებოდა, ნა-
 თოკრები დალურჯებოდა. სისხლი აუ-
 მოძრაედა და ტკივილები განუახლდა.

ხენეშით ამოთავეს აღმართი.

მალა რომ ამოვიყვას, ანდრო შედ-
 გა და შორიდან დაუწყო ცქერა. შუბ-
 ლი შეიკრა, თავს არხევდა და ტუჩებს
 აცმაცუნებდა. რალაცას ესიტყვებოდა,
 ალბათ, თეთრ ცხენზე ჩამოკიდებულს.

დოინჯმემოყრილი გვარდიელები ხან
 მსხვერპლს მიხედავდნენ ხან სიკვი-
 ლისაგან დახსნილს.

— ეს რა გიქნიათ?! — გავკვირვებით
 თქვა ანდრომ.

— რაც მიქელ-გაბრიელმა ჩავგჩურ-
 ჩულა!

— კი, მაგრამ თქვენი უფროსი რომ
 იყო? — კვლავ მალა ასწია მხრები.

— ჩვენი უფროსი იყო და აღარ არ-
 ის!

— კაცო, მენშვეიკებს არ იცავდით?!

— ახლა სიმართლეს დავიცავთ!..

— დავიჯერო?
 — თქვენი ნებაა.
 — მეგონა მოწამლული სისხლი გიჩქეფდათ.

— სისხლიც დაგვეწმინდა და გულიც.

— რა ვიცი!

— დმერთმა ხომ იცის...

ანდრო ჯერ თომას შაშტერდა თვალებში, მერე მიხას.

ორივემ თამამად გაიფართოვეს უბეები.

თეთრი ცხენი ისევ ტორტმანებდა და კიხვინებდა.

— ჩამოხსენით ბარგი! — ბრძანა ანდრომ.

ბიჭები მისცვივდნენ და ჩამოხსნეს. ანდრომ თავის გაქნევით ანიშნა: ხევში გადაუშვითო.

ერთმა ხელები დაუჭირა სისხლიან მხედარს, მეორემ ფეხები. გაჰქნიეს და გადაუძახეს.

თეთრმა ცხენმა ტირილისმაგვარი კიხვინი გააგრაძელა და გასროლილი

გვამისაკენ გაიწია. მაგრამ ანდრომ ღონივრად მოქაჩა სადავე და ცხენი შეჩერა. პირუტყვემა ადგილზე დადგინდა ტორლიალი. ანდრომ სისხლი ჩამოსწმინდა. უნაგირი გაასწორა, გაიმაგრა და უცებ მოახტა.

ცხენმა მხედარი იუცხოვა და გამეტებით შეაქანა ტანი გადმოსაგდებად. ანდრო ცხენს გაელურსა და მერე ღონივრად უთავაზა. ცხენი კვლავ აიკალხა. ანდრომ მაგრად მოსწია სადავეს და მალლა ამართული ფეხები მიწაზე დააშეებინა.

— თქვენ საით, ბიჭებო! — მოხედა ცხენებზე შემართულკბს.

— საითაც შენი!

ანდრომ კმაყოფილების ღიმილი გადაივლო სახეზე, დეზი ამოსცხო თეთრ ცხენსა და წინ გაიგდო. თავმოკატუნებული ცხენი უცებ მოსწყდა ადგილიდან და მხედრის ნება-სურვილს დაჰყვა.

წაბლა ცხენებიც ფეხდაფეხ აედევნენ.

სამივემ დიდ ტყეს მისცა თავი.



ლია ასათიანი

კოსმოსიდან სიზნალები მოდის

ამოდი მზეო და დასთრგუნე ბერწი ჩრდილები.
მზეო! —

ჩრდილები, დასხლეტილი შენი ტანიდან.
გადასწევი ძაძა, მოაძალე სიცოცხლის თქვეში.

ძლიერი სუნთქვა აიტანე ბნელ პლანეტებზე
და იქ დანერგე ჭკათა შორის.
ისინი კრთიან მარტოობის მოლანდებაში
და ენატრებათ გამოცდოლი, თბილი ხელების
შეხება, ნდომა, შეცოდება და მიტყვება,
მსხვრევა და შეკვრა ფანტასტიურ გარდატეხვებში.

მზეო, ამოდი!
დაიფარე დარჩენილი უკერპოდ ქვები,
თიხა, რომელიც არასოდეს მიიღებს ფორმას
მალუბისა და თავის ქალის,
ნეკნი, რომელიც არ არსებობს
და არც იქნება!
ქარი, რომელიც არ აუშლის ბედაურს ფაფარს,
და თმის სურნელში ვერ გახლართავს ფოთლების ფიტულს.

მზეო, კეთილო!
კლიან თოვლით დაფენილი მთვლემარე მთები,
რომ გადამდნარი უწყალობო მწყურვალე მიწას
მათი საფარი.

გაზაფხულზე კი, მიწიერი ბალახის ტოლი
ჩუჩა ხეები ილტვიან შენსკენ.
და ტელესკოპის გლუვი მინიდან ჩამოტანილი
კაბინეტების გრძელ მაგიდებზე,

ფორმულებს შორის ფრთხილდებს მარსი,
როგორც ფრინველი კაკანათის რკალში გაბმული.

და გონიერი, მარადი თვალი ადამიანის,
 თვალი პირველი,
 ჩასჩურებია საგნის დუმის მზორგავ ნერვებით.
 ამოდი, მზეო!
 გაანათე ყველა ვედრება!

* * *


მერცხალმა პირველმა შორეთს მიაშურა,
 ბუდე კი შემორჩა იმედის კონცხებით.
 უკვე გავისტუმრე თორმეტი აშული,
 რომლებიც სტრიქონებს ხატივით ჰკოცნიდნენ.

თითქოს მივადექი საძოვრებს შორეულს,
 ფარა მოუფინა ფერდობს და ბილიკებს.
 კლდის ქიმზე იმსხერევა მზის მხრები ბროლივით,
 და წდება საწვიმრად გაკრული კვირიკე.

ქვემოთ კი ქალაქი კრიახობს კრუხივით.
 მეძახის მავთულში გაბმული ფუტკარი.
 — ნულარ დაბრუნდები! — ქარს მოაქვს ქუხილი
 — სათქმელი ერთმანეთს თუ უკვე უთხარით! —

არ ვიცი, რამდენი ღიმილი მომეღის,
 დროის ვარაუდი ძალზე შეძნელება,
 ნაადრევ თოვლივით დავადნე ყოველი,
 რომ არ გაეთოშათ გაწვდილი ხელები.

გამოწვდილ ხელებში უზომო ძალაა,
 ან უნდა გაექცე, ან დაემორჩილო,
 სიტყვა კი ვალია და გადასახდელად
 გვარცხლობგთან აბია დასაკლავ ყოჩივით.



პ ი რ ი მ ზ ე

გაიშრიალა შამხნარში ქარმა,
შეუსრო ცრემლი დილის,
თეთრი ირემი მოსულა ბარად,
თეთრი ირემი ყვირის.

გადმოიხედეს მალალმა მთებმა,
მწყემსმა აკვნესა სტვირი,

• გახარებული პირიმზე დგება,
პირზე გადიყრის ღიმილს.

ცხადი მგონია, გამელევიძება,
წამოვდგები და ვტირი.

ღ ი ო ს კ უ რ ი ა ს თ ა ნ

ვარ ჩაძირული მცე შენთან ერთად
და დარდი თავზე ჯვარივით მადგას,
ლამდება ლურჯად,

თენდება თეთრად
და იცრიცება ზღვის ვრცელი ფარდა.

შენი სიმღერა და შენი სული
ფერად ნიჟარის ხმაურში მიწვა,

ამოდის მთვარე სიჩუმით სრულით
და გულზე გაბჯენს ოქროსფერ ფიწალს.

და მელანდება მცე ზღვის სილურჯე,
როგორც საფლავი მარადის ღია,
ჯერ კი მკურნავს და ტკივილს მიყურებს
და ლურჯი ფრთებით სიმღერა მიაქვს.

• • •

ქუჩაში ძყრია ნამსხვრევეები
მზისა და კოკის,
ო, შენი ბედიც ასე დაიმსხვრა.
ნამტირალევი ღრუბელი მოდის,
ველარ შეხვდები აპრილს გაისად,
როცა ჩინარი იქ,

ჩვენთან,
ორპირს,

შავს გაიხდის და თეთრებს ჩაიცვამს,
ველარ იმღერებ საყვარელ მოტივს,
თმებში ყვავილებს ველარ ჩაიწნავ.

ნაიღი ნაკერიშვილი

• • •


ისე მიყვარხარ, რომ ყველა წვეთი
ჩემი სისხლისა
შენზე სიმღერას უნდა მღეროდეს.
ისე მიყვარხარ, რომ ყველა სიტყვა
ბაგეზე მრჩება,
რადგან დაჰკარგეს სიტყვებმა ფასი

და თვალისჩინი გამიხდა სიტყვად.
ისე მიყვარხარ, რომ ყველა წუთი
ჩემი სიცოცხლის
სავსეა შენით, მუნჯი ვედრებით და
სასუებით.

• • •

ნუ, ნუ დააფრთხოზ განთიადზე თეთრი
სულის ამო ძახილს,
ნუ შეეხები ნუშის ტოტზე მთვლემარე
ფურცლებს
და გაზაფხულის ნათელ დილის
ჩამოდგომისას

თავი ანებე მყვირალა ჰანგებს,
ჩამოხსენი უსიცოცხლო ყვითელ თვალთა
გამჭოლავ შხერას.
ნუ დაიწყულე სულის ლტოლვას მძიმე
ხუნდებით,
გესმის კვირტები სკდებიან და
ლაღად მღერიან.



• • •

მარად ერთგული იქნები საქმის,
აგიყოლიებს, როგორც ცდუნება,
თუ გიწყალობა ერთხელ ბუნებამ
ნიჭი შეგრძნების და ნიჭი აღქმის.

უსაფუძვლოა შიში გაქრობის,
თუ უკვე მიხვდი, იცი და გჯერა,
რომ ბუნებაში არცერთი ბგერა
არ არის ყალბი და დასაგმობი.

პირთამდე სავსე სიცოცხლის მადლით,
არაფერია ქვეყნად უცვლელი;
ყველა მოელენას აქვს საფუძველი
და გამართლება — სიკვდილის ჩათვლით.

და წლების მიღმა გიწვდი მარჯვენას,
მორი წარსულის დიდო აჩრდილო,
სულ რომ გვეცხოვრა, ალბათ საჭირო
არ იქნებოდა ჩემი განენაც.

რ ა ი ს ი

როგორც ფოთლებზე ქარის სრიალი,
ან მოფარფატე ფრთები ღამურის,
გამჭვირვალვა დღე საღამურის,
დღე — უსასრულოდ აღერსიანი.

სიზმარეული დგება დაისი,
დუმს მყუდროება, და უეცარი
ზმით იჭმუჭუნება, როგორც ზეწარი,
და უთოვდება ისევ თავისით.

და მეჩვენება: თითქოს დადლილი,
სულივით მიმწერს — რალაც უსახო,
რომელსაც, კმარა, რომ დაეუძახო —
ფერხთ გამოწვევა ერთგულ ძალღივით.

ო, უხილავო! როგორ ბინდდება!
და რა უმწეოდ ვინთებით, ოდეს
საფლავის ლოდზე ქალივით გოდებს
მარადიული ეს გარინდება.

ღ რ უ ბ ღ ე ბ ი



ცვივა ურიცხვი ქარვა და ოქრო —
თითქოს ბუნება იმ ნეტარ დროთა
სანაცვლოდ იხდის სამოსელს, როგორც
მოვალეობას — იხდის და შფოთავს.

თითქოს დააფრთხეს წვრილი საფანტით
ფრინველთა გუნდი ნისლიან დარში,
ყოველი ტოტი ქარში გაფანტულ,
განწირულ ფოთლებს მისტირის: — დარჩით!

ტყე, დაღვრემილი, დუმილით გოდებს,
ელვა ჩუმ-ჩუმად იღებს სურათებს
და აწყდებიან ტოტიდან ტოტებს
სველი ფოთლები: — გაზაფხულამდე!

გაზაფხულამდე... აღმართზე ცხედარს
მიასვენებენ ჭირისუფლები!
მაღალ ბოძებზე ყორნები სხედან,
მიზოზინებენ სადღაც ღრუბლები:

მძიმე ტვირთივით — გარდასულ ჟამთა
სევდას და ტკივილს, განუკურნებელს,
ეზიდებიან ზაფხულ და ზამთარ —
საუკუნიდან საუკუნემდე.

თითქოს ეძებენ საბაბს ღრუბლები,
რომ დაიღვარონ ცრემლებად სადმე,
და შემოდგომის დღეს ეუფლება
განურჩევლობა ყველაფრისადმი.



ნახევარი

აბა, სხვა ვინ თქვას
ამ მბრუნავ სოფლად,
შენზე საზარი,
წრფელი,
სარწმუნო,
ვაი, შენ, ცრემლო,
ცოცხლადმკვდარ მშობლის
დათხრილ თვალთაგან გადმონაწურო.
ვაი შენ, ცრემლო,
ჩამოგაქვს წვეთ-წვეთ
დედის ჩამჭრალი სული და ხორცი.
საწუთროს მუხთალ სრბოლაში ფეთქავს
მილიონი წლის სიხარბე — ნორჩი...
მაგრამ სხვა არის!
ლოცვა-კურთხევა
იმ ცრემლს...
ყველა ცის კარის გამღები - -
გამარჯვებული ცხრა ძმა ბრუნდება,
კალთებზემომწვარ ბაირაღებით,
მოაქვთ ტანჯული მამულისათვის

მშვიდი დღე-ღამე, — ორი ფრინველი,
და ფეხშიშველი,

ცრემლით და ხატით
გმირებს მშობელი ხვდება პირველი.
მაგრამ სხვაცა ვთქვათ,
იმ ცრემლის ფასი!

ოდეს ძის ღვაწლის შუქმა იელვა
რუსთველის დედის,

მზის დედის თვალწინ
და შვილში ღმერთი იცნო პირველად!
კიდევ სხვაც არის!

დედის კალთაში
ყრმა წევს,

მკვირცხლი და ლამაზი ბიჭი.
მოდის, მამულო, ათი ათასი,
ასი ათასი ზეგარდმო ნიჭი!

და როს იელვებს ძის ღვაწლის სხივი,
ნეტავ შენ, დედავ, ალვად რხეულო,
ნეტავ შენც, მაშინ, ცრემლო ღუნენისა,
მშობლის წამწამზე გადმომსხვრეულო.

ი ვ ღ ს ი

როგორც წითელი მოზვერი,
ივლისი მოდის ტრამალზე.
ღრუბლები —
თეთრი, ზოზინა,
მთებმა საომრად დარაზმეს.
მაგრამ ყველაფერს მოარღვევს,
გადაფარა ტყე-ველებს,

წითლად ალანძა ბალები
და თოფი მისცა მეველეს.
მერე მოგვიხტა ამ მთაშიც, —
ჯავახეთსა თუ თრიალეთს...
მზე კი —

წითელი ატლასი —
ზედ მოზვერის თვალწინ ფრიალებს.

ზაგა მზაუაროშვიდი

რად მერვენებმა
სინათლისაგან ცა გაძარცვეული,
როცა აპრილის
მყვირალა მზით.
სივრცე სავესება...
ვინ ამღვრია
დაისისფრად ჩემი წარსული,
ჭრელი სიზმრები ჩიტებივით
ვინ დამასია...

ვინ შემოაგდო ფანჯარაში
მოწყენილი ცა,
ვისია მზერა
ჯიუტი და ჩაცეხილი...
ვინ არ დამინდო, სურვილები
ვინ გამიღვიძა
აგერ ახლახან
ძლივს-ძლივობით ჩაძინებული?!

ღმისი დაბადა

შენ დაიბადე
ღის ხვეწნიდან,
დეღის ლოცვიდან,
როცა პირველი
სიყვარული სულს მიკოცნიდა.
შენ დაიბადე
ცრემლებიდან და გოდებიდან,
როდესაც სანთლით
დავძებნა სიკვდილს ჩემი და.
შენ დაიბადე
მშობლიური მიწის ორთქლიდან,

როცა ჩიტვით
ფანჯარაში მზე შემოფრინდა.
რაც შენ მოხვედი,
ეს ჭევეყანა ვნახე ხელახლა
და ისიც, ისიც,
რაც მანამდე არ დამენახა.
შენ დაიბადე
ღის ხვეწნიდან,
დეღის ლოცვიდან,
როცა პირველი
სიყვარული სულს მიკოცნიდა

ღეს არვის უკვირს

მთვარის ზოდების მიტაცებაც
დღეს არვის უკვირს,
ცოტაც კიდევ და...
მეუფენი გავხდებით
ამ ცის.

მიწას და სივრცეს
სულ პატარა
მოაკლდა შუქი,
სამაგიეროდ გაჩახჩახდა
გონება კაცის.

ანთოს შუქურად ჩაუქრობელი

ყველა სასურველს და ნაოცნებარს,
რომელსაც ვეტრფი,
რომელსაც ვმალავ,
ყველა სასწაულს და საოცრებას,
ყველა ჩვენებას,
ყველა ზმანებას,
დავტოვებ უთქმელს,
მიუყვები ნებას
ამ გაზაფხულის შემობრძანებას.

მწვანე კვირტებში თოვლის გარევას,
მდინარეებში წყლების არევას,
ველთა სიჭრელს და სინატიფეს,
მზეს,

მთის წვერზე რომ შემოაბიჯებს,
გაუუხსნი

ოქროცვენილ ნარინჯებს
ჩემი საშშობლოს
ბანს და კარიბჭეს.

დაეუთმობ ყველა ჯურის ოცნებას
ამ გაზაფხულის ცხოველმყოფ
ძალას,

შვიდფერი დროშის აღმართულ
ალამს,

ცის მინარეთით რომ იკოცნება,
დაე, იმღერონ მასზე მგოსნებმა, —
მე სხვა სიხარულს მივუძღვნი
სალამს;

ძმობის,

ერთობის დარაჯად მდგარებს

მე ვადღეგრძელებ გულებს გრძნეულებს,
მილიონებს და ათასეულებს.

მტრედებს, —

მშვიდობად გადაქცეულებს;
მე ვადღეგრძელებ უპირველესად
აკენებს —

სიცოცხლით გადარწმუნებს.
ცისარტყელების აბჯარს და ბექთარს,
ათასი გულის ერთ რიტმში ფეთქვას,

მთვარიან ღამეს,
უღრუბლო ზეცას;
ბუღბუღს,

ტრფობისთვის ყელს რომ იღერებს,
სანდოდ,
სამოყვროდ გამოწვდილ ხელებს, —
გულის სიღრმიდან დაძრულ სიმღერებს.

მე ვადღეგრძელებ კეთილი ნების
მომღიმარ სახეს,

უცრემლო თვალებს,
ღმერთებზე მაღალ ადამიანებს,
ქვეშაირიტებას

დიადს, საფიცარს,
გონების ზეიმს,
ეპოქის წინსვლას,
შემოქმედებით ცვეცხლს და გრიგალებს,
ზეცის თალამდე გადახსნილ კარებს.

მე ვადღეგრძელებ
ქვეყნის გაზაფხულს —

ენტოს შუქურად ჩაუქრობელი,
რომლის იმედი დაუცხრომელი
მზეზე ვრცელია,

მზეზე დილია.

მე ვადღეგრძელებ
ხალხებს, რომელნიც
ჩემი საშშობლოს გზებით მიდიან.

ზ ლ ვ ე ბ ი

მიწის ვეება ბუდეებში
კვლავ სხედან ზღვები
და ნიჟარები კეურცხებივით
უწყვიათ ფსკერზე
და მარგალიტებს

ჩემკენ...
და ჩემკენ...
გრიგალები კი ლომური ხმებით
მორბიან ჩემკენ...

ერთი პარსკვლავი


ღამის ტაძარში როცა შეწყდება
ვარსკვლავების
და მთვარის გალობა,
მაშინ ლამაზი,
ვითარც ჩემი

შორი მიზანი —
ერთი ვარსკვლავი გაიფლავებს
და ვით წყალობას —
ერთ პეშვს სინათლეს
გამომიგზავნის.

ქ ა რ ი

მოგლიჯა ხე და მხარზე გაიღო,
თაყის სიშმაგვე
ველარ დაფარა,
დარეკა ეამი ცის დამწუხრების...

და გარბის სადღაც
ლომის ფაფარით,
ვეფხის ნახტომით
და... მგლის მუხლებით.



შენ. სპატივდროს...

ვფიცავარ გამჩენს, შენს დღეს და ხვალეს
 და საფიცარი ქვეყნად ვინც არი.
 მე დაფიცება მისთვის მასწავლეს,
 რომ შენა მყავდი დასაფიცარი.
 რომ არ შევედრკე დროსა და სივრცეს,
 შენს მზეს და მიწას შენამტკიცარი.
 მკერდში ეს გული იმისთვის მიცემს,
 რომ შენ გიცავდე გულის ფიცარით,
 და სიძულელიც თუ შემოძლია,
 ეს მისთვის, შენი მოძულე მძულდეს —
 და ეს სტრიქონიც — ჩიტი ნიბლია
 შენს იქით არსად არ ეძებს ბუდეს.
 იგი გაუძლებს დროსა და სივრცეს,
 შენს მზეს და მიწას შენამტკიცარი
 და ლექსებს ჩემს გულს იმისთვის მივცემ,
 რომ შენ გიცავდნენ გულის ფიცარით!..
 რადგანაც შეილი მიწოდეს შენი,
 რადგანაც ვცოცხლობ შენი სახელით,
 ვით შეილს შეპფერის, ან როგორც შენის,
 მეც მაქვს სათქმელი და გასამხელი.
 შენს ძველ, შენს ბებერ და ამაყ თაღებს
 წარსულ დიდების ბეჭედი აწის.
 ასე თანდათან გზრდის და გამაღლებს
 სიმწვანე ხის და სიმწვანე აზრის.
 მეც გადვიტანე შენი აუდარი,
 მე მერქვა შენი ოშკი, ხახული,
 როგორც ნაცარში ცხელი ღაღარი,
 შენ ღროის ფერფლში ხარ შენახული.
 და დღეს შორეულ ვარსკვლავებს ველტვით,
 რომ ცხოვრების გზა არ გვჭონდეს ამო.
 და ცასაც ფასი ეძლევა მეტი

მიწის და...
 მიწის შეიღების გამო!
 და ისე როგორც კეთილი თესლი,
 აზრი და ნიჭი,
 შრომა და გარჯა,
 ღვივის,
 იზრდება
 და იდგამს ფესვებს
 და ყოველივეს მე შენთვის ვხარჯავ...
 შენ, საქართველოვ,
 იების მიწავ,
 შენ, რქანაყართ ჩემო ვენახო,
 თანდათან ზევით იწევ და იწევ
 და დღეს ხარ მზესთან ყველაზე ახლო.
 და ლელავს შენი ტალღა ძლიერი
 და მთებს ნაპირებს ხმამძღავრად ახლის.
 შენდა იმედად, საბედნიეროდ,
 მოდის თაობა — სიმღერა ახლის!
 და მას უწოდებ გულადს და ერთგულს,
 ვინც ერთხელვე სცან შენს თვალთა ჩინად,
 იგი იმისთვის ეწვია ენგურს,
 მუხლებში ცეცხლი რომ გაეჩინა!
 მან აამღერა რუსთაველი ბრძემდი,
 ცხოვრების ზვირთში ბრუნავს, ტრიალებს,
 როგორც მეტროლი და შემოქმედი,
 ამ ახალ დღეთა წერს მატთანეს.
 ჩაი და დაუნა, თუჯი და რკინა,
 ლტოლვა და ღელვა, ლექსი, რითმები!..
 მას ნუ მოჰკითხავ, რა იყავ წინათ,
 მას იგი ჰკითხე, —

ხვალ რა იქნები!
შენ, — საქართველოვ,
იწამე მხოლოდ

ახდენად ზღაპრის, რაც დღემდე უთქვამთ
ის, — შენი ზეცის ახალი ზომლი,
ის, — შენი მიწის თამამი სუნთქვა!

წინამურში რომ იელვებს ელვა

წინამურში რომ იელვებს ელვა,
წინამურში რომ იქუხებს მესი,
მე ისე ვკრთები,
მე ისე ვღვლაფ, —
თითქოს ქარაფზე მისხლტება ფეხი.

მერე ის სიტყვა პირზე მაშრება,
რომლითაც უნდა ეს მთები მექო.
წინამურის ცის აგანგაშება
ჩამესმის, როგორც იმ სროლის ექო.



გზოღორ ერთხელ

ვერ ვითვლიდით აღვირწყაყრილ ველურ
ჯოგებს,
მტერი მუდამ თავზე გვადგა ხმლითა.
ვერ დაგვძლიეს,
ვერასოდეს დაგვაჩოქეს,

საქართველოს დაჩოქება ვინ თქვა!
საქართველომ დაიჩოქა მხოლოდ ერთხელ...
აკაკის რომ დასტიროდა ზარით.
საქართველომ დაიჩოქა მხოლოდ ერთხელ...
და წამოდგა ასჯერ უფრო მძლავრი.

• • •

სულს მალლა, მალლა ფრენა სურს,
მზისკენ მიიწევეს სული.
სულს მალლა, მალლა ფრენა სურს,
ხორცი უკარწყლებს სურვილს.
სული მზისაკენ მეწევა,

ხორცს ებრძვის,
ბორგავს,
ფრთას შლის...
როცა ეს ბრძოლა შეწყდება,
რა მეშველება მაშინ?!



აკთხანიც ხაჩიპვილი

გაზაფხული

ისევ აღუდგნენ ხეები ვაშლის,
ისევ მოდიდდა ფოთოლი მზეში.
კლდეზე ჩანჩქერი სინათლეს გაშლის —
გამიცოცხლდება მწყურვალე პეშვი.

გაზაფხულის ხმამ მთები ამაყი
შენი თვალებით მალლა ასწია.
ნიავეს გადურბენს ტალღა მალაყით
და გულზე სკდება ჩიტი პაწია.

სიზოზღე ე

ო, ერთხელ სადმე დამენახვე და —
სიკვდილის პირას გულში მექნები.
გავარჯარებულ მზის ვენახიდან,
როცა ცვივიან მწიფე მტევნები.

ო, ერთხელ მაინც რამე მითხარი,
ოცნების შემწე და გამკითხავი.
დაეწაფება თვალებს ცისკარი,
ო, ერთხელ მაინც რამე მითხარი.

ღ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

გამთენიისას მამლის ყვირილი შემალდა სერზე და სადღაც მალა
უკვე მოისმის ბავშვის ტირილი და იღვიძებენ ნარულას გაღმა,
და ერთადერთი მარდი ვარსკვლავი დასაძინებლად იკეთებს ბუდეს,
იქნებ ფეხზეა პაპა ლომშერი, იქნებ წინ უკვე ტაბლაკი უდევს,
ან სინჯავს ჩემგან ნაჩუქარ ცენტრალს,
უნდა რომ დღის სულს დაასწროს გარეთ,

ჩემს მოლოდინში გასცქერის მუხნარს, მუხნარის თავზე სიზმრიან მთვარეს,
ეს იყო ადრე, ამგვარი ფიქრით მე ვბრუნდებოდი თვალდანამული,
მიწას კი არა ჰაერს ვკოცნიდი, ჰაერს ვკოცნიდი ჩემი მამულის,
ამლა კი სოფელს ღრმა ძილით სძინავს, დევეს მუხლივით გდა სახნისი,
ალარ მიმელი ბერი ლომშერი, ალარ უყვივს ჯალაბს სახმრისთვის
და ერთადერთი მარდი ვარსკვლავი ჩემს დაბრუნებას დასცქერის ღელვით,
მაგრამ არ წყდება, არ წყდება ციდან,
როგორც არ წყდება ცრემლგამშრალს ცრემლი.

გზე ამოდის და...

მზე ხოსობივით ამობრიალდა, თოფი არ დაჰკრათ ჩემი მზე არი.
დილა რაშოდა, დილა დილავე და, არ დამიღამოთ ჩემი მზე არი.
რაც რომ გააჩნდა, რაც რომ ებადა, აგიფერადა ცა ფერმიხდილი,
კოდგაა ამ დღის დაღამება და ცოდგაა დედა ფუტკრის სიკვილილი.
მზეს თუ პირმზითმი მეტი აქვს სითბო, თვალადმი უფრო ეცვლება ფერი.
მზე როცა ჩადის მამულზე ვფიქრობ, მზე ამოდის და მამულზე ვმღერი,
ემღერი ლელასთან, ვმღერი ლუხუმთან, ჰეი, მართლაც და დიდი დღე არი.
ლომის ქედნიდან ამობუხუნდა, როფებს უმალღებს ალთა ხეიარი.
დილა შუქრუთში, დილა დილავედა თავშემკობილი სხივთა ტიარით.
მზე პირმზითმიდან ამობრიალდა, თოფი არ დაჰკრათ ჩემი მზე არი.

პილი რიკისონი

იგი ნამდვილად არის სადმე.

— მდუმარებაში —
უცხო სიცოცხლე განარიდა
ჩვენს უძლებ მზერას.
ეს წუთიერი თამაშია,
ფუჭი შენიღბვა —
რომ ნეტარებამ
გაოცება დაიმსახუროს!

• • •
რად უნდა — ნეტავ — ეს სასტიკი
იდუმალეზა —
რისთვის ვუცქერთ — სიკვდილს ნეტავ —
შუშის თვალეზში —
ჩვენ სისხლის ფასად რატომ გვიღირს
თავისშეგქცევა!
ამგვარ ხუმრობას — ხომ არ ჰქვია
გადაჭარბება!

• • •
სილამაზისთვის დავთმე მე სული —
და უცხოვდ ვგრძნობდი თავს სამარეში —
სიმართლისათვის გვემულ ვაგაკცსა
გვერდით საფლავზე აუგეს წესი —
„რად დავციო?“ მკვითხებოდა —
„სილამაზისთვის“, მივუგე გზნებით —

„მე — სიმართლისთვის — ღვიძლი ძმაო
ჭეშმარიტება მშვენიერების“ —
იქ! შევხვდით ღამეს, ვით მოყვარენი —
არ დაგველია ძველი სათქმელი —
ვიდრე ხავსმა არ დაგვიხმო ბაგე —
და არ დაჭყარა — ჩვენი სახელი —

• • •
სატანა — სანდო რომ იყოს —
რომ მოიშლიდეს თავისას —
სხვას არ ვირჩევდი მოყვარედ —
შემძლეა კარგის, ავისაც —

ვერაგობაა ის ნიჭი
თუ უკუაგლო რომელი —
ვახდება ზებუნებრივი
ვენია მიუწვდომელი

თარგმნა. ლ. ინჟირაძე

გამოყენილი ქართული ფილოსოფოსი

კ. მეგრელიძე ქართველ მეცნიერებათა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებიც პირველი ეზიარნენ მეცნიერებას თბილისის უნივერსიტეტში. ასევე როგორც XX საუკუნის ქართველი ფილოსოფოსები შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე და მისე გოგიბერიძე, კ. მეგრელიძე ვერმანიაში განაგრძობს მეცნიერული ცოდნის დიდებებს. 1927 წ. იგი ბრუნდება საქართველოში და ეწევა მეცნიერულ და საზოგადოებრივ მუშაობას. 1932 წლიდან კი იგი სტოვეებს საქართველოს და მუშაობას იწყებს ლენინგრადში, ენისა და აზროვნების ინსტიტუტში. მის მიერ აქ გამოქვეყნებული პირველი გამოკვლევები იმდროინდელი ცნობილი მეცნიერების ვურადღებს იქცევენ. ამ გამოკვლევების დაგვირგვინება იყო მონოგრაფია «Основные проблемы социологии мышления», რომელიც 1938 წელს იყო დასტავებული, მკითხველამდე კი ის მივიდა 1965 წელს. თუ რაოდენი არაგონივრულობა იყო ამასი, ეს ნათელი ხდება, როდესაც ვეცნობით წიგნის იმ შეფასებას, რომელიც მან გამოქვეყნების შემდეგ მიიღო: „...მეგრელიძის ნაშრომი იკითხება ისე, თითქმის ის დღეს იყოს დაწერილი. რა შეიძლება იყოს მეცნიერის შრომის უკეთესი შეფასება, ვიდრე ის, რომ მან ვალსწრო თავის დროს?“ (გაზ. «Pravda», 1967 წ. 13 თებერვალი). თვითონ ავტორის შესაძლებლობა არ მიეცა გადაედგა ახალი ნაბიჯები მისი გამოკვლევით დასაბუთ გზაზე. კ. მეგრელიძე გარდაიცვალა 1944 წელს.

XX საუკუნის მეცნიერების ერთ-ერთი მძლავრი ტენდენცია არის ინტეგრაციისაკენ მისწრაფება. მეცნიერებათა ინტეგრაცია არ ნიშნავს მათ აღრევას, იმას, მაგალითად, რომ ფიზიკა ფსიქოლოგიად იქცეს, ბიოლოგია —

ხელოვნებისმცოდნეობად, ან კამბერნეტიკა — ფილოსოფიად. ლაპარაკია არა მეცნიერებათა აღრევაზე, — ასეთი რამ რომ მომხდარიყო სწორედ მაშინ იქნებოდა ზედმეტი ვეღვაძარაკა ინტეგრაციამდე, კვლევის კომპლექსურობაზე, მეცნიერებათა საზღვრებზე წარმოშობილ პრობლემატიკაზე, არამედ იმაზე, რომ მეცნიერებათა საგნები არ არიან სრულიად ავტონომიური, რომ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის პრობლემის გადასაჭრელად სულ უფრო მეტად ხდება აუცილებელი სხვა დარგების მონაცემების გათვალისწინება. ამ აზრით საზღვრები მეცნიერებებს შორის არ წარმოადგენენ გადაუღებებ ზღუდებს. კ. მეგრელიძე შეგნებულად ემყარება ჩვენი ეპოქის მეცნიერების ამ ერთ-ერთ მძლავრ და ნაყოფიერ ტენდენციას და ეს მის მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგების ერთ-ერთი საფუძველია. მის წიგნში, „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“, ნათქვამია: „ძველი ხელოვნური საზღვრები, რომლებიც ჩინური კედლის მსგავსად ჰყოფენ ერთ მეცნიერებას მეორესაგან, უნდა დაინგრეს. ცალკეული სპეციალობის ეიწრო პოროზონტის გარღვევა ჩვენი კვლევითი პრაქტიკის ღობუნგი უნდა გახდეს, თუ არ გვინდა, რომ მეცნიერული აზრი ჩაკეტილი ფორმალისმის დახშულ ჩარჩოებში, რომლის ხეფერი მუდმივი უნაყოფობაა“ (გვ. 11).

ასეთი ზოგადმეთოდოლოგიური თვალსაზრისით განიხილავს კ. მეგრელიძე თავისი კვლევის ძირითად საგანს — აზროვნებას. „აზროვნების შესწავლა, — ნათქვამია წიგნის წინასიტყვაობაში, — საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა გამოკვლევებში ავტონომიურებულად უსარგებლო, შეუძლებელი და უაზრო“ (გვ. 10).

როგორც საერთოდ აზროვნების, ისე მისი ცალკეული ელემენტების განხილვისას, კ. მეგრელიძე აღიარებს მეცნიერების საგნის მთლიანობაში შესწავლის აუცილებლობას. მთლიანობის იდეა, მასთან დაკავშირებულ სტრუქტურულ-სისტემურ მიდგომასთან ერთად, დღეს ერთ-ერთი ძირითადი ზოგადმეთოდოლოგიური პრინციპია, ამ პრინციპს XIX საუკუნის მეცნიერებაც იცნობდა. მთლიანობის პრაბლემა, წერს კ. მეგრელიძე, ჯერ კიდევ კ. მარქსმა დასვა. მაგრამ 35-40 წლის წინ ეს იდეა სრულიადაც არ იყო საყოველთაოდ აღიარებული და ზნობად კი, როგორც კ. მეგრელიძე აღნიშნავდა, რეაქციული მიზნებისთვისაც იყო გამოყენებული. მაგალითად, ფაშისტების მიერ ერთობის ნაციონალისტური იმპერიის ლოზუნგის განსამართლებლად.

აზროვნების როგორც მთლიანი საზოგადოებაზე ისტორიული პროცესის განუყოფელი ნაწილის განხილვა და მეცნიერების ობიექტუალადმი სისტემურ-სტრუქტურული მიდგომა დასწავლვას იძლევა ახლებურად გაშუქდეს ფილოსოფიის კარდინალური საკითხები. ახალი შუქი ეფინება შემეცნების ბუნების ტრადიციულ საკითხსაც.

შემეცნების გაგება კ. მეგრელიძის მიერ ემყარება მარქსისტული შემეცნების თეორიის პრინციპებს. ელემენტობა, რომლებსაც ვინაე შედგება შემეცნებისა და აზროვნების ინტერპრეტაცია კ. მეგრელიძის წიგნში, შეიძლება სხვა მთაზროვნებთანაც ენახათ. ის, რომ აზროვნება ასახავს არა მარტო ნივთიერ სამყაროს, არამედ სოციალურ სინამდვილესაც, ცნობილი იყო არა მარქსისტული თეორიებისთვისაც. აზროვნების აქტიური ბუნებაც აღუნიშნავთ სხვა მკვლევარებს. მაგრამ როდესაც შემეცნებისა და აზროვნების კ. მეგრელიძის ელემენტარული კონცეფციის უველა ელემენტს ეფუძრათ თავს, მთლიანობაში ვიანზრებთ მათ, ეთიკალაწინებთ ამ თავისებურებას. რომელსაც ეს ელემენტები იმენენ მასთან, წარმოგვიდგება შემეცნებით ბუნების შესახებ ორიგინალურა და გაბედული თვალსაზრისი.

დღევანდით თუნდაც ასახვის ცნებიდან, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს შემეცნების მარქსისტული თეორიისათვის. კ. მეგრელიძე არაერთხელ იმეწმებს მარქსისა და ენგელსის აზრებს, ვ. ი. ლენინის მიერ ამტკიცებულსა და ემპირიოკრიტიციზმში, აგრეთვე ფილოსოფიურ რეველაციზმში გამოთქმულ დებულებებს, რომლებიც ცნობიერების ასახვით ბუნებას ახასიათებენ. კ. მეგრელიძისთვის შემეცნება აქტიური მოღვაწეობაა. ასახვა უზრუნველ განყენების გზით კი არ ხორციელდება, არამედ წარმოსახვითი კონსტრუირებითა და სწორედ ამ გზით სინამდვილის სიღრმეში ჩაწვდომით.

განსაკუთრებით რელიგიურად ჩანს ასახვის

ბუნების ღრმა გაგება კ. მეგრელიძის მიერ ცნებითი შემეცნების განხილვის დროს. ცნებას იგი ახასიათებს როგორც გაგებას, როგორც სპირიტულ კომპონენტს, ე. ი. როგორც ნივთის (საგნის) საზრისული მიმართებების დადგენას სხვა ნივთებთან და არა როგორც რაღაც ამსტრაქციის კატეგორიას, როგორც ეს სკოლასტიკის დროიდან არის მიღებული (გვ. 238). «ცნება მხოლოდ მაშინ არის ცნება სინამდვილის შესახებ, როდესაც ის წყდება და გამოხატავს რეალობის ობიექტურ წყობას» (გვ. 273-274). წარმოდგენაც კი არ არის უზრუნველ სარკისებური ასახვა (გვ. 119). იმისათვის, რომ ასახვის არასარკისებურ ხასიათს გავსვას ხაზი, კ. მეგრელიძე თავის შეხედულებას, ერთი შეხედვით, ეცნაურა ფორმით გამოთქვამს: «ობიექტი არის აზრის სხეული» (გვ. 273). ცნებები გამოხატავენ გარკვეულ რეალურ წარმონაქმნებს. ეს უკანასკნელი შეადგენენ ასაგნობრივ შინაარსსა და ნივთობრივ ფუნდამენტს, რომლებსაც უფრველი ცნება ემყარება» (გვ. 269). «ცნება არის აზრის საგნების კომბინირების განსაკუთრებული წესი» (იქვე). ცნება ნამდვილად არის «ცდის შემოკლებული გამოხატულება» როგორც მის მარქსი, ენგელსი, ლენინი განსაზღვრავდნენ. ის გამოხატავს ცნობიერების აგებულებას გააზრების მომენტში და ამავე დროს გამოხატავს საგნის საზრისს, სუბიექტის მიერ საგნის გაგების კანონსა და წესს» (გვ. 312). დასასრულს: «ცნება განყენებულ სქემას კი არ გამოხატავს, არამედ აზრის მოღვაწეობას» (გვ. 238).

კ. მეგრელიძის მონოგრაფიის დიდი ნაწილი შემეცნების გრძობადი საფეხრის კვლევას ეთმობა და აქაც ეტკირის თვალსაზრისი უპირისპირდება შემეცნების გამარტივებულ, პასიურ-ემპირისტულ გაგებას. ცნობილი საბჭოთა ფსიქოლოგი ა. რ. ლურია შეეკამათა კ. მეგრელიძეს წარმოდგენის ბუნების ინტერპრეტაციის გამო და ეთხება დასეა: ვინა ამეთ შედარებით მარტივ თვისებაში, როგორცაა რეპროდუქცია, აღმანიანს ცნობიერების თავისებურება უნდა ევითოთ? კ. მეგრელიძემ უპასუხა, რომ აღმანიერი ცნობიერების თავისებურება მის ყველა საფეხრზე იჩენს თავს, იგი ყველგან აქტიურია და ამიტომ გრძობად საფეხრზეც პასიურად კი არ ასახავს სინამდვილეს, არამედ მის ორგანიზაციას ახდენს, რის გამოც იგი უკვე აქ აღწევს ელემენტარულ განზოგადებას. კ. მეგრელიძე ამტკიცებს, რომ უკვე უზრუნველ გრძობადი აღქმის აქტივით ვლანდება აზროვნება, რამდენადაც საგანი, რომელიც აღქმამდე განურჩეველი იყო, ცნობიერების ფორმამაქცევა, რის შედეგადაც ცნობიერების ამორფული ეელი ისახსრება და გარკვეული საზრისის მქონე აგებულებას იძენს» (გვ. 121).

ამ პოზიციებიდან არის გაკრიტიკებული ემპირიზმი, პოზიტივიზმი და სენსუალიზმი. ემპირისტები ფიქრობდნენ, — წერს კ. მეგრელიძე,

— რომ რაი ადამიანს აქვს ვრძნობის ორგანოები, რომლებიც ობიექტებიდან მომდინარე დიზიუქტურ ვალიზაციას განიცდიან, გრძნობადი აღქმები და შეგრძნებები თავის თავად არიან მოცემული და რომ ეს არადიუქტურ პრობლემას არ შეადგენს. ასე მსკვლობენ არა მარტო ემპირისტები, არამედ რაციონალისტებიც. რაციონალისტების ისეთი წარმომადგენელიც კი, როგორიცაა ე. კანტორი, ამბობს: „...აღქმის არსებობა არის ყოველი შეგნების ერთადერთი სარწმუნო, სრულიად არაპრობლემატური პირველმინაცემი (Urdatum)“ ამის საწინააღმდეგოდ კ. შეგრელიძე ამტკიცებს, რომ ადამიანის აღქმაც მისი ცნობიერების მიმართულდება და მოყოლებული და ამიტომ „შეგრძნება პრინციპულად ისეთსავე პრობლემას წარმოადგენს, როგორც აზროვნება“ (გვ. 195). როგორც კ. შეგრელიძე აღნიშნავდა, ბევრი მარქსისტ ბრმად მოჰყვებოდა ემპირისტებსა და სენსუალისტებს და მარქსისტულ შეგნების თეორიას სენსუალიზმად აცხადებდა: ეს თვალსაზრისი ასახული იყო მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში, კერძოდ სახელმწიფოლოგებში (გვ. 219). შეიძლება ითქვას, რომ მარქსისტული შეგნების თეორიის ემპირისტული და სენსუალისტური ინტერპრეტაცია დღესაც არ არის დაძლეული.

თუკი ემპირიზმი ვერ არცვებს შეგრძნებების ნამდვილ ბუნებას, მთ უმეტეს უძლურია ის გაიყოს ცნებების წარმოშობა. ცნებების წარმოშობას, წერს კ. შეგრელიძე, აზაფერი საერთო არა აქვს ემპირისტების ვარაუდთან, რომლებიც თვლიან, რომ ეს პროცესი ერთი და იგივე წარმოდგენების მრავალჯერად გამეორებასა და მათი შექაჩეული შეკრების გზით ხდება. „ცნება წარმოიქმნება სინამდვილის საზრისლში მიმართებების გააზრების, გავების, დანახვის ოპერაციის შედეგად, როგორც ობიექტების ან მათი მიმართებების გააზრების ამოცანის გადაწყვეტა“ (გვ. 311).

ამრიგად, კ. შეგრელიძემ, მარქსისტული ფილოსოფიის პრინციპზე დაყრდნობით, მათში არსებული შესაძლებლობების გამოყენებისა და ბოლომდე განვითარების გზით, შეიმუშავა ცნობიერებისა და შეგნების თავისი კონცეფცია, რომელიც ორიგინალურ და ვაჰეღულ თვალსაზრისს წარმოადგენდა. ეს თვალსაზრისი თავისი დროისათვის იმდენად ორიგინალური იყო, რომ მის ავტორს ალბათ არ შეეძლო, ვიდრე მისი ზოგადი კონცეფცია არ იქნებოდა, აღიარებული, ვაჰეღულად ვიდრე ერთი ნაბიჯი და მათემატიკურა შემეცნება გაეაზრებინა თავისი კონცეფციის მიხედვით. მართალია, იგი მათემატიკური შეგნების თავისებურებათა გათვალისწინებასთან ერთად იმასაც აღნიშნავს, რომ მათემატიკური აბსტრაქციების სფეროშიც ძალას ინარჩუნებს დებულება — აზრებისა და ცნებების აგებულ-

ბა განისაზღვრება სინამდვილის, საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის წყობილ (გვ. 300), მაგრამ მის ზოგად კონცეფციასთან სრულ თანხმობაში არც ეს უკანასკნელი დებულება მოყვანილი და მით უმეტეს, არც ის, რომ კრიტიკული შეფასების გარეშეა დატოვებული მათემატიკის ცნობილი მეგელისეული დახასიათება (გვ. 290-291).

კ. შეგრელიძის გამოყვლენის საგანიც ცნობიერების ბუნება და სტრუქტურაა. მაგრამ იჯა სრულიადე არ იფარვლება მხოლოდ შეგნების თეორიით, ვინაიდან მისთვის ეს უკანასკნელი არ მოიაზრება ონტოლოგიური პრობლემატის გაგრეშე. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის, განსაკუთრებით ნეოპოზიტივისტური ან ნეოკანტიანური ორიენტაციის მიმდინარეობების კრიტიკული ანალიზისას დღეს სწორად აღნიშნავენ იმას, რომ ფილოსოფიას არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ შეგნების თეორიით, რომ ეპისტემოლოგია ონტოლოგიის გაგრეშე არ აიგება. კ. შეგრელიძე ერთ-ერთი პირველთაგანი აკრიტიკებს უახლეს ბურჟუაზიულ ფილოსოფიას ამ მიმართულებით და ამტკიცებს, რომ XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის იდეალისტ ფილოსოფოსთა გნოსეოლოგიური სისტემები ყოველთვის ველისმობენ ონტოლოგიურ და მეტაფიზიკურ წინამძღვრებს (გვ. 242).

სინამდვილის შეგნების შესაძლებლობის კვლევა მოითხოვს ამ სინამდვილის ბუნების გარკვევას. ბუნებრივია იმიტომ, რომ კ. შეგრელიძის გამოყვლენაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს ადამიანის ონტოლოგიურ პრობლემას, პრობლემას რეალური სამყაროს აგებულების, მისი კავშირების ბუნების, ამ კავშირების აუცილებელი თუ შემთხვევითი ხასიათის შესახებ, პრობლემის პრინციპული გადაწყვეტა ამ შემთხვევაშიც თითქმის ახალი არ არის. მარქსისტული ფილოსოფია, როგორც ცნობილია, სინამდვილის გეგმაში წინამდებელია შექაჩეული დეტალიზაციისა, რომელიც უარყოფს ყოველგვარ შემთხვევითობასა და ფაქტობრივად მიდის. კ. შეგრელიძე, ცხადია, ამ თვალსაზრისს იცავს, მაგრამ ფილოსოფიაში პრობლემის გადაწყვეტა არ არსებობს მისი დასაბუთების გარეშე. აქ არ არსებობს ერთი და იგივე შედეგის დასაბუთების სხვადასხვა გზა. თუ სხვადასხვა გზები ვაჰეღვს დასაბუთებისა, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა პრობლემასთან, მის სხვადასხვა მხარეებთან ვაჰეღვს საქმე. ასეთი ვითარება ამ შემთხვევაშიც კ. შეგრელიძე თავისებურად დასაბუთებს სამყაროს კანონზომიერების შესახებ მარქსისტულ თვალსაზრისს და ეს დასაბუთება სამუალებას აძლევს მას გააყეთოს ორიგინალური ფილოსოფიურ-ისტორიული დასკვნები, რომლებიც შეგნება კერძოდ რაციონალიზმის — ჰეგელისა და სპინოზას სისტემების შეფასებას,

აბსოლუტური დეტერმინიზმის კრიტიკის ძირითადი მიმართულება იმაში მდგომარეობს, რომ მას რეალური ლოგიკური დასაყრდენი წინააღმდეგ ამისა კ. შვებელი ამტკიცებს: „სინამდვილე, სანამ მას გონიერული ადაპიანური მოღვაწეობა არ შეეხება, არის ბრმა სტიქია, და თუმცა მას თავისი მტკიცე ობიექტური კანონები აქვს, ეს კანონები წარმოადგენენ არა ლოგიკურ დამოკიდებულებას, როგორც ამას რაციონალიზმის ფორმალდენ, და ისინი ლოგიკური გარდაუვალობით კი არ მოქმედებენ (როგორც ეს მათემატიკური აბსტრაქციების სამყაროში ხდება), არამედ გამოხატავენ შემთხვევის აუცილებლობას, რომელსაც ყოველთვის აქვს ინდივიდუალური გადასარტყის ვარიაციული ინტერვალი“ (გვ. 256). ამ მხედლის მიწვევებში ნათელი გახდება, თუ გაეჩხენებთ იმას, რომ თუმცა თეორიულად ხშირად აღიარებენ ლოგიკური და ბუნებრივი აუცილებლობის განსხვავებულობას, ფაქტობრივად არა მარტო ბუნებრივი, არამედ აგრეთვე საზოგადოებაში მოქმედი, ბუნებრივ-ისტორიული აუცილებლობაც ხშირად გავგებულა როგორც ლოგიკური გარდაუვალობის შტონე, აგრეთვე იმას, თუ რამდენჯერ ვაუხდით სავსეოდ მარქსისტულ ლიტერატურაში შემთხვევითობის ობიექტური ხასიათი.

ამ თვალსაზრისით განიხილავს კ. შვებელი რაციონალიზმის ფილოსოფიას. „თანამიმედურულ-რაციონალიზმური ფილოსოფიის (არისტოტელე, სპინოზა, ლაიბნიცი, ჰეგელი) საფუძველში, — წერს იგი, — ყოველთვის არის დამკვიდრებული არსებულის აბსოლუტური გარდაუვალობის შესახებ, ის დამკვიდრებული არსებულის არსებული ლოგიკური აუცილებლობით არის დაცემიერებული და რომ სამყაროში საერთოდ არ არის შემთხვევითობა.

თანამიმედური რაციონალიზმისათვის მთელი მსოფლიო ისტორია მათემატიკურის სიზუსტითა და აუცილებლობით მიმდინარეობს, იმგვარად, რომ მასში არაფერი არ შეიძლება გადახიზროს გარდაუვალად წინასწარ განსაზღვრული გზისაგან“ (გვ. 245). „ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც სამყაროში მიმდინარეობს, მთელი მსოფლიო ისტორია დასრულდება უკვე თვისი დასაწყისის მომენტში, ან მანამდე კი, სანამ ის დაწყებულა, ვინაიდან თუ ყველაფერი აბსოლუტური გარდაუვალობით არის წინასწარ განსაზღვრული ყველა წერტილშივე, ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რაც უნდა მოხდეს, იდგაბლურად უკვე მოხდა და მისში ირადფრის შეცვლა არ შეიძლება. ეს იმას ნიშნავს, რომ წარსულიცა და მომავალიც ისევე რეალურად არსებობენ, როგორც აწმყო“ (გვ. 247). ე. ი. „მოუღებები არ ხდებიან, ისინი ღიდი ხანია მოხდენ და მარადიულად არსებობენ“ (გვ. 248).

რაციონალიზმის ეს დახასიათება სათქმელად ედება რაციონალიზმისა და თეოლოგიის, აბსოლუტური დეტერმინიზმისა და-მისტიციზმის შინაგანი კავშირის მეტად საინტერესო ანალიზს. ერთი მხრივ, ნაჩვენებია ის, რომ შვებელს განსაზღვრულ ლოგიკურ სამყაროში ღმერთის მონაწილეობა განვითარების პროცესში ზემოეტი ხდება და ამიტომ თანამიმედური რაციონალიზმი ყოველთვის იხრება და უღმერთობისა და შატრიალიზმისაკენ (სპინოზა, ჰეგელი). შვებელს მეორე მხრივ, ღმერთი თვითონ ამ ლოგიკური გარდაუვალობის სისტემა და გარდაუვალი ლოგიკური კანონები თვითონ არიან ღმერთი კანონები, „მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს ღმერთი... ლოგიკური ღმერთი (GOTT LOGIK) ბევრად უფრო ძლიერია სპინოზამდე და ჰეგელამდე ღმერთზე“ (გვ. 250). „თუ არ არის არავითარი შემთხვევითობა და ყველაფერი ლოგიკურად გარდაუვალია და თუ, შამ, სამყარო თავიდან ბოლომდე განივრდება, მაშინ ღმერთი სრულიად აუცილებელია, და, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო ის რომ სპინოზა მასზე ლაპარაკობდა და ტოლობის ნიშნის სეამდა მასსა და ბუნებას შორის: deus sive natura ამოა განმარტებულა ყველა ცდა ჩამოაშორონ ღმერთი სპინოზას სისტემას ამ ჰეგელის ლოგიკას, რადგან მას ემყარება და უმისოდ ინერგვა რაციონალიზმის ყოველი თანამიმედური სისტემა“ (გვ. 252).

კ. შვებელი ემყარება მექანიკური დეტერმინიზმის ცნობილ ენგელსისეულ დახასიათებას, იმ დებულებას, რომ მექანიკების აუცილებლობის შორის არ არის ბუნების თეოლოგიური გავგებისაგან და ფილოსოფიურ-ისტორიულ მასალაზე აჩვენებს, რომ რაციონალიზმს (სპინოზა, ჰეგელი), აგრეთვე როგორც ძველ (ლუტერციუსს), ისე ფრანგული განმანათლებლობის ეპოქის მატერიალიზმს (ლამეტრი, პოლანხი, დიდრო, ჰელვეციუსი) არსებობდა ამ შეუძლიათ არ აღიარონ თავისებური, თუნდაც „სპინოზასეული“ ღმერთი, და ბოლოს: „აბსოლუტური აუცილებლობის შინაგანი ზამბარა სპინოზასა და ჰეგელის ბუნებაში ყოველთვის არის ღმერთი: არისტოტელეს წმინდა ფორმები, სპინოზას Natura naturans, ლაიბნიცის „პრეტეაბლური პარამონია“, ჰეგელის „აბსოლუტური გონი“, „ღმერთი“ — ეს მხოლოდ ვარიაციებია ერთსა და იმავე თემაზე“ (გვ. 253).

რაციონალიზმის ეს კრიტიკა უაღრესად ღრმა და მნიშვნელოვანი რა თქმა უნდა, რაციონალიზმი აქ გავებულა ფართო შხრით, არა მხოლოდ როგორც გნოსეოლოგიური თვალსაზრისი, არამედ როგორც ზოგადი მსოფლგანება რაც შეეხება სპინოზას ფილოსოფიის განმარტებას, შეიძლება გადაჭარბებული გვეჩვენოს მისი დაყენება ლაიბნიცის ობიექტურ-დედალისტური სისტემის გვერდით, მაგრამ, ვერ-ერთი,

აქ საქმე ეხება მათი სისტემების ერთ მხარეს და მეორეს, კ. მეგრულიმ უყურადღებოდ არ ტოვებს სპინოზას ფილოსოფიის მეორე, ათეისტურ ტენდენციასაც.

თანამედროვე სტრუქტურალისტურ ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში შეტყეობების საგნის სტრუქტურული განმარტება ხშირად არის დაკავშირებული ადამიანის თავისუფლების, მისი მნიშვნელობის უგულებელყოფასთან, ადამიანის როგორც ისტორიის სუბიექტის უარყოფასთან. ფრანგული სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი ძირითადი წარმომადგენლის, ლუი ალთუსეროს მიხედვით, ისტორიის სუბიექტები „კონკრეტული ინდივიდები“, „რეალური ადამიანები“ კი არ არიან, არამედ ის, რაც ანიჭილებს და განსაზღვრავს მათ ადგილებსა და ფუნქციებს — წარმოებითი ურთიერთობები. სწავები კი აქტიუბენ, რომ ადამიანის აზროვნება იმპერსონალური სტრუქტურებით, უწინარეს ყოვლისა კი ენობრივი სტრუქტურებით, არის განსაზღვრული. კ. მეგრულიმ ასეთ დასკვნებს არ აცოვებს საშიაროს სტრუქტურულ-სისტემური დასასაბუთიდან. მისთვის უცხობა წარმოებითი ურთიერთობებისა და ადამიანების დამირისპირება. პირიქით, იგი ედაეება ამ მხრე თანამედროვე სტრუქტურალიზმის წინამორბედებს — სოციოლოგს ემილ დიურკეიმს და ლნგვისტს ფერდინანდ დე სოსიურს, აგრეთვე ლევი-ბრაილს. ტერძოდ ფ. სოსიური საყუდურს იმსახურებს იმის გამო, რომ მის მიხედვით ენაში მომხდარი ცვლილებები სრულიად არ არიან დამოკიდებული მათზე მონაპირე ადამიანებზე (გვ. 388). ინდივიდი, წესს ამის წინააღმდეგ კ. მეგრულიმ, არა მარტო „იძულებულია ისე იაზროვოს, როგორც სხვები ტრადიციულად ჩამოყალიბებული ფორმებით აზროვნებენ“ (დიურკეიმი, სოსიური, ლევი-ბრაილი), არამედ თავის მხრე ისიც აიძულებს სხვებს იაზროვნონ რ მისებრად. „ის არა მარტო ითვებს ტრადიციულად გამომწვევებულ ფორმებს, არამედ აგრეთვე მონაწილეობს ამ ფორმების შექმნასა და ვარდაქმნაში“ (გვ. 390).

აზროვნებას, როგორც ითქვა, კ. მეგრულიმ განიხილავს როგორც მთლიანი საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის ნაწილს. ამ კონცეფციის საერთო ანაფერი არა აქვს საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთობის გამარტებულ გაგებასთან, რომელიც ეუფენოდა სტრუქტურალიზმის წინამორბედებს — დიურკეიმსა და მისს. ეს უკანასკნელი პირდაპირ შესაბამისობას ამყარებდა საზოგადოების წყობასა და აზროვნების სტრუქტურას შორის. ამ თვალსაზრის, რომელსაც ზოგიერთი ჩვენს ფილოსოფოსიც იზიარებდა, კ. მეგრულიმ შეაცრად აკრიტიკებს: „ასეთი თეორიები, — ნათქვამია მის წიგნი — უხეშად ამარტოებენ და ამბინჯე-

ბენ მარქსიზმის იდეებს. აზროვნების ფორმები რომ საზოგადოების ორგანიზაციულ ფორმებს უბრალად იმეორებდნენ, ცნობიერება მისინელებთან მედარი ანარტი, რომელიც მისთვის უცხობა ფორმების უაზრო რეპროდუქციას მოასხდენდა. ის ვერ დაეხმარებოდა ინდივიდებს, სწორ ორიენტაციაში, არამედ დაბნეულა მათ“ (გვ. 352).

თუ აზროვნებისა და საზოგადოებრივი წყობის ურთიერთობას გაეგებთ როგორც ერთის მიერ მეორის პირდაპირ ასახვას, მაშინ ვერაერთარი ცნობიერების უქმედეებაზე და აქტობაზე ლაპარაკი ვერ გეიშველის: ცნობიერების აქტიობას საფუძველი გამოეცლება. კ. მეგრულიმ კი ისე განმარტავს აზროვნებისა და საზოგადოებრივი ყოფიერების ურთიერთობას რომ სრულიად აშკარა ხდება პირველის აქტიური ხასიობი. მია სუბიექტობა: „ახალი ობიექტები და ამოცანები ცნობიერებას უკანახებენ, რამდედნადაც ის იძულებულია გადაკრას ისინი, გააზრების ვარცეულ ფორმებსა და ბერებმა. ყველა ამ შემთხვევაში აზროვნება უბრ ალოდ კი არ ახდენს საზოგადოებრივი წყობილების რეპროდუქციას. — ეს უსარგებლო იქნებოდა, არამედ ყოველთვის მოქმედებს ამ ობიექტების საზრისის მიხედვით და აქმნის აზრისეულ კონსტრუქციებს მოცემული ამოცანების გადასაქრელად“. (გვ. 353).

კ. მეგრულიმ ადამიანის აქტიობას დიდი მნიშვნელობას ანიჭებს. ამდენად ის არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო პირველების როლის დამკირების წინააღმდეგი. აზროვნების სოციოლოგიური ყველა იდეებს ასისაებებს როგორც საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის პროდუქტს. მაგრამ ეს არ არის მისი უკანასკნელი სიტყვა. „პირიქით, — წესს კ. მეგრულიმ, — ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვაგრეცელებული შეხედულება, რომელიც ამკირებს პირველების როლს, ვადასინჯულ უნდა იქნეს და ზოგიერთი კონკრეტიები უნდა იქნეს შეტანილი პლუბანოვის შენაბმის მტკიცებებში ამ საყიობზე. საეპარისია მოვიკონთო რიგი დიდი მოაზროვნების სახელებისა (როგორც მეცნიერების სფეროში, ისე ბელოვნების სფეროში), რომელთა იდეები მრავალი საეუენის განმავლობაში ადაფრთოვანებდნენ კაცობრიობას, რომ გასაგები გახდეს პირველების როლის უარმყოფელი თეორიის მთელი უმართებულობა მით უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს გამოჩენილი პირველების როლი უფრო მოყულ იატორიულ დისტანციებზე — ოც და ოროც წლეულებში“ (გვ. 361-362).

იმასათვის რომ გასაგები გახადოს ადამიანთა აქტიობის როლი ისტორიაში, კ. მეგრულიმეს შემოაქვს ხმარებაში საინტერესო ცნება — ის-

ტორიის ძალთა საერთო სოციალური ველის ცნება. ისტორიის შემოქმედების პროცესს ის ახასიათებს როგორც ისტორიის ლაბილურ ველს, რომელშიც ყველა მონაწილეობს (გვ. 428). ინდივიდების მოქმედების ამ საერთო ველში შეიძლება გამოვყოთ სამდენიმე ცენტრს, რომელთა გარშემოც თავს იყრიან დიდი ქვეყნების მოქმედებები და, ამრიგად, საზოგადოებრივი მთლიანობის მოქმედება წარმოგვიდგება, როგორც ამ ცენტრების ურთიერთობის შედეგი (გვ. 429).

ის, თუ რამდენად დიდია ადამიანების როგორც ისტორიის სუბიექტების როლი ე. შეგერელიძის მხედველით, უფრო ნათლად ჩანს მის მიერ სოციალისტურ საზოგადოებაში ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობის დასასაათებინად. ე. შეგერელიძის აზრით სოციალისტურ, განსაკუთრებით კი კომუნისტურ საზოგადოებაში, დიდი სოციალური გარდაქმნების შედეგად აზროვნების სოციოლოგიის თითქმის ყველა განსაზღვრება და ძირითადი დებულება შეკეთრად შეიცვლება. ამ საკითხზე მას განზრახული ჰქონდა დაეწერა სპეციალური გამოკვლევა. ხოლო წიგნში აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები, მის დასკვნაში, წინასწარბი დებულების სახით ერთი ვარაუდია გამოთქმული. სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების მიმართ არ შეიძლება განუყოფლად გამოვიყენოთ ის დებულება, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, საზოგადოების განვითარებას ამ საფეხურზე საზოგადოებრივი ცნობიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ყოფიერებას და არა პირიქით (გვ. 482-483). რა თქმა უნდა, იოლია, ეს აზრი უბრალო შეცდომად ჩავთვალოთ. მაგრამ რომ დავამაჟოთ დღევანდელი უფრო დიდ შეცდომას ჩაიღებოთ. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ფაუსტის შეცდომაში უფრო მეტო ჰემმარიტებაა, ვიდრე ვაგნერის სკოლურ „ჰემმარიტებაში“ და თუ დავუფიქრებთ ამ თემაზე შეცდომას, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ის შეცდომა კი არ არის, არამედ პარადოქსული ფორმით გამოთქმული ახალი ჰემმარიტებაა. ასეა ამ შემთხვევაშიც. ამაში რომ დავაწყუნდეთ საქმარისა ყურადღება მივაქციოთ ენგელსის დებულებას იმ ვრცელი ამონაწერითაც, რომელსაც ამ მოწმებს ე. შეგერელიძე: „ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი ყოფა, რომელიც

მათ დღემდე უპირისპირდებოდა როგორც ბუნების და ისტორიის მიერ ზეგონდ-თავიზნ-ველი რამ, ახლა მათი საკუთარი, თავიერველი საქმე ხდება“.

ე. შეგერელიძე სრულიად არ უარყოფდა საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობის მატერიალისტური ვადანუყვეტის მართებულობას სოციალისტური საზოგადოების მიმართ, იგი იმას მოითხოვდა მხოლოდ, რომ ეს დებულება „განუყოფლად“ არ გამოგვეყენებინა ამ საზოგადოებისადმი, ე. შ. გავგუარავთ, რა აზრით განსაზღვრავს ამ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ყოფიერება ცნობიერებას და რა აზრით არ განსაზღვრავს. ისტორიის შემდგომში შევუღლობამ გვიჩვენა, რამდენად საზიანოა როგორც ერთი მხარის, ისე მეორის იგნორირება. ერთის შედეგია უნიდაგო სუბიექტივიზმი, მეორის შედეგია იმის დაიწყება, რომ საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული წყობის დროს არსებული შესაძლებლობების გამოვლენა თავისთავად სტიქიურად არ ხდება, რომ მათ გამოსაყენებლად მართლაც საჭიროა საზოგადოებრივი ყოფიერება ადამიანთა თავისუფალი შემოქმედების საქმედ იქცეს. ე. შეგერელიძის „შედაარ“ დებულებაში წინ არის წამოწეული ის, რამიც ის ახალი წყობილების თავისებურებას ხედავდა, იმას რომ ახალი საყარო უნდა წარმოადგენდეს გონებისა და თავისუფლების სამყაროს. ამიტომ არის, რომ მისი წიგნი შემდეგ სიტყვებით თავდება: „მთელი უდიდესი განსხვავება ჰეგელსა და მარქსს შორის... შეიძლება იყოს იგი სიტყვით გამოგვეთქვა:“

ჰეგელთან საყარო იმთავითვე გონებიდან წარმოიშობა, მარქსთან კი ის მხოლოდ გონებისაგან, გონიერი ფორმისაგან, კომუნისმისაგან მიღის“.

ე. შეგერელიძის სჯეროდა ადამიანის გონების, მისი შემოქმედებით ნიჭის, ალბათ იმიტომაც, რომ თვითონ უხვად იყო დაჩილდებული ამ ნიჭით. და ამ შემოქმედებით ნიჭს იგი ახმარდა არა იმას, რომ დაემცირებინა ადამიანის აზროვნების, მისი შემოქმედებითი უნარის მნიშვნელობა, არამედ იმას, რომ გაერკვია აზროვნების ბუნება, ვანათებინა ადამიანთა ცხოვრებაში გონებისა და თავისუფლების განზორკივლების ზრები.

ლეო ქიანელის ადრინდელი დრამატურგიული მიმდევრობა

თხუთმედიოდე წლის წინათ ლეო ქიანელმა თავისი რომანი „ტარიელ გოლუა“ პიესად გადააკეთა. ეს პიესა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრშიც დაიდგა და არც თუ მცირე წარმატება ხვდა წილად.

როგორც ამ ბოლო დროს გამოიკვია, „ტარიელ გოლუას“ ინსცენირებით ზეენს სახელოვან ბელეტრისტს პირველად როდი უცდია თავისი შესაძლებლობა დრამატურგიაში.

საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივის მასალებზე მუშაობისას ჩვენ მივაკვლიეთ დოკუმენტს, რომელიც გვიდასტურებს, რომ ჯერ კიდევ თავისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში ლეო ქიანელი გატაცებული ყოფილა პიესების წერით.

არქივის 480-ე ფონდში დაცულია საქმე № 809, რომელიც დათმობილი აქვს მომცროს რეჟერს. აღნიშნული რეჟერის ქვარედინად დახატული 25 ფურცლის ორივე გვერდზე მოთავსებულია პიესა, ხალზე წმინდა, დახვეწილი და გულმოდგინე ხელით დაწერილი. ნაცრისფერ ყდაზე რეჟერს აქვს შემდეგი დასათაურება: „ლეო ქიანელი „სამდედიშვილი“, დრამა-პოემა 4 მოქმედებად, 1910 წელი“¹.

„სამდედიშვილის“ ერთი პირო, ასევე ქვარედინად დახატულ საერთო რეჟერში გადაწერილი, მწერლის სოფახო არქივშიც აღმოჩნდა

და იგი დათარიღებულია 1909 წლით.

ყველა შემოადინებული ცნობის თანახმად, პიესა „სამდედიშვილი“ ლეო ქიანელს დაუწერია 1909-1910 წლებში, იმ ხანებში, როცა იგი, პოლიტიკური პატიმრობიდან გაქცეული, არალეგალურად ცხოვრობდა მოსკოვში და საზღვარგარეთ გასამგზავრებელ პირობებს აზუღებდა.

მწერალს მოუწოდებია, თავისი პიესა იმდროინდელ თეატრებს დაედგათ და 1912 წლის 11 ოქტომბერს, როცა უკვე შვეიცარიაში ცხოვრობდა, ლ. ქიანელს საამისო ნებართვაც მიუღია. ამის დამადასტურებელია საისტორიო არქივის ზელანწერზე დაშტამბული შემდეგი წარწერა:

Настоящая пьеса под названием сын трех матерей, соч. Лео Киачели, разрешена наместником его императорского величества на Кавказе для представления на сценах края...

ეს არის ნებართვა. მაგრამ დაიდგა თუ არა „სამდედიშვილი“ იმდროინდელ რომელიმე თეატრში? ცნობები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემდა გარკვეული პასუხი გაგვეცა ამ კითხვებზე, 1913-1914 წლების პრესაში ვერ მოვიხელოეთ².

მას შემდეგ, რაც დადგმის ნებართვა მიუღია, ლ. ქიანელს თავისი პიესა „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებია²...

¹ 1914 წლის დამდეგამდე რომ ასეთი დადგმა არ განხორციელებულა, ეს ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ აკ. პაპავას ერთ წერილზე დაყრდნობით (იხ. „სახალხო გაზეთი“, 1914 წლის 1 იანვარი № 1081).

² „სახალხო გაზეთი“ 1913 წლის 20, 21, 22, 25 ივნისი (№ 923-927).

¹ უნდა აღინიშნოს, რომ „სამდედიშვილი“ შეიძლება ვიგულისხმოთ ამ თავდაპირველ (ან ერთ-ერთ პირველ) თხზულებად, რომელსაც მწერალმა პირველად მოაწერა თავისი მულდმიო ფსევდონიმი — ლეო ქიანელი. მანამდე, როგორც ცნობილია, იგი ლ. მიხაბის ფსევდონიმით წერდა და აქვეყნებდა თავის თხზულებებს.

უფრო ნაკლებად არის ცნობილი ლ. ქიაჩელის მეორე პიესა „წილში“, რომელიც ზელნაწერის სახით არის დატყუილ მწერლის საოცარ აზრით. ეს პიესა, ავტორის, როგორც აღნიშნულია ზელნაწერის ყდაზე, 1912 წლის მარტამდე დაუწერია და თბილისში გამოუგზავნია გამოსაქვეყნებლად. ამ მიზნით თავფურცლის მარჯვენა მხარე კეთილად ხელნაწერის აბჯანს შემდეგი წარწერა: „უბოლო „გრადემლი“ გამოცემულ რედაქტორს, მიიღოს ეს ზემო თხზულება დასაბუქვად თავის კრებულში. თუ „გრადემლი“ არ გამოადგება, მაშინ ვთხოვ ეს ზელნაწერი ვადასცეს „სახალხო ვაზეთის“ რედაქციის გამგებს ბ. აჩილ ჭავჭავაძის და მე კი მაყინობის მისი დასაბუქვად მიღება თუ არ მიღება შემდეგის მისამართით: Швейцария და სხვა.

პეტრიცკემით ლეო ქიაჩელი“.

„წილში“, ისევე როგორც „სამდედიშვილი“, გადწერილია ჩუბუკინიან დახატული რვეულის 34 გვერდზე, ბოლო გვერდზე, სადაც ნაწარმოების ტექსტი მთავრდება აღნიშნულია პიესის დაწერის ადგილი — ქ. მოსკოვი.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებაზე არც თუ ცოტა კრიტიკული ლიტერატურა მოგვეპოვება. ყველა წიგნებსა თუ შრომებში ჩვენი სასიქადელი მწერალი დასაბათებელია, როგორც თანამედროვე ქართული ბელეტრისტიკის შესანიშნავი წარმომადგენელი, როგორც პროზის დიფსტიკალი... მისი დრამატურული მემკვიდრეობის შესახებ კი სრულებით არაფერია ნათქვამი.

ლეო ქიაჩელს, როგორც დრამატურს, ყურადღება მიაქცია მხოლოდ იპოლიტე ვართაგავამ. მის წიგნში — „ლეო ქიაჩელი“, რომელიც 1966 წელს გამოიცა, აღნიშნულია, რომ „ახალგაზრდობისას ლ. ქიაჩელი, ვარდა მოდერნისტული ხასიათის ნოველებსა, თურმე თავის ძალის ცდილი დრამატურგიაში, ამ დროს მას აღაფრეობა პიესა „სამდედიშვილი“¹.

ქრონოლოგიურად „სამდედიშვილი“ და „წილში“ ლეო ქიაჩელის ყველაზე ადრინდელი ნოველების გვერდით შეიძლება მოვიხსენიოთ. ეს ნოველები და პიესები ერთსა და იმავე დროს იქმნებოდა.

მაგრამ იღვრამ შინაარსის მიხედვით თუ ექსპრესიულად „სამდედიშვილი“ ლ. ქიაჩელის ადრინდელი ნოველებისაგან საგრძობლად განსხვავებული თხზულებაა, როგორც ცნობილია, თავისი პირველი ნოველების უმეტესობაში ლ. ქიაჩელი დასავლეთ ევროპის ლიტერატურული მიმდინარეობებიდან უმოთაგრესად, იმპრესიონი-

ზმს ეხმარება, წინააღმდეგ ამისა „სამდედიშვილი“, თუმცა მისი სიუჟეტი ზღაპრულ-ფანტასტიკურია, შედარებით რეალისტური ნაწარმოებია, ამას აღსატურებს პიესის სიუჟეტური წყობა, სახეების სრულტურა, მოქმედების რეალუციური პათოსი.

პიესაში მთავარია ნათელისა და ზნელის ტილილი, რაც ხან ადამიანის საზიანო შედეგებით თავდება ხან პირიქით.

ნათელისა და ზნელის მარადიული დაპირისპირების საფუძველზე ვითარდება პირველი საექსპოზიციო სურათი. სცენა წარმოადგენს მძიმე სულიერი განწყობილების აღმძვრელ დაბრუნლ ტყეს. ტყე, როგორც ნათქვამია ავტორის რემაკაჟში, ორ ნაწილად იყოფა. ერთ ნაწილში მაცურებელი ოდნავ მაინც გაბრუნებს საგნებს, მეორეში კი სქელი ნისლით აარს ყველაფერი დაბნელებული. სინათლისა და სიბნელის გამყოფი ხაზი მოძრაობს, ხან აქეთ გადმოიწეებს, ხან — იქით, ამის კვალობაზე მუდამ ისმის ქართის გრაიალი, ზოგჯერ გადმოვრებული, ზოგჯერ კი ოდნავ შენელებული.

ადამიანები უმწეოდ შეხიზნიან ამ საშინელ ტყეს და ამაოდ ელიან ხსნას. მათს ხმას — გადაძახ-გადაძომახილს ახშობს წყევლიანით მოცული ტყის სიღრმეიდან აღმოხუთქოლი ღელვატეხილი. დროგამოსწვლით ეს ხმაური განსაკუთრებით ძლიერდის ხდება და მაშინ ტყე შემადარწუნებლად ზანზარებს. ხეები ერთმანეთს ეხუთქვიან... ხეათ შტოებს შორის დაფშვლარებული ხალხი კი თითო-თითობით ცვივა ძირს.

მერე რამდენიმე წამს ტყე ოდნავ მშვიდდება და მიწაზე დანარტყებული ადამიანები კენკსაწყალბობით ისევ ხეებს მიამოჭრებენ; მიწა ვვირისლებათ — იძიბიან იძიბიან, სინათლეს არ ვეანებებთო. ამასობაში კი ქარი ისევ თავზარდამცემად გრაილებს შორიდან მოისმის არაადამიანური გამოძახილი: „სიყვდილი, სიყვდილი“. მერე ისევ წამიერი სიჩუმე დაშარდება და ამ სიჩუმეში ადამიანის სიცილის მსგავსი — ზა... ზა... ზა... ვაისმის დაბალი ხმიდან თანდათან მაღალზე გადადის და ბოლოს დამამცირებელ, გაჭარბებულ ამოუკრილად გადააქცევა.

ამ ერთობ დრამატული სურათის შინაარსში გარკვეულობა შეაქვს სამი ლანდის გამოჩენა. ეს — ძმები: ელნათი (უმცროსი), გასწევა (უფროსი) და ჩაძალა (შუათანა) ბრუნდებიან ბრძოლის ველიდან. შინ მიდიან. სიბნელეში მოხვედრა დაბნეებს მათ. უფროსი და შუათანა მაშინვე უკან გაბრუნებას ვადაწყვეტენ. მხოლოდ ელნათი ალ უფროსის დაბრკოლებას. ის შეეხმია ნება ხალხს, ესაუბრებინათ შუათანას თაყი; მოითხოვს მათგან წინსვლას, სიბნელის სამფოს ვადალაზვას, რის შემდეგ შეიძლება ყველაფერი სიყვითო შეიცვალოს.

ელნათი მზად არის აპოკალიფსის ხალხს სინათლე... ასეთი მიზნითა და მისწრაფებით ელნათი

¹ „გრადემლი“ იყო მხატვრული კრებული, რომელსაც პერიოდულად უშვებდა „სახალხო ვაზეთი“.

² იმ. ვართაგავა. ლეო ქიაჩელი, ლიტერატურა და ზელოვნება, 1966 წ. გვ. 12.

მასშიმ გორკის დანკოს თავისებურ მხატვრულ სახე-ორეულად უნდა მივიჩნიოთ. „სამდელიშვილის“ პირველ მოქმედებაში წარმოჩენილი ატმოსფერო ზედმიწევნით ისეთია, როგორც „მოხუცი იზრგოლის“ ბოლო ამბავში წინ — გუვალის ბურუსით დაბნელებული, ადამიანების წინააღმდეგ განრისხებული ტყე, უკან კი — ოში გამარჯვებული მტერი, რომელიც მონობას და სიბრძნავს უქადის ტყეებს. ძლიერი დანკოს მსგავსად ელნათი მედვრად წარუძღვება წინ სასოფარკეთილედამდე მისულ ხალხს, თუმცა გვირის ასეთ თავგანწირულ სულკეთებას ლ. ქიაჩელი იზრგოლის ზღაპრისაგან განსხვავებულ განვითარებას აძლევს: ელნათი და მისი თანამგრობონი წყვილიაღი მოცულ ტყეში შესულნი იღუპებიან, მარცხდებიან, რაც სცენარზე შემდგენილად იასახება: ელნათი სიტყვებით — მამა, გამარჯვება ჩემი — გაბედულად გადაეშვება ბნელში. ბნელი მას ხმაურით მიიღებს. შემდეგ ეს ხმაური წყდება და, ამასთან, ყველა განცვიფრებას ეძლევა. მოელან, რა მოხდება. მკერც პაუზის შემდეგ, თითქოს იმედი მოეცაო, ხალხი დაიჭრიალებს: „წინა“ მავრამ შეჩრტვებისა სიიღვრა ბნელეთის წინაშე, რომელიც ამ შემთხვევაში ისე დღეს, თითქოს ხალხის გაურკვევლობა და სიჩუმე მასაც გადაედო.

ამ დროს მოისმის ელნათის შორეული ხმა: მომყელო, ძებო, უშიზრად, გზაზე ვადგავარ!

მართლაც ყველა გაყვება, ვარდა თავისი მშობისა. მავრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, ეიდრე ვასწევა და ჩამილა უყომარობენ, ვრგოლისწებური ქარი უჯანვე გამოდენის ელნათის კვალზე წასვლებს.

და ისევ მოისმის ელნათის ხმა. ეს ხმა ახლა, წინააღმდეგ წინანდელისა, ლოშის გზინვას გვაგონებს: არა და არა, მოსტყუედი, მტერო, არ გაბატონებ!

ამას მოყვება ხა... ხა... ხა., რომელსაც ტყის შავი სიღრმე გამოსცემს და რომელიც მთელს არეს მოედება. ქარი მას შორის ვაიტანს. ასეთ ღემონტრ ხარხარსა და ქარის ზუზუნით ნავარდში დაეშვება ფარდა.

პიესები, რომლებიც მკითხველს უნდა ვაკაცნოთ, მათი ავტორის კიდევ ერთ მხატვრულ შესაძლებლობას გვაძენებს. სახელდობრ, ამ წინაწილებში ჩანს ლეთი ქიაჩელი, როგორც ლექსის ხელოვანი. ლექსად არის დაწერილი „სამდელიშვილის“ შემდეგი სამი მოქმედება. ეს ფორმა ზედმიწევნით შეეფერება პიესის აღნიშნული ნაწილის ზოგჯერ ლირიკულ (მეორე მოქმედება), ზოგჯერ სახუმარო-იუმორისტულ (მესამე მოქმედების ნაწილი), ზოგჯერ

კი გმირულ-პერტიკულ და საზემო (მესამე-მეოთხე მოქმედება) ხასიათს.

დრამატული პოემის მეორე მოქმედების ძირითადი მიზანია სამი დღისა და მათ მიერ თბობაში გზრდელი შვილის ჩვენება. სამი დაქვრეებულა დედა — პერმანი, წყალშია და ცეცხლანა ლ. ქიაჩელის პიესაში, როგორც სახელებიდანაცა ჩანს, სიბოლურად განსახიერებენ ბუნების სამ სტიქიას — პერს, მიწა-წყალს და ცეცხლს.

ამ სამი დღის შვილი, მშვენიერი ქაბუცი სამდელიშვილი, რომლის მამაშობლად პირველ მოქმედებაში გამოვლენილი და გუვალ ტყეში დაღუპული ელნათი შეიძლება ვივულისხმოთ, შხად არის გამარჯვებით დაავტრგვიოს ის ბრძოლა, რისთვისაც ადამიანთა თაობები იღუბებოდნენ, იგი შხად არის შეებრძოლოს ადამიანთა მოდგმის მოწინააღმდეგე ავ ძალებს (დეეებს), გამოისნას მათ მიერ ტყვედსყრობილი მშისთავლა და ამით სამარადისო სინათლე და სიყეთე დაუმკვიდროს უველას.

ჩვენ დღით, ლ. ქიაჩელის ცნობილი რომანების — „ტირელ გოლუსა“, „სისხლის“, „გუადი ბიგვას“, „მთისკაცის“, ვანაკუთრებით კი პირველისა და უჯანსყელის სიუჟეტი ავებულია ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლების, მამებისა და შვილების კეთილსაზრტველი დამოკიდებულების მხატვრული ჩვენებით. აქ მამები შვილთა მოსყუარულე მასწავლებლები, ცხოვრების მეგზურები არიან, შვილები კი შეგნებულ პატრის მიუზღავენ მამებს, მიდიან მათ მიერ ნაჩვენები გზით, მათგან სწავლობენ, მათი გამოცდილების ვათვალისწინებით ავებენ ახალ ცხოვრებას. წინაპართა და შთამომავლთა ასეთი თანაშრომლობის გამოსატყა უარტვად მტრეული და ემოციურია „სამდელიშვილში“. ბაბუა, რომელიც ამ ნაწარმოებშია წარმოდგენილი, კაცობრიობის მიერ მოპოვებული ცოდნისა და გამოცდილების სიბოლოდ ვვესახება. მომავალი ბრძოლისათვის ის, პირველი შეამზადებს შვილიშვილს, სცენა რომელსაც ეს აისახება ფრიად მნიშვნელოვანია შინაარსით არამედ იმ მხატვრული ფორმიაც, რომელიც მომარჯვებული აქვს მწერალს აღნიშნულ შემთხვევაში. მთელ თავის ცოდნა-სიიღვრაობას, კერძოდ დეეების მიერ მშისთავლას მოტაცების და დატყუების ამბავს, მამის დაღუპვას სინათლის დაბრუნებისათვის და სხვა, ბაბუა ამცნობს სალაშქროდ გამზადებულ სამდელიშვილს და ამის აღსანიშნავად მოხუცი თანდათან ერწყმის ქაბუცს, ფიჩიურად გადადის შვილიშვილში. ერთი იღვეა და უჩინარდება ხოლო ამის კვალობაზე მკერც იზრდება და გილიათი ხდება.

მეორე მოქმედება ლირიკული სცენით (დეეების ნაღვლიანი მოთქმა და ტირილი) იწყება და ასევე ლირიკული სცენით თავდება: სამივე დედა, რომელნიც მამისეულ მშვილდისაარს ში-

1 ამითაც არის გამართლებული, რომ სხენებულ პიესას მწერალი დრამა — პოემას უწოდებს.

რამდენ შვილს, ძალისა და მხნეობის მომნიჭებულ ტყველ ძილისპირულ ემღერიან უნებურად ჩაპინებულ სამღვინეებს.

ლაშქრობა დევთაგან დატყვებული მზისთვალს დასახსნელად — ასეთია სამღვინეების მესამე მოქმედების შინაარსი. ამ ადგილით ლ. ქიაჩელის პიესა ერთნაირად ვვაგონებს რუსთაველის ტაბორის ველადგაქრასაც, ხალხური ეპოსის გმირის ამაინის საბრძოლო სვლასაც... ქალღმერთი შვილდისრით აღკურვითი გმირი მთა-მთა დაიარება, ერთი მალღობიდან მეორეზე გადადის, ათვლიერებს არს. მახლობელ მალღობზე რომ ავა, შეხვდავს დიდ მთას, მწვენიერება მთა-ბარისა განსაკუთრებით იმურობს მის ყურადღებას, ვინაიდან სამღვინეობა დაჯილდოებულია ბუნების გულთახილვის, მისი ენის ისედაც ეოდნით, როგორც ვაჟს მინდის ახსიათებს...

სამღვინეობა მიაღწევს დევთა სამყაროს. აღნიშნული სამყაროს ჩვენებით მწერალი თავისებურად გვანიშნებს რველდვიამდელი რუსეთის მმართველი დევების ურთიერთდაპირისმართებულებას. ეს არის სიმძლეილისა და მტრობის, ბატონობისა და მოწონის სამეფო, სადაც უფროსნი მზად არიან ფეხქვეშ გათვლიონ ყველა, ვინც კი მათს მოჩაიღებაში იმყოფება. ამ მოქმედების მთელი რიგი სცენები (მეფის ხელქვეითი დევების ქიშპობა და ცილობა პირველ კარსკაცობისათვის, დევმთავრის განცხრობა) დაშვებულთა დევებისათვის დამახასიათებელი სიზანტისა და უკუთობის გამოხატვული იუმორით, ფერებში გამართებული ცეკვა-თამაშით.

მესამე მოქმედების ფინალი ბატალურია. სამღვინეობა თავისი ქალღმერთი შვილდისრით მესრს გაავლებს დევებს. ეს უყანასენელი მონღოლებზე სიბნელით გადაღობენ გზა გმირს, მაგრამ სამღვინეობის მიერ გამოტყობილი ყოველი ისარი ლამპარით ანუქვით იმ ადგილს, სადაც ეცემა, და დევები ვერას გახედვიან.

მოქმედება თავდება სურათით, სადაც ყველაზე ემოციურია დევთა საბედისწერა, მომავლითი იმურობის დევთა დასალუგად განწირული საშთავრო. ამავე დროს კი მახლობელ დიდ მთაზე მზისთვალა გადმოდგება მას სხივანთელი ახვევია და ირვავლი თვალისმოშორებულ ანათებს. მზისთვალა ხელს უქნევს სამღვინეობის დიმილით და კაბუტვი მისკენ მიემართება.

„სამღვინეობის“ IV მოქმედება პათეტიკურია. ამას საფუძვლად უქნევს და განსაზღვრავს გმირის გამარჯვება. სცენაზე ხალხის ზეიშია. ყველა სიხარულითა და ლხენით მოელის სამღვინეობის მზისთვალსთან, აღმაშანთა ბედნიერების ამ ცოცხალ თვალმარჯალტთან ერთად. ლ. ქიაჩელის პიესის მიხედვით სიხარული

მწუხარებაში გადადის. ისე, რომ მწუხარება და სიხარული აქ ერთიმეორის მონაცვალედ და შემცვლელად იგულისხმება. აღნიშნულ მხრე გამოსკვივის დამატებითი პოემის „ფინალის“ ბედნიერების გრძობით ატაცებულ ხალხს მოულოდნელად მოეღინება მცენე. ის იტყობინება, რომ სამღვინეობის გამარჯვება განახერდა. ავმა ძალეშმა აცლუნეს გმირი, გზად მომავალი, რის გამოც მზისთვალს სიხარულ და ბრწყინვალეობა დააქლდა...

ამასობაში თვით სამღვინეობაც შემოდის ნახევრად ჩამქრალ მზისთვალსთან ერთად. ხალხი მწუხებულთა მისი ხვედრით, თუშეცა ყველა ულოცავს გმირს მადლიერებით, ყველა იმედოვნებს, რომ მზისთვალს განახევრებული ბრწყინვალეობაც კი საქმარისია, რომ ისინი ბედნიერნი იყვნენ.

მაგრამ ადამიანი ვერ შეჩერდება იმაზე, რაც მას მოუბოვებია, მან კვლავაც წინ უნდა იაროს, მან უნდა ეთოს ყველაფერი, რაც მისი სასიცოცხლო და საარსებო ხედავია. აღნიშნული აზრის გამოხატვლი ხდება ლ. ქიაჩელის პიესის გმირის საბოლოო მისწრაფება. სამღვინეობა ეკლავ ბრძოლის გზას ადგება.

სამღვინეობა, რომ ამერად იგი მარტო და ნაბიბიროვულად როდი ვაიჭრება ველად, როგორც ეს III მოქმედებაშია. ახლა სამღვინეობის საბრძოლო შემართება სხვებსაც გადაეღება და ამის მხატვრულ წარმოსახვას იმ წლებში როცა „სამღვინეობა“ დაიწერა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა სამღვინეობასთან ერთად ბრძოლაში მის მიერ განთავსებული მზისთვალც მიემართება და მათ მხარს უჭერს პირველი გამარჯვებით წახალისებულ ხალხს.

ამგვარად არის მინიშნებული ლ. ქიაჩელის დამატებულ პოემაში ადამიანის წინსვლა და პროგრესი, მისი დაუწყაყოფილებელი სწრაფება არა მარტო თავისუფლებისაკენ, არამედ სრულყოფილი ბედნიერებისაკენ.

„წიალიში“, თითქმის ისევე, როგორც „სამღვინეობის“ პირველ მოქმედებაში, ეგზოტიკით მდღობრი ტყეა წარმოდგენილი. თუმცა შინაგანი არსით დ. ქიაჩელის მეორე პიესის ტყე ისეთი არ არის, როგორც მეთხველს ან მაყურებელს „სამღვინეობაში“ შეუძლია ნახოს და განიცადოს „წიალიში“ წარმოდგენილი ტყე ჯოჯოხეთური წვედიადისა და ადამიანური უბედურების გამოხატვლება როდია. აქ იგი განსახიერება მრავალფეროვანი ბუნებისა. ყრმა, პიესის მთავარი გმირი, რომელიც თავისი „შე-

1. ლეო ქიაჩელის პიესებში ნაჩვენები ტყე იგივე ზღაპრული საოცრებით აღსავსე კოლხური ტყეა, რომლის გარშემო დასავლეთ ხაქართველში უმარცხი თქმულებებია გავრცელებული.

შენებელი და გალახული“ შესახებდაობის გამო არჩილს ჩამოჰკავს, ლოცვა-ვედრებით მიმართავს ამ ბუნებას — შენთან მოველ და ევთილად მიმიღე, შენი საიდუმლობანი მამცნე, ამუტყველდი და შენი გულისთქმა ჩემი ყურისათვის მოსასმენი და გონებისათვის გასაგებია გახადეო.

გმირის ამ სიტყვებს თითქოს უმაღლე მიაპყრო ყურის მთვარის შუქით ნახად განათებულმა. ტყემ და ყოველივე ეს პიესაში შემდეგნაირად იჩენს თავს: მსუბუქი ნიავის ჭრავივან ტყის გულიდან გამოჰყვებანი წარმტაცი მშვეენებით შემკობილი ჰაეროვანი არსებები. ისინი გუნდგუნდოდ მოდიან და თავიანთ ხმებს ასმენენ ყრმას. და, როდესაც ეს არსებანი ჰაეროვანი სტოლვით სტოვებენ სვენას, მამინვე შვილი-სრიათ ამყრანის გუნდს იხილავს ყრმა. ამერები ერთმანეთს უამბობენ, თუ რა ზაილინეს, ეს და როგორ დაუყოდეს გული სიყვარულის ისრით...

ტყის ახალი სასიამოვნო შემრიალებებისა გამოჩნდებიან ინველოზთ დარი ქმნილებები. თითოეულს თავი ყვეალებების გვირავებით აქვს შემკობილი. მომბიბელები და მიამბიბელები ამ ქმნილებათა მოძრაობა, ისინი ხან შეჯგუფდებიან, ხან განიბნევიან. ამ დროს გამოჩნდება ტყის მოხუცად წოდებული პერსონაჟი. იგი უკმაყოფილო და შემფოთებელია, რომ სოფლიდან ლტოლვილი ყრმა ტყეს შემოეფარა. ტყის მოხუცის წინაგარბობით, ეს კარგი ნიშანი არ არის. ყრმას, როგორც აღამიანს, შეუძლია უბედურება დაატეხოს ტყეს. ტყის მოხუცის მონილოვანი დახასიათებელია აღამიანი საერთოდ, აღამიანი, რომელსაც ყველაფერი შეუძლია თავისად აქციოს, საკუთარი ინტერესების მსახურად გაიხადოს.

ლევო ქიჩაძის დრამატული თხზულებით გათვალისწინებული მოქმედების აგება-გამართვაში ერთდროულად და ერთმანეთის ბადალი ფუნქციით მონაწილეობს როგორც მოქმედ ერთეულთა რეალიები, რომლებიც ალაგ-ალაგ თანამედროვე სენისათვის უჩვეულო მონილოვანად წარმოველიდებიან, ისე რემარკები, რომელთა მეოხებითაც აეტრის ნაირ-ნაირი მოძრაობები შემოაქვს სურათში — ასეა „სამდელი-შვილისა“ და „წილისა“ არა მარტო ზოგ ადვილებში, არამედ მეტწილ სვენებში. ტყის მოხუცის მონილოვან მგალობლად „წილიში“ თან გასდევს ანელოზთ დარი არსებების ისეთი მოძრაობა, რაც მოხუცის სიტყვათა შესაბამის რეაგირებას — შეკრთომას, გოცებას, დაეჭვებას და სხვ. — გამოხატავს. შემდეგ ჰაერში მგალობელთა მთელი გუნდი გალაგლის ფრენით. ამ ნიშნით დრამატურგი მოგვივლენს სოფლიდან ლტოლვილი ყრმის შემდეგ, მეორე მთავარ გმიარს, ლეთებრივ ქალწულს, რომელსაც იგი უზენაესის სახელით იხსენიებს.

სოფლიდან ლტოლვილი ყრმისა და ტყის მოხუცის ლირიკული რეალიები განსაკუთრებით რომ გამოიჩინევა, ტყის სმენადანსევეარ არსებათა იმ ლოცვა-გალობასა და ცეცხვებში, რომლებითაც ემოციურად არის გამართული პირველი სურათის სვენები) დიდი სევადანობით ხასიათდება. წუხს ყრმა იმისათვის, რომ მისმა მშფოთვარე სულმა განსვენება ვერ პოვა სოფლად და ამიტომ ბუნების წილში დაეძებნს იგი შევებას; ტყის მოხუცი — იმისათვის, რომ არ ეგებოს „სოფლის უარყოფელი და ღვთის მგომბელი ქაბუქის“ შეფარება ტყეში... ერთგვარი სევდით არის გამსჭვალული. ის სიტყვებზე, რითაც ღრამში ქალწული უზენაესი წარმოველიდება. ის გლოვობს საყუთარს დის ეთერის დაღუბვას, წუხს, რომ ეთერი მათთან ერთად აღარ არის და უზენაესი ახლა მარტომ-მარტოა ობლობისა და უმეგობრობის გამო შფონებულა.

ეთერის უმოწყალო დაღუბვის გარკვევის ამოცანას ემსახურება სვენაზე ეთერის სულს — არჩილის შემოყვანა. არჩილი ცდილობს დამამოვლის გულდასაფრული უზენაესი იმით, რომ თავისი დაღუბვის მიზეზად საკუთარ თავს დასახავს და არა სხვა ვინმეს.

ეთერის არჩილისა და უზენაესის შეხვედრის სვენა მთავრდება სოფლელი ყრმის მოვლოდნელი გამოჩენით. აქ ირვევა, რომ ყრმა არა მარტო იცნობს ეთერს, არამედ უმიჯობდ არის მისზე შეყვარებულს. ყრმა უმწეოდ წიწვეს არჩილისაკენ, მავრამ ეს უკანასკნელი ესიტყვოდ გაუჩინარდება. ამის შემდეგ ყრმა დინახავს თავისი სათაფვანებელი ქალწულის დარ უზენაესს და მას შესთხოვს — ხელს ნე მკრავ. სულს წყლული განმეკერნო. მის სიტყვებს არც უზენაესი შეისმენს და ისიც ხმა-ამოუღებელი განელტვის ყრმას. ვაჟი ცდილობს თან გაეღვენოს, თუმცა არ იცის, რა გზით. გამოჩნდება ტყის მოხუცი, რომელიც შორიდან მას თვალს ადევნებს. თითქოს ულოცავს და ამით ახერხებს უზენაესის კვალს ააციდინოს.

მეორე სურათში ასახული მოქმედება წარმოებს ტყის იმ ნაწილში, რომელიც წყვილიდს მოუცავს და რომელსაც ავი ძალები პატრონობენ. წყვილიდა აქ ნაირნაირი ჩრდილების სახით იჩენს თავს. სიუჟე კიდევ უფრო მეტ სიმკაცრეს მატებს მას. წყვილიდის სახეები ქანაობენ, თითქოს ერთიმეორეს სალამს აძლევენ. სწორედ ამ გარემოებაში ცხდავთ გზაკვალდაკარგულ ყრმას. წყვილიდის მახინჯი სახეები შემოსევიან და ცდილობენ მის დამორჩილებას და როცა ამას წარმატება არ მოსდევს, სვენაზე ჩნდება თილისმა ქალი, წყვილიდის დღოფალი. იგი ურჩევს დამირებას აღუთქვამს ყრმას, ოღონდ კი ამ უკანასკნელმა მასთან დარჩენა ისურვოს. ყრმა უარზეა. მაშინ თილისმა ქალი

გადაწყვეტს თავისი ქალწულობის შემწეობით მოაჯღაღოვოს იგი, მაგრამ მიტრეკილება კეთილ-ისისა და მშვენიერებისაკენ ყრმამ იმდენად ძლიერია, რომ თილისმა ქალის ცდუნება არ სჭრის. ყრმა გაარღვევს წყვდიადის ჩაკლს და მიდის.

ამერიიდან პისასში ასახული მოქმედების ადგილი მთავარი გაშქმებული ტყის ის ნაწილია, რომელიც პირველ სურათში ვახსლეთ, და იგი მხოლოდ VI სურათში იცვლება.

ტყე ნაირფერი ვარდ-ყვავილებით არის მორთული. თითოეული ხის ძირას ირზევა და მკურებლის თვალწინ იზრდება თითქოს ხელოვნურად შეკონილი თაგული. ყველაფერი, რასაც სცნებდა ვეღვთ, თითქოს ეტყობა; ყველაფერი მეტყველებს თავისი ურვეულო მორთულობით, უჩვეულოდ წარმტაცი მოძრაობით. მაგრამ ყრმის უკვე იმდენად აღარ იტაცებს ეს სანახაობა. უზენაესის გაუჩინარებით დაღონებული, თავდაბრილი ზის ხის ძირას და ფიქრებს მისცემია.

სკენის სიღრმიდან მოისმის საუბარი ტყის მეფისა და ტყის მოხუცისა. ისინი, როგორც ავტორი რემარკაში გვანინებს, ყრმის მოხმობით მოემათებთან აქვთ. მოხუცი ცდილობს დაარწმუნოს მეფე, რომ კაცი (ე. ი. ყრმა) საბაღატოდ არის ტყეში მოსული, მისი მიზანია ტყის სამეფოს მოსტაცოს შეიღო. «მე საუკუნის თავღმარაგალიტი» (ე. ი. უზენაესი). მეფე ეკვთ შეხედავს მოხუცის ასეთ ვარაუდს. «მოვიხმობთ და გვათხოვთ — რისთვის გვეტყმართა». ამბობს იგი. დედოფალიც ამ აზრს იზიარებს.

მეფის ასეთი გადაწყვეტილების საპასუხოდ მოსაუბრებთა წინაშე კრძალვით წარდგება თვითონ ყრმა, რომელსაც სწავია ცხადყოს, რომ იგი მოყვრულად არის მოსული, რომ მისი სურვილია შეიმეცნოს მთელი ბუნება.

ყოფა მოყვარი თქმულებას ტყისას, მისსა შრიალსა, იღუმალ პანგებს, პაეროვანთა მღელს ცხოვრებას...

ამიტყველდა ყოველი ბუჩქი, ბალახიცი, მღელოც თვისას ამბობდა, ყოველი მესმოდა, ვივარქენ ახლობა.

ტყის (ე. ი. ბუნების) მთელი მშვენიერება და იღუმალება, რომლის გაცნობიერებამ განუზომელი ბედნიერება მარჯუნა, უზენაესში გამომეცხადო, ამბობს უმაწვილი და შესახვის ტყის მეფეს — ღირსშაყ მისი ციური ხმების მოსმენისათ.

ტყის მეფე და დედოფალი «წიაღში» იგივე ბუნების უფალნი არიან და ამიტომ მათ კეთილისათვის სიკეთე არ შერთ. ყრმის უფლება ენებება უზენაესი ქალწულის ძმობილი იყოს.

მხოლოდ ტყის მოხუცმა, რომელიც შეყვარე-

ბულია უზენაესზე, იცის, თუ რაოდენ სადრთობილია ასეთი გადაწყვეტლება, და იგი უიმედო სატანჯველს ეძლევა უზენაეს ქალწულს. მისი მკაული ბედის გამო...

შეოთხე სურათი წარმოადგენს სიყვარულს ძალთა თავისებური მოქმედების წარმტაც სანახაობას. ყველაფერ მოინის ტყის კეთილი არსებები. მათ საამტარ საუბარში მთავარს შუქის ისრის ფორმას იღებს. ტყის არე უამრავი ისრით იფარება. მაღლით ჩნდება სიყვარულის მოესველი ღმერთები. ამურნი სასიხარულო ყივილით მოედებთან ტყეს; გაოჩნდება უზენაესი ქალწული. ის უფრო მშვენიერი და მომხიბველია, ვიდრე აქამდე იყო. ტყის კეთილი არსებები მის უმწველ მივალბთან ყვავილებით. ამავე დროს სიყვარულის მფრინავი ღმერთები ისრებს ტყორცნიან. ქალწული გრძობამიხიდილი გადაესვენება ტყის არსებათა ხელებზე. ესენი უზენაესს მთავარის შუქზე დასვენებენ და გალობით თავს ევლებიან. ყრმა, რომელიც ამ დროს შემოდის, შეცბუნებული მივირდება ქალწულს. ეს უქანასკნელი თვალს გაახელს. ახალგაზრდები ტრფობით შეპყვრებენ ერთმანეთს.

როგორც ვხედავთ, ლ. ქიანელის «წიაღში» ყრმა ვეის მიწისასავით გონებაგახსნილი გმირია. მისი მიწწიაღება, სიყვარული უზენაესი ქალწულსაღმი გამოხატავს ბუნებასთან ადამიანის სასიკეთო შერწყმის იდეალს.

გადაწყვეტი ზასიათის დაბრკოლებათ ასეთი იდეალის განხორციელების გზაზე ნაწენებია V-VI სურათებში. აღნიშნულ დაბრკოლებას ასევე და ისევე ტყის მოხუცი ქმნის. ის მოხუცი იური სტიმულის მოქმედებს. ერთი მხრივ, იგი უზენაესის მოტრფილავ არსებად გვესახება და, რამდენიდაც ასე, ცდილობს ხელი შეუშალოს ყრმის დაახლოებას ქალწულთან, მეორე მხრივ, ტყის მოხუცი «ბუნების ავტონომიის» დამკველად მოაქვს თვით და ამის გამო იგი წინააღმდეგია ბუნების წიაღში ადამიანის შემოჭრისა, ვინაიდან, მისი წინაგრძნობით, ამას შეიძლება მოჰყვეს ბუნების ძალია გადაგვარება.

ტყის მოხუცის უქანასკნელი ღონისძიება: იგი მოუხმობს მის მორჩილებაში მყოფ შავს ძალებს და ისინიც ტყის შრიალს მოჰყვებიან მოხუცი უკველებს მათ სიყვარულის თიფულებს, ყოველი ხის ძირას რომ ჰყვავის, და უბრძანებს დაკრიფოს ისინი. რამდენიმე წუთში, მართლაც, ტყეში აღარცერთი თიფული არაა. უთაიგულოდ კი სიყვარული ვერ იხივრება. ეს ერთნორად აღონებს ყრმასაც და უზენაესსაც და ისინი გადაწყვეტენ გადადგან საბედისწერიო ნაბიჯი, გადაწყვეტენ წავიდნენ სოფელში, საიდანაც ყრმა მოვიდა. იქ მზეა, იქ კვლავ აყვავდება მათი სიყვარულის თიფული.

ამასთანავე ტყის მოხუცსა და მასთან დაკავშირებულ შავ ძალებს არ ძინავთ, თილისმა ქა-

ლი ატობინებს გაბორტებულ მოხუცს შეყვარებულთა გადაწყვეტილებას და მოხუციც ეცდება ძალით შეაყოვნოს ისინი, თუმცა ამითაც ვერაფერს გააწყობს.

დრამის ფინალი ტრაგიკულია. შხეს, რომელიც სოფელს სიცოცხლის სხეებს უგზავნის, მართალია, შეუძლია ააყვას სიყვარულის თავგული, მაგრამ მასვე შეუძლია გააჭრას თვით უზენაესიც როგორც ტყის ჩრდილოვანი არსება.

ასეც მოხდა. ტყიდან შვენიერი ციური არსებებას თანხლებით გამოსული შეყვარებულები გართული არიან თავიანთ მომავალ ბედნიერებაზე ოცნებით. ამავე დროს კი შხე გამოჩნდება და უზენაესი ჯერ საბედისწეროდ ათროლდება, შემდეგ ქრება.

ამის მხილველი ყრმა ღრმა სულიერ ტკივილებს ამტკიცებს. „ყო გაეწიოე. — ამბობს იგი — ...არა რა ვარ... არარაობა; არც მიწაზედ ვარ, მივანიჭე სულს ვერც ცაობა!“

„წიადში“, როგორც ამას მკითხველიც მიხედება, ლიბრეტოს ფორმით აკებული ნაწარმოებია. ამით არის გამართლებული მასში მრავალრიცხოვანი ტყიური თუ ციური არსებების, კეთილი თუ ავი ძალების შემოყვანა, მათი მოძრაობის, ცეკვების ჩართვა მოქმედებაში.

ორივე პიესის საერთო ნიშანდობლივ მხარედ კი ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მათში მოჭარბებულად არის გამოყენებული სიმბოლიკა. სიუჟეტი ნაწარმოებებისა აშენებულია სიმბოლური სახეებით, სიმბოლური სცენებით. მხატვრული

წარმოსახვის ასეთი ფორმების გამო მწერალს უარი უნდა ეთქვა ხასიათებზე, ვინაიდან ხასიათი და სიმბოლო ერთმანეთს აღვივალ ვერცდებიან და ეს ასეც არის: „სამდელიშვილი“ და „წიადში“ (უფრო მეტად უკანასკნელში) ყოველი მოქმედი ფიგურა ისე მოსჩანს, როგორც რაღაცის სიმბოლო. ხასიათის თვალსაზრისით კი ისინი საინტერესოს არას შეიცავენ¹.

„სამდელიშვილი“ და „წიადში“ დრამატული ნაწარმოებებია და იმდენად, რამდენადაც ეს ასეა, ბუნებრივად იბადება კითხვა: რა ფსევდოლობას წარმოადგენენ ისინი, ეს ნაწარმოებები, სცენისათვის? ყველაზე მიზანშეწონილი იქნება თუ ამ კითხვას თეატროს მესვეურები უპასუხებენ. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დასახელებულ თხზულებებს საყურადღებო მნიშვნელობა აქვს მათი ავტორის მთელი შემევიდრეობის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად და ამიტომ ლ. ჭიაბელიის შემოქმედების გადმოცემა-შეფასებისას მისი ადრინდელი დრამატურგიული ნაწარმოებებიც სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული და დახასიათებული.

1 მართალია, ორივე პიესაში, განსაკუთრებით „სამდელიშვილი“, შეინიშნება ზოგიერთი პერსონაჟის (ელნათი, გასწუჯა, ცეცხლანი, ტყის კაცი და სხვ) ხასიათის წარმოჩენის ცდა, მაგრამ ასეთი ცდები იმდენად ბოლომოკვეცილი და უმნიშვნელოა, რომ მათ შესახებ ლაპარაკიც არ ღირს.



ივანე გომართელის ფსევდონიმების

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ და „განათლება“ ნამდვილად მისასაღებელი საქმე გააკეთეს, რომ 1966-1967 წწ. პირველად გამოსცეს ივ. გომართელის რჩეული თხზულებების ორტომეული — „წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე“ გრ. ნადარეიშვილის მონოგრაფია — „ივ. გომართელი“. ორივე გამოცემას დართული აქვს ივ. გომართელის ნაწერების ვრცელი, თუმცა არასრული სია. ქართული მოღვაწის ორტომეული შეადგინა ნარკვევი — „ივ. გომართელის ცხოვრება და მოღვაწეობა“ და ბიბლიოგრაფია — 355 სახელწოდებით დაერთო ვ. წოწელიაშ. გრ. ნადარეიშვილის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია კი ივ. გომართელის ნაწერების 341 სახელწოდების ერთეულს შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ შეკლავარებს, ვ. წოწელიას და გრ. ნადარეიშვილს „დიდი შრომა გაუწევიათ ივ. გომართელის ნაწერების სრულად გამოვლინებისა და აღიწესებისათვის, მათ მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიები მაინც შეიცავს ხარვეზებს. ორტომეულში არაა შეტანილი ბევრი მნიშვნელოვანი წერილი. „ქართული სცენის წარსული, აწმყო და მომავალი“ („ფასკენი“ 1909, № 5 და სხვ.).

ჩვენი საყვადლოა, რომ ამ მხრივ დაუსბუთებელი არ იყოს, მივმართავთ პირდაპირ ფაქტებს და, სტატიის ლაკონიურობის მიზნით, დავასახელებთ მხოლოდ იმ ქართულ ეთრნალ-გაზეთებს, რომელთა ფურცლებზეც სისტემატურად იბეჭდებოდა ივ. გომართელის მრავალფეროვანი შემოქმედების ნიმუშები. აი, თითო ლენინგრადში დაცული ქართული წყაროების საფუძვლებზე შედგენილი ჩვენი კორტოეკიდან ამოწერილი არასრული სია რვეულციკლიანდელი ქართული ეთრნალ-გაზეთებისა, რომელთა ფურცლებზეც 1896-1917 წლების

მანძილზე ივ. გომართელის წერილები იბეჭდებოდა: 1. „ალიონი“ (1908), 2. „ალიონი“ (1917-1918), 3. „ახალი დროება“ (1909), 4. „ახალი გუშაგი“, 5. „განათლება“, 6. „გუშაგი“, 7. „ეკალი“ (1907-1908), 8. „ეკალი“ (1907-გაზეთი), 9. „ერი“ (1914-1919), 10. „ეშმაკის მათრახი“, 11. „თეატრი და ცხოვრება“, 12. „თეში“ (1911-1915), 13. „იალჭანი“, 14. „ივერიის ბიბლიოთეკა“, 15. „ივერიის ბიბლიოთეკა“ — პრემია, 16. „ისარი“, 17. „კული“, 18. „კლდე“, 19. „ლაბტი“, 20. „მზე“, 21. „მეგობარი“ (1915-1916), 22. „მნათობი“ (1908), 23. „მოამბე“ (1894-1905), 24. „მოგზაური“ (1905), 25. „მოგზაური“ (1910), 26. „მომავალი“, 27. „ნაკადული“ (მოზრდ.), 28. „ნაკადული“ (მეორე წლ.), 29. „ნიშადური“, 30. „სალამური“ (1911), 31. „სამშობლო“, 32. „სასაფლო ვაზეთი“, 33. „საქართველო“ (1915-1921), 34. „სახალხო ვაზეთი“, 35. „სახალხო ფურცელი“, 36. „სკოლა და ოჯახი“, 37. „სხივი“ (1905-1906), 38. „სხივი“ (1909-1910), 39. „ფასკენი“ (1908), 40. „ფასკენი“ (1909), 41. „ფასკენი“ (1910), 42. „ფონი“, 43. „ქორწინება“, 44. „ღამის გუშაგი“, 45. „წყარო“, 46. „ჩვენი გზა“, 47. „ჩვენი გუშაგი“, 48. „ჩვენი დროება“, 49. „ჩვენი ევალი“, 50. „ჩვენი ქვეყანა“, 51. „ციხარტველა“, 52. „ციხარტი“ (1907), 53. „ცნობის ფურცელი“, 54. „ცხოვრება“, 55. „ხალხის ერთობა“, 56. „ხალხის თავისუფლება“, 57. „ხმა კახეთისა“, 58. „ჩევილი“ და სხვ.

შემომამოთვლილი ქართული ეთრნალ-გაზეთები და მათში მოთავსებული ივ. გომართელის ნაწარმოებები ნახევარი თითქმის უცნობია, როგორც ივ. გომართელის მონოგრაფიის ავტორის გრ. ნადარეიშვილისათვის ასევე, როგორც შემდგენელ-გამომცემლებისათვის; კერძოდ ვ. წოწელიასათვის. ასე, მაგალითად, ვ. წოწელია და

გრ. ნადარეიშვილი ზეენ მიერ დასახელებულ 38 სახელწოდების ერთნალ-გაზეთებიდან მხოლოდ 30-მდე ასახელებს, ე. ი. 28 სახელწოდების ქართული ერთნალ-გაზეთები და მათში დაბეჭდილი ივ. გომართელის დიდძალი კორესპონდენცია ორივე მკვლევარისათვის უცნობია. კიდევ უფრო მეტი, აკაკი წერეთლის საყოფლათოდ ცნობილი პოლემიკა („ისარი“, 1907 წ. №№ 247, 261) და ივ. გომართელის თავაზიანი პასუხი (იქვე, № 250) რატომაც მკვლევარებს შეუნიშნავი დარჩათ. მსგავსი მავალითი ბეგრია და გვირდა ნაწილობრივ მაინც აღვნიშნოთ. წინამდებარე ნარკვევში ივ. გომართელის ნაწერების სრულ აღწერას ვანგებ არც ჩვენ ვიძლეეთ, რადგანაც დანიტურესებულ პირთათვის ისედაც ხელსაყრელ პირობებს ექმნით, ვასახელებთ რა ყველა იმ ერთნალ-გაზეთებს, სადაც დიდი ქართველი მოღვაწის წერილები მისი გვირის ხელმოწერით იბეჭდებოდა. თუ მათ იმავე პრესაში დაბეჭდილ ივ. გომართელის ფსევდონიმებით გამოქვეყნებულ წერილებსაც მივუმატებთ, მაშინ ხომ მათი საერთო რიცხვი კიდევ საგრძნობლად გაიზარდება.

ივ. გომართელი მეტად ფართო დიპლომატიის კაღბოსანი იყო, მისი შემოქმედებით ასარჩები ვიწრო საკითხებით არ შემოიფარგლებოდა. იგი იყო მეცნიერი, სახელობეშვილი ექიმი, დრამატურგი, კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, საბავშვო მწერალი, სწავლა-განათლების პოპულარიზატორი, საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, ბუბლიცისტი, მთარგმნელად საუკუნო ორატორი, პედაგოგი, ექსპლუატირებულ კლასების მრჩეველი და ქომბავი, და, საერთოდ, მშობლიური კულტურის დიდი მოამბე. პირდაპირ განცდილობდა იწვევს მისი შრავალფეროვანი ნაწერები თავისი სიუხვითა და შინაარსით. ისინი მეტყველებენ ავტორის დაუშრეტელ ენაგვასა, და ენციკლოპედიურ ერთდღიანაზ. ნამდვილად საკვირველია, როგორ შესძლო ერთმა ადამიანმა, თანაც ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით უზომოდ დატვირთულმა ამოდენა წერილობითი დოკუმთის შექმნა ივ. გომართელის ზვეთთვის ცნობილ ყველა ნაწერს რომ ერთად მოეყაროს თავი, არანაკლებ 10-12 სქელტანიანი წიგნი გაძოვა.

ივ. გომართელმა 10-ზე მეტი მარტო პიესა და ვოდვეილი დაგვიტოვა. აი, თვით ეს პიესები: 1. „ქობი“ (1905), 2. „წამდარი სისხლ“ (1905), 3. „ექიმთან“ (1907), 4. „გაშუში“ (1907), 5. „ბენია და ბეშტია“ (1907), 6. „მაღალ წრეში“ (1908), 7. „გაქათხვის ღღ“ (1908), 8. „უბისკოპოსის სიზმარი“ (1908), 9. „ღრამატული გამგეობის წვერი“ (1910), 10. „იასონის თიანხი“ (1914), 11. „ორი იმერელი“ (1914), 12. „ისინი არიან“ (1924), 13. „ჩვენ ისევ ვსდგებით“ (1928) და კიდევ სხვ. აქედან ოთხმოქმედებანი პიესა „მაღალ წრეში“, ვო-

დვეილი „ბენია და ბეშტია“ და ლექსად „წერილი ვოდვეილი „ორი იმერელი (საუბარი ომზე)“ ქართველი მკვლევარებმა მათგან უცნობია, რადგან ივ. გომართელმა მსგავსებულმა სახელწოდებით ნაწარმოები ფსევდონიმებით გამოაქვეყნა.

ივ. გომართელის ფსევდონიმები იყო: ა. ანასანი; გ. ვანი; ე. ვ. გ.; ვინ ვანი; ვინ-ვანი; ვინვანი; ვ.ო; ვ.ნო; ვ.ანო; ექიმი, ი. გ., ივანი; ი. გ.ელი; ი. გ.ლი; ივ. გ.ელი; ივ. გ.ლი; ივ. გ.უ. მართელი; W. ა. ფსევდონიმით ივანე გომართელმა სამი წერილი მოათავსა ქურონალ „ეკალი“ (1908 წ., №№ 2, 3, 4, (მათი საერთო სათაური იყო „სხვადასხვა პოლიტიკური მოძღვრები სოციალიზმი“). ფსევდონიმი ა. რომ მართლა ივ. გომართელს ეუთუნის, ამას ადასტურებს თვით ქურნალი „ეკალი“. 1908 წლის ყველა ნომრის უკანასკნელ გვერდებზე დაბეჭდილ სარედაქციო განცხადებაში ეკითხვობთ: „მ აპრილიდან თბილისში გამოდის განახლებული იუმორისტულ-პოლიტიკური ყოველკვირული ნახატებიანი ქურნალი „ეკალი“.

ქურნალში მონაწილეობას იღებენ: ა. — ივ. გომართელი, შვარცი, ჩაქდენიძე, ვალენტინი, ენაღენი, ქლარა, ნ. ზ., ი. ნიკოლაშვილი, მონაგარდ და სხვები“.

მათრად, განცხადებაში დასახელებული ფსევდონიმებითა და ინიციალებით შოღვაწეობდნენ ივ. გომართელი (ა), ლადო ახმეტელაშვილი (შვარცი), ჩაქდენ არსენიძე, (არ.), სეგ. ჯულელი (ვალენტინი), თედო კიკეაძე (ქლარა), ნიკე ხომრეცი (ნ. ზ.) და სხვები. როგორც მკითხველი შენიშნავს ივ. გომართელის ფსევდონიმი ა თვითონ განცხადებაშივე დასაწყისშივეა გაშიფრული. ასე რომ, ამ ფსევდონიმის ივ. გომართელის ეუთენილებად გამოცხადება არავითარ ეჭვს არ იწვევს. თუმარტურადაც წერილები ავტორის შემოქმედებასთან ძალიან ახლო არის, წერის მანერა და სტილიც მისცევი.

ჩვენი აზრით, 1907 წლის „ეკლის“ ნომრებში ანასანის ფსევდონიმით დაბეჭდილი ვოდვეილი „ბენია და ბეშტია“ ივ. გომართელის კალამს ეყუთნის. ა. ფსევდონიმი კი ანასანის მძლიანი ფორმის მკვეცილი პირველი ასოა ანუ მისი ინიციალი. ქრონოლოგიურადაც ეს გაზრება ყოველმხრივ მართლდება. მასვე ეუთუნის ფსევდონიმი ვინ ვანი და ამ ინიციალებით გამოშუერებული კორესპონდენცია „მამა ციხიდან“ (წერილი თბილისის საგუბერნი. ციხიდან, „ეკალი“. 1907 წ., № 5). იმ-ჟამად ივ. გომართელი ცოტა ხანს დაპატიმრებული იყო ქუთაისის ციხიდან შესაძლებელია, თბილისის საგუბერნიო ციხეშიც გადაიყვანეს და საბოლოოდ იქიდან გაათავისუფლეს. არც ის არის გამორიცხული, რომ სწვისი ვადმოცემით დაეწეროს. როგორც ექიმი, შეიძლება, კონსუ-

ლტანტადაც იყო მიწვეული ციხეში, მით უფრო, რომ ახლოვებულ შემთხვევებს იმ ხანად ადგილი ჰქონდა. სხენებულ წერილში ლაბარაჯია საპყრობითის რევიზიუ, პატიმრების გაქირავებაზე, წილელი ჯერის საზოგადოების ამოქმედების აუცილებლობაზე; გაყრტილებულია პატიმარი არტენ ღონიევი, რომელიც თავისსავე მოძმე ტუსაღებს ტყავს ამრობდა ციხის ტერიტორიაზე არსებულ დექანში.

ივ. გომართელმა განიხილეს ფსევდონიმით გამოქვეყნდა მრავალი წერილი და ერთი ოთხმოქმედებია იმეხა „შალალ წრეში“ („ჩვენი კვალთ“, 1908 წ. №№ 13-20) და ერთიც ვადევილი — „ჩი იმერელი — საუბარი ომზე“ (იხ. კრებული: თათრის ომი. საოხუნჯო წიგნაკი. შეკრებილი და გამოცემული ქალაქელის მიერ. თბილისი, სტ. „შრომა“, 1914, 16 გვ.), ფსევდონიმით განიხილეს ივ. გომართელის ეთოქნობად გამკლავება თეოფან „ჩვენი კვალის“ რედაქციის ინიციატივა იყო. „ჩვენი კვალის“ მე-12 ნომრის უკანასკნელ (192-ე საერთო პაგინაციით) გვერდზე რედაქცია საგანგებოდ (სპეციალური ორნამენტით გაფორმებულ ხარისხში) მოთავსებული ტექსტით) აცხადებს, რომ „შემდეგ №-დან დაიბეჭდება ივ. გომართელის ახალი პიესა“ — მართლაც, მომდევნო მე-13 ნომრიდან დაიწყო ივ. გომართელის ახალი პიესის ბეჭდვა განიხილეს ფსევდონიმით და მე-20 ნომრის დამთავრდა მთლიანად.

ჩვენი გამოკვლევით ეს მართი, ახალი პიესა „შალალ წრეში“ ივ. გომართელმა დაწერა პეტერბურგში მოგზაურობისას. ამას ადასტურებს შემდეგი ორი გარემოება: პირველი ის, რომ პიესის შინაარსი პეტერბურგში მცხოვრებ 32 წლის ქართველი გეოგრაფიკული აზნაურის არილისა და მისი ამხანაგების ფუქსსავატირ ცხოვრებაზეა აგებული. მეორეც ის, რომ 29 ივნისის თარიღით გამოსული „ჩვენი კვალის“ მე-6 ნომრის პირველ გვერდზე რედაქცია აცხადებს: „ჩვენი თანამშრომელი დოქტ. ივ. გომართელი დროებით პეტერბურგში წავიდა“, ხოლო 10 აგვისტოს გამოსულ მე-12 ნომრში ვითხოვლობით, „შემდეგ“ №-დან დაიბეჭდება ივ. გომართელის ახალი პიესა“ მართლაც, 17 აგვისტოდან დაიწყო აღნიშნული პიესის ბეჭდვა და 5 ოქტომბერს დასრულდა.

გ. და განიხილეს ფსევდონიმებით ივ. გომართელმა კიდევ ბევრი წერილი გამოქვეყნდა სხვა პერიოდულ პრესაში, მათ შორის „აზრებში“, „განათლებლაში“, „ცნობის ფურცელში“, „სახალხო გაზეთში“, კრებულ-წიგნებში და სხვაგან, აი ზოგიერთი მათგანი: 1. „რა უნდა იცოდეს ევკლი (პოლიტ-ანბანი. კიხეა-პასუხი)“ თბ. გ. რუხაძის სტ.; 1920 წ., 31 გვ.; 2. „ავტონომია და ერთეულება (ერთეულთა თეორიკოსთა კვლევა)“ და „დროა თუ არა?“ დაიბეჭდა 1905 წ. ქუთაისში გამოცემულ კრებულში, ხოლო უფრო

აღრე „ცნობის ფურცელში“ (1905 წ., №№ 2803, 2805, 2808); „ავტონომია და ერთეულება“ რამდენჯერმე დაიბეჭდა „მედიკოსის“ ივანე რამიშვილის კრებულში (ქუთაისი, 1917 წ.), 3. ნეკროლოგი „ნესტორ თელარეს ძე მენაბდეზე“ („აზრბი“, 1908, № 19), 4. „ჩვენი საქირობანი“ („ცნ. ფურც.", №№ 2726-2740), 5. „ერთეულება და ტერიტორია“ („სახალხო გაზეთი“, 1914 წ. №№ 1117-1124), 6. „ნამესტნიცის აღდგენის გამო“ (იქვე, № 2748), 7. „პროლოგი სიტყვა ქართველ თავად-აზნაურობას“ (იქვე, № 2762), 8. „ვისი ბიბლია?“ (იქვე, № 2776) და მრავალი სხვა. გ. და განიხილეს ფსევდონიმებით ბევრი წერილებია დაბეჭდილი „ცნობის ფურცელში“ და ზოგიერთ სხვა გამოცემაში, მაგრამ ყველა ივ. გომართელს არ ეკუთვნის. ზოგჯერ გ. და განიხილეს ფსევდონიმებს ხმარობდნენ გრ. რობაქიძე, გ. ნაშრომი, გ. შალიბაშვილი, თომა ნასიძე, ვ. გუგია, ვლასა მგელაძე (გ. გურჯი), პლ. ვაჩეჩილაძე, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ლასინიშვილი და სხვანი. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაზუსტება საჭიროა.

გზ. „ივერიანი“ (1894 წ., 15 დეკ., № 265) დაბეჭდილი კორესპონდენცია სოფ. ბანაიდან — „მცხოვრებთა უკუღმართობა და ჩარჩაქვრების თარეში“, — რომელიც განიხილეს ფსევდონიმით გამოქვეყნდა, ჩვენი აზრით, ივ. გომართელის კალამს უნდა ეკუთვნოდეს.

ზემოდასახელებული ფსევდონიმებით გამოქვეყნებული წერილები და ზოგიერთ სხვები თემატიკურადაც ახლოს არიან ივ. გომართელის სხვა უკვე კარგად ცნობილ ნაშრომებთან როგორცაა: 1. ერთეული საყთხი (1906), 2. ერთობა (1905), 3. წერილი მესაყუთზე და სოციალიზმი (1905), 4. პროლეტარიატი და გლეხობა (1905), 5. გლეხობა და საწარმოო იარაღების განსაზოგადოებრიობა (1905), 6. უტოპისტები და მარქსის მოძღვრება (1908), 7. ჩვენი დასელების საყურადღებოდ! („ხმა კახეთისა“, 1913 წ., № 106), 8. ტერიტორიის საყთხის გარშემო („ხმა კახეთისა“, 1914 წ., № 146), 9. დამფუძნებელი კრება (1917), 10. საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია ანუ ერთეულ-თეოთმშარტელობა (1917) და სხვ.

ივ. გომართელის კორესპონდენცია „წერილი რედაქციის მიმართ“ „ცნ. ფურც.", 1905 წ., № 2820) ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს იმ ფაქტს, რომ იგი თანამშრომლობდა „ცნობის ფურცელში“ და ფსევდონიმებით გ. განი და W მას ეკუთვნოდა. აი, სხენებული განცხადების ზოგიერთი ამონაწერი: „ჩემი მეორე წერილი გლეხისადმი ვეღარ იბეჭდება, ამ წერილში მე ვუმტკიცებდი გლეხებს, რომ თავად-აზნაურობა არ არის დღეს მისი მტერი, არამედ მტერი სულ სხვაა და ამ საერთო მტრის დასამარტებლად თავად-აზნაურობა უნდა შეერთდ-

ენ-მეტოქი. ჩემი პირველი წერილი-კი ბევრმა მკითხველმა ისე გაიგო, ვითომ მე გლეხობას თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ვაქტუბედი... ამ მოკლე ამონაწერის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ რომ „ს. ფერცლის“ წინა ნომრებში გ-ს, განი-სა და W-ს ფსევდონიმებით დაბეჭდილი წერილები: „ორივე სიტყვა ქართველ თავად-აზნაურობას“ (№ 2762), „ქართული გლეხი“. პატარა ფელეტონი (№ 2766. ფსევდონიმი: W), „ესი ბრალია?“ (№ 2776) და თავად-აზნაურობის დეკლარაცია (№ 2810) ივ. გომართელის კალამს ეკუთვნის და მოხსენებელი ფსევდონიმებიც ამ შემთხვევაში პირადად მას ეკუთვნის. როგორც უკვე იყო ნათქვამი, „ს. ფერცლის“ სხენებში ფსევდონიმები სხვებზე ბევრად მეტად ხოლმე და ამიტომ ივ. გომართელისადმი საკუთვნი წერილებს ჩვენ განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს.

„ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ (ნავეთი III, თბ., 1944) ივ. გომართელის 100-მდე სხვადასხვა სახის წერილია ბიბლიოგრაფიკული, აქედან 30-მდე — ვანო-ს. ხელმოწერით აღნიშნული წერილები გაუმთავრავლ აჩის დატოვებული (გვ. 792, 798). ვანო ივ. გომართელის კარგად ცნობილი ფსევდონიმა და ამიტომ სხენებულ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში სამ შემთხვევაში (ავტორი, მთარგმნელი, შემკრები) ნახვარი ვანო უვალგან ივ. გომართელად უნდა ამოგხსნათ.

ივ. გომართელის ნაწერებს თავის დროზე დიდი ინტერესით კითხულობდნენ.

ქართველი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი და ეს შემთხვევათი მოკლენა არ იყო. ამას თავისი სამართალიანი მიზეზები ჰქონდა. ეს მიზეზები იყო ის, რომ იგი ერთნაირი მონდომებით, ერთნაირი ცოდნით და სიყვარულთ წერდა გლეხებისათვის, მუშებისათვის, ბავშვებისათვის, ქალებისათვის, ინტელიგენციას და, საერთოდ, ყველასათვის. ამაში მას ხელს უწყობდა თავისი შემოქმედების თემატიკის სიხვეც. მისი პიესები და ვოდევილები მაცურებელთა შორის ვოკალურად მალალ შეფასებას იმსახურებდა. უკვე წლიურად ჩვენი ქვეყნის სეზონურ რეპერტუარში მისი 3-4 პიესა შედიოდა. განსაკუთრებით ხშირად იდგებოდა ი. გომართელის პიესები რეპლიციამდე და საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში. 1913 წ. თბილისში გამოცემულ ი. პოლემორფიზმის წიგნი («Список пьес на грузинском языке, разрешенных на представлению на сценах Кавказского края по 1-ое июня 1913 г.») ივ. გომართელის

წიგნის შემდეგი პიესები იყო შესული და ნებადართული: „ქობში“, „ეკიმოძი“ და „დრამატული გამგობის წიგნი“. იგივე პიესები 1919 წ. სეზონურ რეპერტუარითა სიამოც აჩის შესული (იხ. იქვე, 1909 წ. გამოცემა). ეს მხოლოდ მთავრობის ოფიციალური ნებადართვით არაფიციალურად კი მისი უფრო მეტი პიესებიც და ვოდევილებიც იდგებოდა საქართველოს პროვინციების სცენებზე.

ი. გ. ინიციალებით ივ. გომართელმა დაბეჭდა „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც ეტებოდა ცალკე გამოცემულ წიგნს — „რეპლიციანიერი დეკლარაცია“. სხენებულ პატარა წერილში რეცენზენტო შენიშვნას უკუთხვს წიგნში გაპარულ შეცდომებს, კერძოდ იგი ჩერდება ივანეს თუმანიანის ლეგენდა „ერთი წვეთი თაფლი“-ს ქართულ თარგმანზე („თეატრი და ცხოვრება“, 1924 წ. № 15, გვ. 15). ამის შემდეგ ივ. გომართელმა იქვე, შორეს ნომერში, ივანეს თუმანიანის სპეციალური წერილი მიუღწენა და კარგად დაახასიათა მომკვების ეს დიდი მწერალი („თეატრი და ცხოვრება“, 1924 წ. № 17, გვ. 2).

ივ. გომართელის ზემოაღნიშნული დანარჩენი ფსევდონიმებიც და ინიციალებიც ხშირად ვხვდებით ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და კუთვლურად განსაკუთრებით დახატებას შიითხოვენ, რადგანაც ზოგიერთ შემთხვევაში იგივე ფსევდონიმები სხვა ქართველი კალმოსნების ფსევდონიმებს ემთხვევიან. ასე, მაგალითად, ჩვენ მიერ დასახელებულ ჟურნალ-გაზეთებში ვინ ვან, ვინ-ვან და ვინ-ვანი ფსევდონიმები ივ. გომართელიც ხმარობდა და ზოგიერთი სხვანიც და შათ შორის ვალერიაან გუნიაც. ამიტომ წინამდებარე ნარკვევში ჩვენი უფრო სადავო ფსევდონიმებზე შევიჩრდებით, რადგან დანარჩენი ფსევდონიმ-ინიციალებზე უფრო დაწერილობით ჩვენ მიერ შედგენილ ფსევდონიმების ლექსიკონში“ ვუქმებთ ლაპარაკი.

წინამდებარე სანიმუშოდ დავასახელებთ ივ. გომართელის ზოგიერთ ცალკე გამოცემულ წიგნებსა და რამდენიმე წერილს, რომლებიც ვ. წიგნისა და გრ. ნადარეიშვილის მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიებში მოხსენებული არ არიან:

1. ივ. გომართელის მიერ 1907 წ. თბილისში სეზონურად წაკითხული ლექცია „ტერინი და სული“, ცალკე წიგნად სამჯერ გამოიცა (1907 წ., 1908 წ. და 1925 წ.), აქედან ვ. წიგნისა და გრ. ნადარეიშვილი თავიანთ ბიბლიოგრაფიაში მხოლოდ ორ უკანასკნელ გამოცემას ასახელებენ. სხვათა შორის, სხენებულ წიგნაკის პირველ გამოცემას არც „ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია)“ ასახელებს. აი, პირველი გამოცემის სრული აღწერილობა: „გომართელი, ივანე. ტერინი და სული. გამოცემა ავრათინა ვანაშია-

1 მხედველობაში აქვს „წერილები გლეხისადმი. წერილი პირველი“ („მოგზაური“, 1905 წ. № 16, გვ. 253-254).

სი. თბილისი, სტ. „სორაბანი“, 1907 (კანუ 1908 წ.) 44 გვ. (12 9). 10 კაბ. წიგნაკს დარბოული აქვს შემდეგი წიხთქმა: „გამომცემლისაგან. ეს ლექცია წაიკითხა ბ. ექიმი ივ. გომარათელმა თბილისის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. ამისათვის საჭიროდ გვანით გამოვეცეა პატარა წიგნაკად. გამომცემელი აგრაფინა ჩანაშია“.

2. გომარათელი, ივანე. დამფუძნებელი კრება. ივანე გომარათელი. ყვირილა, „აღიონის“ გამოცემა, ს. საფაროვის და ა. არაბიძის სტ. „შრომა“, 1917. 31 გვ. (15 11). 20 კაბ.

3. გომარათელი, ივანე. საქართველის ტრიტორიალური ავტონომია ანუ ეროვნულ-ტრიტორიალური თვითმართელობა, თბილისი, „ხალხის თავისუფლების“ რედაქციის გამოცემა, № 1, 1917. 80 გვ. (15 11). 25 კაბ.

4. რუხაძე ნ., ექიმი. მალარია. თბილისი, ვ. ა. რუხაძის სტ., 1917. 70 გვ. „წინასიტყვაობა“ ივ. გომარათელისა.

5. კლდიაშვილი, დავით. მოთხრობები. ტომი 1. კ. აბაშიძის და ივ. გომარათელის წერილების დართვით. თბილისი, 1920. 258 გვ.

6. ივ. გომარათელის წერილი „ობოლი მეშის პოეზია“, დართული აქვს სილომ. თავაძის (ობოლი მეში) 1918 წ. გამოცემულ „ლექსებისა და პოემების“ წიგნს („ქართული წიგნი“. № 5251) და არა 1920 წ. გამოცემულს იქვე. № 5648), როგორც შეედომით მიუთითებს ვ. წიწქელია (№ 243).

7. ივ. გომარათელის აკაცი წერეთელისადმი მიძღვნილ სიტყვას გრ. ნადარეიშვილი არასწორად აღწერს (№ 159), რადგან ივ. გომარათელის და კ. აბაშიძის სიტყვებს ორივეს პირველს მიაწერს. აი წიგნის სრული აღწერილობა, რომელშიაც ივ. გომარათელის სიტყვაც არის მოთავსებული: „ორი სიტყვა. 1. ივ. გომარათელი — აკაცი (გვ. 3-13), კიტა აბაშიძე — ილია და აკაცი (გვ. 13-14). თბილისი, 1915. 24 გვ.“.

8. ლიუბარსკაი. თაველი და მისი სამეურნალო მნიშვნელობა. თარგმანი აბ. წულუაბისა. ექიმი ივ. გომარათელის რედაქციით. ქუთაისი, გამოცემა რაგ. დათეშიძისა და ელ. წერეთლისა, ი. კლდიაშვილის სტ., 1913. 18 გვ. (17-11). 5 კაბ.

იი, კიდევ ივ. გომარათელის ჩამდენიმე წერილი ვრთ თემატიკაზე. კერძოდ, ქალთა უფლებების გუმჯობესებაზე:

1 რა შეხედულებისაა დღეს საზოგადოება ქალის უფლებებზედ გათანასწოებაზე („გუმჯობე“).

2 რა უფლებით თელავს მამაკაცი ფეხ ქვეშ დღეობის უფლებებს? (იქვე).

3 საჭიროა თუ არა ქალებსათვის საკუთარი ორგანო? („ლამის გუმჯობე“).

4 კიდევ ორიოდ სიტყვა ქალების საკუთარი ორგანოს დაარსების შესახებ (იქვე).

5. ცოტა რამ ქალთა ცხოვრებიდან („გუმჯობე“).

6. საუბარი ქორწინებაზე („ქორწინება“).

7. ქალის როლი ოჯახის შექმნაში, სიტყვა წარმთავრებული 14 იანვარს 1914 წ. ქართულ თეატრში („ხმა კახეთისა“, 1914 წ., 6 თებერვალი).

8. ქართველი ქალის დანიშნულება („განათლება“, 1914 წ., № 2).

9. ნაფიქრი — ქართველი დედის როლი დედა-ენის შესახებ („გუმჯობე“, 1913 წ., №№ 7, 8; „ხმა კახეთისა“, 1913 წ., №№ 21, 22).

10. ჩვენი მოღვაწე ქალები. ნინო ბეჯანის ასული ყვიფიანისა („განათლება“, 1915 წ., № 4).

11. თამარ მეფე და ქართველი ქალი („ეთაქრი და ცხოვრება“, 1916 წ. № 18) და კიდევ მრავალი სხვა წერილი, როგორც ქალების შესახებ, ასევე სხვა საკითხებზე (დაწერილებით იხილეთ ზემოდასახელებული ჟურნალ-გაზეთები, კრებულები და 1918-1938 წწ. პერიოდული პრესა), რომელთა დიდი ნაწილი სარეცენზიო წიგნების შემდგენლებს შეუმჩნეველი დარჩა.

12. ვ. წიწქელიასა და გრ. ნადარეიშვილის მიერ, დასახელებულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ივ. გომარათელის წერილებიც ყველა ბიბლიოგრაფირებული არ არის, ნაწილი გამოტრეწილია, სამაგიეროდ ზოგიერთ შემთხვევაში იგივე ავტორები ივ. გომარათელის ერთ და იმავე წერილს სხვადასხვა სახელწოდებით ორ-ორჯერ ასახელებენ (იხ. №№ 99; 100; №№ 84; 87 და სხვა). სხვათა შორის, ანალოგიური შეცდომების განმეორება ერთის მიერ მეორესაგან უკრტიოდ დასესხებით უნდა ავსნა, რაც მთავარია, არც მიუთითებენ თუ ვინ ვისგან ისარგებლა.

ივ. გომარათელი იყო დიდი ნიჭის პატრონი და არაჩვეულებრივად შრომისუნარიანი, ამავდროს დაკვირვებული ფსიქოლოგი, საინო და მომხიბლავი ადამიანი, გულსსმეორი ექიმი, გაკირეებულა გულშემატკვარი, ფართო მსწავლის საზოგადო მოღვაწე, მრავალენარიათი კალმოსანი, ყოველივე და ყოველგვარი ქართულის მოტრფილუ... ასე იცნობდა მას ქართველი საზოგადოება და ქართული პრესა. სამართლიანად ასევე დააბასითეს იგი გიორგი ნატროშვილმა, გრ. ნადარეიშვილმა და ვ. წიწქელიამ თავიანთ შრომებში.

ივ. გომარათელის მრავალფეროვანი და მადლიანი მოღვაწეობა აღრიდნევე იყო დაფასებული („ავალი“, 1898 წ. № 48, გვ. 800). გიორგი სალარბეგ ხომ 1902 წ. 15 დეკემბერს ახელის ფსევდონიმით ივ. გომარათელს სპეციალური მოთხრობა — „ავადმყოფი“ მიუძღვნა („ხმა კახეთისა“, 1913 წ. № 16). სხენებულ მო-

ობრობაში აღეგორიელი ხერხით შემეწიერად არის დახასიათებული ახალგაზრდა ექიმის ივ. გომართელის კეთილი შრტუნველობა მისი პაციენტების მიმართ. უფრო მოგვიანოდ კი მსგავს მავალითებს უხვად ეხვდებით ქართულ პრესაში.

ივ. გომართელმა რთული შემოქმედებითი გზა გაიწეო. მისი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი ხშირად ნარეკლით იყო მოვნილი. მაკამ იგი არასდროს არ უშინდებოდა სიძნელე-დაბრკოლებებს. პირიქით, იგი ყოველთვის კეთილსინდისიერად ემსახურებოდა თავის ერს და ეროვნულ კულტურას. სიმართლე მოითხოვა აქვე აღვნიშნოთ, რომ, როგორც ყოველი შე-მოქმედის ნაწარები, ასევე ივ. გომართელის ნაწარებიც ყოველთვის უნაკლო არ ყოფილა. ამიტომაც ზოგჯერ მისი ნაწარმოებები პოლემიკის საგნად ხდებოდა. განსაკუთრებით ისეთი სახის წერილები, რომლებიც სოციალოგიურ საკითხებს ეხებოდა. ფსევდონიმებსაც იგი ამ მიზნით მიმართავდა. ივ. გომართელს გაეცაჰყავდა ალ. წულუკიძე („მოგზაური“, 1905 წ. № 17, გვ. 263) „ცნობის ფურცელში“ (1905 წ., № 2808) დაბეჭდილ წერილის გამო, ზოლო ივ. გომართელის კორესპონდენციებმა „წერილები გლუხისადმი“ („მოგზაური“, 1905 წ. № 16), „წერილი რედაქციის მიმართ“ („ცნ. ფურც.“ 1905 წ. № 2820), „საუბარი“ („ივერია“, № 114) და „პასუხის მაგიერ“ (იქვე, № 118) მთელი სენაკია გამოიწვიეს იმდროინდელ პრესაში. ვახ. „მოგზაურის“ რედაქციამ და მისმა თანამშრომლებმა — ნ. ელიავამ, კ. ანდრონიკაშვილმა და სხვებმა ცხარე პოლემიკა გაუმართეს ივ. გომართელს (№№ 25-28). ივ. გომართელიც თავის მხრივ არ ჯიუტობს, უერს უვდებს საღ და სამართლიან კრიტიკას. ერთ-ერთ თავის საპოლემიკო წერილში („ჩვენი უთანხმოება“, „ივერია“, 1905 წ., № 126) ასე მიმართავს იგი თავის მოკამათებებს: „შეუძედა რა პაპად მე არ მიმანია ჩემი თავი, არც მარჯსად შეჩვევება ჩემი თავი, როგორც ეს ზოგიერთ მარქსისტებს ემართებათ, და ამიტომ უველას კრიტიკას დიდის უფრადლებით მოვიწყენ, შით უშეტეს, ჩემი თანამოაზრებისა და აზნანავების კრიტიკას“.

ის მოკამათებებს: „შეუძედა რა პაპად მე არ მიმანია ჩემი თავი, არც მარჯსად შეჩვევება ჩემი თავი, როგორც ეს ზოგიერთ მარქსისტებს ემართებათ, და ამიტომ უველას კრიტიკას დიდის უფრადლებით მოვიწყენ, შით უშეტეს, ჩემი თანამოაზრებისა და აზნანავების კრიტიკას“.

V ივ. გომართელის პიროვნებისა და შემოქმედების სრული შესწავლის საქმეში ზემოთ მოხსენებელი საარეცენზიო წიგნები მხოლოდ პირველ გაბეჭდულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. საარქივო მასალების გარდა, ივ. გომართელისა და მის შესახებ დაბეჭდილი მდიდარი ლიტერატურა ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოვლინებული და შესწავლილი!

ივ. გომართელისა და მისი მამის ქველმოქმედების თაობაზე ი, რა საინტერესო ცნობას გვაწვდის შ. გორგესელი (შალვა დიმიტრის ძე გომართელი): „განსვენებულმა გედლონ გომართელმა აქიშ. ივ. გომართელის მამა) დატოვა სოფლის სასარგებლოდ (იველისხმება სოფ. გორისა, ა. ა.) ასი თუმანი ივ. გომართელმა სამკითველოს დასაარსებლად შესწირა ოცი თუმანი“ („ჩვენი შეგობარი“, 1916 წ., № 80). ხსენებული ფაქტი ბევრს მეტყველებს ივანესა და მათი მამის კეთილშობილურ ზრუნვაზე როგორც თავიანთი თანასოფლელების, ასევე მთლიანად საქართველოსა და ქართველი კულტურის მიმართ.

ივ. გომართელის, ამ შესანიშნავი ადამიანის წერილობით დოვლათის სრული შეკრება-გამომზეტურება და ასევე მისი პიროვნების ყოველმხრივი შესწავლა-დაფასება მომავლის საქმეა, ამ საპატიო საქმეს კი ქართველმა მკვლევარებმა რაც შეიძლება დროულად უნდა მოჰკიდონ ხელი.



3. მაისთავალიძვილი

რუი გონსაღეს დე კლავისოს ცნობები საქართველოს
შ ე ს ა ხ მ ბ

ქართულ ისტორიულ წყაროებში მცირე ცნობები მოიპოვება გიორგი VII მეფობის ხანაზე, განსაკუთრებით მისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდზე. ეს გამოწვეულია იმ უდიდესი წგრევითა და განადგურებით, რაც საქართველომ განიცადა ჯერ თემურ-ლენგის ურდოების თარეშით და შემდეგ, მთელი XV საუკუნის განმავლობაში სხვა ურაცხვი მტრების შემოსევით.

XV საუკუნის საქართველო უდიდესი განსაცდელის წინაშე იდგა. იგი აღმოჩნდა ორ მტრულად განწყობილ მამადაიანურ სახელმწიფოს შუა, რომელთაც: ახლის, პროგრესულის მიცემა არ შეეძლოთ თავიანთი კულტურული შეზობლისათვის. პირიქით, მათი განუწყვეტელი შემოსევები ანადგურებდნენ და მიწასთან ასწორებდნენ საქართველოს სამეურნეო ცხოვრებას; ინგრეოდა და იწეოდა კულტურული ნაგებობანი და წერილობითი ძეგლები.

ავადმეცისი ივ. ჯავახიშვილი, როცა საქართველოს მამინდელ მდგომარეობას იხილავდა, სამართლიანად აღნიშნავდა: „რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში ამ საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დაღუპებულ იყო. ეს კი არ არის გასაკვირველი, არამედ უფრო ის ვარეშოვება, რომ ჯოჯოხეთური პირობების და მიუხედავად ქართველი ხალხი არ დაიღუპა.“¹

XV საუკუნის ქართული წერილობითი წყაროების ნაკლებობას, მართალია, არა სავსებით, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ავსებს სხვადასხვა მოგზაურების, დიპლომატიური მისი-

ების, მისიონერებისა და სხვათა ცნობები. ეს ცნობები გვეხმარება ქართველი ხალხის ცხოვრებისა და გმირული წარსულის ზოგიერთი მომენტის აღდგენაში.

ამ უცხოელ დამკვირვებელთა შორის არის ესპანეთის მეფის ენრიყე III (1390—1407 წწ.) თემურ-ლენგთან ვაგზავნილი ელჩი რუი გონსაღეს დე კლავისო. მის დღიურებში მოცემულია რამდენიმე ცნობა საქართველოზე და მისი მეფის — გიორგი VII შესახებ.

კლავისო (დაბადების წელი უცნობია, გარდაიცვალა 1412 წ.), კასტილიელი დიდებულა, როგორც მისი დღიურებიდან ჩანს, თავისი დროისათვის კარგად განათლებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. იგი მთელი მოგზაურობის დროს (კასტილიიდან ვასკლის დღე — 1403 წლის 21 მაისი, კასტილიაში დაბრუნებისა და მეფე ენრიყე III წინაშე წარდგომისი (1406 წლის 24 მარტი) წერდა დღიურებს², რომლებშიც დაწერილებით ვადმოგვცა მოგზაურობის შთაბეჭდილებები. კლავისო, საკუთარი თვლით ნანახის გარდა, ვადმოგვცემს სხვადასხვა პირთაგან ვაგონილ ამბებსაც და იქვე მიუთითებს, რომ მას ესა თუ ის ამბავი სხვისგან ჰქონდა ვაგონილი. მან მოგვცა ვაგონ-

¹ ჩვენ ვამოვიყენეთ კლავისოს დღიურების ორი გამოცემა: Embajada a tamorlan, studio y edicion de un manyscrito del siglo XV por Francisco Lopez de Estrada. Madrid, 1943. და Рюи Гонзалес де Клавихо. Дневник путешествия по двору Тимура в Самарканде в 1403—1406 гг. Подлинный текст с переводом и примечаниями, составленный под редакцией И. И. Срезневского, СПб б., 1881.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1966, გვ. 464.

გრაფიული, ეკონომიური და პოლიტიკური აღწერილობა ყველა იმ ადგილისა, რომელთა ნახევიც კი მოუხდა მოგზაურობის გრძელ გზაზე. ეს აღწერილობანი მოკლებულია ყოველგვარ ფურცატიკურობას, რაც ამ ცნობებს კიდევ უფრო მეტ დამაყრებლობას ჰმატებს, ამავე დროს კლავიხო ანალიზს უეჭოებს და შეფასებას აძლევს ზოგიერთ მაშინდელ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც იმის ნათელი დადასტურებაა, რომ იგი კარგი დიპლომატიკური იყო.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს კლავიხოს ხანგრძლივი და ხიფათით აღსავსე მოგზაურობის მიზანი, რამაც იგი და მისი თანამგზავრები სამარყანდში თემურ-ლენგთან ჩიუყანას, მოკლედ გადავალთ თვალთ იმ მნიშვნელოვან ამბებს, რაც XIV საუკუნის დამლევსა და XV საუკუნის დამდეგს ახიში ხდებოდა.

XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე მთელი მცურა და შუა აზია და ამიერკავკასია გახვეული იყოს ცეცხლის აღში. ოსმალეთის სულთანმა, ბაიაზეტმა (1389-1402 წწ.) დაიპყრო რა მცირე აზიის უდიდესი ნაწილი, შემდეგ ნიკოპოლითან (1396 წ.) გაანადგურა პოლონეთის, უნგრეთისა და საღრანეთის ჩაინდოა ლაშქარი, რომ შემდეგ ასაღბი რჩებოდა კონსტანტინოპოლი. ამ ამბავმა დიდი შემოთება გამოიწვია ევროპის ქვეყნებში.

ოსმალთა დაპყრობებს ევროპელთათვის ათა მართო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა. აღმოსავლეთს ვაჭრობა კრიზისს განიცდიდა. აღმოსავლური საქონელი ევროპელთათვის სულ უფრო მიუწვდომელი ხდებოდა, რადგან მთავარ სავაჭრო გზებზე გადაუღასავი დაბაკოლებები შეიქმნა. ოქროს ურდოს რღვევის შემდეგ ტანადან ჩინეთისაკენ მიმავალი დიდი სახმელეთო გზა, რომელმაც XIII-XIV საუკუნეებში ვენეციელებსა და გენუელებს ეპქრობაში სერიოზული როლი ითამაშა, ახლა უკვე სხვადასხვა მოშთაბარე ტომების ტერატორიაზე აღმოჩნდა. ისინი ურთიერთშორის განუწყვეტელ ომებს აწარმოებდნენ. ამიტომ ამ გზამაც თანდათანოდა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რამაც თავის მხრივ, უირშიში არსებულ გენუელთა კოლონიების დაქვეითება გამოიწვია.

მართალია, შესასუენენობრივი ევროპისათვის აღმოსავლეთთან ვაჭრობის მთავარ მაგისტრალად ხმელთაშუა ზღვა ითვლებოდა (რომლის გამოყენებაზეც, პირველი ყვაროსნული დაჭრობიდან მოყოლებულად, დამყარებულა

იყო იტალიის ქალაქების კეთილდღეობა). მაგრამ იტალიელ ვაჭრებს ამ გზით სარგებლობა უხდებოდათ არაბების შეამადლობისა, რომელთათა ხელშიც იმყოფებოდა ინდოეთისაკენ მიმავალი სამხრეთის სავაჭრო გზები. სავაჭრო გზებზე არაბების ასეთი მონოპოლია ძალიან ძვირად უვდებოდათ ევროპელებს. ჟუსი ინდურ საქონელზე 8-10-ჯერ მატებლობდა. აღმოსავლეთთან ვაჭრობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესა ოსმალების მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების დაპყრობამ და ბელკანეთში შეჭრამ.

მდგომარეობა შავ ზღვაზე და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ამის შემდეგ სრულიად ატანელი შეიქმნა, რადგან თურქეთის სულთანების ეკონომიური პოლიტიკა ძალიან არახელსაყრელი იყო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის დიდი შეუძოვრობა, რაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით კი ესპანეთმა და პორტუგალიამ, გამოიჩინეს სავაჭრო გზების ძიების საქმეში.

იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპის ვაჭრობა თითქმის გამოუვალ ჩიხში მოექცა, ასპარეზზე გამოჩნდა თემურ-ლენგი. მის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერია ევროპელთათვის იმ საუკეთესო ძალას წარმოადგენდა, რომლას დაპირისპირებაც შეიძლებოდა ოსმალეთისათვის.² გარდა ამისა, ევროპაში უცნობი არ იყო თემურ ლენგის დიდი ინტერესი სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისადმი.

თემურ-ლენგთან დიპლომატიკური ურთიერთობის დამყარების ინიციატივა გამოიჩინა კასტილიის მეფე ენრიკე III, რომელიც საერთოდ დიდ ინტერესს იჩენდა სხვადასხვა ქვეყნებთან დიპლომატიკური ურთიერთობის დამყარების საქმეში.

ენრიკე III დროს კასტილიის სამეფო დიდ აღმავლობას განიცდიდა. მოიყვანა რა მორჩილებამი მსხვილი ფეოდალები, ეს მეფე შე-

¹ Ф. Я. Полянский, Экономическая история зарубежных стран, Эпоха Феодализма, М., 1954.

² კლავიხო გამოთქვამს, რომ გენუელები და ბიზანტიის იმპერატორი თემურს ვართა და ფულით დახმარებას პირულებდნენ, თუკი ის ოსმალების წინააღმდეგ ომს დაიწყებდა.

³ ცნობილია თემურ-ლენგის ცდა; სავაჭრო ურთიერთობა დამყარებინა ევროპის ქვეყნებთან. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მის მიერ ქ. სულთანის ეპისკოპოსის, ოთან ვალიფანტელის ზღვით საფრანგეთის მეფე შარლ VI-დმი გაგზავნილი წერილი Рихард Хенинг, Неведомые земли, т. III, 1962, გვ. 403.

¹ იტალიურ ენციკლოპედიაში მითითებულია, თითქმის თემურმა კასტილიელი ელჩები ბუხარაში მიიღო. Enciclopedia italiana, t. X, Roma, 1950, გვ. 561.

უღდა აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებას. მისი უშუალო ხელშეწყობით მოხდა ვანარის კუნძულების დაპყრობა და კოლონიზაცია (1402 წ.).

თემურ-ლენგთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისას ენრიკეს გარკვეული მიზანი ჰქონდა. როცა კლავიხო თემურ-ლენგთან ვაგზადელი თავისი წინამორბედი ელჩების შესახებ ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ ენრიკემ ისინი ვაგზადენა, რათა „გაეგო, როგორი სიძლიერისაა თემურ-ლენგი და თურქი ილდრინი (იილდირიმი, ბაიანეთი — ე. შ.) და როგორია სიძლიერე და სიძლიერე ხალხებისა, რომლებიც მათ (თემურმა და ბაიანეთმა, ე. შ.) ერთმანეთის წინააღმდეგ დარაზნეს“!

ენრიკე III ელჩები თემურს მცირე აზიამი შეზღვევს, როდესაც იგი ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა. კასტილელები მოწმენი გახდნენ ანკარასთან მომხდარი ბრძოლისა, რომლის დროსაც თემურ-ლენგის ლაშქარმა სასტიკად განადგურა ოსმალეთი და თეთი სელთან ბაიანეთი ტყვედ ჩაივდო. ბრძოლის შემდეგ თემურმა ღირსეულად მიიღო კასტილიის მეფის ელჩები და უკან, სამშობლოში, გაბრუნებისას ვაყოლა თავისი ელჩი, რომელმაც ენრიკე III თემურის წერილები და სარეჭობე გადასცა. სადიკრებელია, რომ თემურ ლენგის ელჩმა და მისმა წერილმა მეფე ენრიკეს თემურ-ლენგთან ურთიერთობის კარგი პერსპექტივა გადაუშალა. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის გაბეზობა, რომ ენრიკე III მაშინვე ახალი ელჩები ვაგზადენა კლავიხოს მეთაურობით, იმ შეგობრობის განსამტკიცებლად, რასაც მას თემურ-ლენგი სთავაზობდა.²

კლავიხო თავის დღიურებში საქართველოსა და მის მეფეს პირველად მაშინ იხსენიებს, როდესაც ქალაქ კალმარუნის (colmarun)³ შესახებ მოგვითხრობს. მისი თქმით, ეს კარგად გამაგრებული და დიდი ქალაქი მდ. არაქსზე ყოფილა. ამ ქალაქის მდებარეობის აღწერის შემდეგ კლავიხო მოგვითხრობს, რომ მის მისვლამდე რვა წლით ადრე იგი დაუმორჩილებია ოქროს ურდოს ყაენს თოხთამიშს. მას აღვილობრავი მცხოვრებლებისაგან შეუტყვიო,

¹ Clavijo, გვ. 4.

² იქვე, გვ. 4.

³ როგორც ვარაუდობენ, ეს უნდა იყოს ქალაქი სერმარი. Рюи Гонзалес де Клавихо, გვ. 399, იხ. აგრეთვე Путешествия Ивана Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 г. по 1427 г. Перевел с немецкого и снабдил примечаниями Ф. Брун, კრებულში: «Записки императорского Новороссийского университета», Год первый, том I, гл. 48.

რომ თოხთამიშს ბრძოლით ვერ დაუმორჩილებია ქალაქი, მაგრამ მოსახლეობას მისთვის ყოველწლიური ხარკის გადახდა მაშინვე აღიუქვამს. თოხთამიში ამით თათქარს ემყარებოდა და დამატებით კიდევ იმ ქარის ნახევარი მოუთხოვია, რომელიც ქალაქს იცავდა, რათა წაეყენა საქართველოში მეფე სორსოს (Rey Sorgi) წინააღმდეგ საომრად.

თოხთამიშს საქართველოში ლაშქრობის მოწყობა შესაძლებელია მართლაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ თუ მას ამის განზორციელებაში რაიმე შეუშალა ხელი, ეს თემურ-ლენგის სამარყანდიდან მის წინააღმდეგ წამოსვლა და დადევნება უნდა იყოს. როგორც ენობილია, თოხთამიში თემურ-ლენგთან შეჯახების შიშით უკან, უღელსში გაბრუნდა.⁴

როდესაც აკად. ივ. ჯავახიშვილი თოხთამიშს მიერ ირანის აზერბაიჯანში 1385 წ. მოწყობილ ლაშქრობას ეხება, ამტკიცებს, რომ თოხთამიში საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე კავკასიონზე ვერ გადმოვიდოდაო: „თოხთამიშს, რასაკვირველია, არ შეეძლო ჩრდილოეთისაგან ირანში შეჭრილიყო საქართველოს მთავრობასთან რომ წინასწარ რაიმე შეთანხმება არ ჰქონოდა, ამგვარად, საქართველო და თოხთამიში მოკავშირეები გამოდიოდნენ“² და იქვე ასევენი კიდევ, რომ: „სწორედ ეს შეადგენდა მისი (თემურ-ლენგის, ე. შ.) შემოსევის მიზეზს და დასახულ ამოცანასაც“³ (ე. ი. კავკასიონზე გადმოსასვლელუბის ჩავეტეა).

კლავიხოს დღიურების რუსულ ენაზე მთარგმნელის, ი. სკვინცესკის მიერ დღიურების ბოლოს დაბრუნდ განმარტებაში ნათქვამია, რომ ხსენებული ამბავი უნდა მოხდარიყო არა რვა წლის წინათ (როგორც კლავიხო ამბობს), არამედ 18 წლის წინათ, ე. ი. 1386 წელს,⁴ ამ წელს, როგორც უკვე ითქვა, მოხდა თოხთამიშის პირველი შეჭრა აზერბაიჯანსა და სომხეთში.

იგივე დღიურები საშუალებას ვაძლევს ვეაზრებო, რომ ოქროს ურდოსთან კავშირს საქართველო თემურის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინარჩუნებდა. როდესაც კლავიხო, ყარაბაღის ველზე დაბნაკებულ ომარ მირზას ლაშქარში მომხდარ ატეულობაზე მოგვითხრობს, რაც ომარ მირზაზე ერთ-ერთი დედუბულის მიერ თავდასხმის ცდას გამოუწვევია, ამბობს: „...ურდოში ხმა გაერცეცლა, რომ

¹ В. Греков, А. Якубовский. Золотая Орда и ее падение, М.-Л., 1950, гл. 333.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. III, 1966, გვ. 409.

³ იქვე, გვ. 410.

⁴ Рюи Гонзалес де Клавихо, გვ. 413.

თათართა უყენი ედიგუი და მეფე გიორგი თავს დაგვესხნენოა.¹ ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თურქმანებში გიორგი VII ცნობილი იყო როგორც ედიგუი, მოკავშირე.

თუ იგი, ჭავჭავაძის მტკიცებებს ეიწმუნებთ თოხთამიშის საქართველოსთან კავშირის შესახებ, მაშინ გამოდის რომ თოხთამიშის მიერ გამოთქმული მეჭარბა საქართველოსადმი უბრალო ფინდი იყო ქალაქის დამცველთა მოსაძეუებლად.

ზემოსხენებული ამბავი, როგორც კლავიხო აღნიშნავს, მას ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჰქონდა გავრინილი და ამიტომ მხელია გავება, თუ რას გულისხმობდა იგი, როცა ამბობდა — ეს ამბავი რვა წლის წინათ მოხდაო. კლავიხო კალმარინს 1404 წლის 29 მაისს მიაღწა. თუკი მის მიერ მოთხრობილი ამბავი 8 წლის წინათ მოხდა, მაშინ ეს 1396 წელი უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, მას თოხთამიშის 1394 წელს აზერბაიჯანში შეორეღ მოწყობილი ლაშქრობა ჰქონოდა მხედველობაში. მართალია, არც ეს წელი ემთხვევა ზუსტად მის ნაჯარუდღე წელს, მაგრამ შედარებით ახლოს კი არის. თუ მას ეს შეორეღ ლაშქრობა ჰქონდა ნაჯულისხმევი, მაშინ ამის გამო უნდა ასახელებდეს საქართველოს მეფედ გიორგი VII.

როდესაც კლავიხო თავის დღურებში სხვა ადგილას იწვევს თხრობას საქართველოს მეფის მიერ მოწყობილი ლაშქრობის შესახებ, ზედმეტადკე კი მიიხსენებს მეფის სახელის ხსენებას, რადგან იგი მყოფიველისათვის უკვე ნათობად მიაჩნია და აღნიშნავს: „ამ დროს წამოვიდა საქართველოს ის მეფე, რომლის შესახებაც თქვენ უკვე მოისმინეთ.“ როგორც ის შემდეგ ამბობს, მაჰმადიანებში დიდი შიში და დამნებულება განსაკუთრებით იმას გამოუწვევია, რომ ქრისტიანებს მაჰმადიანებზე ვაუმარჯვიათ. კლავიხო იქვე იძლევა იმის განმარტებას, თუ რად უწოდებენ მაჰმადიანები ქრისტიანებს ურკულეებს და რა იგულისხმებოდა ამ სახელწოდებაში.

ამ დროისათვის, როგორც ცნობილია, არც

¹ Clavijo, გვ. 229. „...e que se feso por el ordo un Ruydo deziendo que hedegui, emporados de tartalia, e el Rey sorso venian sobre ellos...“

² ედიგუი იყო თეთრბატკინანთა ამირა იგი პირველად თემურს თოხთამიშის წინააღმდეგ ეხმარებოდა, თოხთამიშის განადგურების შემდეგ კი (1391) მან თემურს უღალატა. 1397 წლიდან ოქროს ურდოს მეთაური გახდა და თემურის დაუქონებელ მტრად იქცა. В. А. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, М.-Л., 1950.

³ Clavijo, გვ. 234.

ამიერკავკასიაში და არც მის მეზობლად ქრისტიანი მეფე. ვარდა მეფე გიორგი თავის იყო ამიტომ კლავიხოს მიერ დასახელებული ქრისტიანი მეფე სხვა არაა უნდა იყოს, თუ არა მეფე გიორგი.

კლავიხოს და მის თანამგზავრებს საშობოლოში დაბრუნებისას ვაგლა მოუხდათ სამხარეთ საქართველოზე. კლავიხოს გადმოცემით, უარსის მფლობელს შათთვის გაუყოლებია მეგზური, რომელსაც შთავარი გზიან (ყარსიდან არზრუმში მიმავალი გზა) ვაღაუბვეინებია და სხვა გზით წაუყვანია* შათ ცლრებმა, ე. შ.) მარტხნიე, დატოვეს არზრუმის გზა, რომლითაც მიდიოდნენ, მაშინ როცა სამარყანდი-საყენ მიემართებოდნენ¹ იმდროინდელი შთავარი საქარაენო გზისათვის გვერდის აქცევა გამოუწვეული იყო იმ დიდი არეულობით, რაც თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ მცირე აზიაში ხდებოდა. ჩვენი აზრით, ელჩებს ასეთი მიმართულებით უნდა ევლიათ: უარსი — დემურ-კაი-კოლა — გენდორის ვადასასველე — მუშეხი — კოსორი — აგვალ — თეთმში — ახსორის ვადასასველე — თორთომი² — თორთომიდან უნდა ვადასუღიყენენ თორთომისპირის მთაზე და მისუღიყენენ სპერში (1405 წ. 13 სექტემბერს). სპერის მფლობელმა ვინმე პიაჰაკაბემ (Piachacabea) კლავიხოსა და მის თანამგზავრებს ვააყოლა მეგზური, რომელსაც ისინი ტრაპიზონის სამეფომდე უნდა მიეყვანა. კლავიხო აღნიშნავს, რომ შათ საქართველოს საზღარები 14 სექტემბერს დატოვეს.³

ყარსიდან სპერამდე ვაწელილ გზაზე კლავიხო ასახელებს მხოლოდ ორ ადგილს, ერთია ციხე ვისერინ და მეორე — თორთომი. იგი თორთომში არ ყოფილა, მხოლოდ ვხად მიმავალს (1405 წლის 9 სექტემბერს) დაუნჯავს თორთომის ციხე, რომელიც ერთ მალღობზე მდგარა, კლავიხოს აღნიშნავს, რომ: „ეს ციხე დაიმორჩილა და ვადასახადი დააქისრა თემურ-ლე-“

¹ იქვე, გვ. 234.

² „გურჯისტანის ვილაიეთის“ რუკა. შედგენილია XVI საუკუნის თურქული ზელნაწერ ძეგლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის* ქართული თარგმანის მიხედვით აღსანიშნავიშვილის მიერ. რედაქტორი ს. ჭიჭიათბილისი, 1953.

³ თორთომისპირის მთაზე ვადამავალი გზის არსებობის შესახებ მიუთითებს ვახუშტი: „და ვარდავლიან გზანი (თორთომის ზეობიდან — ე. შ.) ისპირის ზეობას შინა“. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 140.

⁴ Clavijo, გვ. 234.

⁵ ეს ციხე ერთი მოლის მფლობელობაში ყოფილა. ვაურკვევილა ნამდვილად რა ერქვა, ან სად მდებარებოდა.

ნგმა, მაგრამ საქართველოს ეკუთვნის¹. კლავიზოს ეს ცნობა სხვა წყაროებითაც დასტურდება.

თემურ-ლენგის თანამედროვე ისტორიკოსი ნიჩამ ადღინ შამი მოგვითხრობს, რომ 1402 წელს, თურქებთან ვადაშეყვეტი ბრძოლის წინ, თემურმა ბილი თორათუმის ციხეში

„თორათუმის ციხის აღუისას მცეცხოვნებებს თემურმა შალისა და ჭიზის ვადახდა მოსთხოვა, სამაგიეროდ კი შეწყალება აღუთქვა“².

აქად, მარი ბროსე სპარსულ წყაროზე დაყრდნობით ამ ამბავს შემდეგნაირად ვადმოგვცემს: „თორათუმის გამაგრებულ ადგილას იმყოფებოდა 200 ქართველი, რომლებიც ურას ამბობდნენ ხარკის ვადახდაზე და შეურაცხუფას აყენებდნენ მუსულმანებსა და მოგზაურებს. თემურმა ვაუგზავნა ბრძანება გეიკანურდინს და სხვებს თორათუმის აღუბის შესახებ, რაც დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული. წინადადებები ზავის შესახებ, რომელიც თორათუმის გარნიზონს ვაუგზავნეს, ამჟამად იქნა უკუგდებული. აღუშემორტყმულნი ხუთი დღის განმავლობაში იცადენ თავს, ზოლოს თორათუმი აღებულ იქნა შეშვიდვ დღეს და დამცველები ზმღების მწკრივში გაატარეს“³.

დაახლოებით ამასვე იმეორებს ივ. ჯავახიშვილი, რომ თემურ-ლენგმა „თავისი სამხედრო ძალა თორათუმის და იქ გამაგრებული აჯანყებული 200 ქართველი მეომრის დასაჭერად ვაუგზავნა. ისინი არც ხარკს იხდიდნენ, მაშინდინებსაც მოსვენებას არ აძლევდნენ. წარგზავნილმა ლაშქარმა დავალებული საქმე შესრულა: თორათუმის ციხე აღებულ იქნა და 200 მეგრული დახოცეს“⁴.

როცა ამ მხარის ბუნებას აღწერს, კლავიზო, ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ დაუბრუ-

ლია მიუბოთ, ეს მხარე მდიდარია ხორციით“¹. ზოლოს კლავიზო იძლევა ქართველების ვარგუნობის, ენისა და რელიგიის შეტად ლაქონორს, მაგრამ ძალიან საყურადღებოა დახასიათებას: „ქართველები კარგი ვებულების ლამაზი ვარგუნობის ზალხია, ბერძნული სარწმუნობისანი არიან, ენა თავის აქეთ“².

კლავიზოს მიერ ქართველების ასეთი დახასიათება, მის დიდ დაცვირებულობაზე მიუთითებს.

კლავიზომ თავისი მოგზაურობა, როგორც ვიცით, დღითღამის სახით აღწერა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს დღითღამის მტად მდიდარი და მრავალფეროვანია ესპანეთიდან სამაყანადისაკენ სვლის პერიოდში, ხოლო უკან, სამაყანადიდან ესპანეთში დაბრუნებისას, ვადმოცემულია ის მნიშვნელოვანი ამბები, რაც იმ დროს მოხდა.

კლავიზოს და მის თანამგზავრებს თემურ-ლენგის ვარდაცვალების ამბავმა აზერბაიჯანში მოუსწრო. ამით გამოწვეული არეულობის გამო შათ, თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ, ექვსი თვე და 22 დღე (1405 წლის 1 თებერვლიდან 22 ავისტომდე) თავრიზში მოუხდათ დაჩენა. თავრიზში მეორედ ყოფნის დროს მან დღითღამში მხოლოდ ის მნიშვნელოვანი ამბები შეიტანა, რაც იმ დროს მოხდა.

თავრიზულ ჩანაწერებს შორის არის ერთი ფრიად საყურადღებო ცნობა სწავრთველოს მეფის ვიოთე VII შესახებ, რომელიც ნათესავს ჰუენს ამ დედულაღი და შეუბოვარი პიროვნების მოღვაწეობის ერთ პერიოდს.

კლავიზო მოგვითხრობს, რომ საქართველოს მეფე „შვიტრა ყარსისა და არზრუმის მიწაზე რომლებიც დიდ სომხეთში არიან, მივიდა თავრიზამდე ვამარცვა და ვადანვა მრავალი ქალაქი და სოფელი, რითაც დიდი შიში გამოიწვია (მაშადაინებს შორის — ე. მ.), თავრიზელი მაშადაინები ფიქრობდნენ, რომ მეფე (ომაკ მიზა, ე. მ.) მივიღოდა შათ მიწაზე (დასაკვად, ე. მ.). მან ეს არ ვაყვეთა, მაგრამ ერთ მოხუც დიდებულს, რომელსაც სახელად თმარ თობანი ერქვა, უბრძანა წასულიყო ხუთი სასი მხედრით საქართველოს მეფის წინააღმდეგ; ვარდა ამისა, თავრიზისა და სხვა მხა-

¹ Clavijo, გვ. 234.

² Histoire des conquêtes de Tamorlan intitulés Zafarnama par Nizamudin Sani Edition Critique par Felix Tauer, t. I, Texte Rersan du Zafarnama, Praha, 1937, გვ. 246.

³ დ. კაციტაძე, XIV საუკუნის საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თსუ შრომები, ტ. 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბილისი, 1967, გვ. 265, შენიშვნა 4.

⁴ Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de Y. C. par M. Brosset, St.-Peterbourg, 1851, გვ. 393.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 418.

¹ Clavijo, გვ. 234. ვახუშტი წერს: „თორათუმის მდინარის კიდე, ხახულს ზეითამდე ანუ ციხემდე, ეწინააღმდეგე, ხილიანი, ხოლო შთის კერძონი ყოველგნით... არს მოსავლიანი, პირუტყვიანი“. იხ. გვ. 140. აღწერა სამეფოსა საქართველოსა.

² «E los Crieganos son omes de buenos cuodpos é de fermosos gestos; é la su creencia es ala grigesca, é la su lenguu es apartada», Embajda a Tamorlan გვ. 244

რეების რაზმებს უბრძანა მას შეერთებოდნენ; სულ შეიკრიბა 15 ათასი მხედარი. დიდი სისწრაფით გაიარეს თავიერის ქალაქი და გაჩერდნენ ერთ ველზე, რომელიც დიდ სომხეთშია და ალათაოდ (alacao) იწოდება. გაიგო ამის შესახებ იმ მეფე Soroso-მ (გოთრგი, ე. მ.), მოვიდა 5 ათასი მხედრით, დაეხსა ერთ ღამეს შთ თავს, ბევრი მათგანი დახოცა, ვინც გადაარჩნენ, თავიერს შეაფარეს თავი.¹

რადგან კლავიუსი თავის მოგზაურობას დღურების სახით აღწერს, ამიტომ მასში მოკუმული ვეუა ამბის ზუსტად თუ არა, მიხედვით დათარიღება მაინც შეიძლება. სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ზემოთ მოთხრობილი ამბავი 1405 წლის 19 მაისიდან 11 ივნისამდე განვიღო დროში მოხდა.²

მსგავსი რამ ჩვენთვის ცნობილ არც ერთ ქართულ წყაროში არ არის შემონახული, მაგრამ კლავიუსის მონათხრობს თითქმის ეხმარება XV საუკუნის სპარსულენოვანი ისტორიკოსი შირხონდი (1433—1498 წწ.), რომელიც გვამცნობს: „მოვიდა ცნობა, რომ ქართველებმა სიმამაის ფეხი საზღვარს გადაშობიეს, თავს დაესხნენ განჯასა და ნახჭევანს და ხალხის ქონება და სისხლი ზღუცეეს, ბასთან ყავირომ, არღებლის გამოჩენილმა მძებრანებელმა და მოხელეებმა, აჯანყების გამო სისწრაფოდ შეაფარეს თავი შირვანს შვიხ იბრაჰიმ ვალისთან... ომარ შირხამ ბრძანა, რომ ომარ თუბანი, ბარსად თურქული და სხვა მხედართმთავრები მალხუნდნურად წოდებულნი ადგილის დასაცავად წასულიყვნენ...³ ქართველების ლაშქარმა ომარ თობანი და მისი ამირები დაამარცხა და შარანდავდ შეეერთა.“⁴

არსებობს მოსაზრება, რომ შირხონდის მიერ აღწერილი ამბავი 1405 წლის ზაფხულში მოხდა ამჟღავნად კლავიუსისა და შირხონდის ცნობა თითქმის დროის მიხედვითაც ემთხვევიან ერთმანეთს (კლავიუსთან 1405 წლის 19 მაისი-

დან 11 ივლისამდე, შირხონდთან 1405 წლის ზაფხული). მაგრამ, ჩვენი აზრით, შირხონდის ცნობის უფრო დაზუსტება შეიძლება თუ ჩვენ კლავიუსისა და შირხონდის მონათხრობს ჩაუვყვირებთ, ნათელი გახდება, რომ აქ ორ სხვადასხვა ლაშქრობაზეა ლაპარაკი, რომლებიც გიორგი VII თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ მოაწყო, ამის საფუძველს, პირველი რეგმი, გვამლევს ზემოხსენებული ავტორების მიერ აღწერილი ლაშქრობების სხვადასხვა მიმართულება. ხოლო რაც შეეხება ომარ თობანს, რომელსაც ორივე ავტორი მთავარსარდალად ასახელებს, მის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: ომარ თობანი იყო თემურ-ლენგის მომხრეთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფში, რომელმაც ხელი შეუწყო მის აღზევებას. იგი თემურის მთელი სიკაცების განწავლობაში ემსახურებოდა და მისი თანამებრძოლიც იყო. ის უშუალოდ მონაწილეობას იღებდა თემურის მიერ მოწყობილ სხვადასხვა ლაშქრობებში, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კი მის შთამომავალთა სამსახურში დარჩა, ამიტომ არაა გასაკვირი, თუ გიორგი VII წინააღმდეგ გაგზავნილი ლაშქრის მეთაურად თუნდაც ორჯერ, ომარ თობანი ყოფილიყო. ანუ ის არის ვასაკვირი და სრულიად დამსმეობელი, რომ ორივე წყაროში მის დამარცხებაზეა ლაპარაკი. მაგრამ მაინც უნდა მივუცვს ყურადღება კიდევ ერთ, თუმცა უმნიშვნელო გაჩემობებსაც. კლავიუსი მხოლოდ ომარ თობანს ასახელებს ყარის სარდალად, შირხონდი კი ამბობს — ომარ შირხამ „ომარ თობანი, ბარლას თუქალი და სხვა მხედართმთავრები“ გაგზავნა, დასახელებულ სარდლებს რომ კლავიუსის მიერ აღწერილ ლაშქრობაში ერთად მიეღოთ მონაწილეობა, მაშინ ისიც ორივეს დასახელებდა, რადგან იგი შირხონდზე ნაკლებად კი არა, შეიძლება უფროც იცნობდა მანაშინელ პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობას; თუნდაც იმიტომ, რომ კლავიუსი უშუალოდ დაქვემდებარებულ წარმოადგენდა, ხოლო შირხონდი თავის წინამორბედთა ცნობებს ემყარებოდა.

ჩვენი აზრით, თუ ზემოხსენებულ ორ ცნობაში ორ სხვადასხვა დროს მოწყობილი ლაშქრობა შეიძლება ვიგულისხმოთ, მაშინ პირველ მომხდარ ფაქტად კლავიუსის მონათხრობი უნდა ჩათვლიდეს. ამის უმთავრეს მიზეზად შევიძიძლია ჩაეთვალათ ის ვარაუზება, რომ კლავიუსი თავის დღურებში არასდეს არ იხსენიებს ამხად ჟღერარსა და ყარა-ოუსუფს (ისინი ერთად მოქმედებდნენ). კლავიუსის, რომელიც დიდ ცოდნას ამკლავებს იმ დროისათვის ირანში, აზრბაიჯანსა და სომხეთში მიმდინარე პოლიტიკური ამბისა და მათში მთავარი მოქმედ პირებისა, არ შეიძლება მხედველობიდან გამოჩინებოდა ამხად ჟღერარისა და ყარა-ოუსუფის

¹ Clavijo, გვ. 234-235.

² 19 მაისს ომარ შირხამ წერილი გაუგზავნა ელჩებს, რომელიც ერთგვარ ბოდიშის მოხელის წარმოადგენდა მისივე ბრძანებით თავიერის ზღისუფალთა მიერ მათთვის ქონების ჩამორთმევის გამო, გვ. 234; ხოლო 11 ივლისს ომარ შირხამ თავისი ძმის, აბუბექრის ციხიდან გაქცევის ამბავი გაიკო.

³ შირხონდი, თარიხე როუბათ ას-საფა, VI, თეირანი, 1923, გვ. 511. რ. კიენაძე, ქართველი და აზრბაიჯანელი ხალხების სამხროლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 378—379.

⁴ შირხონდი, VI გვ. 513.

⁵ რ. კიენაძე, მითითებული ნაშრომი, გვ. 378.

მოქმედება. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კლავიხოს თავრიზში ყოფნისას ისინი ასპარეზზე ჯერ არ ჩანდნენ.

ცნობა, ქართველების მიერ მოწყობილი ლაშქრობის შესახებ, კლავიხოს ჩართული აქვს იმ ამბებში, სადაც მოგვითხრობს, თანაც საყმაოდ დეტალურად, ომარ მირზას ბრძოლასა და ინტრიგებზე მაშისა და ძმის წინააღმდეგ.

ამასვე აღსატყობებს იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი თომა მეწყოფელი, რომელიც ამბობს რომ ყარა-იუსუფი 1395 წლიდან 1406 წლამდე სომხეთსა და აზერბაიჯანში არ გამოჩენილაო!

ამ საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება მირზონდის ცნობაც, სადაც ქართველთა ლაშქრობის ამბავი და აშვედ ჭელაიხის ეგვიპტოდან წამოსვლა და მის მიერ ბაღდადის აღება ერთდროულად არის გადმოცემული. იგი ამბობს: „ცნობა მოვიდა, რომ სულთანმა აშვედი მისრეთიდან დაბრუნდა და ბაღდადი დაიპყრო... ომარ მირზამ ბრძანა, რომ ომარ თობანი, ბარლას თქელი და სხვა მხედართმთავრები მაღზულანგურად წოდებული ადგილის დასაფარად წასულიყვნენ. ამირ სუნჯაი კი ურიცხვი ჯარის ერთი ნაწილით ბაღდადში გაგზავნა, რათა ის ვილაიეთი სულთნისთვის წაერთმია“²

თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, გამოვლას, რომ მირზონდის მიერ აღწერილი ამბავი — ქართველების ლაშქრობა — ყარა-იუსუფის და აშვედ ჭელაიხის მიერ ბაღდადის აღება — მოხდა 1406 წლის ივნისში. კლავიხო კი ამ დროისათვის უკვე ეგსანეთში იყო (1406 წლის მარტიდან ჩაებდა კასტილიაში). რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო თავის დღიურებში შეეტანა ისეთი რამ, რაც მისი ეგსანეთში დაბრუნების შემდეგ მოხდა.

ჩვენი აზრით, ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კლავიხო და მირზონდი მეფე გიორგი VII მიერ თურქმანების წინააღმდეგ ორ, სხვადასხვა დროს მოწყობილ ლაშქრობაზე ლაპარაკობენ.

რადგან კლავიხოს მიერ ზემოთ მოთხრობილი ამბავი სხვა წყაროებით არ დასტურდება, ამიტომ ი. სრუხნვესკი ქართველების მიერ გიორგი VII მეთაურობით იმ დროს ლაშქრობის მოწყობას საეჭვოდ მიიჩნევდა და აღნიშნავდა. «He prinisal li on (Клавиха, г. 3.) Георгию то, что сделано было туркменцем Кара Юсуфом»³.

¹ Фома Мецопский, История Темур-Ленга и его преемников, Баку, 1957, გვ. 64. პარაფ. ლ. მელოქსეთ-პეგს თომა მეწყოფელის ქართულ თარგმანში ეს ადგილი გამოტოვებული აქვს.

² მირზონდი, გვ. 511.

³ Рюн Гонзалес де Клавихо, გვ. 411.

როგორც შემდეგ დაინახავთ, ი. სრუხნვესკის მიერ გამოთქმული ეჭვი, ცოტა გრძელხანაა ნაქმარევი. რას ემყარებოდა ი. სრუხნვესკის ეჭვი ამბობდა, ასეთი ლაშქრობა ყარა-იუსუფმა მოაწყო?

ყარა-იუსუფი ცნობილია, როგორც თემურ-ლენგის ერთ-ერთი შეუპოვარი მოწინააღმდეგე. იგი იყო შავბატანიანთა (ყარა-ყონღუ) გაერთიანებული ტომების ამირა, წარმოშობით ბაპარლუს ტომიდან. მან, თემურისაგან აშვედ ჭელაიხთან ერთად დევნილმა, ჯერ ოსმალეთის სულთან ბაიაზეთ პირველს შეაფარა თავი! ხოლო თემურის მიერ ბაიაზეთის დამარცხების შემდეგ ეგვიპტეში გაიქცა. თემურის მოთხოვნით ეგვიპტის სულთანმა, ფარაგმა, შეიპყრო იგი და რამდენიმე ხანს ტყვეობაში ჰყავდა. იგი კიდევაც ამირებდა ყარა-იუსუფი თემურისათვის გადაეცა მაგრამ თემურის სიკვდილმა იხსნა იგი. სულთანმა ვათაიესულფა ყარა-იუსუფი და თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა. მან შეეგზოვა ათასი მხედარი და წაიქცა აზერბაიჯანისაკენ.⁴

თემურ-ლენგი გარდაიცვალა 1405 წლის 18 თებერვალს ქ. ოტარბაში, ხოლო ზემოაღნიშნული ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 1405 წლის 19 მაისსა და 1 ივლისს შორის. ამ დროისათვის კი ყარა-იუსუფი ვერ შესძლებდა მისულეთი კლავიხოს მიერ დასახელებულ ადგილამდე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცნობა თემურ-ლენგის საიკვილის შესახებ შუა აზიიდან ეგვიპტემდე დაიგვიანებდა და, მეორეც, ყარა-იუსუფისათვის საჭირო იქნებოდა გარკვეული დრო ჯარის შესაკრებად. იმ დროისათვის ყოველივე ამის გაკეთება დროის ასეთ მცირე მონაკვეთში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.⁵

ი. პ. პეტრუშევსკი აღნიშნავს, რომ სირიიდან წამოსულმა „აშვედმა და ყარა-იუსუფმა 1406 წლის ივნისში, აიღეს ბაღდადი და ამის შემდეგ დაეყენებლივ დაიპარნენ სამხრეთ აზერბაიჯანისაკენ. 1406 წლის ივლისის დასასრულს ორივე მოკავშირე თავრიზს მიუახლოვდა“⁶.

ცნობილია, თუ რა შეუპოვარ ბრძოლას აწ-

⁴ საყურადღებოა, რომ ფარსადან გორგიჯანიძე თავის „ისტორიაში“ თემურსა და ბაიაზეთს შორის ომის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად ბაიაზეთის მიერ აშვედის შეფარებას და მისი თემურისათვის უკან გადაუცემლობას ასახელებს.

⁵ Enziklopaedie des Islam. Band II, Leiden-Leipzig, 1927, გვ. 793.

⁶ Петрушевский, Государство Азербайджана в XV в., Сборник статей по ист. Азербайджана, вып. I, Баку, 1949, გვ. 793.

⁷ იქვე, გვ. 157.

არმოებდა მეფე გიორგი და ქართველი ხალხი დამპყრობთა უღლის წინააღმდეგ ჯერ კიდევ თემურ-ლენგის სიკოცხლში.

1403 წელს მეფე გიორგისა და თემურ-ლენგს შორის დადებული ზავის მიხედვით საქართველო ვასალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა თემურისადმი. თემურმა, საქართველოში მოწყობილი რამდენიმე ლაშქრობის მიუხედავად, ვერ შეისლო ვერც ქართველი ხალხისა და ვერც მისი შეიქმნილი დამორჩილება. ზავის დადების შემდეგ თემურ-ლენგს აღარ უღაშქრია საქართველოში, რაც გიორგი VII აუცილებლად მისცემდა საშუალებას ქვეყანა შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების კალაპოტში ჩაეყენებინა. იგი მოიკრებდა ძალებს და ახლანდელი იქნებოდა დაკავშირებული იმ ამბებთან, რაც იმ დროს ამიერკავკასიაში და მცირე აზიაში ხდებოდა. თემურ-ლენგი, საქართველოს უკანასკნელი აობრების შემდეგ, ჩინეთის დასაპყრობად გეგმავდა. გიორგი VII გამოიყენა ეს ხელსაყრელი მომენტი და მაშინვე საქართველოს ერთიანობის აღდგენასა და მტრისაგან მის განწმენდას შეუდგა.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აგვიწერს გიორგი VII მიერ თემურ-ლენგის უკანასკნელი ლაშქრობის შემდეგ გატარებულ ღონისძიებებს: „ხოლო შემდგომად წაასვლისა თემურისა, შეკრება მეფემან გიორგი ქართლი, სომხეთი, ჰერ-კახნი. და იწყო შენებად მოხრებულთა და ბრძოლა ციხიანთა“.¹

თემურის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მის უზარმაზარ იმპერიაში დაწყებულ გამათავისუფლებელ მოძრაობას შემკვიდრებებს შორის პირველობისათვის ბრძოლა დაემატა, გიორგი VII უფრო მეტი საშუალება ეძლეოდა საქართველოს ციხეებში ჩაყენებული მტრის შეცხოვნე ჯარების განდევნისა და აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებისა, „რამეთუ შემდგომად თემურის სიკვდილისა იწყეს ბრძოლანი ძეთა მისთა ურთი-ერთთა ზედა და დამათა ქვეყანა და მეფე მათგან მშვიდობით. ხოლო მეფემ განაჩნა თათარნი და აღიბა ციხენი ქართლ-სომხეთისა სრულად“.²

ამასვე აღნიშნავს ნ. დადიანი თავის „ქართულ ცხოვრებაში“: „ხოლო იწყო მეფემან გიორგი მოსყრა, მოწყვედა თათართა: სადაცა პპოებდა საზღვარს გარეთ თვისით, ვიდრე რა-

ხის კიდემდე, არა დაუტრევა, მოსრნა მოსწყვიდნა“.³

აღმათ გიორგი VII ასეთი შემთხვევაში უნდა მხედველობაში ი. პ. პეტრუშვიკის, როდესაც აღნიშნავდა, რომ აზერბაიჯანში დაწყებულ სახალხო მოძრაობისათვის ერთად საქართველოში აჯანყება დაიწყო.⁴

საქართველოდან დამპყრობთა ნაშთების განდევნა-განადგურებისა და ქვეყნად მშვიდობის დამყარების შემდეგ, გიორგი VII კარგად გაუთვალისწინებია აზერბაიჯანში დაწყებული სახალხო მოძრაობის დადებითი მნიშვნელობა საქართველოსათვის. იგი მაშინვე დაუკავშირდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორეს შირვანშაჰ იბრაჰიმს, რაც 1405 წლის დასაწყისში მოხდა. გიორგი VII იბრაჰიმთან ურთიერთობა იმითაც უფრო განუმტკიცებია, რომ ქართველების მიერ სულ ცოტა ხნის წინათ დაპყრობილი განჯა და ნახჭევანი მისთვის გადაეცემა.⁵

ახლა კი მოკლედ შევხვთ კლავიოს მიერ გამოცემულ ქართველთა ლაშქრობას.

თუ ამბების მაშინდელ (1405 წ. ზაფხული) განეთარებას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ გიორგი VII სწორედ შეუფასებია ის სიტუაცია, რაც ომარ შირვანშაჰის მოჩილებებში მყოფ ტერიტორიაზე შეიქმნა. 1405 წლის გაზაფხულზე ომარ შირვანშაჰის თავისი ქართლ-სომხეთში იმყოფებოდა. აქ გაიგო მან თავისი შაჰის, თემურ-ლენგის, გარდაცვალება. ამით გამოწვეული არეულობით უნდოდა ესარგებლა მას და მთელი ძალაუფლება ხელში ჩაეგდო. ამ მიზნით მან დაიწყო ღვენა თავის მამას, შირვანშაჰს და უფროს მამს აბუბეკრს. ძმა ხელში ჩაიგდო და სულთანის საპყრობილოში მოათავსა, მაშამ კი შესვლილი ხელიდან გასხლტომოდან შირვანშაჰის თავისუფლად ელოდა ომარის მდგომარეობას ძალიან არყვედა. ამით იყო გამოწვეული ის, რომ იგი პირადად არ იმყოფებოდა ქართველთა წინააღმდეგ გაგზავნილ ლაშქარში. ან შეიძლება ისიც ეფიქროთ, რომ იგი ქართველთა ასეთ მოქმედებას შედარებით ნა-

¹ ნ. დადიანი, ქართველთა ცხოვრება, თბილისი, 1962, გვ. 121. ზემოთ მოყვანილი ციტატები შირვანშაჰის ცნობებს ადასტურებს, რომელშიც ქართველების მიერ სომხეთის ქალაქების აღებაზეა ლაპარაკი.

² «Сборник статей по истории Азербайджана», вып. I, 1949, გვ. 154, იხ. აგრეთვე, А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1965, გვ. 394.

³ იქვე.

⁴ რ. კოქაძე, დსაბ. ნაშრომი, გვ. 379.

⁵ Clavijo, გვ. 232-235.

¹ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილი ისტორიოგრაფიისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, ნაწ. I, ტფილისი, 1885, გვ. 295.

² იქვე.

კლებნიშენელოენად თელიდა, ვიდრე საკუთარი მამის ზელში ჩავდებას.

შექმნილი ვითარება გიორგი VII სამუდამად აძლევდა მცირე ჭარბთ შეჭრილიყო მისგან განდგომილი ივანე ათაბაგის სამფლობელოში, დაემორჩილებინა იგი და წამოწეებულ ლაშქრობა მეზობელ ტერატორიაზე გაეგრძელებინა, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის საქართველოს არც სამხრეთით მისაზღვრე ტერიტორიებზე და არც თავრიზის მიდამოებში თურქმანებს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა აღარ ჰყავდათ. ჩვენი აზრით, ელავისონ შიერ აღწერილი ქართველთა ლაშქრობის ძირითადი მიზანი სწორედ საათაბაგოს ყვლე შემოტოცება უნდა ყოფილიყო.

ივანე ათაბაგი, მესხეთის მფლობელი, მეფე გიორგის გადაუდგა და კონსტანტინე ბატონიშვილთან ერთად თემურ-ლენგს მიემხრო (1402).¹ თემურ-ლენგის მიერ მოწეობილ უკა-

ნასკნელ ლაშქრობაში ისინი საქართველოს წინააღმდეგ, მტრის მხარეზე იტეზდნენ მონაწილეობას.¹ სამხრეთ საზღვრისა და იქიდან საქართველოს გულისაკენ მომავალი გზის დაცვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომი მოქმედებისათვის (გიორგის შემდგომი მოქმედების შედეგად შეგვიძლია ჩავთვალოთ ყარსისა და ნახჭევანის აღება, რომელზედაც მოგვითხრობს შირხონდი).

ასეთია ელავისონ ის რამდენიმე ცნობა, რომლებიც მან თავის დღიერებში სხვადასხვა ადგილას გააბნია. ამ მცირე, მაგრამ სინტერესო ცნობებმა შეიძლება გარკვეული შექი მოპოვნის XIV საუკუნის დასასარულისა და XV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ზოგიერთ მომენტს.

¹ დ. კაციტაძე „ისიანდერის ანონიმის“ ცნობები საქართველოს შესახებ. თსუ შრომები, 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბილისი, 1965, გვ. 383.

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბილისი, 1966, გვ. 419.

კველი თბილისის მიკროსტოპონიმიკიდან

(დიდებზე)

XVII საუკუნის შუა ხანებში თბილისი მრავალრიცხოვანი და მრავალსახოვანი სოფლის მეურნეობის, ზელოსნობით დაწინაურებული უბნების და გარშემო დასახლებული სოფლების მქონე ქალაქია. იგი კვლავ ზღვება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრებისათვის საქონლის მიმღები და მიმწოდებელი ბაზა. თბილისზე ვადაიდა და მის მრავალრიცხოვან საეპქრო სადგომებში — ქარავსლებში ბინადგებოდა გასაყიდი საქონელი, რომელიც ქარავნებს მიჰქონდათ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

სოფლის მეურნეობითა და ზელოსნობით დაწინაურებული და ღონიერი ქალაქისპირა უბნები და სოფლები რომ არ ყოფილიყო, ქ. თბილისის გეონომიური აღმავლობა შეუძლებელი იქნებოდა.

საერთო აღმავლობის, ქვეყნის მომძღვარების შედეგია მტკვრის მარცხენა ნაპირზე სოფლის — დიდების გაჩენა.

გვიან ფეოდალური ხანის თბილისს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ჩრდილოეთის მხრიდან სოფ. ჩუღურეთისა და აბასოფლის (კუთის) შემდეგ ემიგრებოდა სოფელი დიდებზე.

ქართულ წერილობითს წყაროებში დიდებზე, როგორც ადგილის სახელი, პირველად გვხვდება XI საუკუნის დავის სიგელში, კერძოდ, ბაგრატ მეოთხის (1027-1072) მეფობის დროს. სიგელში მოთხრობილია იმ დავის ამბავი, რომელიც ამტყდარი იყო სამხრეთ საქართველოში მდებარე ოპიზისა და მიჯნაძორის სამონასტრო მამულების საზღვრების გაყლების გამო. საბუთში მიჯნაძორელთა სამონასტრო მამულის ერთ-ერთ მიჯნად დაღებულთა დიდების ზურთისი: „...და ჩრდილოეთ-დიდებისა — ზურთისი და საქათმის კარი“...2

დიდებზე, თბილისისპირა მდებარე ადგილის

სახელწოდებად რამდენჯერმე გვხვდება XII საუკუნის ისტორიკოსთა ნაშრომში: „... არამელ შეიყვანეს დიდებებს და შერთეს დაეით თამარს“3 „... და მოვიდეს სრასა დიდებისასა, სანახებსა და ტფილისისასა და მუნ ქმნეს ქორწილი“4 და კიდევ — „ნამდვლევ ერშიონთასა უსახელოვნესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე, აიღეს ფინჯიკი სამეფოდ და განაწვეეს ევლსა დიდებისასა იქალამდი აქლუში უხელა ტყროთთა, ცხენი ყუველა შეკაზმული“5

მაშასადამე ამ დროს დიდებებში მდგარა მეფის სასახლე. საგულვებელია, რომ აქვე კარის ეკლესიაც მდგარიყო. შეთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავიც, რომ განაჩრვებული ქართველი მხედრიონის თავის წაღაფევს მუყენს დიდების ველზე.

საინტერესოა, სანამ ქალაქის პირს, ამ ადგილს დიდებზე შეერქმეოდა, ჰქონდა თუ არა მას სხვა სახელწოდება?

ქართველი მემატიანე ქუნიშვირი მეფე ვახტანგ გორგასალის ამბების თხრობისას გვამცნობს. რომ: „ხოლო ვიდრე მოიწყოდეს მოციქულნი ვახტანგ მეფისანი წარსრულ იყო კეთილნი ქუეყანით ზანარეთით კერძო, რომლისაგან ვერ მოიცილებდა მოსლვად ქართლად. მაშინ ვახტანგ განაძლიერნა ციხენი ქალაქისანი, და უჩრეულესი მბრძოლი ერისა შისისა ვითარ ასი ათასი მკედარი და ასი ათასი ქუეითი იპყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ დიღმით ვიდრე ქართლს კართამდე, და სპარსთა დაბა (დაეცე ცხენის ტერფითგან ჩაღმართ)6, მოტანილი ადგილი მოვეითბრობს, რომ ქართველთა ჩარი ვახტანგ გორგასალის მეფეობით განლაგებულა მტკვრის მარცხენა ნაპირზე დღემოდან ვიდრე ქართლის კარამდე, ხოლო სპარსთა ჩარი ცხენის ტერფიდან ჩაღმართ ე. ი. ქვევით, მტკვრის დინების მიმართულებით. ეტეს ვარუშეა, ამბავი ზღვება თბილისის მისადგომებთან; მაგრამ კერ-

ძოდ რომელ ადგილს ერქვა ცხენის ტერფი? ამის შესახებ მიგვიჩვენებს ვახუშტი ბატონიშვილი: — „ტფილისის ჩრდილოთ. არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის ტერფი...“⁷.

ერთი შეხედვით, ადგილისათვის ასეთი სახელის შერქმევა საცნაურია. ზეწი აზრით, ადგილმა ასეთი ხატოვანი სახელი მიიღო თავისი დებე-ვაყე, დაცემული სწორი რელიეფის გამო.

ადგილის სახელის (ცხენის ტერფი) გაჩენის დრო ჩვენთვის უცნობია. შეიძლება მას ეს სახელი შეარქვეს აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ძველმა ქართველებმა დიდუბის (ცხენის ტერფი) ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის „დიდი უმარავლესობა... ენოლოგიური პერიოდისა, მცირე ნაწილი ძვ. წ. ა. I ათასწლეულის პირველი ნახევრისა და დანარჩენი კი ძვ. წ. ა. I ათასწლეულის II ნახევრის და ჩვ. წ. ა. პირველი საუკუნეებისა“⁸.

დიდუბის ტერიტორიაზე აღრეული ხანის ცხოვრების კვლის მიჩვენებელია დღემდე დღელენის რაიონში, კიკოვის ქარხანასთან 1953 წელს მიწის თხრისას ნაპოვნი II-I საუკ. (ძვ. წ. ა.) პართიის მეფის ფრაატ მეოთხის დროინდელი დრაქმა⁹.

როგორც დავინახეთ სახელი ცხენის ტერფი ერთხელ გვხვდება, შემდეგ მოგვიანებით XII-XIII საუკ. ამ ადგილის საკუთარ სახელად ჩნდება დიდუბე.

დიდუბე ორი სიტყვის ნაზავიდან არის წარმოქმნილი დიდი + დუბე.

დუბე — ვაყე, დაბლობი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვაა. დიდუბე საკუთარი სახელის მნიშვნელობით გვიან შუა საუკუნეებამდე აღარ გვხვდება. ამ სახელს ჩამოსცილდა მსაზღვრელი „დიდი“ და შემდეგი ხანის სიკვლე-გუგარებში შემოგვარჩა გეოგრაფიული ცნების ვაყის — დაბალი ადგილის შემცველ სიტყვად — „დუბე“. „მოკვალე: დუბის ვენაჟი, კვეის რუს: ქუე-შე...“ (1592 წ.)¹⁰. „...და ვაყევალი დუბე ზეით: (1659)¹¹. „...საწიქეთლოს: რომ გიტნს დუბეს ქუეშეთი...“ (1678)¹². „... ამ სამაღვროთ... ის დუბე: ვაყე: ადგილი და იმ დუბეს: იქით: რომ: კლდოვანი: სერსერი ჩასდევს“ (1707)¹³.

საბა თაბის ლექსიკონში სიტყვა დუბეს ასე ზნის: დუბე — დაბალი ადგილი, მეორე ქართული ლექსიკოლოგი ნიკო ჩუბინაშვილი „ქართულ ლექსიკონში“ დუბეს ასეთ განმარტებას აძლევს: დუბე — დაბალი ადგილი — ჩულო (დიდუბე ტფილისის ზეით მინდორი).

თბილისის გარემოს სახელთა წარმოშობას და წარმომავლობას არქვეს ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი „...დიდუბე — ფართო უბე ანუ წიაღი“¹⁴.

ბატონი იოსელიანი თბილისის სანახების

აღწერისას ამბობს, რომ აქ გაშენებული იყო: ორთაქალის, ღირსიჭვალის, კრწანისის, სედიბაბის, სოლოლაკის, გარეთუბნის, ვერძის, კუეყის, დიდუბის ბალები. აღსანიშნავია, რომ მკვლევართი დიდუბის ხსენების გავრცელების მისი ეტიმოლოგიის ასსნას: «Дидубинские — великая лощина...»¹⁵

Лощина — изменность, низко расположенная долина (Д. Ушаков).

Лощина — плоская изменность (В. Даль).

მოტანილი საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ დიდუბე ნაწარმოებია სიტყვა დუბე-დან.

დიდუბეს სხვა ასსნასაც უძებნიან, კერძოდ: ერთი გვიანი ხანის (1826) რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ: «...самое название бывшего села и укрепления Дидубе значит на грузинском языке большая пазуха... по обширности равнин и другого рода земель»¹⁶.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ სიტყვა დიდუბის წარმოშობას უკავშირებენ უბეს. დიდუბის წარმოშობალობას, როგორც ვენახით, თეიმურაზ ბაგრატიონის უბეს უკავშირებენ.

საინტერესოა რას წარმოადგენდა მე-12-13 საუკუნეების დიდუბე? რა ურთიერთობა ჰქონდა ქალაქთან? რა სახის მეურნეობას ეწეოდა აქაური მიწისმფლობელები?

სახელი დიდუბე ქართული ისტორიის ასპარეზიდან უკვალოდ ქრება კარგა ხანს, თითქმის მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე — მეჩვიდმეტე საუკუნემდე, რა იყო ამის მიზეზი?

XIII საუკუნეში ქალაქის პირიდან დიდუბის სახელის გაქრობა უთუოდ დაკავშირებულია XIII საუკუნის მეორე მეოთხედის მოვლენებთან.

საქართველოს სახელმწიფოს გარშემო თანდათან ჩნდება და იკრება ძლიერი მამამლიანური სამყაროს კოალიცია, ქართული ერთიანი სახელმწიფოს სიძლიერე ირყევა. საგარეო ფაქტორების ზემოქმედებით, გამდრებულ დამანგრეველი შემოსევების შედეგად, საქართველოში შიშვალა ნორმალური ცხოვრება.

გამათავსებელი მოკავშირეობის იმ საშინელებაზე, რაც მოჰყვა ქალაქ-ედნისის შემოსევას: „... და ესრეთ რა ძლიერად კვლთ იგლო ქალაქი სულტანმან, კუალად იწყო უბოროტესთა ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა, ესოდენ მკვინაყრად მოსრვიდა, რომელ საესე იყვნეს ფილოცნი, ხარაიონი და ქნარტენი მოკლულთა მიერ და უმრავლეს მკვდართა მტკეარსა შეუტეოდეს... იწყო რღუევად ეკლესიათა, ვიდრე საფუძვლადადრე აღფხრდა...“¹⁷.

შეიძლება დიდუბე ამ შემპარწუნებელი შემოსევების დროს განადგურდა.

დიდუბე რომ მხოლოდ დუბე-ვაყე, დაბალი, დაცემული, დაბლობი ადგილის გეოგრაფიული

ენების შემცველი სიტყვა უოფლიყო, რასაკვირველია, ის ქართული ისტორიოგრაფიიდან ისე უკვალოდ არ გაქრებოდა, ძველს ადგილს მისი სახელის ტრადიციულად აღდგენას საუკუნეები არ დასჭირდებოდა. ქალაქისპირიდან სახელი დიდების გაქრობა გვამდევს უფლებას ვთქვათ, რომ XIII-XIII საუკუნეებში აქ იყო დასახლებული პუნქტი. ამის ყველა პირობა არსებობდა — სარწყავი რუ. ცენტრალური გზა გატანილი „ქალაქის ქარიდან“ არაგვისაკენ, აქედან კი ჩრდილოეთისაკენ და დედაქალაქის სიახლოვე. ამის გარდა ძველ დიდუბის ტერიტორიაზე, შართალია, ძუნწად, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც საცხოვრისის, ბინადარი ცხოვრების მიმართულებული ისეთი ფაქტი, როგორცაა მდრკინიდან საქართველოში მიმოქცევილი არსებული ფულის — მონეტის მოპოვება. ეს არის 1938 წელს ლენინის რაიონში, საკილანო ქუჩა № 19-ში განაახლარში აღმოჩენილი XI საუკუნის ბიზანტიური, უსახელო მონეტის (საქ. სახ. მუზ. ნემინ. ვანუფილება საინვენტარო № 1091) და 1941 წელს პირველი მისის რაიონში, ორკონი-კიხის ქ. № 13-ში გახარისის ნაპოვნი XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ-სლავურული ვერცხლის ღრამა (საქ. მუზ. ნემინ. ვანუფილება საინვენტარო № 1151)¹⁸.

გარემო თუ შინაური მტერი დიდ დუბეს, დაბლობ ადგილს, თუ ეს მხოლოდ ამ მნიშვნელობით ხმაზობოდა, ვერაფერს დააყლებდნენ. ის გაჭრა როგორც დასახლებული პუნქტის სახელი. სწორედ დიდუბის, როგორც ადგილის, საკუთარი სახელის, გაქრობა ამართლებს ზემოთ გამოთქმული ჩვენი მოსახზების უტყუარობას, რომ დიდუბე სოფლის დასახლებული პუნქტის სახელი იყო და მისი მოსახზობის გაქრების, ტყვედ წასმის თუ აქედან ავრა-გადასახლებების შემდეგ იგი წვედეს თავის არსებობას.

ქალაქისპირა სოფლების, სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური უბნების, ქალაქთან სიახლოვე ამართობდა მათ დიდ მნიშვნელობას ქალაქის სამეურნეო და ეკონომიკურ ცხოვრებაში, უფრო მეტად ედებოდა ქალაქს მომარტებული ესა თუ ის დასახლებული პუნქტი.

დიდუბე თბილისის ახლოს მდებარე ერთერთი ავარათაგანია. შართალია, ჩვენს ხელთ არსებული არცერთი წერილობითი წყარო თუ ზეპირი გადმოცემა დიდუბეს ავარად არ ხსენიებს, მაგრამ არ უნდა დაგვიწყდეს, რომ მას პქონდა ყველა ის რწინი, უფრო ზუსტად — პირობა—რაც საჭიროა ავარისათვის: მეფის საღვთმი — სასახლე, კარის ეკლესია, სარწყავი რუ, რომელიც რწყავს დიდუბის მინდვრებს — ზურბს, ხოდაბუნებს და საჭორვებს, დიდუბის ველი მარტვე ადგილია დიდძალი ჯარის შესაყარედ და ძველმოსილი ბძილოს შემდეგ ნაოლფეის გამოსაფენად (1195). ისიც საგულისხმოა, რომ დიდუბე თავის მნიშვნელობას

და სახეს კარგავს ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური სძლიერის შერყევის, დაქინების და დაცემის შემდეგ. ჩვენი ქვეყნის ზედმუდმარტობაში მტკუნ ქალაქი, დამბა, სოფელი და ავრა შეიწირა. ზოგის არსებობაზე შემატარებები მოგვიხიბობენ, ზოგი კი ისე აღიგავა ამა ქვეყნიდან, რომ თუ არა არქეოლოგიის წერაყვინ, მათ სამართალი-მისო დავიწყება ეწერათ.

ქართული თუ უცხოელი მემატიანეები მოგვიხიბობენ და ავარწარენ იმ გამანადგურებელ შემოსევებსა და მათ შედეგებს, რომლებიც თავს დაატყდა საქართველოს, მის დედაქალაქ თბილისს და მის სანახებს XIII საუკუნის დასასრულს XVII საუკუნემდე ვაიკისენით XIII საუკუნის მესამე მეოთხედში ბათო უყენის შეილის, ბერტა უყენის ლაშქრობა. მისი მრავალრიცხოვანი ჯარის მიერ საქართველოს დალაშქრის შემდეგ აღზან-იეროს ქვემო წელი და მდინარე მტყვარის მარტენა ნაწილი ისე აობრდა და იავარტმნა, რომ რამდენიმე საუკუნის მანძილზე აქ მოსახლეობა აღარ გარჩენილა.¹⁹

ძველი დიდუბის, როგორც დასახლებული პუნქტის სოფლის ხელშეორედ წამოწევაში, ამქვეყნად დაბრუნებაში, დიდი წილი უღვებს მის წარსულს, იმას, რომ ძველდაც აქ იყო სოფელი ანდა სოფლური დასახლების შავჯარი ადგილი, ჯერ კიდევ არ წამოილიყო მესხეთრებიდან დიდუბის ველის სარწყავი რუს არსებობა.

სოფ. დიდუბის აღდგენა მაშინვე მოხდა, როგორც კი ამისათვის ობიექტური პირობები შეიქმნა.

ვახტანგ მეხეთის მეფობის ხანაშიც (1658-1676) არ შეწყვეტილა ის დიდი სააღმშენებლო სამუშაოები, რომლებიც დაიწყო როსტომის მეფობის დროს. შანაგაზის მეფობის ეპს ხელახლა დასახლებულა სოფელი დიდუბე ვახტანგის ძემ მეფე გიორგი XI აღამი შეაწერა დიდუბელთ. აღამის გადახდს გამო მეფე ვიორგი XI დიდუბელებს ათავისუფლებს უოველგვარი სახელმწიფო გამოსაღებისაგან: „... ბატონის მამის ჩვენის მეფის ვახტანგისა და დედის ჩვენის დედოფლის ჩაედამ უოფილის ბარათა-შეილის შეილის, ორბელის — შეილის ეკატერინესათვის. შათის სელისათვის დავდეფით აღამი იმავე მამის ჩვენის აუნებულს სოფელს დიდუბეს რუ გამოილო ავკალიდან და ილაშენა სოფელი და უნაყოფო შიწი ნაყოფიერ ყუ...“²⁰.

დიდუბის ველის დაუშეავეება, სოფლის მეურნეობისათვის გამოყენება ხელოვნური მორწყვის გარემო წარმოუდგენელია. ცნობილია, რომ მდინარე მტყვარი (მარტენა ნაპირი) საირიგაციოდ ვერ გამოიყენება, მოყოლებული მტკეთიდან ვიღრე ორთაქალისა და კრწანისის ბაღებამდე. ამ ადგილებში მდინარის გამოყენების ხელს

7. ამათობი, № 8.

უწლიდა მტკვრის ფლატე და კლდოვანი ნაპირი. ამიტომ დიდუბის ველის მოსარწყავად რუ უნდა გამოტანათ მდინარე არაველიან. ასეთი რუ ავადრეც არსებობდა: „... წიწმინა-ზაქსის ხაზზე ანტიკურ ხანაში საგარაუდლო სარწყავი სისტემის არსებობა: უნდა ვიფიქროთ, რომ ანტიკური ხანის არავის რუ ავქალა-ღრმადღეშ-ღეშ მინც იწინებოდა მიტანილი, რადგან ავქალა-ღრმდუბის შემდეგ რუს მოქმედების საგარაუდლო რაიონში ანტიკური ძეგლები არ ჩანს“²¹.

მკვლევარ ი. კიციციძის მოსაზრების მართებულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ვახტანგ V დროს ავქალიდან გამოიტანეს დიდუბის რუ. ჩვენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ძველი სარწყავი ტრასის — მდინარე არავი-ავქალა-ღრმადღეშ-ღეშ — აღდგენილი ხაზი, რომელიც არსებობდა და მოქმედებდა ანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, იგი ჯერ ვანახლა თამარ მეფემ დიდუბის ველის და თბილისის სინაზების მოსარწყავად, შემდეგ იგი მოიშალა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერის დაცემასთან ერთად, ხოლო იგივე ნარეული აღადგინეს, როგორც აღვნიშნეთ, ანდა ძველ ტრასაზე ხელახლა გამოიტანეს. ავქალიდან გამოტანილი დიდუბის რუ ტრადიციისამებრ ძველი ნარეული ადგილას უნდა ყოფილიყო. დიდუბის რუს შესახებ მისი ადგილმდებარეობის მისანიშნებლად გვეჩვენებდა გვიანი ხანის (XIX საუკუნის) საარქივო დოკუმენტის თანდართული გეოგრაფიული გეგმა²².

ჩვენი ხელ არსებული ქართული ისტორიული წყაროებით, საარქივო მასალით, რუკებით და გეგმებით შეძლებისდაგვარად ვაღვანეთ სოფ. დიდუბის ძველ მიწებს. მას სამხრეთ აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ჩუღურეთისა და კუკის მიწები, თელისხევიდან ვაუყვებოდა ჩრდილოეთის შიშართლებიან მელის გორა, სწორხაზოვან ვახტანგის გორა (უღრმურხილი თ. ბ.). ყენის გორა (ყენისა), სათათბირო გზა, ხევამარი და აქედან ჩაუყვებოდა მდინარე მტკვარს. დასავლეთიდან მას ესაზღვრებოდა მდინარე მტკვარი.

სოფ. დიდუბე წვემო ქართლის უციდურესი ჩრდილოეთი საზღვარია, „... კახეთის და ქართლის სამხედრო, ქვე-მხარის ყუროლ ფლატე...“²³. როგორც აღვნიშნეთ, ხევამარი სოფ. დიდუბეს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა და მას ყოფდა სოფ. ავქალისაგან.

ქართლი განიყოფოდა ოთხ სისპასებტოდ ანუ სადროშოდ. ვახუშტი ბაგრატიონს შედგენილი აქვს ქართლის რუკა, რომელზეც სათანადო ფერით აღნიშნული აქვს თითოეული სადროშო.

სოფ. დიდუბე ვახუშტის რუკაზე შეფერადებულია ყვითელი ფერით, ე. ი. იგი შედიოდა მეორე სისპასებტოში²⁴.

სპარსეთის ყენისათვის მისართმევი გამოსაღები ზარჯის მიხედვით ირკვევა, რომ სოფ. დი-

დუბე XVIII საუკუნის დასაწყისში მტკვარის მარცხენა ნაპირზე კარგა მოზრდილი და მჭიდრო დასახლება უნდა ყოფილიყო. „... მტკვარის მარცხენა ნაპირისათვის... დიდუბე... მდინარე...“²⁵. მინათუნი უღრმია ერთ მინათს, ე. ი. სოფელ დიდუბეს უნდა გამოეყო B მანეთი და 14 შერი მათი, როცა სოფ. დიდუბის მეზობლად მდებარე სოფლები — „სააკის ლილოს“ 9 აბაზი, ქვიციკის ლილოს“ მინათუნი 3 (6).

1721 წელს მოეწყო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისა და სოფელთა აღწერა. ეს აღწერა ჩვენთვის საინტერესოა იმიტომ, რომ ვიგებთ ამა თუ იმ სოფლის მფლობელის ვინაობას, სოფლის ეთნიკურ-ეროვნულ შემადგენლობას და სხვ. მოტანილი აღწერიდან ირკვევა, რომ სამეფო სოფელ დიდუბიდან საქართველის შემთხვევაში შეეძლოთ გამოეყვანათ 30 მოლა-შტრე, აქედან მეფის კუთვნილი 27 სახასო ყმაა, ხოლო მემაჟღე ვილაქიშვილის 3 მოლაშტრე ყმაა.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში ოსმალეთმა დაარღვია 1639 წელს სპარსეთთან დადებული ზავი და ქართლ-კახეთის ხელშეუვალობა ხელ-პყ. 1723 წელს ოსმალებმა დაიპყრეს თბილისი. ისევ აიჩინა ქვეყანა. ამ ადგილობის ეამს შარაგზისა და გზისპირა ბევრი სოფელი მოიშალა და აიყარა. ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობა გაიხიზნა მიუვალ მიუგზა და სახიზნებში. ვახუშტის საქართველოს რუკაზე დატანებული აქვს სოფ. დიდუბე. დასახლებულ ადგილას ახლავს პირობითი ნიშანი. რუკის თანდართულ ექსპლანატაჟში ამ პირობითი ნიშნის ახსნისას წერია: „ქვისტიანთ დაბა“. ე. ი. დიდუბის ტერტორია დასახლებულია და დაბად იყოფება.

1724 წელს საქართველოდან რუსეთის ხელ-მწიფის კარს სამხედრო დახმარების სათხოვნელად წამბრძნებული ქართლის მეფის ვახტანგ VI მავვირად ოსმალებმა 1725 წელს ქართლის მმართველად ისაყ ფაშა დასვეს.

1735 წელს ქართლში ოსმალები ყიზილბაშებმა შეევალეს.

ერთი თავისი თვითმყოფადობის და თავისთავადობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა. ხალხს ეს ბრძოლა ძვირად უჯდებოდა. ქვეყანა იცლებოდა მწარმოებელი ძალისაგან, რაც კი წარსულში გაკეთდა, აღდგა წელში გამართვა ვერ მოასწრო, ისევ ნაოხრად და ვერანად იქცა. შინაურ თავნება თავად-ბინაერთთა მიერ მშათა სიხლის ღვრას და ყმა-გლეხთა მოტაცობას, უცხოეთში გაყიდვას, დაერთო ლეკთა გამდამებელი თავრევი — აბრაგობა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა და ილაქს უწყვეტდა ქართველ ხალხს. ამის გამო სახელმწიფოში მოიშალა მეურნეობა, მოსახლეობის რიცხვი საბედისწეროდ შეეცირდა, სახელმწიფო

დაძაბუნდა. ლეკები ისეთი უტიფარნი და თავხედნი გახდნენ, რომ არაფერს აღარ ეუბებოდნენ. მემატიანე პაპუნა ორბელიანი მოვეითს-რობს: „ასე ვთამამდნენ (ლეკები, თ. ბ.) რომ ქალაქის პირიდან მუდამ ნაშოვარი შეიქმნა...“

ირანის შაჰი ნადირი 1738-1840 წლებში ინდოეთს ლაშქრობს. მას ამ ლაშქრობაში ახლავს ქართველი ბატონიშვილი ერეკლე თეიმურაზის ძე. შედის ძეს ინდოეთში ლაშქრობაში თან ახლდა ქართველი თავადზნაურობა. 1740 წლის წყალობის სიგელით ირეკვეა, რომ უველზე მეტად მეფის ძისადმი ერთგულებაში ინდოეთს თავი გამოუჩენია ვინმე გურგენიძეს, რისთვისაც მეფე თეიმურაზ II მას უბოძა დიდუბის შორაობა და თელავის მახრის ტარულობა. „...მამის დაგვეაყენით, და ვისმენეთ აჟა და მოხსენება თქვენი, და ესოდენის ჩვენი თავგანწირვით ერთგულობით სამსახური მოიხსენეთ და წყალობისა თვალთა მოგხედნით და შეგიწყალოთ, და გიბოძეთ თელავს ბაზრის ტარულობა, მერმე ნადირმა დაღისტანიდან შობრბუნდა და კარგათ ვემსახურებით და მივეგებებით, და ქართველ ბატონობა გვიბოძა, მაშინ ძველთვანც ჩვენი მამა პაპათაგან დიდუბის შორაობის წყალობა გვირდებოდათ, ჩვენი იბრავათ დიდუბის შორაობა გიბოძეთ როგორათაც ძველს სიგელში გეწერათ...“ ჩემ ქორანიონის უქმ. ბეჰედი აზის მეფე თეიმურაზისა.²⁶

უფრო მოგვიანებით, 1764 წელს ამგვარ სიგელს ხელმეორედ ამტკიცებს მეფე ერეკლე II და გურგენიძეებს ისევ დიდუბის შორაობას უმტკიცებს.

თეიმურაზ II მიერ ბოძებული სიგელიდან ირეკვეა რომ გურგენიძეთა გვარი ძველთაგან ფლობდა დიდუბის შორაობის სახელს (ადგილი დასაშვებია, რომ მათ სოფელს დიდუბის შორაობა უბოძა შაჰ-ნავაზმა).

როგორც უკვე ზემოთ აღენიშნეთ, XVIII საუკუნის 20-იან წლებიდან მოყოლებული ქართლ-კახეთს ძნელებდობის ხანა დაუდგა. მიუხედავად ამისა, მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში სოფ. დიდუბეს იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ქართულ ისტორიულ ძეგლებში.

1744 წელს ქართლში ბოლო მოეღო 20 წლის უმეფობის ხანას. ირანის შაჰმა ნადირმა თეიმურაზ II კახთა მეფის ერეკლე I ძე დანიშნა ქართლის მეფედ, ხოლო მისი ძე ერეკლე II კახეთს მეფედ. ეს ქართველი ერის დიდი გამარჯვება იყო. ამიტომ თეიმურაზის თბილისში შემობრძანება და ხელდასმა საერთო ეროვნულ ზემოდა იქცა. „... მოუვიდათ ეს სისაჩუქრისა ამბავი ბატონის-შვილს ერეკლეს. მაშინვე წაბანდა ქალაქს, გავიდნენ, დასცეს სევანი დიდუბეს, ჩამოხდა მას შინა, გავიდა იბრეიმ-ბეგი, მიუტანა რაყამი ხელმწიფისა და ხალათი ჩაიკეთა იქ და ეგრე შემობრძანდა ქალაქში: გაიგება მამა

თვისი, მიულოცეს ერთმანერთს და ეგრე შემობრძანდნენ...“²⁷

მემატიანე პაპუნა ორბელიანის მონაწირობაში ვხვდებით მეტად საჭირო ცნობას, კერძოდ: „გავიდნენ დასცეს სევანი²⁸ დიდუბეს, ჩამოხდა მას შინა...“ უკვე არ არის, რომ ერეკლე ბატონიშვილი „სევანს“ არ დადგამდა დიდუბეში ტრიალ შინდორზე ყუენის რაყამის და ხალათის მისაღებად.

ქართველებმა საკეთარი ძალით ვერაფერი გააწევეს მოძალებული ლეკთა თარეშის ასაღებად. გადაწედა იმიერკავკასიაში დაქირავებინით უცხო ჯარი და მათი საშუალებით გაეწიათ წინააღმდეგობა. 1754 წელს თეიმურაზ II და ერეკლე II მოწვევით ჩრდილოეთ კავკასიიდან ვაღმოვიდა ჩეჩენების, ყალმუხების, ჩიქების, ქისტების, ოსების, ნოღაელების და დღილევანისაგან შემდგარი დაქირავებული ჯარი. დაქირავებულ მეთაურობდა არაგვის ერისთავი ჯიშერი. ლაშქარი თბილისისაკენ მოემართება, მეტყერის მარცხენა ნაპირით: „გამოუძედა ერისთავი ჯიშერს და ჩამოიყენეს ქალაქს თბილისისა მახლობელ, დააყენეს დიდუბეს, დააყენეს მემანდარნი და უბოძეს უღუთა კმა საყოფელად მათდა“. მოგვიტობოს მემატიანე. მოტანილ ამბავში მოხსენებულია სახელმწიფო მიხელე მემანდრე. ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს დიდუბის ისტორიის გარკვევისათვის. ქვეყანაში მემანდრეს ევალებოდა: სახატიო სტუმრის მიღება-გაცილება, მგზავრობის ემს მისი პატივისცემა, უზრუნველყოფა მოსასვენებელი და ღამის გასათევი ბინით, სურსათ-სანარავებით. სტუმარი სადაც გაჩერდებოდა, მემანდრე მის სასარგებლოდ ვადისახდს კრებულა, ერთი სიტყვით, იგი მესტუმრება.²⁹ მემანდრის უფლება-მოვალეობაზე ასე ვრცლად იმტომ შეგჩრდით, რომ შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო არაგვის ერისთავის ჯიშერის და ლაშქარის დაბანაკება დიდუბეს. უფოთ ეს სოფელი ეკონომიკად იმდენად ღონიერი იყო, რომ მას შეეძლო მსპინძლობა გაეწია მოსულთათვის.

პაპუნა ორბელიანი დიდუბის შესახებ კიდევ ერთ ცნობას გვაწედას. 1756 წელს თებერვალში კახთა ბატონის ერეკლე II შეუღლემ დარეჯან დედოფალმა შვა ძე ლევან ბატონიშვილი. ეს სასიხარულო ამბავი შეესს საქართველოს ვასწედა. ზეიშში მონაწილეობის მისაღებად და მოსალოად აღმოსავლეთ საქართველოში იმერეთის კათალიკოზი ბესარიონიცი მიდის.

... კათალიკოზი იმერეთისა ბესარიონ, ძმა რაჰვის ერისთვისა: რა გარდმოვიდნენ საქართველოსა მიწაში და მოავებნენ თავადნი და მისცეს უღუთა საკადრად და კმა — საყოფელად მათდა მოახლადენენ რა ქალაქს, ჩამოიხდინენ დიდუბეს, მოავებნეს ბატონს. — შვილი გიორგი დაბაზისა ერნი, ჩინებულნი თავადნი, ყოველნი მოუძღვდენ ეგრე პატივით ქალაქსა შინა.³⁰

ქართული ისტორიკოსის შრომიდან ზემოთ მოცემული მონაცემით მართალია შერა ცნობებს გეგმუდის დიდუბის შესახებ, მაგრამ ისიც საჭიროა, რომ უცხოელთა აღწერის დიდუბის როგორც დასახლებული პუნქტის, სოფლის არსებობა აღებულ პერიოდში.

XVIII საუკუნის 60-იან წლების შემდეგ თითქმის საუკუნის დასასრულამდე (1796 წ.) სოფ. დიდუბე ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებში აღარ გვხვდება. გოლდენშტედტი, რომელმაც ჩვენში იმოგზაურა 1771-1772 წლებში, თავის ნაშრომში ახსენებს დიდუბის დასახლებულ ციხეს.³¹ მისივე საქართველოს 1772 წლის რუკაზე დატანილია დიდუბის გამაბრტყელებული ციხე. მოგზაურის მიერ დიდუბის ციხე-გოლდენშტედტის მდგომარეობაში ნახვა ლეონარდო-ნამუსტიჩზე მიგვიჩვენებს. ამის გამო უნდა იყოს ისიც, რომ 1781 წელს სოფელთა აღწერის სიაშიც ვერ ვხვდებით სოფელ დიდუბეს, მაგრამ მისი ასე პირველად გაქრობა თბილისის სანახებიდან, ისე, რომ არცერთი კომლი მცხოვრებელი არ დაჩვენებულა, ცოტა საცნაურად შეგვიჩინა, თითქმის დოკუმენტს (1781 წლის სოფელთა აღწერის სია) შემკრების და გამოშუქებულის — ფ. ჯავახიშვილის აზრით, აღწერა ნიუტაბთევიდ, ნაჩქარევიდ შედგენილია.³² 1781 წლის აღწერაში იმ დროს არსებული ბევრი სოფელი გამოტოვებული. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ არადავანც აღწერა ემსახურებოდა მხრითადაც სამხედრო საქმეს, კომლიდან მოლაშქრის გამოყვანას, ამ დროს სოფელი დიდუბე ისე უნდა უკიდვიყო დაძაბუნებული და ათვლებული, რომ მისი აღწერა საჭიროდ არ ჩათვალა. აღნიშნული აღწერის მიხედვით სოფ. კუკიაში სახლობენ დიდუბელი გლეხები.³³

ცოტა არ იყოს, უცნაურად ჩანს, რომ დიდუბელებმა საბუნებოდ ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ საცხოვრებლად აირჩიეს სოფ. კუკია, რომელიც ემიყნებოდა დიდუბეს. შეიძლება ეს განაპირობა სოფ. კუკიის ქალაქთან სიახლოვემ...

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი სოფ. დიდუბის მოსახლეობის აფრის მიზეზად ლეონთარეს ასახელებს, და სრულად სამართლიანადაც... «Бывшее там село Дидубе, опустившись нашествием лезгин еще до воцарения Ираклия II и часть жителей его поселились в предместьях Тифлиса так называемых Кукня и Чугурети».³⁴

მკვლევარი იმ ერთ აღვიღებ უშეშს უზუსტობას, როცა ლაპარაკობს, რომ ჯერ კიდევ მეფე ერეკლე II გამეფებამდე სოფ. დიდუბე აქარალი იყო ლეონთარესის გამო და მისი მოსახლეობა დასახლებული იყო სოფ. კუკიასა და ჩუღურეთში. მკვლევარს ჩვენ არ ვუთანხმებით დიდუბელების სოფ. კუკიაში დასახლებას.

დროის მითითებისას. კუკიაში დიდუბელები დასახლდნენ არა ერეკლე II გამეფებამდე, არამედ მისი მეფობის ხანაში და მის შემდგომად ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მეფე თეიმურაზ II 1740 წელს დიდუბის მოურავად წინასწარ გერგენიძეს, აღნიშნულ სიგელს ხელმოერად ამტკიცებს 1764 წელს მეფე ერეკლე II, ასევე დიდუბე იხსენიება 1744, 1754, 1756 წლებში. სამწუხაროდ, მოგზაური გოლდენშტედტი არაფერს ამბობს სოფ. დიდუბეზე. იგი იხსენებს მხოლოდ მის დასახლებულ, მიტოვებულ ციხე-გოლდენშტედტს. სოფ. დიდუბე, როგორც უკვე აღნიშნეთ, არც 1781 წლის აღწერაში ვხვდებით, სამაგიეროდ, XVIII საუკუნის ბოლოს 1796 წელს შედგენილ საბუთში მოხსენებულია სოფ. დიდუბე და არა მარტო მოხსენებულია, არამედ მისი მოსახლეობა იბეგრება კიდევ საბატონო გამოსაღებით, რაც უტყუარი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ დიდუბე დასახლებულია და იწოდება ქალაქისპირა სოფლად.

„ქ-ს უბდ, იანერის კვ, ქალაქის ნაბირის სოფლებს შუა შესწყებად ეს იმისი პირია რომელმან ისაღლად წოდენენ ისინიც აქა სწერიან... აქ დიდუბემ ურემი³⁵ ჩვენს მიერ მოპოვებული მეორე საბუთი, რომელიც ამარტებს პირველს, ლაღიდებს: „მ/ქ: დიდუბელთ ურემი³⁶. შირაინლ საბუთებში ყურადსაღებია ის ვარემობა, რომ ერთში — პირველში იხსენიებით სოფ. დიდუბეს ფორმით „დიდუბემ“, ე. ი. ლაპარაკია დიდუბეზე, დასახლებულ პუნქტზე, ხოლო მეორე საბუთში ვხვდებით ფორმა „დიდუბელთ“, ე. ი. დიდუბელებმა — სოფლის მოსახლეობამ, რაც იმაზე მიგვიჩვენებს, რომ ამ დროს სოფ. დიდუბეში მოსახლეობა არსებობს, რომელიც იბეგრება საბატონო გამოსაღებით — ურემი შერით.

1800 წელს გიორგი XII მეფლის შარამ დედოფლის მიერ რუსი ხელისუფლებისადმი წარდგენილი დოკუმენტი მოგვითხრობს, რომ სოფ. დიდუბეში მოსახლე ექვსი კომლი გლეხი უწყლობითაა ბატონიშვილებისათვის.³⁷

1803 წელს შედგენილი საბუთი გვამცნობს, რომ XIX საუკუნის დასაწყისისათვის დიდუბელები კუკიის სახლობენ და იქ იბეგრებან.³⁸

სახელი დიდუბე შერა ძველი სოფლის მცირე ტერიტორიას, რომელიც იფარგებოდა (შეახლოებით შეგვიძლია ამის მინიშნება თ. ზ.) დიდუბის ლეონთარესის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიით. დიდუბის ეკლესიის მოშორებით, ჩრდილოეთ დიდუბის მიწაზე, 1818 წელს საქართველოში ჩამოსახლებულ გერმანულ კოლონიტა ნაწილი დასახლდა. აქ გერმანელებმა შექმნეს თავიანთი კოლონია — ალექსანდროლოკი. მას „შორეულ ახალშენსაც“ უწოდებდნენ.³⁹

XIX საუკუნეში დიდუბეს აღარ დაბრუნებია ძველი დიდუბე.

XIX საუკუნის დასაწყისიდან წერილობით წყაროებში დიდებუ როგორც ცალკე არსებული სოფელი აღარ გვხვდება. დიდებულები სახლებიან სოფლებში კუკიას და ჩუღურეთში, ასევე ქალაქშიც.

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი სოფელ დიდებიდან მოსახლეობის გამოსვლასთან დაკავშირებით გვეწვდის საინტერესო ცნობას, თუმცა იგი არაა დაზღვეული ავტორისეული უზუსტობისაგან. წმ. ჭვრის ეკლესია 1815 წელს აკურთხა მიტროპოლიტმა ვარლამ ერისთავმა (1811-1817) «...для населения тамошнего в Кукии»⁴⁰, после переселения их из опустевшей деревни Дидубе»⁴¹.

მოტანილი მონაცემი მიგვანიშნებს, რომ სოფ. დიდებიდან გამოსულთ რიცხვი ამდენად მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ საქირო გამხდარა მათთვის სალოცავის აგება.

1813 წელს შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე დიდებუ უკვე აღარაა დატანილი. მოგვიანო ხანის 1884, 1887 წლებში შედგენილი თბილისის გეგმებზე დიდებუ კვლავ გვხვდება, მაგრამ იგი უკვე ქალაქ თბილისის ფარგლებშია მოქცეული და გეგმებზე ადგილის სახელწოდების სახითაა დატანილი.

სოფ. ჩუღურეთის მფლობელმა თავადმა ამბატუნმა ისარგებლა იმ ქაოსით, რაც სუფევდა XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში რუსული ხელისუფლების დამყარების გამო. შან ატეხა დავა-ჭარბა სოფ. ჩუღურეთის საზღვრების დადგენისათვის და სხვადასხვა ხერხებით — მოსყიდული მოწვევების, თვით ამბატუნის არასწორი ჩვენებების გამო ერთმანეთში აირია მეზობელი სოფლები: ჩუღურეთი, კუკიას და დიდების საზღვარი. კუკიელების და დიდებულების ვითომდა უფულებოდ და უსაფუძვლოდ დაყავებული სოფელ ჩუღურეთის მიწის სანაცვლოდ სასამართლომ ამბატუნს მიუზღია მიწის ნაკვეთი. «...Князю же Амагуну в месте селения Кукии отведена двойная пропорция, Дидубийский с обеих стороне старое крепости до большой дороги и поставлены столбы»⁴².

მოტანილი მონაცემი გვამცნობს, რომ ამბატუნს კუთვნილი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ დიდების ძველი ციხის ორივე მხარეს მიუღია ორმაგი პროპორცია მიწის ნაკვეთი.

სად მდებარეობდა დიდების ძველი ციხე? როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდების ციხის გალავნის შესახებ პირველად ცნობას ვეძიებთ გიულენშტედტი «...დიდიდან 1/2 საათში ვიწვითარ ქვიშა-ქვიანი მთა და ვავედიო მდინარე ჩუღურეთზე, რომელზედაც არის ქვის ხილი, აქედან ზედ მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე ჩანს დანგრეული დიდების ციხე»⁴³. ამ ცნობის უტყუარობაში შეიძლება გვიკ შეგვეტანა,

რადგანაც სოფ. დიდების მახლობლად სოფელში ქვემო და ზემო აქვალაშიც ციხე-გალავანი იყო შეიძლება უცხო მოგზაურს უნებლად მოსვლად შეეძლო, მაგრამ მოგზაურს და ვიწვებულ თვალს არ გამოჩენია მტკვრის მარცხენა მდებარე ქალაქისპირა სოფლების — ზემო და ქვემო აქვალის ციხე-გალავნები და მათ თანმიმდევრულად ჩამოთვლის: «... როგორც კი ამ კუთხეს შემოვლავით (ლაპარაკია ლევისნა-მუხლარზე ი. ბ.), მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე დაინახეთ დანგრეული ციხე ზემო აქვალა, ხოლო ერთი ვერსით ადრე სამხრეთით მდინარე აქვალის ხევის ჩრდილოეთ მხარეზე, ასევე დანგრეული სიმაგრე ქვემო აქვალა»⁴⁴. საინტერესოა, თბილისის მახლობელი მოგზაური რომელი ადგილიდან ხედავდა დიდების მიტოვებულ დანგრეულ ციხე-გალავანს?

მოგზაური გარკვევით წერს, რომ მდინარე ერისხეზე გადებულ ხილზე გასვლის შემდეგ დაინახა დიდების დანგრეული ციხე-გალავანი. გიულენშტედტი ხილზე გადასვლისთანავე ვერ დაინახავდა დიდებუს, რადგანაც იგი მოგზაურული იყო პატარა ქედს (რომელიც გაიჭრა 1935 წელს, ჩელუსკინელების სახელობის ქუჩა). მეზაურს რომ მტკვრის მარცხენა ნაპირი დენდა, ამისათვის უნდა ასეულო ანიშნულ ქედზე (რაც მას არ გაუქვებია), ანდა უნდა მისულოცო გზის გაყოფით სოფ. ვერამდე (დაახლოებით იქ, სადაც დღეს ვაშენებულთა კიროვის სახელობის პარკი), იქიდან ჩრდილოეთით მსვლება მდინარე მტკვრის ხეობა. მოგზაური უსათუოდ აქედან ხედავდა დიდების დანგრეულ ციხე-გალავანს. სამწუხაროდ, მოგზაური მხოლოდ ციხის ხსენებას სწერდება და არაფერს ამბობს მისი აღწერების, ფორმის, დანიშნულებისა და აგების თარიღის შესახებ. გიულენშტედტის მიერ მოწოდებული ცნობებიდან ვერც ციხე-გალავნის ზუსტ კოორდინატებს ვიგებთ.

ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთი საკითხის, ეკროდ, ციხე-გალავნის მდგომარეობის ზუსტ მინიშნებაში და მისი ფორმის გარკვევაში გვეხმარება მოსკოვის ცენტრალურ ისტორიულ-სამხედრო სახელმწიფო არქივში დაცული, ჩვენს მიერ ზემოთ აკავრებულ ნახსენებ ორი გვეგა — პირველი კაპიტან ჩუიკოს მიერ შედგენილი თბილისის 1800 წლის, ხოლო მეორე პოლკოვნიკ ტიხონოვის მიერ შედგენილი თბილისის უთარლო გვეგა.

აღნიშნულ გვეგებზე დიდების ციხე-გალავანია დატანილი. ჩუიკოს გვეგას აწერია: Раззаронное замok бывшего здеш селения Дидубе», ხოლო მეორეს — «Раззаренный замok бывшего сел. Дидуби».

ორივე გვეგაზე ციხე-გალავანი მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის სიახლოვეს დგას. მისი მდებარეობის ზუსტად მინიშნებაში გვეხმარება

ჩუიოს მიერ შედგენილ გეგმაზე დაბანლი დიდუბის ლევისმშობლის ეკლესია. გეგმაზე ეკლესიას აქვს წარწერა: «Грузинская церковь пресвятой богородицы». ეკლესია ციხე-გალავნის ჩრდილოეთითადა და ღვთისმშობლის ეკლესიის ადგილზე. თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ დიდუბის ციხე-გალავანი შევეძლოა მოვათავსოთ დაახლოებით აქ, სადაც დღეს „ღინამოს“ სტადიონია.

ზემოთ მოტანილი გეგმების მხედველი თუ ვიშკრელებთ, დიდუბის ციხე-გალავანი ყოფილა მოგრძო სწორკუთხა ფორმის. ოთხივე კუთხეში ცილინდრული ფორმის კოშკები ჰქონია დაბანლი. თუ ვაითვალისწინებთ გეგმის მასშტაბს — 100 საყენი ერთ დღემში, ციხე-გალავანი, არც თუ ისე პატარა მოცულობის უნდა ყოფილიყო. გეგმის მხედველი ციხე-გალავნის შიგნით სხვა ნაგებობა არ არის. გეგმით ვერ დგინდება ციხე-გალავნის სად ჰქონდა დაბანლი კარიბჭე და თუ ჰქონდა, რამდენი?

საინტერესოა, როდის ჩნდება ქართულ ზე-როთომოდლებში ციხე-გალავნის ტიპის ნაგებობები?

დიდუბის ციხე-გალავნის რაობის გარკვევაში გვეხმარება მისასადაგებელი მასალა, რომელიც სავანგებოდ გამოჩეული და შესწავლილი აქვს პ. ზაქარაიას. მკვლევარი ვეხება და აღწერს XVIII საუკუნის ქართლის ციხე-გალავნებს. იგი XVIII საუკუნეში გაჩენილ თავდაცვით ნაგებობებს უწოდებს „ახალი ტიპის“ სიმაგრეებს, ხალხი კი მათ „გალავანს“ ეძახდა. ციხე-გალავნები შენდებოდა გამაღილ, დაცემულ ადგილზე, მისი შივალეობა იყო უცაბედი, მოულოდნელი უბედურების შემთხვევაში სწრაფად შეიხუნა, შეიფარებინა სოფლის მოსახლეობა. ამიტომ მას ძველი ციხე-სიმაგრეების მიღვლი და ეიწრო შესასვლელების შიგერ, ფართო კარს — კარიბჭეს ატანდნენ.⁴⁵

როგორც მკვლევარი აღნიშნავს „ახალი ტიპის ციხე-გალავნის შექმნა ვანაპირობა ქართლ-კახეთის პოლიტიკურმა მდგომარეობამ — გაუთავებელმა ლეიანობამ. არაფინ იცოდა ამა თუ იმ სოფელს, დღის რომელ დროს, ან საიდან დაეცემოდა აბრავი — ლეკი. ყანაში გასული თუ საშვიარზე წასული ღლები — ხელსანი არ იყო უზრუნველყოფილი და არ იცოდა შინ მობრუნებისას როგორ დახედებოდა ოჯახი — მშვიდობით თუ აწიოკებულ-დარბეული. კარმიდამოთი მოშორებული თანასოფლელები თავს დამტყდარ უბედურებაში ერთმანეთს ვერ ეხმარებოდნენ. გაჭირვებამ ქართველი კაცის ცხოვრების დღის წესრიგში საერთო თავდაცვითი ნაგებობების აგების საკითხი დააყენა, სადაც შეეძლებოდა თავის შეფარება, შეიხუნა სოფლის მთელ მოსახლეობას — დღეს თუ პატარას, გლეხს თუ თავადანაწურს. „ციხე-გალავანში

დამცველი კარი მუდმივად არ იდგა, მას სკი-როების შემთხვევაში იყენებდნენ და მისი დაცვა ვეალებოდათ იმათ, ვინც შიგნით იმყოფებოდა. ე. ი. იგი სათემო იყო“.⁴⁶

ჩვენ ას ვიციოთ, სოფ. დიდუბის ციხე-გალავნის აგების ზუსტი თარიღი. ჟერჯერობით ამის შესახებ უტყვევი არაან ჩვენს ხელთ არსებული გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი წერილობითი წყაროები. სოფ. დიდუბის ციხე-გალავნის მახლობელი დათარიღების საშუალებას გვაძლევს ისტორიკოს სენია ჩხეიძის ნაშრომში მოტანილი ცნობა: „ამავე ქრონიკონსა (უტბ-1732 თ. ბ.) აშენი ისაყ დაშამ ციხე ფაქალასა, კოშკები დიდუბის ბოლოდა ატენის წყლამდის თორმეტი, სადაც ფონი იყო ლეკი გამოსავალი“.⁴⁷ იგივე ცნობას იმეორებს და ვაძლევს მარი ბროსი. „მოტანილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ ისაყ-ფაშას (1725-1735) დროს აგებულ ციხე-გალავანთა რიცხვში არაა დიდუბის ციხე-გალავანი. მართალია, მემატიაზე ლაპარაკობს მხოლოდ იმ ციხე-გალავანზე, რომელიც აავო და შეაკეთა ისაყ-ფაშამ მოძალებული ლეკთა თარეშის ასალავმად, მაგრამ არა გვცო-ნია, რომ მემატიაზე უზალოდ გამოჩენოდა სოფ. დიდუბე. ეფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ ისაყ-ფაშის დროს სოფ. დიდუბე არსებობს, აქ ჟერ კიდევ არ უნდა მდგარიყო ციხე-გალავანი. დიდუბის გალავანი 40-იან წლებში უნდა აგებულყო. „ციხე-გალავნები XVIII საუკუნის შუა ხანებში იგებოდა ქართლ-კახეთის მთელ ტერიტორიაზე“.⁴⁸ მართლაც, XVIII საუკუნის შუა ხანებში თბილისში ჩრდილოეთიდან მომავალი თითქმის ყველა საპატრიო სტუმარი ჩერდება დიდუბეში — 1744 წელს ერეკლე ბატონიშვილმა დასცა „სკვანი დიდუბეს“; 1754 წელს გიმურ არაგვის ერისთავი თავის ლაშქრით დააყენეს დიდუბეს; 1756 წელს ბესარიონ იმერეთის კათალიკოზი „ჩამოხდნენ დიდუბეს“. ვფიქრობთ, რომ თბილისის სიახლოვეს, დიდუბეში საპატრიო სტუმრის ჩამოსტომა — დაჩერება ამ დროს, ძნელდებობის ხანაში, კოცა დღის ყოველ დროში მოსალოდნელი იყო ლეკ-დამარბეულ, ამწიოკებულთა გამოჩენა, გაპირობებული უნდა ყოფილიყო სწორედ აქ მდგარი თავდაცვითი ნაგებობით, ციხე-გალავანით.

საქართველოს 1772 წლის რუკაზე დაბანლია დიდუბე — რუკა შედგენილა ლათინური ენაზე, სახელ დიდუბეს თან ახლავს გეოგრაფიული ნიშანი Δ. რუკასთანდართულ ექსპლიკაციაში ამ ნიშანს აქვს ახსნა Castellum desertum (გაპარტახებული ციხე-სიმაგრე).⁴⁹ გიულდენშტედტის მიერ აღწერილი ქალაქისპირას მდებარე დანგრეული, მტოგებელი ციხე-გალავნები მას-ვენებულთა ლეკთა გაუღმებელი და გამანადგურებელი რბევა-აწიოკების.

ლეიანობამ ისე შეაწუხა საქართველო, რომ სამეფო კარი იძულებული იყო მათ ასალავმ-

ვად და ერის ვალასარქენად 1774 წელს შეექმნა „მირიანო ქარი“. ამის შესახებ პარდუბარია მითითებული მორიგი ქარის განწინებამი: „... რადგანაც საქართველოს ქვეყანა ლეკთაგან ამდენს ხანს ამისთანას მოსვენებულს მტერობით შეიწერდა, და მიუთმენელს კიბის მიეცა, ჩვენც მრავალ გზის ბეგრ რაგის გაჩვილობით ვეცადენით, მაგრამ არ იქნა, რომ ასეთი წამალი და საქმე გვეყოფინა, რომ ჩვენის ქვეყნისათვის გვერავთ რაიმე და ამხანად ღლით ყველასაგან უმჯობესად და უკეთესად ეს გამოეჩინებოდა, და საერთოდ უველამ გამოიხინებოდა...“⁵¹.

საუკუნის 60-70-იან წლებში დანგრეული დიდუბის ციხე-გალავანი, ეტყობა, აღარ აღუდგინათ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით. XIX საუკუნეში რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულ საქართველოს აღარ ესაჩიროებოდა ხალხის გასახიზნავად თავდაცვითი ნაგებობანი — ციხე-გალავნები. დიდუბის ციხე-გალავანი გვეხდება ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები რუსი ოფიცერების ჩუიყოს და ტხოზნოვის მიერ შედგენილ ორ გეგმაზე და საარქივო მასალაში, სადაც იგი იხსენიება როგორც ძველი ციხე ანდა დიდუბის ციხე.

დიდუბის მეორე ზურთომობღერელი ძეგლი, რომელიც ჩვენ გვხვდება 1800 წლის გეგმაზე⁵² და უფრადლებას იქცევს, ესაა დიდუბის ეკლესია.

გეგმაზე დატანილი ეკლესიის მიხედვით ძნელია რაიმეს თქმა მისი სიღრმის, ფორმის თუ სხვათა შესახებ. გეგმიდან ვიგებთ, რომ ეკლესია ქართულია და ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული: «Грузинская церковь пресвятой богородицы».

1800 წ. გეგმაზე არ ჩანს ეკლესია დანგრეულია თუ მოქმედი. დიდუბის ეკლესიაზე ყველაზე აღრეულ, არაპირდაპირ ცნობას გვაწვდის მეფე თამარის დავით სოსლანზე ქორწინებასთან დაკავშირებით „ისტორიანი და აზმანი შარაენდღეთანი“-ს ავტორი: „და წარვიდეს დიდუბელი იმერანი და ამერანი, და წამოიქვეანეს დედოფალი და ვაზრდილი მისი დავით, რჩეული ღმრთობა მის, და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებას ტფილისისა, და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებელი კელმწიფობისა და სახელზეობისა მითისა“.⁵³ თამარ მეფის ქორწინების შესახებ ასევე ვგაიმცნობს ისტორიკოსი ბასილ ეზრსმოძღვარი: „არღარა ყოენეს, არამედ შეიყარნეს დიდუბეს, და შერთეს დავით თამარს“.⁵⁴ მართალია, შემატანებები უშუალოდ დიდუბის ეკლესიაზე არაფერს ამბობენ, მაგრამ თვით უტყუარი ფაქტი დიდუბეში მეფის სრასასობის არსებობისა და აქ ქორწილის გადახდისა გვაფიქრებინებს, რომ დიდუბეში სანახლესთან ერთად უნდა მდგარიყო კარის ეკლესია. მეფის სანახლე ხომ არ შეიძლებოდა კარის ეკლესიის გაბეჭე. თამარ მეფის დროს რომ დი-

დუბეში უსათოდ იდგა ეკლესია: ჩვენში გვას არ იჩვენებს. საუკუნოა და სათუთა ის მოსახრებანი, რომლებსაც გამოსთქვამდნენ ესტორიკოსებზე დიდუბის ძველი (XII საუკ.) ეკლესიის შესახებ, რომელმაც ვითომდა XIX საუკუნემდე მოაღწია. პლატონ იოსელიანი დიდუბეზე საუბრისას ამბობს, იქ მდგარი სანახლე მონღოლების შემოსვლამ იმსხვერპლაო, ოღონდ ძველი ეკლესია ბოლო დრომდე მოაღწიაო.⁵⁵ იგივე პლატონ იოსელიანი სხვა ნაშრომში უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს და აღწერს დიდუბის ეკლესიას: Церковь во время пресвятой Богородицы Иверской, существует на левом берегу р. Куры, в долине Дидубийский⁵⁶ в верстах от Тифлиса между двумя немецкими колониями. Жители Тифлиса приходят туда на поклонение в понедельник святой недели⁵⁶. Церковь эти лишена свода⁵⁷.

მკვლევარის აღწერის მიხედვით მის დროს ეკლესიის თალი ჰქონია ჩამონგრეული.

1907 წლის გზამკვლევის ავტორი პ. შამაგვესკი დიდუბის ტერიტორიაზე მდგარი ღვთისმშობლის ეკლესიის აგების თარიღად 1884 წ. ასახელებს: «прежний, древний церкви построенной царицей Тамарой нет, она разобрана и на ее месте построен в 1884 году новый храм»⁵⁸.

ნ. ფ. კლემენტევის მიერ თბილისის 1884 წელს შედგენილი გეგმაზე დატანილი დიდუბის ეკლესია და სსაფლაო ძნელია თბილისის გზამკვლევი — ცნობარის უარიტყვად მიღება, მიუხედავად იმისა, რომ XIX ს. თბილისის ზურთომობღერების მკვლევარი პრაფ. ვ. ბერძენი დიდუბის ეკლესიის აგების თარიღად 1884 წელს იღებს.⁵⁹ ჩვენ ვერცხვობით დიდუბეში მდგარი ეკლესიის აგების სხვა თარიღი არ გვაჩინია.

ტაძარში არის სამარხები, რომელთა ეპიტაფები ცოტათიდან ნათელს ფენენ ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ტაძარში შესასვლელის მარცხენა მხარეს, სამხრეთ კედელთან, რუსულ ენაზე შესრულებული სამარხის ეპიტაფია გვამცნობს, რომ ვინმე დანკვეიტი ვარდაცივლა და დაუკმაძალავ 1871 წლის 16 მაისს; ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან, ასევე რუსულ ენაზე შესრულებული ეპიტაფია გვაუწყებს, რომ აქ ამ ადგილზე განისვენებს ვინმე პოლოცინი ივანე ივანეს ძის შეენენკოს გვამი, ვარდაცივლა 1873 წლის 22 თებერვალს. მოტანილი ეპიტაფიები (1871, 1873 წწ.) საუკუნოს ზღიან შარავკისი და ვ. ბერძენის ცნობებს დიდუბის ეკლესიის აგების თარიღად 1884 წლის მისაჩვენად.

დიდუბის ტაძარში არსებული სამარხების წარწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომელიც გვაიმცნობს საუდრის აღმშენებლის ვინაობას. წარწერა შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე. იგი დატანილია ეკლესიის

სამხრეთ კეთილში, შესასვლელის მარჯვენა მხარეს, საყრდენების ახლოს. უფრო აღრეული ჩანს იატაკზე, მარმარილოს ფენაზე ქართულ ენაზე შესრულებული წარწერა. დროთა სვლისაგან წარწერა გაყვლებულა: „აჟა მდებარეობს გვაში დეკანოზ ბესარიონის სიმონის ძის ზედგენიძის აღმშენებლისა ამა ტაძრისა 71. ოკ... 1835 წ. 17 იანვარი 1893 წ.“

მოსასაზამე, საყდრის აღმშენებელი ყოფილა დეკანოზი ზედგენიძე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეპიტაფია არაფერს ვგატყობინებს ტაძრის აგების თარიღის შესახებ და არც იმას, ახლის ადგილას იდგა თუ არა ძველი საეკლესიო ნაგებობა.

დიდუბის ეკლესიის გარშემო ძველი სასაფლაო ყოფილა. ეკლესიის ეზო მოასფალტებულია და მხოლოდ რამდენიმე საფლავილია გადარჩენილი. ჩვენი მიერ ფიქსირებული და ამოკრეფილი საფლავის ქვებზე შემორჩენილი წარწერების მიხედვით იჩვენება, რომ დიდუბის სასაფლაო მოქმედი ყოფილა მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის 20-იან წლებამდე. წარწერებში მოხსენებულ მიცვალებულთა ვიწროებით დღინდება დიდუბეში მოსახლეთა ვინაობა: შუაქრიშვილი (1848 წ.), ნინო დოჩანაშვილი (1851 წ.), თეთრაძე (1861 წ.), სავანელი (1870 წ.) და სხვა.⁶⁰

დიდუბის ძველი სარწყავი არს ტრასის დადგენაში გვეხმარება დიდუბის ძველი სასაფლაოს ზუსტი ადგილმდებარეობის გარკვევა, როგორც უკვე ზემოთ დავის ადგილზე აღვნიშნეთ, ავკალიდან სოფ. დიდუბის მამულების მონაწილეად რუ გამოიტანა მეფე შაჰ-ნავაზმა. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის აზრით თამარ მეფისდროინდელი რუ გამოტანილი იყო, მდინარე არაგვიდან, *რომელიც სათავეს სადღაც სოფ. ვინაღის სიახლოვეს იღებდა. მეკლესიარა არა მარტო აღნიშნული ძველი რუს არსებობის ფაქტი იყის, არამედ იგი მისი ტრასის ნაშთებზე მივითითებ: «...и след той канавы по подшоше горной, которая будучи, проведена из р. Арагви у Жинвали, орошала соды и поля до Руставский лощины (Караяз) и далее...» (Платон Носселиани, Путевые записки... стр. 77-79).

მეკლესიარი აგრძელებს თხრობას და ამბობს, რომ აღნიშნული რუს აღდგენა ჯერ კიდევ მეფის ნაცულა — მიხეილ ვორონცოვის და შემდეგ ბარბატინსკის უცლიათ, მაგრამ უშედეგოდ. მათ მიერ შედგენილი პროექტები განუხორციელებელი დარჩენილა და ისინი კიდევ მოელიანო შემსრულებელ განმასობრელებულსო.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში-დაცულ, ჩვენს მიერ მიკვლეულ ერთ-ერთ საქმეს⁶¹ თან ახლავს დიდუბის ბაღების

გეგმა, რომელზეც დატანილია ორი მიწველარი. ერთს ეწოდება: «Большая канава Шихи-ру», ზოლად მეორეს, რომელზეც მტკვრის სიახლოვესა და პირველისაგან მის მარჯვენა დასავლეთითაა გატანილი, ეწოდება: «садовая канава». სარწყავი სისტემის თხრობის რუთა აღნიშნულ სახელთა თუ ტერმინთა (Ру, канава) სხვადასხვაობა მიუთითებს იმაზე, რომ ისინი სხვადასხვა დროს არიან გატანილი. ასევე მეორე სარწყავი თხრობის — ტრასის ფუნქციად უფრო ნათელია, იგი ადგილობრივი მნიშვნელობისაა და გამოხსენილია დიდუბის ბაღების მონაწილეად («садовая канава») იგი გველის მიხედვით სივრცითად არაა დიდუბის მდ. მტკვრისა და გატანილია მეორე სარწყავი სისტემის სახელი უფრო არქაული ჩანს (შიხის რუ) და ჩვენი ყურადღებაც სავანეზობლად მან მიიქცია. ვასარკვევია სოფ. დიდუბეს რომელ მხარეს ჩამოედოდა „შიხისრუ“.

ამ საკითხის გარკვევაში გვეხმარება ზუსტად მოხსენებელი დიდუბის ბაღების გეგმაზე რუსული ასო II-თა დატანილი დიდუბის სასაფლაო „შიხის რუ“ დიდუბის სასაფლაოს ჩაუვლის შორი-ახლოს, დასავლეთით, იგი მდ. მტკვრის პარალელურია და დაახლოებით იქ უნდა ყოფილიყო გატანილი, სადაც დღეს „დიდუბის“ სახელობის ქუჩაა. „შიხისრუ“ დიდუბის ბაღვენახების მონაწილეს შემდეგ სამხრეთისაკენ სოფ. ექუისაკენ მიდის.

თვით რუს სახელწოდება დამაბნელებელი ჩანს. უფრო სწორად, მისი სახელი „ციხის რუ“ უნდა იყოს, რომელიც, ფიქსირბობ, უნდა მიეღო რუს სათავესთან მდგარი რომელიღაც ციხე-გალანის ან ციხე-სიმაგრის გამო. ამ ტერმინს ჯერჯერობით სხვა ახსნა არა აქვს.

უკეს ვარაუდია, „ციხის რუ“-ს (შიხის რუ) სახით საქმე გვაქვს მეფე ვახტანგ V აველიდან დიდუბის გამოტანა აღდგენილ სარწყავ ტრასისთან. ჩვენნი და სხვაგანაც ხშირად ვგვხვდება ძველი ნარეკლების აღდგენა-გამოყენების ტრადიცია.

XIX საუკ. დიდუბის მიწები ეკუთვნოდათ და მასზე ბაღვენახები ჰქონდათ გაშენებული, ძველი დიდუბის მკვიდრთა — შუაქრიშვილებს, პაპასშვილებს, დოჩანაშვილებს, ბერეღაშვილებს... ექვიელ გლეხებს: — გიორგის და აბრამ იორდანიშვილებს, ვარდიულაშვილს... გერმანელ კოლონისტებს — გუსტავ-გაუქსს, ვაუტბრახს... თბილისში მცხოვრებლებს: ვიქოლოპოვებს, ზაერიევს, ბაიბაკოვს; მოქალაქე — აიგო ჩარაფაშვილს; თაუაღებს: ლორის მელიქიჯს, ამატკვლს.

70-იან წლებში დიდუბის ექმნელები იქაბრით აღებული ჰქონდა აზნაურ ლორთქიფანიძეს, რომელიც დესტინანში იხდიდა 39 მანეთს და 12¹/₂ კაზ. საერთოდ დიდუბის ძველ მიწაზე ბაღვენახები გაშენებული ჰქონდა 32 ოჯახს.

დიდების ტერიტორიაზე მცხოვრებ კუთვნილ გლეხებს ეძლეოდათ შეღავათი. ისინი თავიანთი ვენახებიდან შემოსავლის ათ პროცენტს იხდიდნენ კულტს. იმ შემთხვევაში, თუ სხვა მოსახლე, არა კუთვნილი იდებოდა მათ კუთვნილ მიწას, ახალმოსახლე აღნიშნულ შეღავათს კარგავდა.⁶²

ამ დროის (XIX საუკუნე II ნახ.) დიდების მიწების ზუსტ რაოდენობაზე წარმოდგენას გვაძლევს აღნიშნულ გეგმას (1856 წ.) თანდასრულებული გეგმა. დიდების აგარაკის ფართობი მოიცავდა 66 დესეტინას და 118 კვ. საევენს, აქედან 18 დესეტინა და 1800 კვ. საევენი უნდა შეეღობა ვეჯათ, რომლებიც გამოიყენებოდნენ მტკვარზე დასაფარებელი ხე-ტყის საწყობად, ხრეშისა და ქვიშის კარიერებად. სარწყავი არხების „ბაღისა“ და „შინის რუს“ ზევითა ფართობი მოიცავდა 47 დესეტინას და 1780 კვ. საევენს.⁶³

დღეს ძველი დიდების ტერიტორიაზე მიკროტოპონომიკის სახით არცთუ ისე ბევრი სახელი შემორჩენილია. მათგან ზოგი ძველია და ქირს მათი საფუძვლების და არსის დადგენა, ზოგი კი გასული საუკუნის წარმონაქმნი.

ძველი დიდების ტერიტორიაზე აღრეული სახელების დამოწმება ხერხდება ჩვენს ზღუდას არსებული, ძირითადად XIX საუკუნეში შედგენილი (რუსი ჩინოვიელების და სამხედრო პირთა მიერ) საქართველოს თუ თბილისის და მისი მიდამოების რუკებითა და გეგმებით. აღნიშნული რუკებისა და გეგმებზე არსებული ზოგადი სახელი სახელი დანახვას სალამბარაკო ლექსიკაში აღარ იხმარება და ამდენად მათი ზუსტი მინიშნება, ადგილმდებარეობის დადგენა და ეტიმოლოგიის ახსნა ქირს მიუღწევად ამ ხარეხებისა, ჩვენ მაინც შეეცადებოდნენ შეძლებისდაგვარად ზოგიერთი სახელი აღკვედნიან, მათი დღევანდელი ადგილმდებარეობა დაკვედნიან და ეტიმოლოგიაც აკვეხსნან.

ძველი სახელებია (შემორჩენილი): ზეე-ქმარა, ღრმა-ღელე, ყვენის გორა (ყენისი), ლოტკინის გორა (ლოტკინი), ლოტკის თავის გორა.

ახალი სახელებია: ნახალადე, ბოშათა დასახლება, ქუჩათა დასახლება.

დაკარგული სახელებია: თელის წყარო, სამგლეები, მკეკაანთ ზევი (?), უმზერას თავი, მავტუნის წყარო, მელის გორა, ვახილულის გორა, სათათო გზა, ბახუნდარის ზევი, ბახუნდარის გორა, ძემანარიანი ლელის თავის გორა, კვირიკობის გორა, მწარელების გორა, მწარე-ღელე.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მახლობლად მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდინარისაკენ დაშვებული თიოქმის ყველა ზევი უწყლოა — მშრალია. ზეეებში, ისევე როგორც ზევებში სხვა ადგილში, თავიანთი სახელი მიიღეს მდებარეობის

ანდა მათზე არსებული მცენარეულობისა და სივრცელების მიხედვით.

სახელი „ზეე-ქმარი“ თვითონ მიგვიჩვენებს ამ ზევის აგარაკიანობაზე. მეტრნერებისათვის იგი გამოუსადეგარი, უწყლო — მშრალი იყო. „ამ აგარაკის ბოლოს—აღნიშნავს ვახუშტი ბავრატონი—არს ზეე-ქმარი, ჩამოვარდების მშრალი ქვი თვითობის ლილოდან მტკვრამდე.“⁶⁴

„ღრმა-ღელე“ ისევე როგორც ზეე-ქმარი, მშრალი ზეეია. მასში დიდი წვიმების შემდეგ მოვარდნა იცოდა დიდმა ნიაღვრებმა. ლელიდან გადმოვარდნილი წყალი სასიკეთოს არას უქმნდა ახლობლო ნახანა-ნათესს.

„ყვენის“ გორის სახელი შემორჩენილი დღევანდელი ლენინის რაიონში ზეე-ქმარის დასახლებაში მდებარე გორას. იგი მდებარეობს თბილისის ზღვის უციდრეს დასავლეთით. გორისათვის ყვენის სახელის შერქმევა ამ ადგილისათვის საცნაურია და სხედასხვა აზრს ბადებს.

„ყვენის გორა“ შეიძლება აღნიშნულ ადგილს შერქმეოდა იმ თამაშობის თუ ნახანობის გამო, რომელიც იმართებოდა ზოგჯერ ყველიერში. მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, ყვენი ხომ აღნიშნულ თამაშში განასახელებლად და მოსახლენად მალა ადგილს ირჩევდა. შეიძლება აქ მოსახლე ხალხმა გორას „ყვენი“ შერქმეა იმის გამო, რომ აღნიშნული თამაშობისას ყვენი საქლომ ადგილად ამ გორას ირჩევდა.

სამგორის სანახებში ისეთი სახელების არსებობა, როგორცაა: კვირიკობის გორა, კვირიკობის ეკლესია, ყვენის გორა, მახათის მთაზე (მეხთა მთა) გლია — ილია წინაწარმეტყველის სახელზე მდგარი ეკლესია, შეიძლება ჩვენს მიერ ერთხელ გამოთქმულ აზრს აახებთებდეს, კერძოდ ძველად ამ მიდამოებში ქართველი მიწათმოქმედი უძველესი ტომის საცხოვრისზე მიგვიჩვენებდეს.⁶⁵

მეორე მხრივ კი, „ყვენის გორის“ სახელებს დიდების ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე „სათათო გზა“, „მწარელების ზევი“, ხოლო სამხრეთით „ბახუნდარის გორა“ (ბახუნდარე თერქული სიტყვათა ნახაია, ბეხან, ბახუნ — მზერა, ცქერა) და დარე, დერე (ზევი) შეიძლება ჩვენი ჭევენის ავბედითობის გამინდელი ისტორიის ერთ-ერთი მონაცვეთის გამოქმნილიცაა.

დღეს ძველი დიდების ტერიტორიაზე გვხვებით „ლოტკინის გორის“ დასახლებას. საინტერესოა საიდან შეერქვა ამ გორას ერთი შეხედვით სლავური ელერადობის სახელი (ვ. ბერიძე ლოტკინის გორას უწოდებს „ლოტკინის“ გორას, ჭეენის აზრით რუსულ ЛОТНА-ს ვაგენით). ამ საკითხის ახსნა მთლიანად ვერ შეეძლებოდა იდონდ პატარა კარტოგრაფიკი მაინც შეეძლებოდა ამ სახელის სწორედ წყობისათვის.

1848 წლის თბილისის მიდამოების გეგმაზე დატანილია (ზუსტად იქ, სადაც დღეს ლოტკინი

ნის მთა) გ. Лоткиставис гора, ბოლო მის-
ვან სამხრეთით გ. Лоткис гора. ჩვენ სა-
ვანგებოდ მოვიტანეთ წარწერა იმ სახით,
როგორცაა გვემზე დატანილი, რათა უფრო
თვალსაზრის გამხდარიყო ადგილის სახელის
ქართული წარმომავლობა. ეს რომ ასეა, ამასი
იორის ოდენა ეპეის შეტანაც კი არ შეიძლება.

დღევანდელი „ლოტიკინი“ რომ ძველი „ლო-
ტიკია“ იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენ დღეს ორი
„ლოტიკინი“ გვაქვს, „ლოტიკინის გორა“ და
„ლოტიკინის მთა“, როგორც ვნახეთ, გვემზე
ორი „ლოტიკია“. „ლოტიკის მთაზე“ წყაროა
(გვემით), ასევე დღევანდელი „ლოტიკინის
გორაზე“ გომარეთის ქუჩაზე მლაშე წყარო იყო
(რომელიც დასაღვეად უფარავსობისა და გამო-
უყვებლობის გამო გააუქმეს და ქუჩაზე გვა-
ვალ კანალიზაციის ქსელს შეერთეს).

„ლოტიკის თავის გორის“ ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთ ფერდის ძირში, „ილღვიანის ტბის“ სიახ-
ლოვს „თელას წყაროა“. დღეს ამ ადგილზეც
წყაროა, ოღონდ ის „ილღვის წყაროს“ სახელს
აღარებს. ნიშანდობლივია, რომ დღევანდელმა
მისასაღვობამ, რომელსაც აქ დასახლების სულ
რიალაც 30-40 წლის ისტორია აქვს, 86 არ იყის
ძველი სახელი „ლოტიკი“, მისი წარმომავლობა.
სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავადგინეთ სიტყვა
„ლოტიკის“ არსი. შეიძლება იმიტომაც, რომ
რომელიღაც ქართულმა სიტყვამ ჩვენამდე რე-
სულ ტრანსკრიპციით მოაღწია.

1872 წელს თბილისი — ფოთი რკინიგზის
ხაზის გასანა-ამუშავებას მოყვა ძველი დიდუ-
ბის ტერიტორიის უგვეგოდ დასახლება-ათეი-
სება. რკინიგზის მუშახელი ყოველგვარი ნებარ-
თის გარეშე თეთრფებრად ძალით იკავებ-
და. ცარიელა სამოსალოებს. ამის გამო
ახალშენს ეწოდა „ნაძალადევი“ რუსულად,
„Нахаловна“, მან თბილისის მიკროტოპონიმი-
კაში თავის ადგილი დაიკავა.

თავისუფალი მიწების „მიტაცების“ თავიდან
აცილებს მიზნით დიდებულში მიწების გაუიღ-
დის საქმეს სათავეში ადგილობრივი ხელისუფ-
ლება ჩაუდგა.

1874 წლის გაზეთი დროება (445, გვ. 4) აქვე-
ყნებს ოფიციალურ განცხადებას: „... დიდებუ-
ში ისყიდება ზომიერ ფასად საშისახლო ადგი-
ლები, რომელიც ვაუთენის სტატკი სოვეტნი-
კის ცალს ეკატერინე ნადიროვისას. შეუძლიანთ
იყიდონ ვისაც რამდენი სურს, ფასის შეტყობა
ნადიროვის მალაზიაში, ურევის შეიდანზე, თამა-
შშევის ქარვასლის პირდაპირ შეიძლება“.

რკინიგზამ ძველი დიდუბის ტერიტორია ორ
ნაწილად გაყო: რკინიგზის ვაღმა — აღმოსავ-
ლეთით „ნაძალადევი“ ვაშენდა, გამოღვა —
დასავლეთ ნაწილს კი შერბა ძველი სახელი —
დიდებუ.

XIX საუკუნის 70-იან წლებში დიდუბის და-
უსახლებელი მიწების ათვისების შედეგად,

დიდებუ მჭიდროდ შეემაჩნა ქალაქს, კი, კი
დროს დასევა საკითხი — მისი თბილისთან შე-
ერთების შესახებ. დიდუბის აუთენსიტიკური და
დაუსახლებელი მიწა ხაზინას ვადაცა.

ამგვირად, ჩვენს ხელთ არსებული მკუ-
და მჭირი დოკუმენტური მასალით და წყაროე-
ბით დიდებუ თავდაპირველად ჩანს როგორც
საქართველოს ერთიანი და ძლიერი სახელმწი-
ფის მეფის ქალაქისპირა ერთ-ერთი რეზიდენ-
ცია (სასახლით, კარს ეკლესიით, ველ-მინდვრე-
ბით, სარწყავი რუთი).

მე-17 საუკუნეში ქართლ-კახეთის სახელმწი-
ფოს მშვიდობიანობის ეამს, ვახტანგ V მეფო-
ბის ხანაში (1658-1676) დიდებუ სოფელია, და-
წინაურებული სოფლის მეურნეობით, ამის უცი-
ლობელი პირობები არსებობდა: ველ-მინდვრე-
ბი, ავჰალიდან გამოტანილი სარწყავი რუ და
შეღირებით მჭიდროდ დასახლებული მოსახ-
ლეობა.

სოფ. დიდებუ, ჩვენს თვალსაწიერს დროდა-
დრო მიფარების მიუხედავად, მეტბრამეტე საფ-
კენემდე საბუნური დასახლებაა, რომელიც
იბეგება სოფლის სხვადასხვა გამოსაღობით.

XVIII საუკუნის მიწურულიდან (1796 წლის
შემდეგ) და XX საუკუნის დასაწყისიდან სოფ.
დიდებუ აღარ არსებობდა. მისი მისასაღვობა გა-
ფანტული და ვახიზუნელია ქალაქისპირა სხვა-
დასხვა სოფლებში, კერძოდ კი კეკისა, ჩუღუ-
რეთსა და თვით ქალაქ თბილისში.

შენიშვნები:

1 დიდუბის ტერიტორიასთან დაკავშირებით მეტად
საინტერესო ცნობას მივაქვლიეთ მოსკოვის სამ-
ხედრო ისტორიულ არქივში, სადაც დაცულია
საქართველოს 1743 წლის რუკა: „ევრაიის ქვე-
ყანა, Иверская земля, საქართველოს ქვე-
ყნები“ ასე ეწოდება აღნიშნულ საბუნო, რომელ-
იც შედგენილია ქართლს და რუსულ ენებზე-
რუკის შემდგენლის ეინაობას გვაძინებს წარ-
წერა, იგი ყოფილა საველე არტილერიის კაპტე-
ნარმუსი ვინმე დანილა (დემიანოვი). რუკას უხის
თარიღი 1743 წლის ნოემბერი, მოსკოვი.

დამოწმებულ რუკაზე დაახლოებით იქ, სადაც
უნდა ყოფილიყო აღნიშვნა დიდებუ, წარწერაა
„ხერთვისი, Хертнас“, შეიძლება გვეფიქრა,
რომ სახელი ხერთვისი ეუთვნოდეს მდინარე-
ბის არავისა და შტეტრის შესაყარზე მდებარე
რომელიმე ადგილს, მაგრამ რუკაზე დატანილია
ჩვენთვის ცნობილი თითქმის ყველა მუნატი:
მცხეთა, ჭვარა, ზუღაზენი, სამგორი, მხოლოდ
ავჰალა და დიდებუ არაა. ჩვენს ხელთ არსებუ-
ლი ცნობებებს მიხედვით ეს ერთადერთი შემ-
თხვევაა, როცა აღნიშნულ ადგილს ხერთვისს
უწოდებენ. საკითხავია: აქ ამ სახელის ვაჩენს
სამხრეთ საქართველოში მდებარე ძველი ხერ-
თვისის დიდუბის გამოძახილი ზომ არ არის?

2 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, 1965
წ., გვ. 9.

3 ბასილ ეზოსმოდგარი, ცხოვრება მეფეთ-
მეფისა თამარის, ქს. ც-ბ, ტ. 2, 1959, გვ. 122.

4 ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი,
ქს. ც-ბ, ტ. 2, 1959 წ. გვ. 47.

5 ბასილ ეზოსმოდგარი, ცხოვრება მეფეთ-
მეფისა თამარისი, ქს. ც-ბ, ტ. 2, 1959 წ.
გვ. 128.

6 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 179.

7 ვახუშტი, აღწერა... 1941, გვ. 54.

8 დ. ქორიძე, — თბილისის არქეოლოგიური
ძეგლები, ნაწ. II, 1958, გვ. 43; სამწუხარ-
ოდ, ამის შემდეგ დიდუბის ტერიტორიას
ალარ შიშვებია არქეოლოგიის წერაყენი და ბა-
რი. დასაბანი, რომ გვიანი ხანის დიდუბის ის-
ტორიის გამოსაყენად მეტად მკლედ მო-
გვეპოვება განათხარი მასალა.

9 შოტანილი ცნობის მოწოდებისათვის დად
მალღობას ეუძღვნით პროფესორ დ. კახანაძეს.

10 სარ. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები,
წიგნი III, 1913, გვ. 83.

11 აკად. კორ. კეკელიძის სახელობის საქ.
ზღნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd — 1588.

12 საქ. ზღნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd.

13 სარ. კაკაბაძე, ისტორიული საბუთება,
წიგნი V, 1913, გვ. 12.

14 თეიმურაზ ბაგრატიონი, ტფილისისათვის,
1838, სანქტ-პეტერბურგი, მ. ბროსეს კოლექ-
ცია. E82 (E—156), ლენინგრადის აზიის ხალხ-
თა ინსტიტუტი.

15 Платон Иселлиани, Описание древи.
г. Тифлиса, 1866 г., стр. 271.

16 საქ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 2, აღწ. 1,
საქმე 1553, გვ. 36.

17 ქართლის ცხოვრება, ტ. 2, სიმონ ყაუხჩი-
შვილის რედაქციით, 1959 წ.; გვ. 177.

18 ამ ცნობის მოწოდებისათვის მალღობას
ეწერათ პროფესორ დ. კახანაძეს.

19 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახე-
ლძქვეანდო, 1958 წ., გვ. 237.

20 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქ. სოც.
ისტ-დან, ტ. I, 1940 წ., გვ. 72.

21 ი. კიკელიძე, მორწყვა ძველ საქართველოში,
1963 წ., გვ. 87-88.

22 საქ. ცენტრალური-სახ. არქივი, ფ. 192,
აღწ. 8 საქ. 654, გვ. 23.

23 დასტურლამალი, პეტრე უმიკაშვილის გამო-
ცემით, 1886 წ., გვ. 44.

24 საქ. ცენტრ. სახ. არქივი, კოლექცია № 1445,
ზღნაწერი № 105.

25 დასტურლამალი, პეტრე უმიკაშვილის გა-
მოცემით, 1886 წ., გვ. 103.

26 საქართველოს ცენტრ. სახელმწიფო არქი-
ვი, ფ. 226 კოლექცია 9662.

27 პაპუნა ორბელიანი — იმბანე ქართლისა-
ნი, საქართველოს ცხოვრება. 1913, გვ. 91-92.

28 სეიანი ბოძებზე შემდგარი ძვირფასი ქსოვი-
ლისაგან დამზადებული კარავია.

29 ივ. სურგულაძე, — საქართველოს სახელმწი-
ფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952 წ.,
გვ. 275-276.

30 პაპუნა ორბელიანი, — დასახელებული ნაშ-
როში, გვ. 232.

31 გიულდენშტეტლის მოგზაურობა საქარ-
თეთლოში, ტ. I, გ. გელაშვილის რედაქციით,
1962, გვ. 67.

32 ივ. ჯავახიშვილი, — საქართველოს ეკონო-
მიური ისტორიის საკითხები, ტ. 1, 1967, გვ. 157.

33 დასახელებული ნაშრომი, გვ. 161.

34 Платон Иселлиани, Описание древи.
г. Тифлиса, 1866 г. стр. 262.

35 საქ. ცენტრ. სახ. არქივი, კოლექცია 1704.

36 საქ. ცენტრ. სახ. არქივი, კოლექცია 1703.

37 Акты, т. I, стр. 216.

38 ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონ. ისტ-
სთვის, ნაწ. 3, 1955 წ., გვ. 141.

39 მ. ჯანაშვილი, საქართველოს დედაქალაქი
ტფილისი, 1893 წ. გვ. 9.

40 პლატონ იოსელიანი ცდება წმ. გერის ეკ-
ლესიის აღგენის მიზნებისას. როგორც არა
ერთგზის აღგენისთვის ამ სახეობის გელაშვი-
ლიდა არა კუკიაში, არამედ სოფ. ჩუღურეთში.

41 Платон Иселлиани, Описание древи.
г. Тифлиса, 1866 г., стр. 86.

42 საქ. ცენტრალური სახ. არქივი, ფ. 2, აღწ.
1, საქმე 1553, გვ. 50.

43 გიულდენშტეტლის მოგზაურობა საქარ-
თეთლოში, გ. გელაშვილის რედაქციით, ტომი II,
1962 წ., გვ. 61.

44 დასახელებული ნაშრომი, იქვე.

45 პ. ზაქარაია, თავდაცვითი ლონისძიებანი
XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, საქ. სახ. მე-
ზურეპის მოამბე, ტ. XXVIII, 1967, გვ. 238-243.

46 პ. ზაქარაია, დასახელებული ნაშრომი, გვ.
238.

47 სენია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, საქარ-
თეთლოს ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოცემით,
1913, გვ. 45.

48 მარი ბროსე — საქართველოს ისტორია,
1900 გვ. 68.

49 პ. ზაქარაია, — დასახელებული ნაშრომი,
გვ. 242.

50 ვ. გამრეკელი, — საქართველოს 1772
წლის რუკა, 1964, გვ. 45.

51 ექ. თაყაიშვილი, — საქართველოს სიძე-
ვნი, ტ. I, 1920 გვ. 177.

52 ЦГИА. ф. ВУА, д. 19807.

53 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის
რედაქციით, ტ. 2, 1959, გვ. 122.

54 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის
რედაქციით, ტ. 2, 1959, გვ. 47.

55 Платон Иселлиани, Путевые записки
от Тифлиса до Мцхети, 1871 г., стр. 79.

56 Платон Иселлиани, Описан. древи.
г. Тифлиса, 1866 г., стр. 262.

57 დიდუბის საყდარში ორშაბათობით სა-

ლოცავდ მოსელა ხომ არ ღაღადებს იმაზე, რომ აქ ძველად ორშაბათობას მთვარის სახელზე მღვარეყო რაიმე სალოცავი.

⁵⁸ П. Ф. Шамраевский, Путеводитель-Справочник по гор. Тифлису на 1907 г., стр. 44—45.

⁵⁹ ვ. ბერიძე, თბილისის ხერათმომძღვრება, 1801-1917 ტ. II, 1963, გვ. 75.

⁶⁰ აღსანიშნავია, რომ 1781 წლის აღწერაში მოხსენებული სოფ. კუკიის მცხოვრებთა სიაში ვხვდებით დიდებულებს გვარად: შუაჭრი-შვილებს, დოზანაშვილებს. ჩანს, ეს გვარები სოფ. დიდუბის შვეიდრია და ძველ მოსახლედ ჩანს.

⁶¹ საქ. ცენტრ. სახ. არქივი ფ. 192, აღწ. 8, საქმე 654 გვ. 43.

⁶² საქ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 192, აღწ. 8, საქმე 654, გვ. 45.

⁶³ დასახელებული დოკუმენტი, გვ. 4.

⁶⁴ ვახუშტი, აღწერა... გვ. 94.

⁶⁵ თ. ბერიძე, ძველი თბილისის მკვლევარობა-ნიმუიდან, ქურონალი „მნათობი“, 1968, № 6 გვ. 138.

⁶⁶ ამჟამინდელი ქართული მოსახლეობა ჩამოსახლებულია ქვემო ქართლიდან ძირითადად სოფ. გომარეთიდან ამიტომ არის, რომ აქ 7 ტუჩა გომარეთის სახელობისაა. ლოტიკის გორა მათი დასახლების დროს უკაცრიელი ადგილი იყო. ისინი მისდევდნენ შესაქონლეობას — მეცხვარეობას. 1941-1942 წლებში ლოტიკის გორაზე ჩნდება ქურთებისა და ბოშათა, ახალი დასახლებები, აქვეა ქურთების სასაფლაოც. ამ გორას ადგილობრივი მოსახლეობა ქურთების სასაფლაოს ეძახის. ბოშათა დასახელების მისანიშნებლად აქ არის მოლდაუნის სახელობის ტუჩა.

ისამ პეტრე იბერიელის ძბრთული „ცხოვრების“ გამომ

I. კასუსი რეკლიკაჲ

ქრწნალ „მწათობის“ 1970 წლის № 3-ში დაბეჭდლა ჩვენი ვრცელი გამოკვლევა „პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხებში“. ნაშრომის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ვვეჩვენებინა XIII ს-ში სიჩოულიდან მაკარი მესხის მიერ (მასზე არავითარი ცნობები არ შენახულა) თარგმნილ-გადმოკეთებული „პეტრე ქართველის ცხოვრების“ ფალსიფიკაციური ხასიათი.

პეტრე იბერიელის ცხოვრება საერთოდ ქართული და უცხოელი მკვლევარების ყურადღებას იქცევს. პეტრე უშუალო მოწმე (და ნაწილობრივ აქტიური მონაწილეც) იყო ორი რელიგიური პარტიის — მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების სასტიკი ბრძოლებისა. ქართული პეტრე პალესტინა-სირიაში „მონოფიზიტების ბურჯი“ იყო (ივ. ჯავახიშვილი). მართლმადიდებელ (ე. ი. დიოფიზიტ ანუ ქალკედონისტ) მაკარი მესხსა და მის რედაქტორს დეიანოზ პაულეს (XIII და XV სს.) ეს პეტრე თავის დროის შესაბამისად დიოფიზიტად უწევდოდა, ხოლო კერძოდ რედაქტორს თარგმანის ფურცლებამოილი ნუსხა თავისებურად დაურღვევია, დაურთავს წინასიტყვაობა, „გაუერცლებია სასწაულებით“, ხოლო „ბოლოც კეთილად დაუსრულდება“. ყოველივე ამას თვითონ რედაქტორი წერს თავის ანდერძში, რომელსაც „ანდერძი მმართველისა“ ეწოდება. სწორედ ამ კეთილად დასრულებულ „ბოლოში“, მაკარის ანდერძის წინ, პეტრე იბერიის ცნობილი ბერძენი ბიოგრაფი ზაქარია (რიტორი ანუ სეოლასტიკოსი) რედაქტორს „ზაქარია ქართველად“ უპყვია, რადგან „პეტრეს ცხოვრების“ სირიული ტექსტის ნამდვილი ავტორი იოანე რუფუსი მთარგმნელ-შემკეთებლისათვის (მაკარისათვის)

უცნობი ყოფილა, ხოლო ზაქარია (რიტორის) თხზულებებს კი იგი კარგად იცნობდა.

ამ ძირითადი დებულების დასაბუთებას მიეძღვნა ჩვენი გამოკვლევა შრავალი არგუმენტის გათვალისწინებით. რადგან 1912 წლიდან მაკარის თარგმანის სირიული დედნის ავტორი უკვე საბოლოოდ დადგენილია (იგი პეტრეს მოწმე და ბიოგრაფი, ანტიოქიელი იოანე რუფუსია, ხოლო ქართული „ცხოვრება“ ძირითადად ამ ავტორისა და ნაწილობრივ ზაქარია რიტორის ცალკეულ თხზულებათაგან ამოღებულ პასაჟებს ემუარება) ეს გარემოება თავისთავად და სრულიად უდავოდ აქარწყლებს გამოგონილ „ზაქარია ქართველს“ და მას ფაქტობრივად აქცევს.

რომ „ზაქარია ქართველი“ არ არსებობდა, ეს აზრი ბევრ გამოჩენილ მეცნიერს (ჩვენში და საზღვარგარეთ) გამოუთქვამს ჩვენამდე, მაგრამ ზოგადად. „მწათობში“ ჩვენს მიერ მოტანილმა პარალელურმა ადგილებმა რუფუსის „ცხოვრებიდან“ და ქართულ პეტრეს „ცხოვრებიდან“ (მაკარის ვერსიიდან) აღნიშნული მონაწილე იქმნიდა ნეკროტიკულად დასაბუთებს.

ფილოლოგიაში ყოველგვარი სიახლე და ტრადიციული შეხედულების წინააღმდეგ დასაბუთებული აზრის გამოთქმა მუდამ იწვევს საკითხებში ღრმად ჩახედულთა მოწონებას. მიუხედავად ამისა, ჩვენში ზოგიერთი ნეკროტიკულად განწყობილი ამ ნაშრომის მიმართ, შგონი ისინი, რომელნიც ალბათ ფიქრობენ რომ პეტრე იბერიის ბიოგრაფიის კვლევა შაჲს მონოპოლიას შეადგენს, ან კიდევ ისინი, ვინც ქართულ პარაგრაფებზე მსჯელობას მარტოაღენ თავიანთი კვლევითი სენიორიის ფარგლებში ვარაუდობენ. ასეთი რამის უფლება თვით კორნელი კეკელიძეს არ მიუცია თავის თავისათვის. მაგრამ ამჟამად ეს ვასაყვირი არაა!

ქართული ავიაგრაფიული ძეგლები მცენიერულად გამოცემულია, მათი ანალიზის უფლება კი ყველას აქვს. ამ უფლებაზე მონაპოლის გამოცხადება, მეტი რომ არა ვთქვათ, პროვინციული მოვლენაა.

საწიგნაროდ, ჩვენი ნაშრომის წინააღმდეგ განწყობილია შორის მოულოდნელად აღმოჩნდა მეკლევარი ი. ლილაშვილი. მან ჯერ კიდევ 1970 წლის 23 ივნისს წაიკითხა მოხსენება „პეტრე იბერიელის ცხოვრების ავტორის ენათმეცნიერის“, რომლის თეზისები დაწერილებით განვიხილეთ პრესაში (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, 7, 14 და 21 აგვისტოს №№). მოხსენებელს მიზნად დაუსახავს ელ. შვარტცის მიგნებარინხარდ რაბეს მიერ 1895 წელს „ანონიმის“ სახელით გამოცემული „პეტრეს ცხოვრების“ სირიული ტექსტის (ბერძნული ორიგინალი დაკავშირებულია) ნამდვილი ავტორი რომ ავტოქელი იონე რუფუსია — გეფანტა. ჩვენ ვიცოდოდ ვილაპარაკეთ ელ. შვარტცის მიგნებზე და დამატებითი არგუმენტებით დავსაბუთეთ იგი. მეკლევარზე არც ამ არგუმენტებმა გასჭრეს. უაღრესად დელიკატური ფორმით დაწერილ სტატიაში („ჩვენი კოლეგა“, „გამოცდილი ფილოლოგი“ და ა. შ.) ვაჩვენოდა თვითველი პარაგრაფი მისი მოხსენების თეზისებისა და, ეფექტობით, მათი ზედახდა გადაკეთება ავტორის იმეად არტუ დიდ სიხარულს ანიჭებს.

მცენიერული ობიექტურობა მოითხოვს, რომ მიიღო შენიშვნები, რომლებიც თითქმის ზედმეტად დასაბუთებულია. მეკლევარმა კი, როგორც ჩანს, ჩემთვის გაუგებარი ბოღმა გულში დაიკრავა, შეცდომების დელიკატური მხილება არ მოეწონა და „რევანშის“ აღების მიზნით შეორეღ, შეიღი თვის დამდეგ კვლავ სცადა ჩვენი დებულებების დარღვევა. მაგრამ წინასწარ უნდა ვთქვა, რომ რევანშის მოგვარულად მართო პოლიტიკაში როდი ვაგებრებათ ხოლმე საბედისწერო შეცდომები. ასეთი ზრახვებით სიარულს არავის ეტრევეთ.

„რევანში“ კი არაა საჭირო, არამედ თვითველი არგუმენტის ვაბათილება. შექმლო კი ეს ჩვენმა პოლემისტმა? ოდნავადაც ვერა. მეტიც: თვის ძველ შეცდომებს ახალი შეცდომები მიუმატა და, საკუთარი შეხედულების დაცვის მიზნით (რის უფლებაც ყველას აქვს) ახალი თვალსაზრისი განავითარა.

1970 წლის 16 დეკემბერს ჩვენმა პოლემისტმა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამცენიერო სესიაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ზაქარია რიტორი, ზაქარია ქართველი და მათი თხზულებანი“. თეზისები დაბეჭდილია (იხ., 1970) და იგი ლიტერატურულ დოკუმენტს წარმოადგენს. მოხსენების თეზისებს უპირავეს 16-17 გვ. გვ. (არა მოლონად). მათი დასაბუთე-

ზისას არც ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი მოხსენებელს არ წამოუყენებია; კატორის მსჯელობის კენტიცენცია თეზისებშია წარმხდგენილი და, შამსადაძემ, მათ შესახებ საუბარი შეიძლება.

უნდა პირდაპირ ვთქვათ: პირველად ჩვენს თვალს არც კი დაუყვრეთ — როგორ შეიძლება იმდენი შეცდომა იქნას დაშვებული ფიქსირებული საბით, როგორც ეს თეზისებშია. მიყვეთ მათ კვალდაკვალ.

„1. პეტრე იბერიელის ცხოვრების“ ავტორის ვინაობასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ ზაქარია რიტორი, „საკვლელო ისტორიის“ ავტორია, აღრეულია ზაქარია ქართველში (სტ. სიკორსკი, კ. კეკელიძე, ი. მარკვარტი, ა. ვაჩერელი). ეს მოსაზრება არ არის სწორი: ზაქარია რიტორი და ზაქარია ქართველი სხვადასხვა პირია“ (16“).

საწიგნაროდ ასეთი რამის დაწერა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც ჩვენი გამოკვლევის დედაბრის სრულიად ვერ გაუგია. არც ი. მარკვარტი, არც კორნ. კეკელიძეს და არც ჩვენ მაკაროს მიერ სხვადასხვა პირთა „აღრევაზე“ არაფერი დაგვიწერია. მაგ. კორნ. კეკელიძე აცხადებდა: „ზაქარია რიტორი მაკაროს ზაქარია ქართველიად უქცევიან“ (ქართ. ლიტ. ისტ., 13, 334. ფურნ. გვ. 146). ჩვენ კი ვამბობთ, რომ მაკარო მესხის ზაქარია რიტორი რედაქტორმა უქცეია „ზაქარია ქართველიად“. შამსადაძემ, ეს უკანასკნელი ფიქტია, ხოლო ფიქტიისა და რეალური პირის „აღრევა“ მაკაროს მიერ — არც კორნ. კეკელიძეს და არც ჩვენ — ფიქრადაც არ მოგვსვლია. ერთი სიტყვით — „აღრევა“ და „გადაქცევა“ (-გამოგონება) სხვადასხვა ცნებებია.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მეკლევარი თეზისების სათაურსა და მის პირველ პარაგრაფშივე „ზაქარია ქართველს“ რეალურ პირად მიიჩნევს, ეს ალბათ კორნ. კეკელიძისა და მისი უფილი სტუდენტის (ე. ი. ჩვენი) ფილოლოგიური კვლევის დაბალი დონის მაჩვენებელია, ერთის მხრით, ხოლო თეზისების ავტორის უცხოური ფილოლოგიური კერძოვლი აღსონი-მეორის მხრით ასე ფიქრის უფლებაც ყველას აქვს, მაგრამ, ეფექტობით, სხვას არ უნდა მივაწეროთ მოსაზრება, რომელიც მას არ გამოუთქვამს.

„2. ზაქარია რიტორი პეტრე იბერიელთან არ იმყოფება შაოუში, იგი არც ბერია იყო და არც პეტრეს მოწაფე. ზაქარია პეტრე მხოლოდ ერთხელ ნახა, ისიც გზაზე გაელოთ. მაშინ, როდესაც იგი არაღრეგებზე აღეკანადრიოდან ბრუნდებოდა ლაზაში. ფაქტიურ შეცდომას უშვებს ა. ვაჩერელია, როდესაც ზაქარია რიტორის თვლის პეტრეს მოწაფედ („მნათობა“, 1970, № 3, გვ. 145, 167, 168). ხოლო ზაქარია ქარ-

ველი, როგორც ქართული წყაროებიდან (?) ირკვევა, იშვოუდება პეტრესთან მიიღვის მონასტრის ბერად, არის მისი მოწიფე, თანამოსენაკე და მსლემელი“ (16).

ჭერ ერთი, ჩვენ არსად არ გვიწერია, რომ ზაქარია რიტორი ბერი იყო. ჩვენს გამოკვლევებში მოტანილი ს. ყაუხჩიშვილის „გეორგიკადან“ (ტ. III, 193) ცნობები ზაქარია რიტორზე (ამ ცნობებში დანა მკვლევარის ზოგიერთს თავის დაკვირვებებიდან აცხადებს, რაზე დაეკვირვებოდა, მართალია, არა მთლიანად, მაგრამ ის ზომ კარგად ჩანს, რომ ზაქარია რიტორზე არსებულ ჩვენებებს თუნდაც ვერც დასახელებულ შრომის მიხედვით ვიტყვით? ს. ყაუხჩიშვილი კი წერს, რომ „პეტრე იბერიელის წრემ მასზე (ზაქარია რიტორზე, ა. ვ.) დიდი გულენა მოახდინა, ისე რომ ბერად აღკვეცას ფიქრობდა“ („გეორგიკა“, III, 1). ასე რომ შეიძლება თითქოს ზაქარია რიტორი ბერი იყო. იმავე წყაროდან ვუვლი იციან (1936 წლიდან), რომ ზაქარია რიტორი ავტორია არა მარტო „საეკლესიო ისტორიისა“, არამედ ბერძნულად დაწერილი და შემდეგ სირიულად თარგმნილი „პეტრეს ცხოვრებისა“ (ორიგინალი და თარგმანი, ორივე, დაკარგულია) და პეტრეს მგობრის ესაია ასკეტის „ცხოვრებისა“ („გეორგიკა“, III, იქვე), აქედან ვასკენით, რომ ზაქარია ბერის ნახსენებები ზაქარია (ქართული ეგვიპტის ძირითად ტექსტში) ზაქარია რიტორია, რადგან ქართული „ცხოვრების“ „ერთიად დასრულებულ ბოლოში“ რედაქტორის მიერ განეწილა, რეალურად არ არსებულ „ზაქარია ქართველი“ იგივე ბიოგრაფიულ (პეტრესა და ესაიას), ე. ი. ლიტერატურული დუბლიკატები — არ შეეძლო დაეწერა. მკვლევარის მიერ მოთხოვნილ გვერდებზე („შნათობში“) არ არს ვწერდით:

გვ. 145: „ამრიგად — მაკარის ტექსტის „ზაქარია ქართველი“ — ფიქციური ორთულია ზაქარია რიტორისა“ და იქვე მოგვყავს ნ. მარის დაეკვებაც (რომლის მოტანას მკვლევარი რიტორიდან გაუბრუნა): «Возможно, что некоторые подробности об авторе Захарии впервые внесены позднейшим исправителем — прот. Павлом, или еще раньше автор искомого сирийского подлинника был обращен в грузина самым переводчиком», ე. ი. ნ. მარის დაეკვებათაც (ჭერ კიდევ 1896 წელს) რედაქტორის თუ მთარგმნელის „აბორი ზაქარია“ „ქართველად უწოდებ“ („ობრაცენა“). 1896 წლის სირიული ტექსტის ავტორის („ანონიმის“) ვინაობა რომ ცნობილი ყოფილიყო, ნ. მარი არ დაეწერდა «ВОЗМОЖНО»-ს.

ჩვენ იქვე ვწერდით: „ამიტომ — ჩვენ ხელთ რომ გვექონდეს მაკარის თარგმანის დედანი, იქ

არავითარი „ზაქარია ქართველის“ ხსენება არ იქნებოდა!“ და ა. შ.

სადა ამ გვერდზე საუბარი ზაქარია რიტორზე, როგორც ბერზე? ან საერთოდ მიიღეს ეს მოკვლევაში, თუნდაც ერთი სიტყვით?

გვ. 168: „მაკარისათვის ცნობილი ყოფილა, რომ ეს ზაქარია (რიტორი) პეტრეს მიმდევარი იყო“. უფრო ზევით: ერთი სიტყვით, ისე გამოდის, თითქოს მიიღეს პეტრესთან მიუთითებელი ზაქარია ლიტერატურულ დუბლირებას ეწვეიან: ორივენი ერთდროულად პირთა ბიოგრაფიებს ადგენენ: ზაქარია რიტორი ანუ სქოლასტიკოსი ბერძნულად, „ზაქარია ქართველი“ კი — სირიულად. პირველის თხზულებანი შემდეგ სირიულად ითარგმნება, ხოლო მეორის სირიული ორიგინალური თხზულებანი უპოვებლად იკარგებიან იგებ მთლად ასე არ იყოს საქმე...“ (145). „ასე დაიბადა ორი ზაქარია: პიველ ხუცესმა ზაქარია ბერძენი ზაქარია ქართველად აქცია“ (იქვე).

ე. ი. ჩვენ ვანგრეტთ თვალაზრით ალოგიზმს, მკვლევარი კი ფიქრობს, თითქოს ჩვენ ამ ალოგიზმს ვასაბუთებთ. მაგრამ რატომ არ დაუკვირდა ჩვენი პოლემისტი გამოთქმებს — „ისე გამოდის, თითქოს“ და „იგებ მთლად ასე არ იყოს საქმე“? ეს ზომ იმას ნიშნავს, რომ დუბლირების მომენტს ჩვენ თვითონ გამოვიცხავთ? მთელი ჩვენი გამოკვლევის დედანბანი იმის მტკიცებაა, რომ ასეთ რამეს ადვილი არა ჰქონია. თეზისების ავტორი კი განმარტავს: აკვაწერელია ცდება, როცა ფიქრობს, თითქოს მიიღეს ერთად იყვნენ ზაქარია ქართველი და ზაქარია რიტორი, და ისინი ლიტერატურული საქმიანობის დუბლირებას ეწოდნენო. ეს მაგრამ როგორ დაეწივებდით ამის მტკიცებას, ადგესაც „ზაქარია ქართველის“ არსებობა არა გვაწამს?

ჩვენს მკვლევარს არ უნდა ვაითვალისწინოს ერთხელთა კვალიფიკაცია ისტორიული აბსურდულია: ჩვენ სწორად იმას ვამტკიცებთ, რომ არავითარ დუბლირებას ადვილი არ ჰქონია და რომ ისინი ერთად არ ყოფილან მიიღეს, რადგან არ არსებულ ი „ზაქარია ქართველი“ არსად არ ყოფილა!

როგორ უნდა გავითვინო დუბლირების ცნება? მაგ. კარნ. ექველიძის დაბეჭდილი იქვს ნაშრომი „დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ შიმონგრაფიაში“ („ეტიუდები“, ტ. VI, 1960). თუ რომელიმე რეალური პირი ამიერიდან ხელახლა დასწერს ნარკვევს ამ თემაზე (აღბოა ზოგი უწინმეტყველო მასლობს დამატებით, საერთოდ კი უძიველად გაცოდებით დაბლი ხარისხისას), მაშინ ჩვენ გვექნება ლიტერატურული საქმიანობის დუბლირება. ფიქციური პირი კი დუბლირებას არ ეწევა.

ახლა გვ. 167-ის შესახებ. ჩვენ ვწერთ: „მა-

კარი მესამე, უკველია, იცოდა რომ ზაქარია რიტორი პეტრეს მოწაფე და ბიოგრაფი იყო, „ანონისმა“ (ჩაბებს შიერ გამოცემული სირიულ ტექსტის ავტორის, ა, გ.) ვერცდი, ასურულ ენაზე შემონახული „ცხოვრება პეტრესი“ (იოანე რუფუსის თხზულება) მის ნაწარმოებად მიიხსნა.*

ყოველი სიტყვა აქ თავის ადგილასაა. შემდეგ იყო თუ არა ზაქარია რიტორი პეტრეს მოწაფე და მიმდევარი? სანამ ჩვენს საბუთებს მოვიტანდეთ, აღვნიშნავთ, რომ მარტო ჩვენ არ ვთვლით ზაქარია რიტორს პეტრეს მოწაფედ. ეს ისტორიული ფაქტია. ვერ კიდევ რამდენიმე წლის წინად ს. ყუხჩიშვილი წერდა („ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“, 1963, გვ. 111):

„პეტრე იბერელის „ბიოგრაფიებიდან“ ეგებულობთ შემდეგ ძვირფას ცნობებს: პეტრეს გარშემო ღაზასა და მიფუში შემოიკრიბნენ იერუსი მოწინავე ინტელექტუალური ძალები, რეპრეზენტი, მასთან ერთად, ვეფოლენდ დიდ შემოქმედებითს მოღვაწეობას. ესენი იყენენ ბიზანტიის ლიტერატურაში კარგად ცნობილი პირობები: სევერუს ანტიოქელი, ზაქარია რიტორი, იოანე რუფუსი, ზაქარია სქოლასტიკოსი და სხვები... და რომ მისი (პეტრეს, ა. გ.) გარდაცვალების უმაღლესმა მოწაფეებმა დაწერეს თავის მასწავლებელზე ვრცელი მონოგრაფიები“. ნაშრომის საბიბლიოთეკაში ზაქარია რიტორი ასეა დასახელებული წიგნის გვერდების ჩვენებით: „ზაქარია რიტორი... — ზაქარია — პეტრეს მოწაფე“ (გვ. 284). შდრ. მისივე „გეოგრაფია“ 1965, 2, გვ. 245: „ზეხუთე სუენის გამოჩენილი მოღვაწის პეტრე იბერის ცხოვრება, პეტრეს გარდაცვალების უმაღლესი წიგნის მისმა მოწაფეებმა, ამ მოწაფეთა შრომები...“ და ა. შ. მესამე შრომად (რუფუსის შრომის შემდეგ დასახელებულია ზაქარია რიტორის ნაწარმები).

ზაქარია რიტორი რომ პეტრეს მოწაფეა, ეს ფაქტი არც ერთ მეკლევარს არ გაუხდია სადაოდ. აღსანიშნავია, რომ რენე როკიე (René Roques) ზაქარიას სივლის პეტრეს მოწაფედ და სხვა.*

* «Захарий Ритор, видный газский философ... является одним из учеников Петра Иверна... О несомненной идейной связи учителя с учеником свидетельствует удельный вес христологических интересов в умственном облике Захария Ритора» (Ш. Нуцубидзе, Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита, 1942, стр. 15; მისივე: Петр Ивер и античная философия наследие, 1963, стр. 115). «...Захарий Ритор верный и преданный ученик Петра Иверна...» («Тайна...» 16; «Петр Ивер...» 117). «[Захарий Ритор] перекинул мост к идеям своего учителя Петра

თეზისების ავტორს ტყუილად ჰგონია, რომ პეტრეს მოწაფედ შეიძლება მხოლოდ ისინი ჩაითვალოს, ვინც მისი თანამეცნაურნი სწავლებუბათა მსმენელი იყენენ. ასე არაა საქმე. პირველი პეტრეს მოწაფედ ბევრი სირიელი, პალესტინელი და ეგვიპტელი მონოფიზიტი თვლიდა თავს (რომლებიც გეოგრაფულად არც იყვნენ მასთან დაკავშირებულნი) და ასე გასინჯეთ, თვით პეტრეს სიყვდილის შემდეგაც გამოიჩინა მას არა ერთი მიმდევარი და მოწაფე. მაიუმელი ზაქარია რიტორი მონოფიზიტი იყო, მაშასადამე პეტრეს იდეური მოწაფე, თანაც მისი ერთ-ერთი მთავარი ბიოგრაფი და ასეთად ღარჩა იგი ისტორიაში (თუნდაც ქაბუკობიდანვე მისი მეზობელი, ალტაეხული თანამედროვე და მზილველი არ ყოფილიყო). „მოწაფის“ ცნება ასე რომ უნდა გავიგოთ, იმაში გვაჩვენებს თვითონ პეტრეს დღესდღეობით უველაზე ცნობილი ბიოგრაფი, მისი სინკლქოსი და ზაიქოსის საეპისკოპოსო ტახტზე მასწავლებლის შემკვებელ იოანე რუფუსი (1912 წლამდე იგი ანონისმად იყო მიჩნეული). რუფუსი წერს პეტრეს ბეირუთში ჩასვლასთან დაკავშირებით:

„...როდესაც იგი (პეტრე, ა. გ.) ბეირუთში მოვიდა (...nach Beryt kam...) (ეს ბეირუთელის სტილია, ა. გ.), მაშინვე შეიტყვეს ეს აბალგაზრდა სქოლასტიკოსები და აქ მიიღო სქოლასტიკოსის ანუ აღვოკატის წოდება ზაქარია რიტორმა, ა. გ.), რომელნიც მას პადესტინიდან და აღექსანდრიიდან იცნობდნენ, და რომელიც მათთვის წმინდანად იყო ცნობილი; და სხვა დაწარჩენებიც მისდამი სიყვარულს ამკლავებდნენ, რათა მისი (პეტრეს) წმინდა მოძღვრებით (Lehre) გახარებულყვნენ. და მისმა (პეტრეს) სიტყვებმა ისეთი ვიგლენა მოახდინეს, რომ მრავალი უარყოფდნენ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას. და მას დაემოწაფნენ, თვით მისი ზიკვდილის შემდეგაც კი...“ («Petrus der Iberer»... 107). ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ პეტრეს წრესთან დაახლოებული ზაქარია სქოლასტიკოსიც ერთ დროს უშუალოდ პეტრეთი მოზიბლელი ბერად აღკვეცისაც აპირებდა, ქვემოთ ამ ბარის ნათელსაყოფად სხვა საბუთებიც იქნება მოტანილი.

Ивера» (Тайна...» 19; «Петр Ивер...» 120). «Захарий Ритор, бывший учеником Петра Иверна» («Тайна...» 20; «Петр Ивер...» 121). იგივე გამოთქმები განმეორებული აქვს ავტორს თავის შრომის „ფსევდო-დიონისიანეოლოგიის სიკლქოლის“ ქართულ თარგმანში. იხ. მისი „სიკლქოლი ნარკვევები“, 1966, გვ. გვ. 40, 44 და (63) „ანოლოგიური ამონაწერების მოტანა შეიძლება სხვა ავტორებიდანაც, და ბოლოს: შეიძლება სდმე თვითონ ზაქარია უწოდდეს თავის თავს პეტრეს მოწაფეს? ეგებ ჩვენმა პოლემისტიკმა მოძებნოს — სახელდობრ სად?!

კიდევ ერთი მასატი იმავე ბიოგრაფიიდან (გვ. 28-29):

„...ნეტარი პეტრე, რომელიც (ცხოვრობდა) პალესტინაში, ყველაათვის ცნობილი ხაერდენი იყო, ისევე როგორც მზის შუქი (Sonnenlicht) ანათებდა მართლმორწმუნეთა სულსებს, და არა მარტო პალესტინაში, არამედ ეგვიპტეში და ყველა ადგილსაში...“ პანეგირიკული სტილის მიუხედავად — მოტანილი ცნობა ისტორიული ფაქტია.

იოანე რუფუსს, რომელსაც ჩვენი პოლემიასტი სცდლის გამოვინიღ „ზაქარია ქართველით“, ალბათ უფრო დაუჭერებს მას ამ საკითხში თუ პეტრე იბერის გამოჩენილი მკვლევარებისა და ჩვენი არა სჭერა. ყოველ შემთხვევაში ერთი ნათელია: პეტრეს მოწაფეობა და მისი თანამსენაკეობა იდენტური ცნებები არაა. და თუ ასეა მაშინ ჩვენი „ქატიური შეცდომა“ შექანიურად იხსნება და ეს გამოქვეყნება მთლიანად თეზისებს ავტორზე გადადის.

ამრიგად ზაქარია რიტორის „მოწაფეობის“ საკითხი ასეთთავე მოგვარებულია. ქვემოთ უფრო ნათელი სურათი გადაიშლება ამ სფეროში. ჯერჯერობით თქმულებს დაეჯერდეთ და გავინათოთ თეზისების სხვა დებულებანი.

ეს ფაქტორი ცნობები მოგვარებანი მკვლევარს იმაზე, რომ „ზაქარია ქართველი“ „პეტრესთან იმყოფება მიიღებს მონასტერში, არის მისი მოწაფე, თანამოსწავლე და მსლბელი“? რომელი „ქართული წყაროები“ არსებობს მანქ? არსებობს მხოლოდ ერთადერთი „წყარო“ — ისევე მაკარისეული ქართული ვერსია რუფუსის „პეტრეს ცხოვრებისა“, სადაც რედაქტორმა შეიტანა „კეთილად დასრულებული ბოლოში“ უაღბო ცნობა „ზაქარია ქართველზე“. ვახტანგისეული ქართლის ცხოვრების გვიანდელი ორი დანართი, ვარაზ-ზაქართან დაგვეშვირებით, დედო საფუძვლად პეტრეზე არსებულ მოკლე სვინაქსარებს და არა პირიქით (როგორც ნ. შარი ფიქრობდა), ხოლო ქ. ცის ჩანართები მომდინარეობენ მაკარის ვერსიიდან, შემოკლებული ფორმით (იხ. „შნათობა“, 3, გვ. 140). მანუსაღამე, რჩება ისევე მაკარის რედაქტორის უაღბო ცნობა. არავითარი სხვა „ქართული წყაროები“ არ არსებობს, მკვლევარი მათ ვერ დასახელებს! ეს მიმოთვრაც არაა, ეს სიცოცხლე!

თეზისების მეორე პარაგრაფში ავტორი წერს, რომ „ზაქარია (რიტორმა, ა. გ.) პეტრე მხოლოდ ერთხელ ნახა, ისიც გზად გავლით“ (16), ხოლო მესამე პარაგრაფში კატეგორიულად აცხადებს „ზაქარია რიტორი არ იცნობდა პირადად პეტრესა და ესაიას“ (17). კარგად დავიხსოვოთ: ზაქარია თურმე „ერთხელ ნახა პეტრე, ისიც გზად გავლით“ და არც „იცნობდა პირადად“ მას! ჯერ ვიკითხოთ — თუ „ერთხელ ნახა“ ზაქარია რიტორმა პეტრე იბერა, არ გამოლპაპარა 10. „შნათობა“, № 8.

კეზია, მხოლოდ თვალი მოჰყრა და ისე ჩიუნი? და თუ „ერთხელ ნახა“, არ შეეცადა გაეცნო ადამიანი, რომელიც ასე სახელგანთქმული ღვე და რომლის ბიოგრაფია მან დასწავლა ჩაქვლუბ? რა თვით პეტრეს სიცოცხლეში? ავი ზაქარია მარტო „საეკლესიო ცხოვრებაში“ და „ესაიას ცხოვრებაში“ არ მოუთხრია მისზე, პეტრეს ბიოგრაფია აღდგომიდან მხოლოდ სტრიქონებს უძღვნის მას „სევეროსის ცხოვრებაში“. მით უმეტეს ზაქარია რიტორს „პეტრეს ცხოვრებაში“ (დაჯერებული) საგანგებოდ უნდა მოეთხოვა თავის ნაცნობობა სათაფრებულ პაროვნებათან და სხვა საინტერესო მომენტებზე! ან განა შეიძლება ერთი წუთითაც გამოვიცხოთ ასეთა ვარაუდი?

მაგრამ მთელი გუგებობა იმისგან გამომდინარეობს, რომ მკვლევარი არ იცნობს მთელ რაი კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც ზაქარია რიტორის და პეტრეს პირადი ურთიერთობის პერიპეტეებს შეეხება. სხვა წყაროებში თუ არა ყოველივე ამაზე მას შეეძლო ამოვიკითხა სწორედ იმ შრომაში, რომელსაც უგულვებლყოფს თავისი კატეგორიული მსჯელობის დროს. და ამ შრომის ავტორია... ედ. შვარტცი, ეგზო! ათეაღწერილი ჩვენი მკვლევარის მიერ.

მიუხედავად ამგვარი ათეაღწერილებისა, თეზისების ავტორმა ზოგი რამ მგანი მაინც ედ. შვარტცის შრომის მიხედვით იცის, კერძოდ ეს ფაქტი, რომ ზაქარია პეტრე ნახა, როცა იგი (ზაქარია) ალექსანდრიიდან მიიღეში ჩავიდა (ედ. შვარტცის გამოანგარიშებით ეს მოხდა 481-482 წლებში, ა. გ.) ე. შვარტცი ეყრდნობა (1912 წელს) თვითონ ზაქარია რიტორის „სევეროსის ცხოვრებას“, რომლის სირიული ტექსტი და ფრანგული თარგმანი (უგენერისა) მის დროს უკვე გამოცემული იყო. გ. კრიუგერიც ამ თხზულების მიხედვით შეკვლობს ზაქარიას „საეკლესიო ისტორიის გერმანული თარგმანის“ „შესავალში“, თუმცა „სევეროსის ცხოვრების“ სირიული ტექსტის თარგმანი მის დროს (1899 წელს) არ არსებობდა, მაგრამ უსარგებლნია ამ ანარსკომების ჩვენებით. თარგმანი მისთვის არცნის გაუცნო ანაბეჭდებში. (იხ. Die sogenannte Kirchengeschichte des Zacharias Rhetor in deutscher Übersetzung herausgegeben von K. Ahrens [und] G. Krüger. Leipzig, 1899, XXI, შენ.) კრიუგერი კი „საეკლესიო ისტორიის“ შესავალში „სევეროსის ცხოვრების“ შინაარსს ძალიან მოკლედ დადმოგვეყვს. უშვებს მთელ ხარეზებს ზაქარია ბიოგრაფიიდან და ა. შ.

ედ. შვარტცი კი წერს „სევეროსის ცხოვრების“ მიხედვით:

„მან (ზაქარია რიტორმა, ა. გ.) „დიდი“ პეტრე ერთხელ იხილა, როდესაც ალექსანდრიის უნივერსიტეტიდან არდადეგების დროს მიიღეში ჩავიდა“ (ედ. შვარტცი, იოჰანეს რუფუს...12).

მაგრამ რას ემყარება ჩვენი პოლემისტი, როცა კატეგორიულად აცხადებს „ზაქარია არ იცნობდა პარადიდ პეტრესო“?

ვფიქრობთ, რომ იგი შეაყვინძა გ. კრიოვი გერმანის მოკლე ინფორმაციამ (Kirchengesichte, XX-XXIII) ზაქარია რიტორზე, რომელიც მწიბრ ცნობებს შეიცავს ზაქარიასა და პეტრეს ურთიერთობაზე.

ან ეგებ ამის მიზეზია ედ შვარტცის შემდეგი სიტყვები „თუმცა ზაქარიას დიდი წმინდანია (პეტრე, ა. გ.) ბერიუთში თვით არ უნახავს, მაგრამ თვალში გვევლინება, რომ იგი ამაზე სრულიად სდუმს, მით უმეტეს, რომ იოანეს რეფლეს შევითვალა უსვამს ხაზს იმ ვაგუნისა, რომელიც პეტრეს ნახვამ მოახდინა იქაურ სტუდენტებზე“ (ედ. შვარტც, 23).

და აგრეთვე—

„პეტრეს გარდაცვალების ამბავი იქ (ბერიუთში, ა. გ.) ჩაივლია მამინ, როდესაც თარიღე (ზაქარია რიტორი და ევაგრიოსი, ა. გ.) იქ სწავლობდნენ; სამოსატელი ევაგრიოსი, რომელიც იმავე დროს, როგორც ზაქარია, იქ ჩაივლია და თავის ირგვლივ ასკეტურად განწყობილი სტუდენტები შემოიკრიბა (მითითებულია ზაქარიას Vita Severi-ზე) დიდ გლოვასა და მწუხარებაში იყო, რომ მან (ე. ა. ევაგრიოსმა, ა. გ.) თავისი დიდი წმინდან ვერახადეს სახით ვერ იხილა“ (იქვე, 23), ე. ი. — ევაგრიოსზე ნათქვამი არ შეიძლება ზაქარია რიტორზე გავავრცელოთ.

საერთოდ რა გვეთქვამს ყველა ზემოთ მოტანილი ცნობების გამო?

1. ზაქარია რიტორს უნახავს „დიდი პეტრე“ მაიუში არადადეგებზე ჩახუხს ალექსანდრიიდან ალექსანდრიაში კი ზაქარია რიტორი 4 წელი (484-887) „მხატვრულ შეცნაერებებს“ სწავლობდა. მაშინადაც, ამ ხნის მანძილზე იგი მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა მაიუში მოხილვების ანუ ანუ ყოფილა.

2. ზაქარია რიტორი ბერიუთში გაემგზავრა 488 წლის შემოდგომაზე და იქ ჩაივლია იურიდიული განათლების მისაღებად ევაგრიოსთან ერთად. ედ. შვარტცი უცოლოდა ადგენს ამ თარიღს და აცენის: „ამრიგად, ზაქარია და ევაგრიოსი 488 წელსა და 489 წლის აღდგომაში შორის უნდა ჩახუდიყვნენ ბერიუთში, ე. ა. მათ დაიწეს თეიანიო სწავლა 488 წლის შემოდგომაზე“ (შვარტც, 24). პეტრეს უფრო ადრე ვაუვლია ბერიუთში (იქვე, 25) და ზაქარიას საშუალება არ მისცემია ბერიუთშიც ენახა იგი. მაგრამ აქედან იმის დასკვნის გამოტანა სრულიად არ შეიძლება, თითქმის ზაქარია რიტორი პირადად პეტრეს არ იცნობდა, — საკითხი ეხება კერძოდ ბერიუთში პეტრეს ჩახუხის მომენტს, იმ დროს, ეტყობა, ზაქარია ბერიუთში არ ყოფილა, თუმცა თვითონ შვარტცის მსჯელობიდან ჩანს, რომ ეს საკითხი დასაზუსტებელია. მას მხედვე-

ლობაში აქვს ზაქარიას ჩვენამდე მოღწეული ნაწერიც პეტრეს შესახებ და ამის საფუძველზე ამბობს: „ამრიგად, ზაქარიათან პეტრეს უშუალო პირად ვაუვლიან-მოქმედებზე უნდასაჩქი არ არის... ცხადია, აქ მწერლის პატრიუსოფიკობა და ცრუ მედიდურობაც რაღაც როლს თამაშობს. მაგრამ ეს მართო ვერ ხნის სრულ დუმილს წმინდანის ნახვის გამო (ბერიუთში, ა. გ.). აქ შესაძლებელია ხელს უშლიდეს ნაწარმოება ანოლოგიური ტენდენცია“ (იქვე, 25).

ედ. შვარტცის ეს სიტყვები იმაზეც მიუთითებენ, რომ საერთოდ ზაქარია რიტორი დაწერილებით არ მოგვიხსრობს პეტრესთან თავის ურთიერთობაზე, უმჯობელია, ამ მხრივ ჩვენ შევითვალაინდებოდეთ, რომ დღემდე შემონახულიყო მისი სტუდენტური მონოგრაფია პეტრესზე. რაც შეეხება ბერიუთში პეტრეს ჩახუხობა ფაქტს, მასთან დაკავშირებით საგნებით დამაყრებელი ჩანს ედ. შვარტცის სიტყვები: „მან (ზაქარია ა. გ.) ამჯობინა ამაზე (პეტრეს ნახვაზე, ა. გ.) სულაც გაუმეზღულიყო და ის მიადრეკებოდა (მისწრაფებდა) ბერონანჯონისადმი, რომლითაც სტუდენტობა იყო შევითვლილი ბერიუთში მისი (ზაქარია, ა. გ.) ყოფნის დროს. მხოლოდ იმ შორს მანძილზე მოქმედებით აცხინა, რომელსაც ახლენდა მოხუცო ასკეტის პიროვნება, რომელიც თავისი სიკბაუყის უამს გაეცეკა კონსტანტინოპოლის სასახლის ვალაის და შემდეგში ასკეტის დიდებას აღმსარებლის დიდებაც მიუძღოდა“ (გვ. 25).

ედ. შვარტცის ეს დაკარგვებაც უდავოა, მას ამართლებს რეფლესი პეტრეს ცხოვრებისა“ და „პლურაფორიების“ შთელი რიგი პასაჟები, აგრეთვე თვითონ ზაქარია რიტორის ასევეგროსის ცხოვრება“, რაზედაც რენე რიკი საგანგებოდ მიუთითებს.

ასეა თუ ისე, ედ. შვარტცის ვანცხადებათა მიხედვით იმ დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, რომ ზაქარია რიტორი პირადად არ იცნობდა პეტრეს ამის საფუძველს არც კრუვერის ძენწი ცნობები (ასევეგროსის ცხოვრების) მიხედვით ვადმოცემული) გვაძლევს შეიძლება შევუვარი უქანასკნულს დაეკრდნო?

მაგრამ ყველაფერი ჩვენს მიერ ზემოთ თქმული ქერ ვარაუდების სფეროს არ სცილდება და იმ ვხედავ ჩემი პოლემისტის ვახარებულ თვალებს იმის გამო, რომ დამადანტრებულ ცნობა ზაქარიასა და პეტრეს ნაცნობობის თაობაზე თითქო ხელთ არ მოგვეპოვება.

ჩვენს მკვლევარს უნდა ვაცნობოთ, რომ აღნიშნულ საკითხზე დადებით პასუხს თვითონ ედ. შვარტცის შრომა შეიცავს. სათანადო ადკოლებს მოვიტანდით, წინასწარ აღენიშნავთ მეცნიერებაში ცნობილ შემდეგ ფაქტებს:

ს. ყაუხჩიშვილი წერს: „ზაქარია დაიბადა მაიუში (ე. ი. იქ, სადაც პეტრე მოღეაწეობდა, ა. გ.). მისი მამის სახლი პეტრე იბერიელა-

მონასტრის მახლობლად იყო“ (გეორგიკა, III, 1). ეს ცნობა ფაქტია, იგი ემყარება თვითონ ზაქარია რიტორის სიტყვებს „სვეეროსის ცხოვრებიდან“. გ. კრიუვერიც იმავე წყაროს ითვალისწინებს, როცა წერს „...sajnes (ზაქარიას, ა. გ.) Waters Haus lag nicht weit von dem Kloster Petros des Jberers in Majuma“ (Kirchengeschichte, XXI), ე. ი. ზაქარია სიბაბუჯიდანვე სახელგანთქმული ასკეტის პეტრეს მეზობელი უყოფილა და განა საფიქრებელია, რომ იგი არც ერთხელ არ მოისურვებდა მასთან მიხვლას, თუნდაც ალექსანდრიაში გამგზავრებამდე? ეს ძალიან ძნელი წარმოსადგენია: პეტრე ლევენდარული დღეებით იყო მოსილი მთელს დასავლეთში.

ზაქარია რიტორი იცნობდა ესაიასაც, პეტრეს დიდ მეგობარს (ყვეფერი და სხვ.).

სირიულად ჩვენამდე მოღწეულ (მართალია, კომპლატორის ხელში გავლილ) ზაქარიას „ესაიას ცხოვრებაში“ არის ერთი აღვლილი, რომელიც ამ არსასახებულებს:

„წინათმოსწინებულ მობრძობას მე დაეუბატე ესაია, მეორე წინაწარმეტყველი, ჩვენი თანამედროდე, რომელიც რწმენაში და მართლმორწმუნებაში და აგრეთვე თავის ქცევაში ყოველთვის იყო ამ სახელოვან მღვდელმთავართა, პეტრე (იბერიელისა) და თეოდორეს თანამაზრე... ეს სამი ნეტარი აღმთაძინებულნი და იმავდროს ცხოვრობდა: ნეტარი პეტრე, ის თეოდორე და მამა ესაია. ეს ისტორიაც ზაქარია სქოლასტიკოსმა დასწერა, რომელმაც საეკლესიო ისტორია შეთხზა“ („გეორგიკა“, III, 10; შტრ. B. Spuler. Zacharias Rhetor (Scholasticus). „Die Religion in Geschichte und Gegenwart“, 3. Aufl. VI Bd. Tübingen, 1962, col. 1859).

ყველა ზემოთ მოტანილი ცნობა თვითონ ზაქარია რიტორისაგან მომდინარეობს. ამ ცნობებს ემყარება ედ. შვარტციც.

მაგრამ ედ. შვარტციც ცნობები არ ამოაწურება მარტოდენ იმ ადგილებით, რომლებსაც, ეტყობა ჩვენი პოლემისტი ასე თუ ისე ითვალისწინებს(?). შეიძლება იგი მარტო გ. კრიუვერს ეყრდნობა? მაგრამ თავი დავანებოთ ახალ ვარიანტებს. საქმე ისაა, რომ მკვლევარს უნდა გაეთვალისწინებია მთელი რიგი მომენტები, რომელთა უგულებელყოფამ დაწერიან მას სიტყვები „ზაქარია პირადად არ იცნობდა პეტრეს“.

როცა ზაქარია რიტორი ალექსანდრიიდან ბერიუმში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად მაიუმიდან 488 წლის შემოდგომაზე, ე. ი. 4 წლით ადრე პეტრეს გარდაცვალებამდე (პეტრე გარდაიცვალა 491 წ. 1 დეკემბერს და ამ თარიღის დადგენაც ედ. შვარტციცს დამსახურებია), მართლა მხოლოდ „გზაზე გავლით“ მოჰქარა თვითონ მან პეტრეს? არ მისულა მასთან? ერთი სიტყვითაც არ გამოუღაპრებია? და თუ ვესაუბრებ-

რ, მაშასადამე, პირადად გასცნობია კიდევ პეტრეს (თუ სიბაბუჯეში არ იცნობდა, რაც უნაძრუდგენელია) და რომლის შესახებ დეკლარაციებს აგროვებდა მაიუმშივე თავის მონოგრაფიისათვის პეტრეს, თვით პეტრეს საციოცხლში?!! ედ. შვარტციც სხვა ადგილას (იოჰანეს რუფუს... გვ. 25) საკანკებოდ უბრუნდება ზაქარია რიტორის ალექსანდრიიდან მაიუმში ჩასვლის ფაქტს თვითონ ზაქარიას „ხვეეროსის ცხოვრების“ სათანადო ადგილებზე მითითებით (Spanuth-ის გამოცემის მიხედვით) და აღნიშნავს:

„ზაქარია გაცრით გვიცნობს, რომ „როდესაც ის ალექსანდრიიდან შინ ბრუნდებოდა“, პეტრე იხანულა, წმინდანისაგან სხვა ვერა გაიგონა ჩა (გვ. 28, 29), გარდა სიტყვებისა „უკან უბრუნდებოდი კაცო“, სიტყვები, რომელშიაც თვით ზაქარიამ დანიხა იმისი წინაწარმეტყველება (გვ. 25) ზემომთხზვად არ გამოდგებიო“ (გვ. 25). მაშასადამე — ერთხელ მაინც ხომ გასაუბრებია ზაქარია პეტრეს? ნამდვილად კი ზაქარიამ რამდენჯერმე იხანულა პეტრე მის მონასტერში. (ამის შესახებ სმეც. იხ. მე-111 თავი).

ჩა გამოირკვა? პეტრესა და მას მეზობელსა და ბიოგრაფს საერთო ტრაპეზიც მქონათ, რამდენდაც ამას 515 წელს დაწერილი „ხვეეროსის ცხოვრება“ ადასტურებს. სპეციალურად ადრე დაწერილ და დაკარგულ ზაქარიას „პეტრეს ცხოვრებაში“ შეიძლება მათი არაერთი და ორი პირადი შეხვედრაც იყო აღნიშნული?!. მაშასადამე — ზაქარია რიტორი იცნობდა პეტრეს!

ვფიქრობთ, თავის თვისებს ჩვენი პოლემისტი ამიერიდან მზიარულად ვუღარ ჩაბუდებს და ჩვენი ბრალი სრულად არაა, რომ მკვლევარი მძიმე ფილოლოგიურ კონფუზის წინაშე აღმოჩნდა!

შეითხველს ვანდობთ — მან გადაწყვიტოს, თუ ეინ უშვებს „ფაქტორ შეცდომებს“. და მერე როგორ შეცდომებს!!!

ედ. შვარტცი აზუსტებს თავის თხრობას (ისევ ზაქარია რიტორის „სვეეროსის ცხოვრების“ ადგილებზე მითითებით):

„ზაქარია უნდა გვლიხმობდეს არადადგების დროს მოგზაურობას, როდესაც ის 484-487 წლებში შინ ბრუნდებოდა. იმ დროს პეტრე იმყოფებოდა მონასტერში მაიუმთან, ზაქარიას მამის ხაზლის მახლობლად (გვ. 28, 29); ამ დროს აგროვებდა (ზაქარია რიტორი, ა. გ.) აგრეთვე მასალა პეტრესა და ისაიას ბიოგრაფიებისათვის, რომლებიც მან 489 წელს ბერიუმში ორივეს საყვდილის წინ შეთხზა. ისაიას ბიოგრაფია გვიჩვენებს, რომ ის შემდეგ საყვდილამდე მიიყვანა“ (26).

თავის ამ შრომაში (იოჰანეს რუფუს...1912) ედ. შვარტციც პეტრეს გარდაცვალების თარიღად სდებდა 489 წელს. მეორე შრომაში კონსტანტინოპოლის პატრიარქ აკაკის შესახებ (იხ., პო-

ნიკ მანი, გვ. 29, შენიშვნები) მის საბოლოოდ დადგინა თარბი პეტრეს გარდაცვალებისა — 401 წ. 1 დეკემბერი (ეს თარბი ვახარებულისა პეტრეს ბერის ევროპელი მკვლევარის მიერ, მათ შორის რენე როსის მიერ). უნდა ვიგარაუდოთ, რომ ზაქარია რიტორის მის დაყარულ პეტრეს ცხოვრებაში* მასწავლებლის სიკვდილიც ექნებოდა აღწერილი ნაამბობის მიხედვით, როგორც იგი მოიქცა ესაიას ასკეტის „ცხოვრებაში“. ზაქარია რიტორის „პეტრეს ცხოვრება“ საბოლოოდ უნდა დაემთავრებინა კონსტანტინოპოლში, რადგან პეტრეს სიკვდილის წელი და ზაქარია ბერისთვის ყოფნის ბოლო წელი (491) ერთმანეთს ემთხვევიან: ამის შემდეგ ზაქარია რიტორი კონსტანტინოპოლშია (და არა 490 წლიდან, როგორც აქამდე ფიქრობდნენ).

აქვე ისმის ერთი კითხვა: ზაქარია რიტორის ბერისთვის იურიდიული განათლებისათვის დასჯირდა ოთხი წელი (488-491)* და ამ ხნის მანძილზე იგი ერთხელაც არ ჩავიდა არადადეგებზე შრომითურ მათეში, მამასთან, რომელიც პეტრეს მონასტრის გვერდით ცხოვრობდა და არ შეეცდებოდა თავისი ლიტერატურული შემოქმედების პროტაგონისტის პეტრე იბერის ნახვას და მასთან დალაპარაკებას? ესეც ძნელი დასაწერებელია.

ეგებ ამ კითხვაზედაც ზაქარია იძლევა პასუხს?

ე.ღ. შვარტიცი ისევ ზაქარიას !სევეროსის ცხოვრებაზე“ დამყარებით. (Vita Severi, გვ. 23, 17 და შმც.) ამბობს, რომ როცა ბერისთვის მივიდა ცნობა პეტრეს გარდაცვალებისა (ე. ი. 491 წელს), ზაქარიას რადიკალურ შეგობაში ჩასულან მათემის „მონასტერში უკვე (მონაზონობაზე) გადაბირებულ ზაქარიასთან, თუცა ეს უკანასკნელი თავიდანვე ეკონომოსად და თავის მამაზე მიუდითებდა, რომელიც მონასტრის მახლობლად ცხოვრობდა და (ამბობდა) უფოჯ ზელს შემოვიღისო. მართლაც ის (ზაქარია ა. გ.) ისევ ბერისთვის დაბრუნდა. ევაგარიოსისა და ბენიკის, დაწერილ სოფეტის წერილებში რომელიც ეხება მას (ზაქარიას, ა. გ.) გადაწყვეტილებას ბოდიშს ხდიდნენ, ამართლებდნენ მას ბერისთვის მგობობიდან. აქედან უნდა დავსკვნათ, რომ ევაგარიოსიც მონასტერში იყო შემდგარი. და

* ბერისთვის სტუდენტებზე ე.ღ. შვარტიცი წერს: „სამართლის შეცნობების ოთხწლიანი სწავლების წესი, რასაც ჩვეულებრივად წინ უსწრებდა მოსამზადებელი განათლება ბერისწულად ლათინურ გრამატიკაში, აგრეთვე რიტორიკაში, უსახსრობათვის ძნელად ხელმისაწვდომი იყო“ (გვ. 5). ზაქარია რიტორმა ასეთი წინასწარი მოსამზადებელი განათლება აღქმანდრავაში მიიღო. რომ მან სწავლა ბერისთვის განაგრძო ადოკატის პროფესიის მისაღებად, მოწმობს ამას, რომ იგი შეტლებული ოჯახის შვილი იყო.

ამას აღახტურებს იოანე რუფუსი პლეროფორიკაში“ (გვ. 8).

უალრსად მნიშვნელოვანი ცნობა, მამასთან —სავსებით გამჭვირვალ!

მამასადაც, კარგად ჩანს რომ ბერმონაზონობით გატაცებულ ბერისთვის სტუდენტი ზაქარია რიტორი სწორედ მათემის მონასტერში (პეტრეს მონასტერში) აპირებდა ერთხანს ბერად აღკვეცილყო — პეტრეს გარდაცვალების შემდეგ ასე მოიქცა სევეროსიც 492 წელს. პეტრეს იღუვრო მთაფლები ასე იქცეოდნენ.

ერთი რამ ცხადია ზაქარია პეტრეს დიდა ზეგაყენით ასევესადაც მიღრეკილი ყოფილა, თუცა პეტრეს გარდაცვალების უშუალო მოწმე არ ყოფილა (Kirchengesch., XXI), მის მიუხედავად ჩასულამდე გაუგია პეტრეს გარდაცვალების ამბავი (იქვე), ხოლო ბერობაზე საბოლოოდ უარი უთქვამს მამის შიშითა და ბერისთვის მგობობის ხათრით. თუ როგორი იყო სხვა პერიპეტები ზაქარიას მიერ მათემის მონასტერში შეეცდების ცდისა, ამგვად უცნობია (მისა „პეტრეს ცხოვრება“ დაყარულია) და როცა ე.ღ. შვარტიცი უარყოფს ზაქარიასთან (და არა ზაქარია ანუ) პეტრეს „პირად გავედინამოქმედებას“, ეს გულისხმობს იმას, რომ ზაქარიას ზეგანამდე მოღწეულ თხზულებებში ამაზე დაწერილებით ცნობები არაა, მაგრამ ზაქარია რომ „პეტრეს პირად და იცნობდა“ — ეს აქტიცა უთითონ ზაქარია რიტორის „სევეროსის ცხოვრების“ მიხედვით აქვს დადგენილი. ზაქარია რიტორის ზეგნზე უკეთ მოხსენებოდა — იცნობდა თუ არა იგი პეტრეს, მგონი ასე უნდა ყოფილიყო!

მესამე პარაგრაფი ასეთია:

„3. ეს ორი, სხვადასხვა ადგილას მყოფი და სხვადასხვა ინტერესისა და განათლების მქონე ზაქარია არ ეწევა ლიტერატურული საქმიანობის დუბლირებას. ზაქარია რიტორმა თავის თანამედროვე ლაზელთაგან ჩაიწერა ლეტისმოსავი კაცების — პეტრე იბერიელისა და ესაიას, დიდი ასკეტისა და მეგვიტელის, სათნოებანი (die Tugenden der gottbekleideten Männer, des Petros von den Iberern und des Isaias, des grossen Asketen und Agypters), რომელთაც იგი „სთრობანს“ (Erzählungen-ს)* უწოდებს; ზაქარია ქართულში კი დაწერა ორი ვრცელი აგიოგრაფიული საკითხავი „ნეტარისა მამისა ესაიას ცხოვრება და მოქალაქობა და დიდნი იგი მოღუაქებანი და სასწაულნი“ და „ცხოვრება და მოქალაქობა პეტრე ქართველისა“. ამასთან ზაქარია რიტორი არ იც-

* გერმანული ფრაზები ბერისფრაზებია თავისთონ ზაქარია სქოლასტიკოსის. (რიტორის) „სევეროსის ცხოვრებიდან“, რომელსაც მკვლევარი იცნობს კიოთეგარის მიხედვით და არა უშუალოდ „სევეროსის ცხოვრებიდან“.

ნობდა პირადად პეტრესა და ესაიას ზაქარია ქართველი კი ორივესთან დაახლოებულნი პირი იყო“ (17).

ეს პარაგრაფიც სამწუხაროდ კრიტიკის ვერ უძლებს.

1. მხოლოდ პარაგრაფის ავტორს თუ მოგონებები ცნობები (გარდა „ვიწმე დეკანოზის“ მიერ შეთხზული პასაჟისა „ზაქარია ქართველზე“) ფიქციურ ზაქარიას ადგილსამყოფელზე, ფაქტობრივად კი ასეთი ცნობები არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მკვლევარის ფანტაზიას ნაყოფია ცნობა აგრეთვე „ზაქარია ქართველის“ ნაცნობობაზე პეტრესა და ესაიასთან. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ზაქარია რიტორი ცნობებს აკრებდა მაიუში ამ ორი ასკეტის შესახებ მათსადგილ სიუცხლემო, გამოლაპარაკებია პეტრეს, რათხან მაიუსის მონახტერშიაც აპირებდა შევედრებას, დასწერა მათზე მონოგრაფიები და ა. შ. ავღლადერი ეს—უტყუარი ისტორიული ფაქტებია. „ზაქარია ქართველი“ კი, როგორც გამოგონილი პირი, ზაქარია რიტორის მუშაობის დუბლირება ვერ გასწევდა, ეს ალოგიკია, რომელსაც ჩვენ ვაქარწყლებთ, მკვლევარი კი ფიქტობს, თითქოს ჩვენ ასეთი დუბლირება ფაქტად მიგვაჩინია. ამასთან, გამოგონილი „ზაქარია ქართველი“ პეტრესთან არ იმყოფება, ეს ცნობა შეთხზა მაკარის ვერსიის რედაქტორმა, რომელმაც ზაქარია (რიტორი) და „საბოთლიდან“ პეტრეს თანმხლებლები პირად აქცია.

2. ეს ორი, სხვადასხვა ადგილას მყოფი... „|||ზაქარია რიტორის ალექსანდრიაში, მაიუში, ბერიუსისა და კონსტანტინოპოლში უფნის პერიოდები ზუსტად ცნობილია, „ზაქარია ქართველის“ ადგილსამყოფელ მხოლოდ დეკანოზის მიერ დაწერილი (შეთხზულ) წინასიტყვაობისა და ბოლოს დართული ყალბი ცნობების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ. მაგრამ თუ ყალბ ცნობებს დავეყრებთ, მაშინ „ზაქარია ქართველი“ 12 წლის პეტრეს გაყოლია კონსტანტინოპოლში და მაიუშიაც მასთან ყოფილა განუშორებლად. სიიდან ჩანს ეს? მაკარი მესხმა სირიულიდან (ბერძნული ორიგინალი დაკარგულია) გადმოიღო „პეტრეს ცხოვრება“, თანაც არც იცოდა რომ მის მიერ გადმოთარგმნილ-შეკეთებულ ტექსტი სირიული თარგმანი იყო ბერძნული დედნისა (აქხადებს: „ასუ რებ ბ რ ი თ ა ე ნ ი თ ა ე ლ წ ე რ ა...“). მაკარის, რომ ძირითადად რააბებს მთარგმნეველებული ტექსტი გადმოიღო, ამას არც თუხისების ავტორი უარყოფს ჩვენი გამოკვლევის შემდეგ, ოდნავად არ არის საეჭვო ეს ფაქტი აგიოგრაფიული ლიტერატურის ასეთი დიდი მკვლევარისათვისაც, როგორცია პოლანდისტი პოლ დევისი (Paul Devos). სირიული თარგმანის ბერძნული დედნის ავტორი კი იოანე რეფუსია, რომელიც ზაქარია რიტორივით აკრებდა ცნობებს ლაზელთაგან პეტრეზე, ამ

უქანსკნელის ცხოვრების აღრიწმულ პერიოდზე (რეფუსი მასთან მასწავლებლის სიკვდილამდე რამდენიმე წლის წინ (482 წ. წიგნიდან მხოლოდ ში). ამ მხარე ზაქარია რიტორი გამოწველისა არაა. ამასთან, ეს ზაქარია რიტორი რეფუსზე ადრე (კაბუკობიდანვე) იცნობდა პეტრეს. ახლა ვიკითხოთ: სირიულ თარგმანში ავტორი (რეფუსი) რატომ პყვება მხოლოდ ბოლოში თავის უშუალო შთაბეჭდილებებზე? „ზაქარია ქართველი“ ხომ კონსტანტინოპოლის პერიოდის ამბებს მოხვედრება, როგორც უშუალო მოწმე? თანაც: იოანე რეფუსს მოსდის ასეთი შეკდომები, როგორსაც ქართველი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა (მან არ იცის ქართლის ბირველი ქრისტიანი მეფის სახელი, მცხეთისა და მტრის სახელწოდებები და ა. შ.). ეს მომენტები ვერ კიდევ პ. პეტრეტრის აღწერიწმავს (იხ. პონიგვანი, 65-66). რატომ? იმიტომ რომ იგი უცხოვლა და არა ქართველი (დაწერ. ამაზე იხ. ჩვენი სტატია „ლიტ. საქართველოში“).

კიდევ: ვითომდა „ქართლიდან“ პეტრესთან ერთად გამგზავრებულ და „მის მოხსენავე“ „ზაქარია ქართველი“ დაწვლითაგან ცნობების ჩაწერა ხომ არ დასპირდებოდა ქართველი უფლისწულის კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში უფნის პერიოდზე? აგრეთვე მის წინაბრება და სიკაბუტეზე? ვანმოთხროთ ესამ კითხვას: რატომ არ მოგვიბობრება მაშინ „იგი“ თავის უშუალო შთაბეჭდილებებს უყოველივ ამაზე, თუ რეფუსის თხზულებაში „ზაქარია ქართველის“ ნაწარმოებს ვიკვლისხმებთ (რადიკალური გადაკეთება ტექსტის — სირიელი მთარგმნელის მიერ არაფრით არა დადასტურებული)? მეოლი რიგი ცნობა, რომელიც რეფუსს მოპყვება პეტრეს ცხოვრების შესახებ კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში უფნის პერიოდის მას გადმოცემული აქვს ასეთი წინასწარი რეპლიკებთ (ჩვეულებრივ ეპიზოდების წინ და დასასრულში): „როგორც ნეტარი პეტრე გვაამბობდა“ და ა. შ. იხ ერთი მაგალითი.

კონსტანტინოპოლში ნაბარნევის (პეტრეს) მიერ ნახული ერთი სასწაულის თხრობას რეფუსი წინ უმძღვარებს ასეთს განმარტებას: „...ჩვენმა ცხოვრებულმა, ჩვენმა კუმპარტიად ეროვულმა მამამ, რომელიც ამის მოწმე და მთაველი იყო ჩადენებრემ ვიამო ბევრის თანდასწრებით (მაიუში, ა. გ.)“... („ვეროვია“, 2, გვ. 273) და თვითონ სასწაულის წმინდა ნაწილის მტრედად გადაქცევის ეპიზოდს) ამთავრებს განცხადებით: „ცხოვრებული კიდევ სხვას ამის მხგავსისწაულს ვიბობრება“ (იქვე, 274).

ყველა მსგავსი სასწაული პეტრესი კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში მისი უფნის პერიოდს განეკუთვნება. მთარგმნელი კი მთა მოწმე არ ყოფილა!

მეოთხეული მაინც დაგვეთანხმება, რომ ესაა თხრობა ბიოგრაფისა, რომელიც აღნიშნულად

გულეში პეტრესთან არ იმყოფებოდა! ვანა პეტრეს „ქართლიდან მზღებელი“, ვითომდა რეალური „ზაქარია ქართველი“, ასე მოგვითხრობს. და? როგორ უნდა გაიხსნას ეს გორღის კვანძი? ერთადერთი ახსნა ასეთია: შავკარა ეგნესი იყო, რომ ზაქარია რიტორის დაწერილი ჰქონდა პეტრეს ცხოვრება“ და რეფუტისი თხზულება ამ ნაწარმოებზედ მიიჩნია; იცნობდა მის „საეკლესიო ისტორიას“ და „ესაია ასკეტის ცხოვრებას“ სირიულ თარგმანებს. შავკარის ქართული ვერსიის რედაქტორმა კი ეს ზაქარია მონათლა „ზაქარია ქართველი“ მის მიერ „ეთილად დასრულებულ ბოლოში“ და პირველი პარით მოათხოვნა (ანუარა დამახინჯებებით) შავკარისთან ერთად პეტრეს ცხოვრება. ყოველივე ეს ტყუილი ნათელია, ხშირად ვიმეორებთ ამ სიტყვებს. შავკარა ვანამეორება ცოდნის დედაიო“, — ამბობდნენ რომაელები.

საერთოდ, შავკარი შესწი რომ ზაქარია რიტორის ნაწარმოებებს იცნობდა, მტკიცდება ერთი თვალსაჩინო მაგალითით. ჯერ კიდევ 1936 წელს ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნა ფაქტი, რაზედაც ჩვენს ნაშრომში „პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები“ არ მიგვითხრობია ამ უბრალო მიზეზით, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ჩახედული მკითხველსათვის იგი კარგად ცნობილი უნდა იყოს, რადგან სპირობებამ მოიტანა, ეს მაგალითი ახლა მოვაქვეყნებ: შავკარი შესწი სცოდნა ზაქარია რიტორის საეკლესიო ისტორიას“ სირიული თარგმანი, აგრეთვე მისივე „ესაია ასკეტის ცხოვრების“ სირიული თარგმანი (შტდ. არენს-კრიუგერის გერმ. თარგმანი). ჩვენს ბიზანტინისტს მოჰყავს ერთი ადგილი ამ „ისტორიიდან“. და ანალოგიური პასაჟი „ესაიის ცხოვრებიდან“.

„შესამე თავი მოგვითხრობს, რომ როდესაც კოზმა (იმპერატორ ზინონის (474-491) ემისარი, ი. გ.) კონსტანტინე უკან ბრუნდებოდა, ის პალესტინაზე წამოვიდა, რათა თან წამოეყვანა, თანახმად კონსტანტინეს, პეტრე იბერიელი და ესაია მონაზონი. როდესაც კოზმა უკან ბრუნდებოდა, ის პალესტინაზე წამოვიდა და ეძებდა სახელოვან პეტრეს და დავტრომელ... ესაია მონაზონს. შავკარმა პეტრეს მან ვერ იპოვა; ის მის მოსვლამდე გამჭრალიყო, რადგან წინასწარ გაეგო“ („გეორგია“, III, 9). ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს წერს:

„2. ამ ეპიზოდის გადმოცემაში ზაქარია რიტორის (აქაც და „ესაია ასკეტის ცხოვრებაშიც“, ქვემოთ გვ. 11) უთუოდ უახლოვდება პეტრეს ქართული „ცხოვრების“ ავტორი“ (9-10). შემდეგ მოტანილია ანალოგიური პასაჟი შავკარის ვერსიიდან ნ. შარის გამოცემაში მიხედვით (10) და მცირეობის დასტურს: „ანონიმური ბიოგრაფია (რა. აბე 88-90) იძლევა განხვავებულ რედაქციას“ (10). ზუსტი დავიკრებია!

აი შავკარის „ცხოვრების“ აღნიშნული პასაჟი.

ქვი, შარის გამოცემიდან მოტანილი („გეორგია“, III, 10, შენიშვნა):

„ამას შევსა ზენონსა ესმა წმინდათა ამათ მამათათვის ესათის და პეტრესი და დედამა სისა წულთა მათა, რომელსა ჰყოფდეს, და წარმოავლინა საკეთარი თვისი საჭურისი (კოზმა) და მოუწოდა ორთავე. ხოლო ესმა რა წმიდასა და ნეტარსა პეტრეს, შეწუნა ფრიად და შევიდა სადაკონოდ და ტიროდა ფრიად და ევერა ღმერთსა, რათა არა იქმნას წარსულა მისი ეფიოსად და ივლტოდა ღამით ნეტარი პეტრე და წარვიდა ქუეყანასა უცხოთა. ხოლო საჭურისმან მან წიგნი შევსა მოართუა ნეტარსა ესაიას, და ვითარცა წარითხა ნეტარმან ესაია წიგნი იგი შევსა, შეწუნა იგიცა ფრიად და შესუწუნდა განსიგნა ყოველი გეამი მისი, ეღოგმელს ვერ ეღო სენაიათა გამოსულა“ (ნ. შარის, ცხოვრება პეტრე იბერიისა, გვ. 38-39. შტ. აგრეთვე: XXIV)... (შავკარის ვერსიის უკანასკნელი გამოცემის სათანადო ადგილი იხ. ი. აბულაძის რედაქციით დაბეჭდილი „ქართ. ივანოვი. ლიტის ძეგლები“ II ტომში, 1967, გვ. 250-151).

აი შევსის ადგილი ზაქარია რიტორის „ესაია ასკეტის ცხოვრებიდან“:

